

ცხადი

გოვოლანი

მარტი 2005

ფასი 5 ლარი

ანდა ნიუარაძე

სერგი გვარჯალაძე

სოფო თვარაძე

დათო იაშვილი

ლანი რიზაშვილი

სპეც-პროექტები:

ჩემი პოპი

ბერლინი

ვისკი



9771512222006



-10%

ფასდაკლება Flying Dutchman-ის ბარათებით
KLM -ის და NW-ის ფრენებზე

AIR FRANCE KLM





ყდაზე: ანუა ნიუარაძე
ფოტო: დავით მესხი

რედაქტორი შორენა შავერდაშვილი

რედაქტორის თანაშემწე ნატა ფედოსეევა

ნომერზე მუშაობდნენ ნენე კვინიკაძე
ანა კორძანა-სამადაშვილი
თამარ ბახუაძე
თამარ სუხიშვილი
ლაპა ბაქრაძე
მალხა ხარბეგია
სალომე კიალეშვილი

სტილისტი გაგა ლომიძე

ფოტო დავით მესხი

ილუსტრაცია სოფიო რეხვიაშვილი
გიორგი ბოხუა

დიზაინი დავით თეთრაძე
ალექსი კახნიაშვილი

დისტრიბუცია კოკა სვანიძე



გამომცემელი
შპს „ემ ფაბლოშინგი“

მისამართი: თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mpublising@caucasis.net

სტამბა
შპს „სეზანი“

მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: shorenashorona@cezanne-web.com



© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია

10 >>>



23 >>>



ექსკლუზივები

10 სოჭო თვარაძე

მთაში
თამარ პაპუაძე

23 დავით იაშვილი

თბილისური STRASSE
ნესტან კვინიკაძე

56 ანკა ნიუარაძე და გოგა დევლარიანი

ისტორია 21°C-ზე
თამარ პაპუაძე

68 ქათევან კორძახია და ირაკლი სუთიძე

ციმაკურიძის ექვსში - უნინ და დღეს
ანა კორძანა-სამადაშვილი

86 სერგი გვარჯალაძე

SERGI GVARJALADZE
ნესტან კვინიკაძე

96 ლენი რიზენშტალი

ადამიანი-საუკუნე
ანა კორძანა-სამადაშვილი

76 >>>



96 >>>



34 >>>



56 >>>



68 >>>



**108 ლადო ფოჩეუა და ელიზაბეტ იგანი
როგორ გვიყვარდა ერთმანეთი
ანა კორძაია-სამადაშვილი**

ნოველა

**115 სოფი, ზღვა, სიყვარული
დავით ქართველიშვილი**

სერიალი

**76 ვთამაშობთ თბილისობანას
თავი IV-V
აკა მორჩილაძე**

საეც-პროექტი

**34 ჩემი ჰობი
ნესტან კვინიკაძე
დავით მესხი**

ფოტომოთხოვა

**114 მანჟეტენელ გოგოებს, სიყვარულით
ანა კორძაია-სამადაშვილი**

**128 პერლინი
„ბერლინალე“
ლაშა ბაქრაძე
ანა კორძაია-სამადაშვილი
დავით მესხი**

**123 სხვა თაობა
სოსიო
კერუაკის გზა
დათო ტურაშვილი**

**152 ვისკი
მალხაზ ხარბეგია**

115 >>>



128 >>>



152 >>>




ნიგნები

ავტორი: თამარ ბაბუაძე

აკაპი ბაქრაძე

თხზულებანი
II და III ტომები

ტომის რედაქტორი:
ლაშა ბაქრაძე
გამომცემლობა:
“ნეკური”, “ლომისი”



2004 წ.

როცა ამ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით დასტამბულ ტომებს გადახედავთ, მაშინვე გაგიჩნდებათ ლოგიკური კითხვა: რატომ არ იშრუნეს ამ კრებულის შედეგნაზე დღემდე? თუმცა, ამ ეტაპზე კითხვის დასმა უკვე არააქტუალურია (მით უფრო, რომ არშედეგნასაც თავისი ლოგიკური მიზეზები ექნებოდა). ტომებულები არსებობს და ათასგან — პერიოდულ პრესაში თუ სხვადასხვა ალმახანებში — სხვადასხვა დროს მიმოფანტულ პუბლიცისტიკასაც გაუჩნდა ერთი კონკრეტული მისამართით: 700-800 გვერდზე გავრცობილი სამი ტომი.

გვემაში რვატომეულის გამოცემაა. რამდენიმე ხნის წინ ნიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩეუნილ პირველ ტომს კი ახლახანს, ფეხდაფეხ მეორე და მესამეც მოჰყვა.

როგორც წინასიტყვაობაში განვგომარტავენ, მეორე ტომი ბაქრაძის მონოგრაფიების ერთ რკალს ჰქონდა — ბიოგრაფიული რომანის სტილში შექმნილ ტექსტებს, რომლებიც ერთსაუკუნოვან ისტორიულ მონაკვეთს მოიცავს.

თუმცა, სანამ კითხვას შევუდგებოდეთ, საგზალად აუცილებლად უნდა გავიყოლოთ ზურაბ კინაძის შესაგალი წერილი — “საგზალად — სულის ზრდა”, რომელიც ასე სრულდება: “ჩვენ ვფურცლავთ წიგნს... ჩვენ გვაქეს საგზალი, ჩვენ სანგრძლივი, გონების სარგებელი მოგზაურობა გველის”.

საგზალი, რომლითაც გონება მეორე ტომში ვკეთებთ, მესამეშიც გადავყევებთ. მით უფრო, რომ ამ წიგნში აკავი ბაქრაძის აქამდე გამოუქვეყნებელი ტექსტებიც დაგვაპურებენ.

“მწერლობის მოთვინიერება” მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება, თავისებური რომანიაო — ნათქვამია წინასიტყვაობაში. ეს წანარმოები 1983 წელს დაინერა და არალეგალურად ვრცელდებოდა. აქვეა ამავე ყაიდის თხზულება — “გადარჩენა”, რომლის დაბოლოებაც ავტორმა ვერ შეძლო, მაგრამ კრებულში ის მანც შევიდა, როგორც “მწერლობის მოთვინიერების” უშუალო გაგრძელება.

ასე რომ, კარგია, თუ ახლავე მიაკითხავთ წიგნის მაღაზიებს და თანდათან მაინც შეიძენთ აკავი ბაქრაძის “საგზალს” — სულის ზრდისთვის.

ანა კორძაია-სამადაშვილი

“შე მარგარიტა”
(მოთხოვნათა კრებული)



“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” 2005 წ.

როცა 2003 წელს ლიტერატურული პრემია “საბას” დებიუტი შედგა, მასთან ერთად კიდევ ერთი დებიუტი იყო — მეითხველმა ძალიან მოკლედ თმაშეჭრილი მწერალი ქალი — სოფია კირვალიძე გაიცნო. დროით განმავლობაში გაირკვა, რომ საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის “საბათი” აღნიშნული მოთხოვნათა კრებულის, “ბერიკაობის” ავტორი სოფიის კირვალიძის ფარს ამოგარებული ანა კორძაია-სამადაშვილი იყო. პირველი აუკოტაჟი ჩატრა და ახალ ტექსტებს მეითხველი ავტორისგან უკვე სიამოვნებით იღებს.

ახალ კრებულში ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხოვნებია შესული: “მარინას დაბადების დღე”, “იქ, ჩრდილოეთში”, “წვიმს”, “მე მარგარიტა”... კრებულში თითქმის მთლიანად არის გადმოტანილი “ბერიკაობის” გაერთიანებული ტექსტებიც.

მოკლედ, თხრობა არ წყდება. ისევ ვიწყებთ თავიდან — უძველესი წარმართული რიტუალით, ბერიკაობით და ვაგრძელებთ დღემდე — მარგარიტამდე. ახალ კრებულსაც ზუსტად იგივე განცდა მოაქვს: მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად იცი, წიგნს კითხვულობ, მანც გონინა, რომ შენს წინ ანა ზის და, აღგზნებული გამომეტყველებით, ამ მთის და იმ ბარის ყოვლად დაუჯერებელ ამბებს გამბობს. თითქოს ჩაგვშის კიდეც დაბალი ხმის ტექმბრითა და საიცარი სისწრაფით ნაამბობი ისტორიები, რომლებშიც მარტოსული და სასაცილო ქალები, მეზღაპრე და “გადამგდება” კაცები ცხოვრიბენ და საოცრად სიურეალისტურ სიტუაციებს ქმნას. მერე კი ამ სიტუაციებიდან ყოველთვის იუმორის დახმარებით გამოდიან. მოკლედ, ანას მხატვრული აზროვნების ბერიკაობა გრძელდება. იქ, ჩრდილოეთში კი ისევ ისე გულისგამანვრილებლად წვიმს. რას არ ჩაადგინებს კაცს!.. დანარჩენი — კრებულში.

აუკოლებლად უსმინეთ ანას. თან გაგართობთ, თან ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებთ.

ირაკლი სამსონაძე

“ყურთბალიში”
(მცირე რომანი)



2004 წ.

ვინც რეგულარულად კითხულობს შურწალ “არილს”, ირაკლი სამსონაძის ტექსტებსაც აუცილებლად იცნობს — იმდენად რეალისტურს და იმდენად ჩვენი დროისას, რომ აშკარად გრძნობ, იქ ყველა განცდა და ფიქრი ფიზიკურად ხელშესახება. მკითხველი, წესით, უკვე უნდა იცნობდეს “ყურთბალიშაც” — მცირე რომანს, რომელმაც ორიოდე წლის წინანდელ “კვალის” ლიტერატურულ კონკურსში პირველი პრემია მიიღო.

“არტემი” “ყურთბალიში” წიგნად სულ ახლახანს დაპეჭდა. რომანი თხრისა ძალიან ზუსტი, ძალიან გამომსახველი მონოლოგით მიმდინარეობს. ბატონი ანდრო ბუაჩიძე, რომელიც წიგნის წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ, აღნიშნავს: “ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთხოვბელი თავისი არსების სილრმეში აფიქსირებს გარე და შიდა მოვლენებს. მთხოვბელის აბიექტივიში ექცევა შეგრძნებებიც, რეფლექსიაც, ემპირიულ პლაში მომხდარი ამბებიც”.

ზუსტად ასეთია ცოლ-ქმრის სასიყვარულო ღამე — “ადადანებული დვიუკების” ხმაურში რომ ილევა.


და ფრაზები? ძალიან მოქნილი და სავსე: “ზამთრის ცივ ღამებში მე და ქეთინს სიყვარულის ვალი გვაწევხებს. თუ იმ ღამეს არ გვიყვარს ერთმანეთი, უსიყვარულოდ ჩავლილი ღამე გვაწევს”.

და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები? ტელე-კრაზზე გაცოცხლებული ავანტიურისტი პოლიტიკების დებატები? ისინიც კი აბსოლუტურად დაუვაწყარო გმირები არიან და საოცრად ჩვენეულ სიტუაციებს მოგავონებენ.

ალბათ, ჩვენივე რეალობისა და ჩვენივე ფასეულობების ასე ხელშესახებად გადმოცემის გამოა, რომ ბევრი კრიტიკოსი ასკვნის: ბოლო ათწლეულის განვალობაში ტექსტების დებატებით გამოდიან. მოკლედ, ანას მხატვრული აზროვნების ბერიკაობა გრძელდება. იქ, ჩრდილოეთში კი ისევ ისე გულისგამანვრილებლად წვიმს. რას არ ჩაადგინებს კაცს!.. დანარჩენი — კრებულში.

ფილმები

ავტორი: სალომე კიკალეიშვილი




სად: კინოთეატრი "ამირანი"

რა: „ავიატორი“

როდის: მარტი

რეუისორი: მარტინ სკორსეზე



სად: კინოთეატრი "რუსთაველი"

რა: „დაგალოპანა“ (თრილერი)

რეუისორი: ჯონ პოლსონი

როდის: მარტი

როცა გეტუვი ე – არ გამოხვიდე,

როცა გეტუვი ი – მაშინ გამოდი...

დრო იყო და კინო „პირველყოფილი“ მაყურებელი ეკანზე მატარებლის დანახვისთანავე ფეხზე ხტებიდა – აქამდა, გადმოვა და გადამივლისო... მერე ნელ-ნელა შეეჩერა მატარებელსაც, თვითმფრინავსაც, სისხლის გუბეებსაც და სტერეო კინოსაც. ამას კი, არც ისე ცოტა, მთელი ერთი საუკუნე დასჭირდა. დღეს კი, თანამედროვე მაყურებელს, დოლბის სისტემის წყალობით ნახვრად დაყრუებულ-ტვინშერებულს, არამცთუ ერთი საწყალი ორთქლმავალი, ვერც ერთი კბილებგადმოყრილი მონსტრი და უხილავი ბორიტი ძალა ვერ აძლულებს დარბაზის დატოვებას.

პოდა, თუ თქვენ სიამოვნებას განიჭებეთ თვითგვემა, ბურუსში გახვეული ისტორიები, გაურკვეველი ხმები და სკამზე ნახვრად დაწოლილ მდგომარეობაში დიდი ეკრანის ყურება, მაშინ ჯონ პოლსონს ეს ფილმი პირადად თქვენთვის შეუქმნია.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი, სახელად დეივიდი (რობერტ დე ნირო), რომელიც ბედმა კეთილშობილ ადამინს, ელისონს (ჟემი ირვინგი) შეახედრა. ბედნიერ წყვილს ღმერთმა ქალშვილი – ემილი (დაკოტა ფენინგი) უბოძა. ეს იყო ნიუ იორქში...

მე შემიძლა შეუუვე და გავაგრძელო ისტორიის ეს კეთილი დასაწყისი, მაგრამ ის ისეთი მაინც არ იქნება, როგორსაც ჯონ პოლსონი გვპირდება. კეთილად დაწყებული ამბავი საზარელ ფიქოლოგიურ დრამად, საშინელებად გადაიქცევა: ელისონი თავს იკლავს, პატარა ემილი კი ახალ, უხილავ მეგობარს შეიძენს... ჩარლი... რომლის გამოჩენისთანავე სახლში საშინელებები იწყება...

რა? გაინტერესებთ, რა მოხდება შემდეგ? ისე, ცოტა შეშინებაზე ახლაც ხომ არ იტყოდით უარს? მაშინ ეწვიეთ: www.hideandseekthemovie.com

P.S. ოლონდ ხმას ცოტა ჩაუწიეთ.

გახსოვთ ახალგაზრდა, შეშინებული ბიჭუნას თვალები უკვე მოძველებულ,

ამერიკულ საშინელებათა უანრის ფილმში „Critters3“? არა? მაშინ უდავოდ გემასოვრებათ არაღმომარჯვებული „ბლატნოი“ რომეო ან ლეგნდარული „ტიტანიკის“ რომანტიკული გმირი. ასეც ვიცოდი, რომ მიხვდებოდთ — ლეონარდო დი კაპრიო. სკორსეზეს ახალი კინო-სახე, რომელსაც მაყურებელი მთავარ როლში იხილავს, ამერიკელებისათვის ლამის გმირად შერაცხულ ჰიუზის განასახიერებს. „რჩეული“ პოლივუდელი ტიტანიკიდან ბედმა ამჯერად პირდაპირ ცაში ატყორცა. ეს სრულებითაც არ აღმოჩნდა მტკიცნეული – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მსახიობი „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა.

ქიოთ ბლატნები, ჯონ რეილი და ვენე სტეფანი კი მაყურებლის თვალწინ 20–40–იანი წლების პოლივუდელებს გააცოცხლებენ.

მანამდე კი, თუ მოვახერხე და ამ ფილმით ოქვენც დაგაინტერესეთ, ერთი საიტის მისამართსაც გაგიმზეთ, რომელიც 3 მარტამდე თქვენს ცნობისმო-ყვარეობას დააკმაყოფილებს: www.aviator.com

guga@housemusic.com
get your ticket for a ride



Tchibo



ԱՊԵՐԵ ԱՌԱՋՐԱ ԱԿԱԴԵՄԻԱ ԿՐՈՆԱԳՐԸ



ՏԻՄ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՊԵՐԵ ԱՌԱՋՐԱ ԱԿԱԴԵՄԻԱ





მთაში



ავტორი: თამარ ბაბუაძე
ფოტო მთაში: ბენო ქაშაკაშვილი
ფოტო ბარში: დავით მესხი

„...24 მაისს, თბილისის
დროით 12 საათსა და
25 წუთზე ჩემს მობილურ
ტელეფონზე ნაცნობი ცი-
ფრები 818 აინთო. ჩანდა,
სატელეფონო ხაზზე ნეპა-
ლი იყო:
– მოგილოცოთ? მოგილო-
ცოთ? არ ისმის, რომელი
ხარ?
– სოფო ვარ. მოგვი-
ლოცეთ, მოგვილოცეთ,
ავედით! ამა დაბლამის
წვერზე 22 მაისს ვიყავით.
მწვერვალიდან დაბრუნე-
ბისას დაგვიღამდა და 22
მაისის ლამე 5875 მეტრზე
მდებარე მეორე ბანაკში
გავათენეთ. 23 მაისს საბა-
ზოში დავეშვით და ახლაც
აქ ვართ. ცა ცოტა ხნით
გაიხსნა და ევერესტიც და-
ვინახე”.

„ვერტიკალის სიახლენი“,
„დილის გაზეთის“ დამატება
№12. 2003 წლის 26 მაისი.

თამარ ჯიშკარიანი

გაზის წნევა დაეცა თუ რალაც. ოფისში ცივა. კარზე ზარია. გოგო დგას. იმასაც ცივა, მობუზულია. ჩუმად შემოდის, ჩუმად ამბობს გამარჯობას და შეუმჩნევლად დგება კუთხეში. წითელ ხელებს რადიატორს უშვერს, ტანითაც რადიატორს ეკვრის. მაგრამ რად გინდა, გაზის წნევა თუ რალაც ხომ დაეცა და რადიატორი მაინც არ თბება. გოგო იბუზება...

მერე მეუბნებან, რომ ეს სოფო თვარაძეა – გოგონა, რომელიც ჰიმალაის მწვერვალ ამა დაბლამზე ავიდა.

არადა, აქ, ბარის რეალობაში, გარდა იმისა, რომ სიცივეზე და გაზის დაცემულ წნევაზე მობუზით რეაგირებს, სოფო პი. არ. აქ-ციებსაც აწყობს, ანუ: ოფისში ზის, საქმიან ხალხს ხვდება, თაბბირებს ესწრება. მაგრამ მე უკვე ვიცი და ახლა შევეცდები თქვენც დაგარწმუნოთ, რომ მას მეორე „მეც“ აქვს; „მე“, რომელიც ასეთ ჩვეულებრივ საოფისე დღეებში, უბრალოდ, თვლემს. მისი გაღვიძება-გააქტივურებისთვის დაშიფრული კოდის ცოდნაა საჭირო. საკრალური სიტყვაა „მთა“. სიტყვის წარმოთქმა და სოფოს გარდასახვა ერთია. სახეს მორიცებული სიმშვიდე შორდება, თვალები ისე ენ-თება, თითქოს გუგები უკვე წინ აღმართულ ცისფერ მწვერვალებს ირეულავდნენ. რეალობას კი, რომელიც პრაგმატიზმით, ინგლისურ-რუსული ლექსიკონითა და კომპანიის ხარჯთაღრიცხვით არის გაჯერებული, იდეალიზმით, ვერტიკალური ყინულის სამსხვრევად მომარჯვებული წერაყინითა და მწვერვალის დალაშქვრის ჟინით საგეს სინამდვილე ცვლის.

და როცა შენც საკუთარი თვალით იხილავ ამ გარდასახვას, მიხვდები, რომ სოფოს საოფისე გარემოში საშინლად მოწყენილი მეორე „მე“ აქმდეც უნდა შეგმჩნია. როგორ ვერ შენიშნე თუნდაც ეს დეტალი? — თვალს ხომ აშკარად უხეშად ხვდება სოფოს „ბათინკი“, უდარდელად რომ მოაბიჯებენ „შპილკა“ ჩექმების, პლატფორმებისა და ქვირფასტყავიანი ფეხსაცმელების გვერდით? მერე ეს „ბათინკი“ მაგიდის ქვეშ იმაღება — ალბათ სოფოს თხელ სვიტერს, მოდურ შარფს და შარვალს უწევს ანგარიშს და თვინიერად ელის, როდის დადგება დაშიფრული კოდის წარმოთქმის დრო; წუთი, როცა სოფო იტყვის: „მთა“ და მორიგ განსაცდელთან შეხვედრამდე, მორიგ იდეალთან, მორიგ მწვერვალთან შეჭიდებამდე, გემრიელად არ გაიზმორება მისი მეორე „მე“.


როგორ კარგავს ხიპლ უიმპლიმი

ასე რომ, იცოდდეთ, ეს არის სოფო თვარაძე, პირველი ქართველი ალპინისტი ქალი, რომელმაც ჰიმალაის მწვერვალი დალაშქრა.

არადა, თავიდან, სოფოს პროფესიული ასპარეზისთვის სულ სხვა მიწის საფარი შეურჩიეს: ხელოვნურად მოსწორებული, მაქსიმალურად გლუვი, თანაბრად შეკრეჭილი ბალახით დაფარული, ანდა ჰარდი — გრუნტის ფენით მოპრიალებული. ამ მიწის საფარს ახლაც კორტი ჰქვია და იქ კვლავაც ჩიგბურთელები თამაშობენ, იგებენ აესტრალის Open-ებსა და როლან გაროსებს, ოღონდ იმ მიწის საფარზე ადრენალინის გამოყოფა უკვე სოფოს გარეშე ხდება.

გოგონას ჩიგანი შვიდი წლის ასაქში დაჭრებინეს. დედაც, მამაც და დაც მის ოცნებებს გულშემატებივრობდნენ: „დიდი ჩიგბურთელი გაგები, უიმბლდონზე გამოვალ, გავიმარჯვებ, ტრიუმფი იქნება, რამხელა სიხარული“.

ყოველდღე ვარჯიშობდა, მაჯას იმაგრებდა, ჩაწოდებებს ხვენდა, თან სულ იცნებობდა. ათი წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. 13 წლის იყო, როცა, როგორც თვითონ ამბობს, „მიწაზე დაეშვა“, გააცნობიერა, რომ უიმბლდონზე ოცნება არ ღირს; სჯობს, კორტი დატოვოს და ისეთივე ჩვეულებრივ მიწაზე იაროს, როგორსაც დანარჩენი თბილისელები უქმაყოფილოდ, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ტკებინაა — აბიტურიენტობა, გამოცდები, უნივერსიტეტი, სტუდენტობა, პროფესია, სამსახური, ოჯახი....



„თანდათან ჩიგბურთი ჩემი ცხოვრებიდან ამოვაგდე. მერე დადგა რალაც პერიოდი, როცა საერთოდ არაფერს არ ვაკეთებდი, აბსოლუტურად სტანდარტულად ვცხოვრობდი, ისე, როგორც ჩემი თანამოლების უმრავლესობა“.

ეს რიგითი თინერიკერობის პერიოდი ორიოდე წელს გაგრძელდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩიგბურთმა თავისი საქმე მაინც გააკეთა — სოფოში მიზანდასახულობა და აქტივური ცხოვრების სურვილი ისე გამოაღვიძა, რომ სტანდარტებმა მის ენერგიას და ენთუზიაზმს



„იმ პერიოდში ჩემი და სტიუარდესად მუშაობდა. საღამოს სახლში რომ მივედი და დედას ვუთხარი, კლდეზე ავცოცდი, ძალიან მომენტონა და შეიძლება დამირეკონ-მეთქი, გაგიჟდა, ერთი შვილი ცაში, მეორე — მთაში, ეს რა დღეში ჩავვარდიო”.



1984 წელი. ვაკის პარაზ. ფოტო: გივი თვარაძე

ვერაფერი დააკლეს. ვერც ასაკმა გაიტანა თავისი. 15 წლის გოგონების ფიქრები ხომ სულ სხვაგან ქრის ხოლმე. სოფო კი ერთხელ სკოლიდან ბოტანიკურ ბაღში წავიდა, შემთხვევით ნახა, როგორ ავარჯიშებდა მწვრთნელი მოზარდებს კლდეზე ცოცვაში და იქვე გადაწყვიტა, ბედი ეცადა. თითქოს, „ბათინკებმა“ კლდისკენ თავისით გაიწიეს...

სოფო აცოცდა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც აცოცდა. ძალიან მოეწონა. აქამდე განცდილ ვერც ერთ გრძნობას ვერ შეადარა ის, რაც იმ წუთებში მის თავს ხდებოდა. მწვრთნელსაც მოეწონა, შეაქო, ტელეფონი ჩაიწერა და მოზარდ მთამსვლელთა სპორტულ სკოლაში დაპატიჟა.

„მივხვდი, რომ გასართობი ვიპოვე. იმ პერიოდში ჩემი და სტიუარდესად მუშაობდა. სალამოს სახლში რომ მივედი და დედას ვუთხარი, კლდეზე ავცოცდი, ძალიან მომეწონა და შეიძლება დამირუკონ-მეტიქი, გაგიუდა, ერთი შეილი ცაში, მეორე — მთაში, ეს რა დღეში ჩავვარდიო. მაგრამ დედა მაინც ძალიან ლოიალური ქალია. როცა მიხვდა, რომ ეს სერიოზულად მინდოდა, ყველანაირად შე-მიწყო ხელი“. მართონელმა შალვა ავსაჯანიშვილმა მართლაც დარეკა, ერთ თვეში, ბათუმში შეჯიბრი ეწყობა და უნდა წამოხიდეო.

ახლა რომ ვინმებ რაიმე მსგავსი შესთავაზოს, „ბათინკები“ ისევ თავისით გაიწევენ მოსისენ, მაგრამ მაშინ, პირველ ჯერზე, სოფოს ბიძგის მიცემა დასჭირდა. გასაკვირი არც არის, მთას და გოგონას შორის სიყვარული ჯერ გაღვივებული ხომ არ იყო.

თუმცა, ბევრი ყოყმანის შემდეგ მაინც წავიდა.

„4-5 გოგო დამხვდა. მალევე შეჯიბრზე მიერეს თავი, ვერაფერი ვერენი, კლდეზე სულ რამდენჯერმე ვიყავი აცოცებული. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ ფარ-ხმალი არ დავყარე. პირიქით, უინით

აღვივსე, მომინდა, კარგად მევარჯიშა, რადგან შემდეგ შეჯიბრზე თავი გამომეჩინა“. მიზანს მიაღწია. შემდეგ შეჯიბრზე მესამე ადგილი დაიკავა. მერე თბილისის პირველობა ჩატარდა, იქაც შენიშნეს. დიდუბებში მანე-ჟია, ხელოვნური კლდეებით, ზამთარში იქ ვარჯიშობდნენ ხოლმე, ზაფხულში — წვრთნებზე დადიოდნენ: ბათუმი, ყაზბეგი, ჭიათურა.....

„ასე თანდათან ჩამითრია“.

და მართლაც: ასეც ხდება, ისეც ხდება და ისევ — ასეც ხდება: ცხოვრება ასეთ „პადაჩებსაც“ იძლევა. როცა მთა გელის (არაფერს არ აკეთებს — თავისთვის დგას, მაგრამ შენ მაინც გრძნობ, რომ ზუსტად შენ გელის), თურმე სამეფო სპორტიც და გაპრანჭული უიმბლდონიც ხიბლს კარგავს. ახსად არც ლირს. „მთა ნარკოტიკივთაა. ერთხელ გასინჯავ და თავს ვერ დაანებებ“ — ამბობს სოფო.

პირველად იყო მყინვარდერი

მყინვარწვერი — მწვერვალი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით, მდ. ოერგისა და საქართველოს სამხედრო გზის მარცხენა მხარეს, ყაზბეგის რაიონში. სიმაღლე — 5033 მ. თოვლითა და ყინულით და-ფარული ჩამქრალი ვულკანური კონუსი. მყინვარწვერის კალთებზეა მყინვარები: მნა, დღნერა, გერგეტი, აბანო, დევდარაკი და ჩათა. მის სამხრეთ-ალმოსავლეთ კალთაზეა ბეთლემის გამოქვაბული, რომელიც პირველმა ქართველმა ალიპინისტმა ქალმა, ალექსანდრა ჯაფარიძემ აღმოაჩინა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

„მყინვარი დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღლვებს, მაციებს და არ მათბობს.“

„მგ ზავრის წერილები“

სოფო და ლიკა, ლიკა და სოფო. ეს ორი სახელი მაღლე განუყრელად იქცა. ისინი მთამ დააკავშირა.

სოფო თვარაძეს და ლიკა ნოზაძეს ერთად შეეყარათ ერთი უცნაურობა: პატარა გოგობი იყვნენ, მაგრამ დისკოტეკებზე სიარული, ბიჭების გაცნობა, ტელეფონით გაშაყირება, გაპრანჭვა, პირველი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მინი — თითქმის არ აინტერესებდათ.

„ოლონდ, ვინმეს ეტექა, წავედით, ჩალაგდით. ჩვენც მაშინვე ვალაგებდით ბარგს და მივდიოდით. ტყე-ღრეში, მთა-გორებზე ხეტალი, მწვერვალიდან გადმოხედვა — ეს ჩვენი ცხოვრების მიზანი გახდა. ეს იყო ჩვენი გართობაც, საზრუნავიც და მისწრაფებაც.“

მე და ლიკა სულ ვამბობდით ხოლმე, რომ ძალიან ერთნაირები ვართ. ვიციონდით, ჩვენ ახლა ქალები ვართ? ჩვენგან რა გამოვა?“

მოკლედ, გრძნობა ორმხრივი გამოდგა. მთამ შეიყვარა გოგონები, გოგონებია — მთა. და სრულიად მოულიდნელად, დიდუბის მანეუზზე ხელოვნურ კლდეებზე ცოცვა, ზამთრობით გორის მიდამოებში გაყინული ჩანჩქერის პირას ხეტიალი და კლდეების გარემოცვაში გატარებული დღეები, უსერიოზულესმა და ულამაზესმა მყინვარწვერმა შეცელა.

იმ წელს სოფო 16 წლის იყო. სპორტსკოლამ საზაფხული ბანაკი ყაზბეგში დასცა. ვარჯიშობდნენ, კაუდებოდნენ, კიდევ უფრო ერთობდნენ მთას.

ერთ დილას ბანაკს ორი მოხევე მიუახლოვდა. დირექტორს, ლადო გურჩიანს გამოელაპარენენ. გაირკვა, რომ მყინვარზე ორი გერმანელი სტუმარი უნდა აეყანათ. გოგონებმა დიალოგს შორიდან მოჰკრეს ყური. დაშიფრული კოდი ამუშავდა. სადღაც, ქვეცნობიერში, საკარალური სიტყვა „მთა“ გაისმა, რომელიც მაშინვე ითარგმნა, როგორც მიზანი და გამოწვევა, რომელსაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა

მიაღწიო; ითარგმნა, როგორც განსაცდელი, რომელიც ყველაფრის ფასად უნდა დაძლიო; და ითარგმნა, როგორც სიცოცხლის სისაგსის ბოლო წევთამდე შეცნობა, რომელიც უნდა შეიცნო!

მოხევეებმა ერთი გამოიხედეს ქვეშქვეშად, ბრაზით, სქელი, დაფანჩული წარპებიდან, მაგრამ გოგონები უკვე ყიუინით ალაგებდნენ ზურგჩანთებს.

„არაფერი განსაკუთრებული. რა უნდა. ფეხზე წრიაპები, ხელში წერაყინი და მიდი, წუკ-წუკ-წუკ“, – ახმოვანებს სოფო.

წავიდნენ. და ავიდნენ. ვინც ყოფილა, კარგად იცის, როგორც ხდება: ჩადიხარ „ყაზბეგჩი“, გამყოლად გოროზ მოხევეებს პოულობ, ზურგჩანთაში გამოსაცვლელ წინდებს, თბილ სვიტერს, საგზალს ილაგებ და ქვა-ლორლიან ბილიქს შეუყვები, მაღლა და მაღლა. დროდადრო თეთრი, ჩასუქებული და სათონ მოხუცი წისლის ქულებს შორის გამოჰყოფს ხოლმე თავს, მზეზე აიბრჭყვიალებს თეთრ თმებს, 5033 მეტრიდან დინჯად გადმოგხედავს და პიკამდე ასასვლელად ჯადოსნური ენერგიით აგავსებს.

გზად პირველი გაჩერება მეტეოსადგურია — გერგეტის მყინვარზე, 3700 მეტრის სიმაღლეზე. იქ ათევ ღამეს, ხანდახან ერთი-ორი დღეც რჩები — აკლიმატიზაციისთვის. დათქმულ დილას სადგურს ტოვებ და იწყებ მოგზაურობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს — სვლას საბოლოო მიზნისკენ.

და რადგან, ტექნიკური თვალსაზრისით, მყინვარი რთული მარშრუტის მქონე მთა არ არის, 3-4 საათში, სვენებ-სვენებით უკვე მოხუცის თავზე ექცევი, სულ სხვა ჰაერს სუნთქავ, სულ სხვა ხმები გესმის, სულ სხვა ხედს გადაჰყურებ. მერე უკანა გზაზე ისევ მეტეოსადგური და მეორე დღეს შეგიძლია დაბრუნდე კიდეც ყაზბეგში.

„მყინვარნერი იყო პირველი დიდი შთაბეჭდილება. ავედი, გადმოვიხედე და მთა ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა. იმ მომენტში აღარც მახსოვს, ზუსტად რა ვიგრძენი. სამაგიეროდ, მახსოვს, პირველად

როდის გავიაზრე იქ ასვლის სიხარული. ეს თბილისში მოხდა, ყაზბეგიდან შინ დაბრუნების შემდეგ. ქუჩაში მივდიოდი, ცა მოწმენდილი იყო, უცებ გავიხედე და მყინვარი დავინახე, მაშინ დამკრა — ნუთუ აქ ვიყავი, ნუთუ მე ვიყავი!..“

მას შემდეგ, სოფო მყინვარზე შვიდჯერ მაინც არის ნამყოფი. ის მისთვის ყველაზე ძვირფასია — თან სერიოზული ლაშქრობების ათვლის წერტილიც არის და თან შეჩევული სიტყბოც. ბოლოს იქ შარშან, დეკემბერში იყო. „საშინლად ყინავდა. ასვლით ავედი, მაგრამ იქედან სულ ტირილით დავეშვი. მოვდიოდი და ლოყებზე დადგნილი ცრემლების გამო, ტანში კიდევ უფრო მცრიდა.

მყინვარი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ხანდახან მგონია, რომ სუბიექტური ვარ, მაგრამ ის ჩემთვის მაინც ულამაზესი მთაა. მასზე ლამაზი არაფერი მგონია“.

„**მახსოვს, პირველად როდის გავიაზრე ასვლის სიხარული. ეს თბილისში მოხდა, ცა მოწმენდილი იყო, უცებ გავიხედე და მყინვარი დავინახე, მაშინ დამკრა — ნუთუ, აქ ვიყავი, ნუთუ მე ვიყავი!..**“



2003 წელი. ახა დაბლაში, 6100 მეტრზე.



2003 წელი. ამა დაგლაში, 5600 მეტრზე.

სამი მამაკაცი და ერთი გოგონა

„სულ ვიცოდი, რომ წინ რაღაც მელოდა, გაცილებით უფრო დიდი. უბრალოდ, არ ვიცოდი, რა და როდის. მაგრამ ისეთი უნინანი აღმოვჩნდი, რომ წინათვალში გამართლდა. მართლაც შევძელი“.

მთამსვლელებმა: აფი გიგანტა, ბერი ქაშაკევილმა და გელა ოთარაშვილმა დაკავირვებული მზერა მოავლეს გარემოს და მერე არჩევანი სოფოზე შეაჩერეს — იმ პერიოდში სოფოს მეორე „მეს“ ისე ეღვიძა და ისე აქტიურობდა, რომ მისი არშემჩნევა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

მიზანდასახულობა, ჟინი, მთის სიყვარული, გაბედულება, პრაგმატიზმი, იდეალიზმი, სირთულის ბოლომდე გაცობერება — სოფოს ყველა სპორტული ღირსება ზედაპირზევე „ენტო“. და რა გასაკვირია, რომ არც სოფო, არც მისი ოჯახი და, რაც მთავარია, არც გამოცდილი მთამსვლელები სოფოს ასაკმა არ შეაშინა. მერე

„ორი მზარეული გვყავდა: 4600 მეტრზეც კი სულ ჭურჭელს რეცხავდნენ. დილას ჩაის მოადუღებდნენ და მაღვიძებდნენ: „Madam, tea, please. Tea, please“. მართლა „მაღამი“ მეგონა თავი“.

რა, რომ 22 წლის გოგონები, თუნდაც ბავშვობიდან მთამსვლელები, ჰიმალაის მწვერვალებზე არ ადიან? რომ ჰიმალაის მთამსვლელებისთვის დიდება უფრო გვიან, 30 წლის შემდეგ მოდის?

მთა თავისუფლებაა, რისკია, საკუთარი თავის გამოცდაა. „ეონ-სილიუმმაც“ თავისუფლად იაზროვნა და დასკვნა, რომ ასაკისა და გამოუცდელობის მიუხედავად, სოფო შეძლებდა რისკთან შეხვედრას. ასე აირჩიეს ის მეოთხე კაცად (თუ ბავშვად, ანდა, სულაც, გოგონად) ექსპედიციაში, რომელსაც 2003 წლის მაისში გეზი ნეპალისკენ უნდა აეღო. მაისშივე აღინიშნებოდა ალპინიზმის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღი — ევერესტზე პირველად ასვლის 50 წლისთავი. საიუბილეოდ უამრავი ლონისძიება იგეგმებოდა. ალპინისტების მთელ ელიტას გეზი კატმანდუსკენ — მთამსვლელების მექისკენ ჰქონდა აღებული. სოფოს ორმაგი სიხარული უნდა რჩებოდა: ჰიმალაის მწვერვალის დაპყრობა და სახელოვან მთამსვლელებთან შეხვედრა.

გამგზავრებამდე დარჩენილი ორი თვე ინტენსიურ ვარჯიშებს დასჭირდა. იმ ორ თვეში სოფომ სამჯერ მაინც დალაშქრა მყინვარწვერი, აკლიმატიზაციის უნარის გაუმჯობესებისთვის ღამეს იქვე, პლატოზე, კარავში ათევდა. გამუდებით ვარჯიშობდა, ვიტამინებს სკამდა, დიდი რაოდენობით ხილს მიირთმევდა.

„სანამ ფეხი ნეპალში არ დავდგი, მომხდარის გააზრება ვერ შევძლი. ზღაპარი იყო. წაკითხულსაც გადააჭარბა, ფოტოებსა და ტელეეკრანზე ნანახსაც. ცისანაში და მართლაც დავდგი, მომხდარის გააზრება ვერ შევძლი. ზღაპარი იყო. წაკითხულსაც გადააჭარბა, ფოტოებსა და ტელეეკრანზე ნანახსაც.“

კატმანდუ. ჰალაკი, ვინრო ქუჩები, ტანდაბალი, თითქმის ჩია ნეპალელები, ჭუჭყაინ და ვინრო ქუჩებში ჭიანჭველებივით რომ ფუსფუსებენ ფეხშველები. სახლებიც პატარა, ქვის, თითქმის მინიატურული. კატმანდუს ღარიბული გარეუბნებიდან მთლიანად ამოვარდნილი ცენტრალური უბანი — ტამელი: სასტუმროებით, რესტორნებით, ქუჩაში გამოდგმული დახლებით, სადაც ათასი ჭრელა-ჭრულა სუვენირი იყიდება. ხმაურია, სიგნალი, ერთმანეთში ირევა ინგლისური, ჩინური, ინდური, ბუდისტური ტაძრები, მათ ფონზე — რიქმები. დახლებზე — მძივები. ძალიან მიყვარს მძივები. მივდივარ და უკან მომდევს გამყიდველი: „იყიდე, იყიდე, რა გქვია, მოდი“.

პიგა ლაია

ჰიმალაია. ჰიმა - თოვლი. ალაია - საცხოვრებელი.

მსოფლიოში 14 რვაათასიანი მწვერვალია, მათგან 11 - ნეპალში.

სოფო ამბობს: „იმდენად დიდი შთაბეჭდილება მივიღე ნეპალში, რომ ახლაც მყოფნის ენერგია და ხალისი, ისე მოვყვე, თითქოს, ყველაფერს პირველად ვიხსენებდე“. და მართლაც, მისი თავგადასავლის დეტალები იმდენად საინტერესო და ეგზოტიკურია, რომ უბრალოდ, კარგად უნდა მოკალათდე და გულისყრით უსმინოს:

ოთხდღიანი კატმანდუს შემდეგ, ლუკლა დაიწყო, — სოფელი მწვერვალების ძირში, მთებისკენ მიმავალიათვის ათვლის წერტილი. „ვერტმფრენით გადავფრინდით. თავიდან ხეობაში მივფრინავდით, დაბლა. წინ კლდე იყო აღმართული. თანდათან ზევით ავიწიეთ, კლდის წვერს გავუტოლდით და უცებ დასაფრენი ბილიკიც გამოჩნდა — ამ კლდის თავზე გაყანილი. საოცარი სანახავი იყო“. ლუკლა გამყოფი პუნქტია. აქეთ ცივილიზაციის ნარჩენები, იქეთ - ხეობები, მწვერვალები, 5 ათასიანები, 7 ათასიანები. არანაირი ტრანსპორტი, არანაირი ცივილიზაცია. ფერდობებზე — ბრინჯის ტერასები. სასტუმროებად გადაკეთებული იმერული ოდების მსგავსი ხის სახლები, მთამსვლელების გამონაცვალ „ადიდსის“ სვიტერებში გამოწყობილი ადგილობრივები.

ყოველ ექსპედიციას თან ე.ნ. მზარეულები, შერპები და კავშირის ოფიცერი მიჰყვებიან. ამ უკანასკნელს სიტუაციის გაკონტროლება

ევალება. ის საბაზო ბანაკში რჩება და თუ მთამსვლელს რაიმე პრობლემა შეექმნა, ვალდებულია, დაეხმაროს.

„ჩვენს ოფიცერს რავი ერქვა. პირველი შეხვედრა კატმანდუში, რესტორანში დავუთქვით. კოსტიუმშა და კედებში გამოწყობილი მოვიდა. ბევრს ლაპარაკობდა. საბაზო ბანაკში კი საერთოდ გვაგი-ჟებდა ხოლმე. დიღლის ექვს საათზე იღვიძებდა და რადიოში საინფორმაციო გადაცემას უსმენდა. როგორია, იღვიძებ, ჯერაც გონის ვერ მოსულხარ, სად ხარ და მერე კიდევ ეს ნეპალური საინფორმაციო“.....

„საბაზო ბანაკამდე გზას ოთხი დღე დასჭირდა. გავიარეთ სოფლები, ხეობები, ნელ-ნელა სიმალლეზე ავედით.

ყველას ჩვენ-ჩვენი ზურგჩანთა მიგვერნდა, დიდი ტვირთი – შერპებს. სასაცილო სანახავები არიან. მოდიან ამ ვიწრო ხეობებში ეს ჩია ბიჭები, ოთხად მოკეცილები და უზარმაზარი ტომრების ქვეშ აღარც კი ჩანან. მოდიან და შორიდან რომ გახედო, ტვირთმოკიდებულ ჭიანჭველებს ჰგვანან. თან, ასეთი ასოციაციებისთვის მასშტაბებიც გინებობს ხელს — გარს უზარმაზარი მწვერვალები გაკრავს და ისედაც ყველაფერი პატარა გეჩვენება.

შესვენების დროს, ჩაიმუხლებდნენ, საგზლად თასით წამოლებულ ბრინჯეს გადმოილებდნენ და პირდაპირ მუქებით ილუქმებოდნენ. მერე ისევ აგრძელებდნენ გზას. ძალიან მშრომელები არიან“.

„ორი მზარეული გვყავდა: ერთი ჩემი ასაკის ბიჭი, მეორე – ორმოციოდე წლის კაცი. 4600 მეტრზეც კი სულ ჭურჭელს რეცხავდნენ. დიღლას ადრე დგებოდნენ, ჩაის მოადულებდნენ. ჩაცუცქდებოდნენ კარვის შესასვლელთან და მაღვიძებდნენ: „Madam, tea, please. Tea, please“. მართლა “მადამი“ მეგონა თავი“.

ამა დაპლაში — მაღიდური ქალი

სოფოზე ვერ იტყვი, რომ რომანტიკოსია. არც ფილოსოფოსობა უყვარს. მაგრამ როცა ძალიან თხოვ, გააგებინო, რატომ დადის მთაში, რა იზიდავს მწვერვალებისკენ, მერე იძულებულია სიტყვებით გადმოსცეს ის, რაც, წესით, მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა იგრძნო. სოფოს ძალიან უნდა, ამისსნას და ამიტომ ჰყვება:

„ყველა მთას თავისი ხასიათი აქვს, ყველას ისე უნდა მოექცე, როგორც სულიერს. მე ველაპარაკები კიდეც. ვეუბნები, „რა ცივი ხარ“, ან „რა ლამაზი ხარ“. თუ მწვერვალზე ღრუბლები შეიყარა და ასვლა გართულდა, დარწმუნებული ვარ ხოლმე, რომ ეს ცივი და თბილი ჰაერის მასების შეჯახების ბრალი კი არაა, არამედ იმის ბრალია, რომ მთა გაბრაზდა, ცუდ ხასიათზე დადგა და მორჩა, ე.ი. ახლოს აღარ მიგიშვებს.

მოკლედ, მთა ადამიანივითაა. დიდი ადამიანივით. თან სქესიც აქვს. ჩემთვის მყინვარი მოხუცი კაცია, უშბა —ქალი, ამაყი და მიუვალი. ამა დაბლამი? ეგეც ქალია, ძალიან ლამაზი ქალი, მაგრამ ისიც ძალიან მედიდური“.

„ყველა მთას თავისი ხასიათი აქვს, ყველას ისე უნდა მოექცე, როგორც სულიერს. მე ველაპარაკები კიდეც. ვეუბნები, „რა ცივი ხარ“, ან „რა ლამაზი ხარ“. სავარაუდო გადაცემა დადგა და მორჩა, ე.ი. ახლოს აღარ მიგიშვებს.“



2003 წელი. ამა დაპლაში, 6600 მეტრზე. პოლო მონაკვეთი.

ამ მწვერვალს ასეც იცნობენ:

6.848 მეტრიანი ქალბატონი, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შთამცექდავი მწვერვალი, არა იმდენად სიმაღლით, რამდენადაც სილამაზით, ესთეტურობით. პირველად 1961 წელს დალაშერეს. ბოლო რვა წელია, დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ ევერესტმოვლილი ვეტერანებიც კი ამა დაბლამზე ტექნიკურ პრობლემებს აწყდებიან.

ეს მშვენიერი ქალბატონი მწვერვალამდე იოლად არავის უშვებს. ბოლო 500-700 მეტრი მთლიანად ყინულითაა დაფარული. მათ შორის, სასიარულოც. თუმცა, რა სასიარულო — გზას ვამბობთ, თორემ, რა გზა — ყინულის ვერტიკალური კედელია.

მოკლედ, რთულია (ა და ბ-დ დაყოფილ ექვს კატეგორიაში, მას ხუთი ა სირთულის ხარისხი ენიჭება).

სოფო პატარა გოგონაა, ამა დაბლამი — დიდი ქალი.

სოფო გაძედულია, ამა დაბლამი — მიუვალი.

სოფო მოძრაობს, იღლება, ფიქრობს, განიცდის, ნერვიულობს, ამა დაბლამი — დგას თავისთვის, მდუმარედ, ძარღვიც არ უტოკავს, ხან ნისლებში იმალება, ხან ისევ გამოჩნდება. სოფოსკენ არც იყურება, პატარა გოგონასთან ურთიერთობის დაწყებას არ ჩქარობს.

„ბოლო კარავი 5900 მეტრის სიმაღლეზე გავშალეთ. პატარა ადგილი იყო, მცირედი უხეში მოძრაობა და გადავარდნა ერთი იყო. მესამე ასვლაზე უკან ალარ დაგვიხევია. მწვერვალისკენ ავილეთ გეზი. ამ დროისთვის უკვე ისე დაღლილი ვიყავა, რომ ვეღარც წარმომედგინა, ოდესმე თუ ავალწევდი ბოლომდე. ალბათ, ისე დავიქანცე, რომ წინა ღამესაც მაგრად მეძინა, შიში და ნერვიულობა ვეღარ მოვასნარი.“

...ნინ აფი გიგანი მიდის, გამოცდილი, მთებს ნაჩვევი, დინჯი სვანი. მერე გელა ოთარაშვილი, მერე სოფო, ბოლოს – ბენო.

პირველი გაჩერება 5600 მეტრზე აქვთ. ღამეს ათევენ, ეჩვევიან, მერე ისევ ქვევით ჩადიან. მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყება. ისევ 5600-მდე და მერე ისევ ქვევით. პეიზაჟი არ იცვლება. გზა ხან ქვა-ღორლიანი, ხან ყინულიანი, გარშემო — მწვერვალები, გვერდზე ევერესტი. ხმებიც მონოგრანური — ფეხქვეშ ახრამუნებული თოვლი და ღორლი. ფიქრებიც ერთნაირი, ავტომატიკაში გადაზრდილი — წერაყინს ხელი არ გაუშვა, თოკს მაგრად ჩაეჭიდე, უშმარს კარგად მოქაჩი.

„ასე წელ-წელა ვეჩევევით, ვეპარებით მწვერვალს, მთის ავადმყოფობა რომ არ დაგვემართოს. ეს საშინელებაა, თავი გტკივა, აზრზე ვერ მოდიხარ, გული გერევა, კოორდინაციის უნარს კარგავ, ვერ მოძრაობ... ეს რომ არ დაგვემართოს, თანდათან უნდა ახვიდე, შეეჩივი“.

„ბოლო კარავი 5900 მეტრის სიმაღლეზე გავშალეთ. პატარა ადგილი იყო, მცირედი უხეში მოძრაობა და გადავარდნა ერთი იყო. მესამე ასვლაზე უკან ალარ დაგვიხევია. მწვერვალისკენ ავილეთ გეზი. ამ დროისთვის უკვე ისე დაღლილი ვიყავა, რომ ვეღარც წარმომედგინა, ოდესმე თუ ავალწევდი ბოლომდე. ალბათ, ისე დავიქანცე, რომ წინა ღამესაც მაგრად მეძინა, შიში და ნერვიულობა ვეღარ მოვასნარი.

გამთენის ხანს გავედით. ჩვენამდე რუსების ჯგუფი ავიდა. ამიტომ თოკები უკვე დაკიდებული იყო. 30-მეტრიანი თოკებია. სანამ ერთი კაცი არ აიგლის, მეორე ქვევით უნდა იდგეს და ელოდოს. მერე სხვა თოკზე გადადიხარ, წელზე მობმული სისტემა უნდა მოხსნა, გადაება. დასასვენებლად ყველანი ერთად ვიკრიბებით, სადმე კლდეში გამოკვეთილ თარისავთი ნიში ნახავ და შეკლები, შეჭამ, დალევ, მერე ისევ გზა, ისევ მაღლა და მაღლა...“

ბოლო პანაკიდან დახრამ იმატა. იყო მომენტები, კედელზე



2003 წელი. კარავი. მარცხნივ: პატარა პაპალერი (პირველი, 30-ე ევერესტიზე უკანებადოდ ავიდა); მარჯვნივ: ააა შერაა (ვევრესტის 13 გზის დამლაშერავი)



2003 წელი. გზად ახა დაპლაშისაკან.

აფიონდით. მერე ამინდიც გაფუჭდა, დაინისლა გარემო. თოვლიც წამოვიდა. დავილალე, შემცივდა. ერთი ფიქრი ისიც ვიფიქრე, რა მინდოდა, სად მოვდიოდი...

ბოლო 200 მეტრი სრული კოშმარი იყო. ვერტიკალური ყინული — მეტი არაფერი...

ჯერ აფი ავიდა. ერთი საათის მერე ჩვენც ავყევით. მახსოვს, რამდენიმე მეტრიდა მაშორებდა აფის, მივლასლასებდი, ვეცემოდი. აფი მესახდა, ადექი, ადექი, არ ჩაჯდეო. მეც ვდგებოდი და მივდიოდი. ძალაგამოცლილმა მივაღწიე მწვერვალს. საოცარი სიცარიელის გრძნობა მქონდა. არავითარი განცდა. რაღაც გარინდება, მეტი არაფერი”.

„აღაც კი მახსოვს, იქ რა ვილაპარაკეთ. ვიდექით ნისლში, ხანდახან გაიფანტებოდა და რომელიაც მწვერვალი ამოინვერებოდა. კიდევ — გაიხსნებოდა ცა და ისევ მწვერვალი. ჰაერი იმდენად გამჭვირვალეა, რომ მასტაბებს ცვლის, სხვანირად აღიქვამ გარემოს, უახლოვდები შორეულ მთებს, ევერესტიც იქვე ჩანდა, სულ ახლოს...“

მთამსვლელების დაუწერელი კანონია — საბაზო ბანაკში დაბრუნებამდე, მწვერვალს დალაშქერა ერთმანეთს არ უნდა მიულოცონ. ეს იმიტომ, რომ ტრაგიული შემთხვევები ხშირად უკანა გზაზე ხდება ხოლმე. ყურადღებას ადუნებენ და შეცდომებიც იოლად მოსდით.

ამიტომ სოფოც და დანარჩენებიც ამა დაბლამის კეთილგანწყობას — მედიდურმა და მშვენიერმა ქალბატონმა ისინი, ბოლოს და ბოლოს, მიიღო — მშვიდად შეხვდნენ. ერთ საათში კი უკან დაშვება იწყეს. ყინულის კედელი დღის შუქზე ჩამინიარეს. მერე დააღამდათ. თავზე დამაგრებული ფარნებით მოიკვლევდნენ გზას. სიცივეს, დაღლას, გათიშვას ისიც დაემატა, რომ სოფოს ფარანი გადაეწვა. თოვიდან თოკზე გადაბმის დროს დანარჩენები უნათებდნენ ხოლმე.

— Hello Sofia, a piece of chocolate cake?

— მწვერვალიდან დაბრუნებულებს

სიურპრიზი დაახვედრეს,

შოკოლადის ტორტი გამოუცხვეს და

სანთლებჩარჭობილი მიართვეს.

მერე უკვე აღარც მათ ელოდებოდა, სიბნელეში, გუმანით იმეორებდა გაზეპირებულ მოძრაობებს: მოხსენი, გადააბი, მოეჭიდე, იმოძრავე.

„ერთი არასწორი მოძრაობა და სად გადავფრინდებოდი, ღმერთმა უწყის. მოვდიოდი და თითოეული ნაბიჯის გადადგმა ტკივილს მაყინებდა, რაღაც ისეთი მდგომარეობა იყო, დალლა ფიზიკურ ტკივილში რომ გადადის.“

5900 მეტრზე რომ ჩავიდნენ, ღამის პირველი საათი იქნებოდა.


„მომენტალურად გავითიშე. მახსოვს, ვიღაცამ წრიაპი გამაძრო, საძილე რომ არ დამეხია. არც ქუდი მომიხდია, არც ხელთათმანები, ეგრევე გავიშოტე და თვალები დავხუჭე.“

არ დამეძინა. ეს სულ სხვა მდგომარეობა იყო. აღბათ, ამას ჰქვიათში.

მგონი, იმ ღამეს მოვკვდი და მერე თავიდან გავცოცხლდი“.

მეორე დილას უკვე საბაზო ბანაკისკენ დაეშვნენ. ადგილი მოტიტვლებული დახვდათ. დანარჩენი ჯგუფები უკვე ნასულიყვნენ. მზარეულები ურიამულით შეხვდნენ:

— Hello Sofia, a piece of chocolate cake? — მწვერვალიდან დაბრუნე-



ახა დაპლაში. 6856 მეტრი

„მე ძალიან მინდა, მყავდეს შვილი, ოჯახი, მაგრამ მე მთაც მინდა. არჩევანზე არ უნდა მიდგეს საქმე. მაგრამ ისიც ვიცი, რომ თუ არ იქნება ერთი, იქნება მეორე“.

ბულებს სიურპრიზი დაახვედრეს, შოკოლადის ტორტი გამოუცხვეს და სანთლებჩარჭობილი მიართვეს.

ერთი ისტორია აქ დამთავრდა. მომხდარის გააზრების პროცესი კი დიდხანს გაიწელა იმიტომ, რომ სოფო ქვევით ჩამოსვლისთანავე მეორე ისტორიაში გადაშვა — ზემინი უკვე დაწყებულიყო. ევრელისტი საპატიო სტუმრებს მასპინძლობდა. 90 წლის გადაცილებული ედმუნდ ჰილარი — პირველი ადამიანი ევერესტზე — კატმანდუს ფეშენბელური სასტუმროს ვესტიბიულში უხსოვარი დროიდან შემორჩენილი რელიევიასავით დადიოდა. სოფო მას შეეხო — ისე, როგორც სამუზეუმო ექსპონატს.

აფი, ბენო და გელა სოფოს ყველას აცნობდნენ. მთამსვლელები გაოცებას ვერ ფარავდნენ — 22 წლის და ასეთი შედეგი?

„ძალიან კარგი შევრძნება იყო, ყველას სიამოვნებით ვუამბობდი ვოიაძის შესახებ. მიხაროდა, რომ მიზანს მივაღწიე, რაღაც შინაგანი ამბიცია დავიკმაყოფილე. საკუთარ თავს დავუმტკიცე ის, რომ შესაძლებლობების ზღვარს მიღმაც შემიძლია ბევრის გაღება, ბევრის გაკეთება. თუმცა, არ მეგონა, თუ ჩემს ასვლას ასეთი გამოხმაურება მოჰყვებოდა. დიდი არაფერი გამიგეთებია. ეს ნამდვილი შინაგანი ბრძოლა იყო. ყველას თავისი საქმე აქვს. მე ჩემი საქმე გავაკეთე“.

მთა და ჩალი

„გახსოვთ? ჯინჯერ როჯერსი ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ფრედ ასტერი. უბრალოდ, ის უკუსვლით მოძრაობდა და თან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.“ — ფეით უითლსი, მთამსვლელი ქალი.

ხვდებით ალბათ, რატომ მოიტანა სიტყვამ ჯინჯერ როჯერსი და მაღალი ქუსლები. კაცებს ძალიან გაუჭირდათ იმ ფაქტთან შეგუება, რომ ქალიც მათთან ერთად მიდიოდა გიუური, კაცურად მონათლული ვნების დასაკმაყოფილებლად. თუ ქალიც ახერხებდა სირთულის დაძლევას, მაშინ რაღა სირთულე იყო ის?

პირველი ქალი მთამსვლელი — მის პარმინტერი. წელი — 1799. მწვერვალი — ალპებში.

მერქ — მარი პარადისი, 18 წლის ფრანგი გოგონა, რომელმაც 1808 წელს მონ ბლანი დალაშქრა.

შემდეგი დიდი თარიღი 1880-იან წლებში უნდა ვეძიოთ, ქალს კი მის მეტა ბრუვუ ჰქვია. სწორედ ამ ქალბატონმა გაიხადა კაბა მთაზე ასვლის წინ და შარვალში გამოეწყო. მანამდე ხომ ქალები კლდეებზე მძიმე და გრძელი კაბებით ცოცავდნენ.

1920-იან წლებში კი ქალების ემანსიპაციის დასტურად, ასეთი გამოთქმაც გაჩინდა: „ამ დროს ქალები უკვე თავისუფლად სვამდნენ ალკოჰოლს, ენეოდნენ სიგარას და ცოცავდნენ კლდეზე“.

სოფოს კერპები არ ჰყავს. არც ქალი კერპები. მაგრამ ქალური ისტორიები მთებში — მაინც ხიბლავს. ქალს ქალის მაინც სხვანარად ესმის და იმიტომ. ქალის გარდა, აბა, ვინ გაიგებს, რომ ჯინჯერ როჯერსიც ისეთივე დახვეწილი ილეთებით ცეკვავდა, როგორც ფრედ ასტერი, ოლონდ, თან მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე იდგა და თან, უკანუნაც მოძრაობდა...

„როცა ალექსანდრა ჯაფარიძეზე ვფიქრობ, აღფრთოვანება არასდროს მინელდება. რამდენი შეძლო ამ ქალმა მაშინ, როცა ქალი მთამსვლელის ფენომენს მამაკაცის მენტალიტეტი ჯერაც არ სცნობდა. ალბათ, რამდენი დაბრკოლება შეხვდა, რამდენს გაუძლო, მაგრამ მაინც მთას შერჩა. ვოცნებობ ხოლმე: ნეტავი ცოცხალი იყოს, რამდენს მომიყებოდა. ვიცი, თუ ვინმე გამიგებდა ამ ქვეყანაზე, მხოლოდ ის“.

ასეა, ქალი მთამსვლელის ხმა, რაც არ უნდა ემანსიპირებულ რეალობაში გაისმოდეს ის, მაინც სევდანიანი. კაცისგან განსხვავებით, ქალს ხომ უფრო მწვავე აწევს ფჯახის ტვირთი. კაცისგან განსხვავებით, ქალის წინაშე ხომ უფრო მწვავე და ცალსახად დგას არჩევანი — ოჯახი ან მთა.

„ხშირად მიფიქრის ხოლმე, რატომ არ გათხოვდა ალექსანდრა ჯაფარიძე. მაინც ვფიქრობ, რომ მაშინ მაინც არ მოიძებნა კაცი, რომელიც მას ბოლომდე გაუგებდა.

ადამიანი ყოველთვის ზრუნავს იმაზე, რომ ამქვეყნად რაღაც დატოვოს. ხშირ შემთხვევაში, ეს — შვილია. როცა შვილი არ გყავს, ტოვებ იმას, რაც შენთვის უძვირფასესია; იმას, რაც შენი ნაწილია. მთამსვლელი ქალისთვის ეს მთაა. ალექსანდრა ჯაფარიძემ სწორედ ეს დატოვა — ბიოგრაფია და გაუცველები იდეალები.

მე ძალიან მინდა, მყავდეს შევილი, ოჯახი, მაგრამ მე მთაც მინდა. არჩევანზე არ უნდა მიდგეს საქმე. მაგრამ ისიც ვიცი, რომ თუ არ იქნება ერთი, იქნება მეორე. რას ვიზამთ... ზოგი შვილებს ტოვებს, ზოგი ალექსანდრა ჯაფარიძისნაირად ცხოვრობს“.

თუმცა, ხომ არსებობს იდეალური ვარიანტები. მაგალითად, იანკო ტაბეი — იაპონელი ქალი, რომელმაც ევერესტი პირველმა დალაშქრა და კაცურად თქვა: „რა აჟიოტაჟი შექმნეს მამაკაცებმა ევრესტისგან. ის, უბრალოდ, მთაა“.

მაშინ ტაბეი 35 წლის იყო, სამი წლის შეიღი ჰყავდა. ევერესტზე ასვლამდე, სამი წლის განმავლობაში ვარჯიშობდა, ფულის შესაგროვებლად კი ფორტეპიანოს გაკვეთილებს აძლევდა.

სოფო ტაბეის კატმანდუში შეხვდა. დღეს ეს ქალბატონი 60 წელსაა გადაცილებული, მაგრამ ალპინიზმიდან მაინც არ ნასულა. წელინადი ისე არ გადის, 3-4 მწვერვალი არ მოინახულოს.

გამოდის, ის შთამომავლობასაც ტოვებს და გაუცეოთელ იდეა-ლებსაც, — როგორც სოფო ამბობს. იდეალური ვარიანტი სწორედ ეს არის.

ორმაგი სიყვარული

როცა ამა დაბლამზე ავიდა, სოფო შეყვარებული არ ყოფილა. მაგრამ ხვდება, როცა მწვერვალისკენ შეყვარებული მიინევ, გზა გეიოლება, ზურგჩანთა გემსუბუქება. მიდიხარ პიკისკენ და თითქოს, ამით საყვარელ კაცს ეპრანჭები, თავს აწონებ, საკუთარ თავსაც რაღა-ცეებს უმტკიცებ და მასაც.

„მაგრამ მხოლოდ მისი სიყვარული ზევით ვერ აგიყვანს. პირველ რიგში, მთა უნდა შეიყვარო,“ — ამბობს სოფო და ჯერ სწორედ მთა უყვარს. უკვე გითხარით, რომ პრაგმატულია, ყველაფერს გონების თვალით უყვრებს. ამიტომ არც ოცნებობს. უბრალოდ, ძალიან კარგად ესმის, რა კარგი იქნებოდა საყვარელ მამაკაცთან ერთად მწვერვალების დალაშქრა, ორივე — პირდაპირი და ირიბი გაგებითაც.

ასეთი მაგალითებიც უამრავია. თავის დამშვიდებად და იმედის გაღვივებად ნამდვილად კმარა. იგივე ჯინეთ პარისონი — ერთა-დერთი ქალი, რომელიც კანჩენჯანგას მწვერვალზე მოექცა. მან მეუღლესთან ერთად თითქმის ბოლომდე იარა. ცხადია, ამას არა-ფერი შეედრება. „ამ დროს, ალბათ, ორმაგად ძლიერი ხარ. ორმაგი ჟინით სავსე. ორმაგად განიცდი სიხარულსაც და ტკივილსაც. რაც მთავარია, ერთად ხართ და ერთად მიინევთ იდეალისკენ,“ — ამ-ბობს სოფო.

კანჩენჯანგას ხსენებაზე თემა კიდევ უფრო ღრმავდება. კანჩენჯანგაც ხომ ქალია, მაგრამ გაცილებით უფრო ავი, ვიდრე მედიდური და უკარება ამა დაბლამი.


ის მრისხანეა, შურიანი და თან შურისმაძიებელიც. თავი უძლიერესი ჰგონია და სადაც ხელი მიუწვდება, სხვა ძლიერ ქალებს მუდამ ანადგურებს. ამიტომ იყო, რომ 1998 წლამდე კანჩენჯანგაზე ასული ყველა ქალი დაიღუპა: ზოგი ასვლისას, ზოგი — უკანა გზაზე. ერთადერთი ჯინეტ პარისონი იყო, რომელიც უკან ცოცხალი დაბრუნდა.

სოფოს ვეკითხები — რამ უშველა ჯინეთს. იმან, რომ მეუღლის გვერდით ყოფნა ამხნევებდა, თუ, უბრალოდ, კანჩენჯანგაზე ძლიერი აღმოჩნდა?

სოფოც დაუფიქრებლად მპასუხობს, პათეტიკურ-რომანტიკული სიყალბისგან ახლაც მაქსიმალურად შორს მდგომი:

„მგონი, ქმარი ამ სიტუაციაში ზედმეტი იყო. დარწმუნებული ვარ, ჯინეთი მარტოც რომ ყოფილყო, მაინც ავიდოდა. ეს, უბრალოდ, ორი ქალის დუელი იყო. ორი ძლიერი ქალი შეება ერთმანეთს და იმ კონკრეტულ ბრძოლაში ჯინეთმა აჯობა. თუმცა, ის მალევე დაიღუპა, სხვა მწვერვალზე ასვლისას. და რატომდაც მგონია, რომ ეს

ის მრისხანეა, შურიანი და თან შურისმაძიებელიც. თავი უძლიერესი ჰგონია და სხვა ძლიერ ქალებს მუდამ ანადგურებს. ამიტომ იყო, რომ 1998 წლამდე კანჩენჯანგაზე ასული ყველა ქალი დაიღუპა.





მაინც კანჩენჯანგას შურისძიება იყო. ჯინეთს მწვერვალზე მოქცევა ვერ აპატია“.

და მერე — ნუთუ, ღირს ამ გამოგონილ ბრძოლაში ჩაბმა? ნუთუ ბრძოლები — ყოველდღიურ ცხოვრებაშიც არ გვყოფნის? რა საჭიროა ადრენალინის ხელოვნურად გამოყოფა? რა საჭიროა თავის განირვა მაშინ, როცა შეგიძლია, განსაცდელს გვერდი აუარო? რა ესაქმება ქალს მთაში? განა მისი მთავარი ვნების საგანი მამაკაცი არ უნდა იყოს? და მთავარი სიხარული — შეიძლი?

ეს ყველაფერი ყველა მთამსვლელმა ქალმა იცის.

იცოდა ვანდა რუტკიევიჩმაც — ყველა დროის ყველაზე ცნობილ-მა ალპინისტმა. ულამაზესმა ქალმა, რომელმაც 1986 წელს 14-იდან 8 რვა ათას მეტრიანი მწვერვალი დალაშერა, მათ შორის, ავბედი-თი K2-იც. იცოდა, მაგრამ მაინც მთაში გარდაიცვალა. ორ ქმარს გაეყარა, მესამე მოუკვდა. მამაკაცმა კოლეგებმა მას „შავი ქვრი-ვიც“ კი შეარქეს. 49 წლის იყო, როცა კანჩენჯანგაზე, ექსპედიციის წევრებმა თოვლის ქვაბულში მარტო დატოვეს. მაგრამ რამდენიმე

წლის შემდეგ, მისი გვამი სულ სხვაგან, მწვერვალის მეორე მხარეს იპოვეს. გამოდის, რომ ის გამოქვაბულში კი არ გაიყინა, როგორც ფიქრობდნენ, არამედ გზაც გააგრძელა, ნინ, ისევ მწვერვალისკენ.

ეს ყველაფერი სოფომაც იცის. იცის, რომ სიგიჟეა. მაგრამ მაინც — ამ „გიუ“ ქალების უფრო ესმის, ვიდრე ადამიანების, რომლებიც მინის ისედაც გლუვ და ერთფეროვან საფარს კიდევ უფრო გულ-მოდგინედ ტკეპნანი — თან ამის გამო წუნუნებენ.

თუ შენც გსურს განდასნაირი ქალების გაგება, პირველი, რაც უნდა გააკეთო, არის ის, რომ ალპინისტები სქესის მიხედვით არ დაპყო. მეორე — არ უნდა დაასკვნა, რომ ისინი ასე სხვების დასანახად იქცევიან. არავითარ შემთხვევაში. „ეს მხოლოდ და მხოლოდ საკუ-თარი თავისთვის კეთდება“, — ამბობს სოფო. — „გაქვს იდეალები, რომელსაც ენირები. მთა ამ ცხოვრებაში იდეალია. ამიტომ ფიქრობ, რომ გიღირს ყველა ის ტრაგედია, რაც შეიძლება თავს დაგატყდეს. პირადად მეც, ღოგინში სიკვდილს რომელიმე მწვერვალზე სიკვდილი მირჩევნია. შეიძლება გიჟურად უდერდეს, მაგრამ ასეა“.

„ბათინკები“ ისევ მაგიდის ქვეშ იმაღლებიან და თვინიერად ელიან ჯადოსნური ნამის დაღვომას, როცა ნარმოითქმება დაშიფრული კოდი — „მთა“ და სოფო ევერეს-ტისკენ გასწევს. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მთა და მეტი არაფერი. „მთა კი, უბრა-ლოდ, უნდა დალაშეროს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ დგას“.

და მართლაც, მთები არსად წასულან. ისევ დგანან და ელიან. და უსაზღვროა მათი მოლოდინი...

მოთა რესტავრაციის სახელობის
სახელმწიფო აკადემიური თეატრი



ნესტან კვინიკაძე

თბილისური **STRASSE**

პ ტ მ გ რ ბ ე ბ ე

1996-1997 ვებგვერდის ნომერი

ამბავი სამ მოქმედებად

მოქმედების ადგილი: თბილისი, ბერლინი, ჰამბურგი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

პიჭი: დავით იაშვილი

გოგო: თეა შურლაია

ხმა: ნესტან კვინიკაძე

ფოტო: დავით მესხი


3.

N

O G
ORD



1995 წელი. 30 წლისასი. ფილმი „კავკასიური დაბა“



პროლოგი:

„ვე! ვეს! ვერცხლი! ჩემი სუკურამ, კურთხული და მეტი გამცნი. ნუ იდანდებ, რომ ამჭრისძიებული ვერ ჩამოვარ შეგი დასაღისა დღეზე. მანდის აუგი ჩამოვარანთ, ვა-ვა, ჩემ დასაღისა დღეზე. აუგი სახურამი ვერ აუგი ჩამოვარანთ, ვა-ვა, ჩემ დასაღისა დღეზე. აუგი სახურამი ვერ აუგი ჩამოვარანთ, აუგი ქვერ გამავარ ამდე ფიჭი წინა. კუჭის გამავარ 55 წლის, აუგი მეტი არ გა-ვა, მარაული, და სიღვა არ, ამ კურა - ვერ წერო. როგორ ამ კურა - ნახვ... როგორ ხელი, მე, მე არავინ მარა და ყველაფერი როგორ... ჩემ კურა მარა მარა ხელი...“

„საყვარელო დედა!“ ლელა ბერიძის ფილმი

ხმა:

სინამდვილეში, არავინ იცის, რატომ აქრობენ შუქს კინოდარბაზებში: გამოსახულების სიმკეთრისისთვის თუ ემოციის გასამძაფრებლად?! არც ის ვიცით, ადამიანზე ასეთი სიძლიერით რატომ მოქმედებს სცენაზე გათამაშებული ამბავი, რომლის მსვლელობისას რეჟისორი გამუდმებით გვინგრევს ილუზიას და შეგვახსენებს, რომ ეს თამაშია და მეორე დღეს იგივე განმეორდება! მაგრამ მიმიკა და დრამა მაყურებელზე ისე ზემოქმედებს, თითქოს ქოლერა შეეყარა, თითქოს ვნებამ შეიძყრო და ვეღარ თავისუფლდება იმისგან, რაც ნახა.

ვიცი, თხრობიდან გადავუხვიე, მაგრამ ფილმი, რომლის ფინალური მონოლოგი ტექსტის დასაწყისში ციტატად მოვიტანე, ასეთ მძაფრ შეგრძნებას უკავშირდება.

როცა ახალგაზრდული ტემპერამენტით ხარ დამუხტული, თანამედროვეობაში ეძებ სიტყვას, შენი დროის გმირის გულშემატევარი ხარ და განცდაც თანამედროვეა. ომი რომ დაინტერ, თავის გადარჩენის სხვადასხვა ფორმა გამოჩნდა. ერთ-ერთი - ჩვენი ქვეყნიდან

გაღწევა იყო. ერთ-ერთი და საუკეთესო. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ასე გვეგონა. გავიდა ხანი და ემიგრანტებმა თავად აღიარეს: „ემიგრანტობა ყველაზე საშინელი სტატუსია, რაც კი შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს“.

„საყვარელო დედა“ ლელა ბერიძის ფილმია, რომელიც გერმანიაშია გადაღებული. მთელი ფილმის მანძილზე, მთავარი გმირის მიერ შექმნილ იდეალურ სამყაროში ვხვდებით, სადაც თითქოს ყველა-ფერი რიგზეა: ის სამსახურითაც უზრუნველყოფილია, შესანიშნავ ბინაში ცხოვრობს, ნარმატებული ადამიანების გარემოცვაშია და უზრუნველად მიდის მისი ახალგაზრდობა. ამ ყველაფერს ვიდეო კამერით იღებს და დედას უგზავნის მხოლოდ იმისთვის, რომ გაასაროს, არ ანერვიულოს და ვინ იცის, მერამდენე დაპირებით დაამშვიდოს: წელს აუცილებლად ჩამოვალ.

ამ მთავარ გმირს დათო იაშვილი ასახიერებს, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა უცხო ქვეყანაში ცხოვრების სირთულე და რომელიც ბოლოს დაპრუნდა. მაგრამ იქამდე...

1997 წელი. თბილისი.

ფილმი „ჩვენ ქვირვასი, სანატრაჟი გაგუა“





1997 წელი. ბარების ფოტო: დიმა ჩიკვაძე

მოქმედება პირველი

სულ რაღაც სამი წლის ასაკში, იაშვა (როგორც არა მხოლოდ ახლობლები მოიხსენიებენ) უკვე შეყვარებული იყო და ერთგული ძმაკაციც ჰყავდა. ერთხელაც ხედავს, რომ შეყვარებული ატირებულია. გაოგნებული მიუახლოვდა და ჰკითხა, ვინ გაწყენინაო. გაირკვა, რომ ერთგულ ძმაკაცს აუტირებია. „არ ვიცოდი, რა მექნა და რადგან უსუსურობის გამო ვერაფერი მოვიმოქმედე, ავტორდი, თანაც ისე, რომ საღამომდე ძლივს დამაწყნარეს“. კიდევ მამის მანქანა ახსენდება, სიჩქარებს რომ ართვენიებდნენ, – ეს ფანტასტიური განცდა იყო. კიდევ ერთი რამ არ ავიწყდება: სამი წლის ასაკში „კავკასიური ცარცის წრე“ ნახა. გავიდა დრო. „მეფე ლირი“-ს ყურებისას, როცა სპექტაკლის ფინალში დეკორაცია ინგრევა, ახლა უკვე 13-14 წლის ბიჭის არსებაში დაუოკებელმა სურვილმა გაიღვია. ეს გამოცხადებას ჰგავდა.

მოვლენები თავისთავად განვითარდა: წინააღმდეგობების დაძლევა – იაშვილი და მსახობი?! ლევან წულაძე ის ადამიანი იყო, ვინც იაშვა თეატრის „კულისებს“ აზიარა. შესანიშნავი ჰედაგოგებით განებივრებულს (ხელმძღვანელი დაგით კობახიძე იყო) მეორე კურსისთვის მონაწილეობა უკვე რვა სპექტაკლში ჰქონდა მიღებული. ჯერ კიდევ დებიუტის, შალვა დადიანის „გუშინდელნი“-ს შემდეგ მიხვდა, რომ აქედან არსად წავიდოდა. წარმოდგენის დასასრულს, „ბავშვობაში ხელებით რომ ვაკეთებდით ტახტს, სწორედ ისეთ ტახტზე ვიჯექი. სცენაზე რომ გამომიყვანეს, დიდი ტაში ატყდა. მაშინ ყველაფერს მიგზედი“.

დათოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, მოღვაწეობას მიხეილ თუმანიშვილის თეატრში გააგრძელებდა. თუმცა წინ კიდევ ერთი სპექტაკლი ელოდა. ეს „მადამ ბოვარი“ იყო, რომელიც თავის დროზე, 1993 წელს, როდესაც ერთი ომი დამთავრებული იყო და მეორე მიმდინარეობდა, – თეატრალურ სამყაროში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. სპექტაკლის დამდგმელ


რეჟისორს, დათო დოიაშვილს და ექვსი მსახიობისგან შემდგარ მის დასას იმ დროს ყველაფერი საერთო ჰქონდათ – წიგნიც და ღამის გასათევიც. „მეგობრების დიდი ნაწილი იბრძოდა და დახოცა, ჩვენ კი „მადამ ბოვარის“ ვდგამდით. საოცარია!“

ერთ-ერთ ჩვენებას რობერტ სტურუაც დაესწრო. დათო იაშვლის ბედი იმთავითვე გადაწყდა: ეს ბიჭი ჩემთან მოვიდესო, უთქვმს მაესტროს.

„ჩემთვის რუსთაველის თეატრი პირველი სიყვარულია, ქვეყნის სახეა და ჩემი პასპორტია მსოფლიოში. რობერტ უილსონის უორკერის ყოფნისას, მიგხვდი, რომ ჩემს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ იჩენდნენ, რომ სტურუას არტისტი ვარ. ეს სულაც არ არის თვითემაყოფილება. ასეთ დროს პასუხისმგებლობა გიმძაფრდება“.

დამწვარი სასტუმრო „თბილისი“ ბევრისთვის ტრაგედია იყო, უკრო მეტისთვის – სირცხვილი. მათთვის კი, ვინც შემოქმედების სენმა შეიძყრო, ეს ეპოქალური ექსტერიერი იყო და მერნებული, სხვა არც ერთ დამწვარ სასტუმროს არ ღირსებია ამდენი სტუმარი ფოტოაპარატითა და ვიდეოკამერით. ასე იყო მაშინაც, როცა თავად გახლდით თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი (1998 წელი) და საუკეთესო წლები სწორედ დამწვარი „თბილისი“ ოპერებში გავატარე. ჩვენზე მეტად, ალბათ, არავის დასწყვეტია გული, როდესაც მის ადგილას ფეშენებელური სასტუმრო აშენეს.

ბერლინიდან არდადეებზე ჩამოსულმა მეგობარმა დიმა ჩიკვაიძემ იაშვას ვიდეო სინჯები სწორედ სასტუმროს იმდროინდელ ინტერიერში გააკეთა. ეს ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. მალე იაშვა, თეატრის დასთან ერთად, პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც „მაკეტს“ უჩვენებდა. მოულოდნელად ერთი გერმანელი რეჟისორი გამოეცხადა, თანმხლებ პირებთან ერთად, და აუწყა, რომ მის ფილმში როლზეა დამტკიცებული. ყველაფერი შეიცვალა.



2003 წელი. ფოტო. ზორბე დიმა ჩივაიძე

მოქადაგა ხორა

„რატომ ვცხოვრობ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, რატომ მე-მსახურება მანქანა, რატომ მექცევიან ასე, რას მომთხოვენ სამა-ყიეროდ?“

აქ გაჩნდა პირველი შიში. 22 წლის თბილისტმა არტისტმა იგრძ-ნო, რომ სრულიად განსხვავებულ სამყაროში აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი წამებშია გათვლილი. ფილმს „კავკასიური ლამე“ ერქვა, მოქმედება პოსტსაბჭოთა სივრცეში ვითარდებოდა. ეს იმ სინჯების გამოძახილი იყო, დამწვარი სასტუმრო „თბილისის“ ინტერიერში რომ გაკეთდა.

დასავლური წესების შესაბამისად, იაშკას დასაქმებისთვის ახლა უკვე აგენტი მუშაობდა. ეს ის დროა, იაშკას თაყვანისმცემლები ტელეფონის საშუალებით რომ უტყვდებიან სიყვარულში.

ერთ დღესაც გაისმა ასეთი ზარი. ერთი კვირის აქტიური საუ-

ბრების შემდეგ კი, იაშკას ის გოგონა შერჩა, რომელიც კინოს სახლში რამდენჯერმე ჰყავდა ნანაზი და მოსწონდა: „ადამიანებს ისეთი ჰგონიხარ, როგორსაც სცენაზე გხედავენ. არადა, ის კონკრეტული როლი ერთი ადამიანის ძალიან პატარა ნანილია. ამის მიღმა ხომ, მილიონნაირი ვარ, რასაც ცხოვრების ბოლომდე კიდევ ბევრჯერ აღმოვაჩენ. თეატრი ყველაზე მეტად იმან მომხიბლა, რომ ჩემი მსახიობობის შესახებ არაფერი იცოდა, – ქუჩაში დაგინახე და მომენტეონ“.

თეა: „ჩემთვის ყველაზე საინტერესო ის პერიოდია, სანამ იაშკას გვიცნობდი. ფაქტობრივად, ვცხოვრობდი ადამიანით, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი. ერთხელ თეატრალური ინსტიტუტის წინ ჩავიარე და დავინახე ბიჭი, რომელმაც მის პირისპირ მდგომ გოგონას ისე გადაუსვა თავზე ხელი, რომ იმნამსვე შემიყვარდა. ამის

შემდეგ მისი ქებნა დავიწყე. არც ვიცოდი, რომ უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. რადგან თეატრალურთან დავინახე, ყოველ-დღე, ლექციების შემდეგ, ჩემს მეგობართან ერთად, უნივერსიტეტიდან თეატრალურამდე ფეხით მივდიოდი, იქნებ სადმე შემხვდეს-მეთქი. თვალს თუ მოვარავდი, ბედნიერი ვიყავი. ჩემს მეგობრებს ვუთხარი, რომ შეყვარებული ვიყავი, მაგრამ მისი ვინაობა არავინ იცოდა. ასე გაგრძელდა რვა თვე. ამასობაში, თანდათან ინფორმაციაც მოვიპოვე. უკვე ვიცოდი, რომ დათო იაშვილი იყო და მისი ტელეფონის ნომერიც მქონდა.

— დათოს სთხოვეთ?

— დათო ვარ.

— დათო, რამდენი წლის ხარ?

— ოცდაოთხის.

— გმადლობთ, — და დავიძე. ალბათ გიუ ვეგონე.

ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბოლოს, დადგა დრო, როცა საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ შევხვდებოდა.

როგორც კი შევხვდი, მაშინვე გაწითლდა. ეს იყო პირველი და უკანასკენელი გაწითლება. „უკვე რვა წელია, რაც ერთად ვართ“.

იაშვა: „შევხვდი თუ არა, იმწუთას გავიფიქრე, რომ ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით!“

თეა დღემდე ვერ ხვდება, თუ რატომ წავიდა იმ პერიოდში ჰამბურგში. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ემოციებით დამუხტულ იაშვას დრო ესაჭიროებოდა, საკუთარ გრძნობებში გასარკვევად. თეას ხშირად ეუბნებოდა: „შენგან იმხელა ენერგია მოდის, გასაცნობიერებლად დისტანცია დაგვეხმარება“.

თეა ყოველდღე ურეავდა და ნერილებს წერდა. არც ქალაქში სეირნობა უნდოდა, არც კინო და თეატრი. არც ახალი ადამიანების გაცილება ანიტერესებდა. იჯდა და ტიროდა, — იაშვა ენატრებოდა. პატარა ოთახი სავსე იყო დათოს ფოტოებით.

ამასობაში, იაშვა სტურუას „ქალი-გველში“ თამაშობდა. „ზუსტად ერთ თვეში მივხვდი, რომ უზომოდ მიყვარს. ყოველ დილით ეიფორიაში ვილვიძებდი, მასთან შევხედრას მოუთმენლად ველოდი“. იაშვას ჩასვლის დროისთვის, თეამ ის ოთახი, რომელიც მისი ფოტოებით იყო სავსე, ფერადი და სურნელოვანი სანთლებით მორთო.

ოთახში შემოსულმა იაშვამ სანთლების ანთების იდეა არ მოიწონა. თბილისური უშუქობიდან გაცეულს რომანტიკის არაფერი ენიშნა.

თითქმის ერთმანეთს შეეზარდნენ, რვა წლის მანძილზე ყველაფერი ერთად გადაიტანეს: ჰამბურგი-ბერლინის გზაზე გამუდმებული მოგზაურობა; იმის გარევევა, თუ სად უკეთესია ყოფნა: უცხოეთში თუ შინ? „თუ კარგად ხარ, ყველან კარგად იქნები, აქ ქალაქები არაფერ შეაშია“. ერთხანს თეა ყველაფერს საკუთარ თავზე იღებდა. მერე იაშვა შეენაცვლებოდა ხოლმე და ასე გრძელდებოდა.

თეა: „მახსოვს, ახალი ჩამოსული იყო. მე ვმუშაობდი და სასეირნოდ ვერ გავყევი. მარტო წავიდა. შუადღე ისე მინურა, რომ იაშვა არ გამოჩენილა. ძალიან განვიცადე. ბოლოს დავინახე, ვეებერთელა მზესუმზირის ყვავილით ხელში. სიხარულისგან კინალამ გადავირიე. მაინც ახალი დაწყებული გვქონდა ერთად ცხოვრება, ჯერ ისევ ვიკრანჭებოდით. ამ ყვავილის ტოტი დღემდე შენახული მაქვს.“

გახსნილობისთვის და ჩარჩოებისგან გასათავისუფლებლად ძალიან დაგვეხმარა უცხო ქალაქი. ვწერ ბერლინიდით კიდეც, მაგრამ როცა ურთიერთობის საფუძველი სიყვარულია, საშიში აღარაფერია“.

ვნებაც ჩნდებოდა სხვისდამი, მაგრამ თუ შენი თავის ერთგული ხარ, სხვაგან აღარ წახვალ.

ერთი ასეთი შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა თეას სწავლის გაგრძელება სხვა ქალაქში მოუწია. „ჩვენს ცხოვრებაში ერთი გოგონა გაჩნდა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სისხლში ფორმულა შეიცვალა. მაშინვე თეას დავურეე და ვუთხარი, შეყვარებული ვარ-მეთქი. ვიცოდი, ტკივილს ვაყენებდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თეასნაირად ვერავინ გამიგებდა“.

ახალი წელი ახლოვდებოდა. ერთ-ერთ წეველებაზე თეა და იაშვაც მივიღნენ. ის გოგონა თეას მიესალმა, სახე შეაბრუნა და



1995 წელი. მინაშვილი „კავკასიური დაგველი“

განითლდა. მოგვიანებით კი გვერდზე გაიყვანა და უთხრა: ასეთი რაღაცეები არ მემართება ხოლმე. რა მოივიდა, თვითონ არ ვიცი. გთხოვ, მაპატიერ.

ასეთი გახსნილობა ალბათ იმ დროს არსებობს, როცა გულია სავსე. იმ ღამით სახალწლო წვეულებაში კლუბში გადაინაცვლა: „მთელი საღამო ჩემს მხარზე ედო თავი“.

მათი ინტერესები თითქმის ყველა საკითხთან მიმართებაში საერთოა. „მე იაშვას ბოლომდე ვენდობი. ეს სულაც არ არის კომპრომისი. მომწონს, რასაც აკეთებს. მე პატარა ვიყავი, როცა გავიცანი და მას შემდეგ, თითქმის ყველაფერზე მიქმნის წარმოდგენას“.

უკვე ორი წელია, რაც გერმანიიდან დაბრუნდენ. თბილისში ცხოვრობენ. ისევ ერთად არიან, ისეთივე შეყვარებულები.



მოქადაგა გესახე

გავიდა დრო. თითქოს ყველაფერმა დაკარგა აზრი. საკუთარმა შემოქმედებამაც. იაშკა უკვე დიდი იყო. რომ გადახედა, დარწმუნდა: მინდოდა მსახიობობა – გაგხდი, რუსთაველის თეატრზე ვოცნებობდი და ესეც ამისრულდა. ის წარმატებული მსახიობი იყო, მაგრამ 28 წლის ასაკში, როცა ვალდებულებები საგრძნობლად გაიზარდა, მსახიობი ვერ ახერხებდა თვითრეალიზაციას. წარსულში ორმოცამდე როლი იყო, თეატრისაც და კინოსიც, მაგრამ სასოწარკვეთილს არაფერი აჩერებდა.

- ბატონო რობერტ, წავედი.
- წადი.
- წავედი!

„ალბათ ფიქრობდა, შენ იკითხე, თორემ მე ას იაშკას ვიპოვიო.“ ადგილს, რომელიც დიდი ხნის წინ შენთვის მონიშნება და რომელზეც თვითონვე ამბობ უარს, სხვები დაიკავებენ.

დათომ იცოდა, სადაც მიდიოდა, მაგრამ აღარ ნანობდა. მიეჩვია იმას, რომ სხვაგან არავინ ხარ; რომ საკუთარი არჩევანის შედეგად კარგავ, რაც მოიპოვე. ინყება დღეები, როცა სამუშაოს ეძებ, გადასახადები რომ გადაიხადო. პირისპირ დგები მარტოობასთან.

ბერლინში ორი უკიდურესობა ყოფილა: მარტოობა და რეალი-

ზებული ყოფა. გეტირება, როცა მეგობრები რეკავენ, ჩამოსული ახლობელი სხვანაირი გეჩვენება. „სამაგიეროდ უმნიშვნელოვანება დეტალებს სწორედ იქ მივხვდი. დღევანდელობასთან რომ გავაკეთო შედარება, ასეთ სურათს მივიღებთ: იღებ კრედიტს და მერე პროცენტს იხდი. მთავარია, ისეთი კრედიტი არ აიღო, რომ მინუსიდან ვეღარ ამოხვიდე. ჩვენი პლანეტა ამ პრინციპით ცხოვრობს.“

არსებობს ისეთი რამ, რის გარეშეც წარმოუდგენელია დღე. მაგალითად, აღტაცება, რომელიც გამუდმებით გახლავს. მაშინაც კი, როცა დღეები გადის და ლოგინიდან ვერ დგები. ალბათ სწორედ ასეთი აღტაცების შედეგად, ერთ დღესაც ადგა და თქვა: „მე ხომ ფრენა და მსოფლიოს ნახვა არ მინატრია, მინდა ვილვიძებდე თბილისში და რუსთაველის თეატრში მივდიოდე რეპეტიციაზე“. მას თეატრში დაბრუნება სჭირდებოდა.

იაშკას სათქმელი საუკეთესოდ გამოიხატა იმ პატარა ფილმში, რომელიც არავის უნახავს. ეს არის სუბიექტური კამერით გადაღებული, ბერლინის მეტროს ხუთი გაჩერება. ამ ფილმით იაშკამ საკუთარ თავს უთხრა რაღაც; ან იქნება, უცხო ქვეყანაში ცხოვრების პერიოდი დაგმო.

ხმა:

ამომხედა და მითხრა: ცხოვრება პოზებისგან შედგება. აი, ახლაც, შენს წინ ვზივარ, ვცდილობ, რაიმე ჭკვიანური ვთქვა, თავი მო-განიონ.

მახსოვს, პირველად 1999 წლის მაისში ვნახე. ჩაქვში ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარი ტარდებოდა. თვალებში უცნაური სხივი ჰქონდა. ემოციური ადამიანი ჩანდა და „უწევულოდ ეცვა. მერე, კარგა ხნის შემდეგ, ქუჩაში შემხვდა, ჩემთვის უცხო გოგონას ესუტებოდა. ეს თეა იყო. მის შესახებ ახალ ამბებს გამუდმებით მიამბობდნენ. ხან თეატრში ვხდავდი, ხან ეკრანზე. მაგრამ მხოლოდ გუშინ შევიტყვე, თუ რა ეტიუდი შეხვდა თეატრალური ინსტიტუტის მისა-ღებ გამოცდაზე: „საფრთხოებელა ვიყავი, რომელსაც ჩიტი შეუყვარდა“. ხო, ასე ხდება ხოლმე, „საფრთხოებელას“ მოუღლოდნელად სული აღმოაჩნდება... დგას შუაგულ მინდორში, არ იცვლის ფეხს. თურმე სიყვარული შეუძლია და ამით არის საინტერესო. რთულია.

„ადრე ყველაფერი რთული მეგონა. ერთ დღესაც მივხდი, რომ სულაც არ არის ასე. ყველა შემდგარი ურთიერთობა მარტივია. ყოველივე გენიალურიც ხომ მარტივია. ის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ბუნებრივია. ეს ენერგია შენგან დამოუკიდებლად არსებობს. უბრალოდ, კოდს უნდა მიაგნო. მხოლოდ ასეთ დროს მშვიდდები, გასაღები ხელში გაქვს და მიპრძანდი!“

თარდა



ავტორი: ნესტან კვინიკაძე
ფოტო: დავით მესხი

სპეც-პროექტი

დავალება ასეთი
იყო: წარმატებული
ადამიანების

ჰობი

საქმეს გულით თუ მოეკიდები, ჩაუღრმავდები და ამაში რესპონდენტებიც შეგინყობენ ხელს, მერწმუნეთ, მოულოდნელ შედეგს მიიღებთ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. ამ იდეას ისე ჩავეძიეთ, რომ ჰობის არსის შესახებ გავრცელებული აზრი, საბოლოოდ დაგანგრიეთ. თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ჰობი სულაც არ არის ის, რაც გვგონია. და თუ რა არის, ამას ჩემი რესპონდენტები უკეთ ახსნიან. ამიტომ წერტილი და აბზაცი.



ორიგინალური ყდები

თეა თელია, მხატვარი

როცა ჰობის შესახებ პირველად დამისვეს კითხვა, მივხვდი, რომ ჰობი არ მაქეს. ყველაფერს, რასაც ვაკეთებ – ნებისმიერი წიგნი, რომელსაც ვკითხულობ, აუცილებლად ჩემი საქმიანობის ინსპირაციის წყაროა ხოლმე. ასევეა ნებისმიერი კინო და სპექტაკლი, რომელსაც ვუყურებ. ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობა შეიძლება ახალი ნამუშევრის შთაგონების წყაროდ იქცეს. რასაც ვაკეთებ, – ფოტო იქნება ეს თუ ნახატი, – აუდიტორიას ვუჩვენებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰობისთან აღარ გვაქვს საქმე. წიგნების და დღიურების ყდები კი არის ის, რასაც არავის ვაჩვენებ და მხოლოდ ჩემთვისაა.

მაქვს დღიურები, ქუდები და ჩანთები, რასაც ვქარგავ. ვქარგავ სამი წლიდან. ამას ჩემთვის ვაკეთებ, მაგრამ ახლა ამას თქვენ დაბეჭდავთ და დღეიდან აღარც ეს იქნება პირადული.

ერთხელ მეგობარმა მათხოვა წიგნი, რომელსაც ყდა არ ჰქონდა. მე შევუერე ყდა და პატრონს ისე დავუბრუნე. როგორც ჩანს, გარეუნი ასოციაციურ კავშირში იყო იმასთან, რასაც ვკითხულობდი.

თავისუფალ დროს, ტრანსპორტში, ან ნებისმიერ სხვა ადგილას ბავშვობიდან ვაკეირდები ადამიანებს. ვფიქრობ და ვთხზავ: რა ჰქონათ, როგორი სახლი აქვთ, რამდენი შვილი ჰყავთ. საბოლოოდ, ამასაც გამოყენებითი ფუნქცია აქვს და სადღაც გამომადგება, რადგან ეს ადამიანები უკვე პერსონაჟები არიან.



КНИГА 1

УЧЕНИЕ ДОНА ХУАНА
ПУТЬ ПОЗНАНИЯ ИНДЕЙЦЕВ
ПЛЕМЕНИ ЯКИ





“GOOD აურა”

ბაკურ ბურდული, მუსიკოსი

მუსიკის შემდეგ, “Number one” ჩემთვის არის სწორებორდი. ეს სრულიად განსხვავებული გეომეტრია. აქვს სამი განზომილება. ჩემი ნარკოტიკი – ასე დავარქემევდი. კიდევ მომწონს შავგვრემანი გოგონები – ჩემზე ოდნავ დაბლები.

სტილი დაცულია (ნ.კ.)





საინტერესო...

გიორგი ხაბურზანია, პროდიუსერი

კონკურსანტებისთვის ანკეტებს ვამზადებთ ხოლმე, სადაც ერთ-ერთი კითხვაა „თქვენი ჰობი“. იქ ძირითადად წერენ: კითხვა, ფილმების ყურება, მუსიკის მოსმენა. რეალურად, ეს ჰობი არ არის. ჰობის კლასიკური, ლექსიკონური განსაზღვრებაა Activity, რაც საქმიანობას ნიშნავს – აქტიურს და არა პასიურს. მუსიკის მოსმენა და ფილმის ყურება – ეს პასიურობაა. ჰობი მოქმედებას გულისხმობს – როცა მუსიკას წერ, თუნდაც არაპროფესიონალურს, ან ნივთებს აგროვებ.

სხვა ქვეყნებში ამას უფრო სტერეოტიპური გაგება აქვს: ჰობი ისაა, რასაც შეძათ-კვირას აკეთებენ. ჩვენთან ჰობი, როგორც ინსტიტუტი, არ არსებობს.

თავად გიორგის ჰობი არ აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, მეუღლის მიერ თავისუფალ დროს დამზადებული ნაკეთობა გვაჩვენა – ჩონჩხები... უცნაურია.





ART კაი და


ორაკლი კაკაბაძე, მწერალი


არ მჯერა მაგ გამოთქმის. რას ჰქვია ჰობი? ადამიანს უყვარს რაღაცები. ვთქვათ, ხელოვანი კაცი ხარ, იღებ ფოტოებს; ლამაზ ქალს რომ ხედავ, ფოტოს უდებ და ამას მთელი გულით აკეთებ. ეს ჰობია?

სამსახური უფრო ჰობია, ვიდრე ის, რასაც მატერიალური დაინტერესების გარეშე აკეთებ. ათასი სისულელე მიკეთებია, რისი მოწოდებაც არანაირად არ მქონია; მაგალითად, ფეხსაცმელებსაც ვყიდდი, ტანსაცმელსაც, ავეჯს ვეზიდებოდი, უცხოელ დიპლომატებსაც ვასწავლიდი....

ბურუუები გამოქლიავებული ხალხია. მათთან ურთიერთობა იმი-ტომ გინევს, რომ ფული გჭირდება. მიდიხარ იმიტომ, რომ საჭიროა. ეგ უფროა ჰობი. როცა ბურუუებსა და ჩინოვნიკებთან ურთიერთობის შემდეგ მეგობრებთან მიდიხარ და მღერი, ეგ არ არის ჰობი. ეს ნამდვილი საქმეა. ჰობი უფრო ბურუუებთან ურთიერთობაა.

ქალი თუ შეგიყვარდა, როგორ შეიძლება ეს იყოს ჰობი?







სიმპათიური, ჯერ პატარა და უკვე არტისტი

დათო გოცირიძე, მსახიობი

როცა ენერგიით ხარ დამუხტული და ამის გამოხატვის სურვილი გიჩნდება, – თან ჩვენ, მსახიობები თამაშში დახარჯვას ვართ მიჩვეული, – ეს ფანტასტიური საშუალებაა. ზესტად იგივე პრინციპით, თავისუფალ დროს კოლაჟებს ვაწყობ, ფენა-ფენა, ნელ-ნელა. ეს ყველაფერი სამნახევარჯერ უნდა განმეორდეს ისევე, როგორც როლზე მუშაობისას ხდება. ჯერ-ჯერობით როლიც და კოლაჟიც – ორივე დანგრეული გამომდის, მაგრამ...

ეს კოლაჟები მაშინ გავაკეთე, როცა ალექოლს უნდა დაგეშვიდობებოდი. აისახა კიდეც. როცა ფარაჯანოვის კოლაჟები ვნახე, ვთქვი, არასოდეს აღარ გავაკეთებ-მეტქი. მაგრამ მე ხომ არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მხატვარი არ ვარ. ჩემი საქმე სხვა რამეა.

ჩემი მასალა ის არის, რაც სხვებს აღარ სჭირდებათ. კოლაჟებისთვის მსხვრევად მასალას ვიყენებ. ჩინური წებო ძალიან მეხმარება. ეს ყველაფერი მეგობრებისთვის კეთდება. მათში ცხადად ჩანს ჩემი შინაგანი განწყობა. ძალიან ცუდად ყოფნის დროს მშველის.



ექსტრემალური სიტუაცია

ნათია ლაზაშვილი, ტელეჟურნალისტი

ჰობი, ზოგადად, ალბათ მაინც გატაცებაა, რაც სიამოვნებას განიჭებს. შეიძლება სიამოვნებას მუშაობიდანაც იღებდე, მაგრამ ჰობის შემთხვევაში დახარჯულ ენერგიას არ გინაზლაურებენ, რადგან ამაში მხოლოდ საკუთარი სიამოვნება მოიაზრება.

არ ვიცი, აღზრდის შედეგია თუ არა, მაგრამ გამუდმებით ექსტრემალური პირობები მიზიდავს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ცხენი ძალიან ექსტრემალურია.

არ მაქვს კონკრეტული მიზანი, რა-საც სამსახურის დამთავრების შემდეგ ვაკეთებ. ზოგადად კი, ცხენით ჯირითი მიყვარს და საჭესთან ვისვენებ, ოღონდ თუ სწრაფად დავდივარ (99 პროცენტი კი ასეა). მიყვარს თხილამურები. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც სისწრაფესთან და ადრენალინთან არის დაკავშირებული.









Sweet Home

სიმონ მაჩაბელი, მხატვარი

ასე მგონია, ჰობი ძალიან პრომიტიულ ადამიანებს აქვთ. თუ პროფესორი ხარ და ტყეში მიდიხარ, რკოს აგროვებ და იმ რკოსგან ჭიქას აკეთებ, ეს ცუდი კი არ არის, უბრალოდ, ჰობია. მსგავსი გატაცება მე არ მაქვს.

ალბათ, ჩემი ჰობი არის ის, რასაც ვაკეთებ, როგორც ვცხოვრობ.

ჰობია ის, რომ ცარიელ სივრცეში ვერ ვძლებ და აი, მაგალითად, სამი თვით ვარ ჩამოსული თბილისში და მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი წასვლისთვის ალაგდება, ჩალაგდება და მეგობრებს შორის დარიგდება, მაინც ვრთავ და ვაწყობ იმ სივრცეს, სადაც, თუნდაც დროებით ვჩერდები, მაგრამ არა ჰობის დონეზე.

ერთხელ გასტროლებზე ვიყავით, აღარ მახსოვს – საბერძნეთში თუ ბრიტანეთში. ისე იყო დაგეგმილი, რომ სამი დღე ერთ ქალაქში გავ-ჩერდით, ორი დღე – მეორეში. გამუდმებით ნივთების შეძენით ვარ დაკავებული და რა თქმა უნდა, ამ მოგზაურობის დროსაც, ოთახები შეძენილი ნივთებით მოვრთე და ასე ვცხოვრობდი. მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ვრთავდი და ვალამაზებდი.



აჩქარებულ დროში

დათო მაჭუვარიანი (კაკადუ), ანიმატორი

არ ვიცი, რამდენად შემიძლია აზრის ჩამოყალიბება, მაგრამ ჩემთვის ჰობი არის ის, რაც მიყვარს.

არსებობს სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში დამზადებული ჭანჭიკები და ხრახნები, რომლებიც ერთმანეთს რატომძაც ერგებიან.

თუ ტამტამზე დაკვრისას გამოცემული ბგერა სხვის გულისცემას ეხმიანება, ე.ი. მან ადრესატამდე მიაღწია და გაამართლა.

ამიტომ ჰობი გამოგონილი სიტყვა მგონია იმისთვის, რომ აჩქარებულ დროში მცხოვრებმა ადამიანმა ერთმანეთისგან განასხვავოს საქმე და სხვა დანარჩენი. ყველაფერი უნდა აკეთო, რომ საკუთარი თავი და ის ადამიანები გადაარჩინო, ვინც გიყვარს. ნებისმიერი სამსახური გამართლებულია. მერე ბრუნდები შინ, თავს იმშვიდებ და აკეთებ, ვთქვათ, პლასტმასის თვითმფრინავს.







ჭავჭავაძის 22

გია დარსალია, გამომცემელი

არ ვიცი, რა არის ჰობის ეტიმოლოგია. ზოგს წიგნის კითხვა ჰქონია ჰობი, ზოგს – მეგობრებთან ერთად სმა. ჰობი მე მაინც სხვა რამე მგონია, რაღაც განსაკუთრებულის სიყვარული: ფილატელია, კლდეზე ცოცვა და ბევრი სხვა. კინოში და ქალებში სიარული ყველას უყვარს, ამიტომ ეგ ჰობი აღარაა.

ჩემი წიგნების მაღაზია საქმეც არის და გართობაც, მაგრამ ჰობის მაინც ვერ დავარქმევ.







დესერტი

ნიკო ტარიელაშვილი, რეჟისორი

ქართულ ენაში ცოტა ზედსართავია. ამიტომ ძნელია, ერთი სიტყვით შეაფასო. მაინც შევეცდები: შესანიშნავი კინორეჟისორი, არაჩვეულებრივი ოპერატორი და ფანტასტიური ფოტოგრაფი.

ის გაწონასწორებული პიროვნებაა და საკუთარ თავზე არასდროს საუბრობს. თვლის, რომ ჰობი თავისუფალ დროს გართობაა. იმ დღეს კი, ეს გართობა დესერტის დამზადება იყო: ცხელი ბანანი შოკოლადით და ნაყინით. უგემრიელესი.

ჩემს ირგვლივ არსებულ ფოტოგრაფებს შორის, ნიკო ერთადერთია, რომელსაც ფოტოაპარატის ჭერის საუცხოო მანერა აქვს.

აუცილებლად დააკვირდით!



შეკვეცილი შესავალი პირველი შეთაბეჭდილებისთვის

ანკა: არა მგონია, ჩვენი ცხოვრება საუურნალედ
გამოდგეს.

შუამავალი: კარგი რა, ყველა ცხოვრება ცხოვრებაა.

ანკა: კარგი, ხუთ წუთში დარეკე, გოგა ტელეფონზე
ლაპარაკობს.

ხუთი წუთისა და არგუმენტთა და კონტრარგუმენტთა
რამდენიმეწუთიანი შეჭიდების შემდეგ:

გოგა: ხვალ 12-ზე აწყობს?

შუამავალი: აწყობს.

გოგა: ჩაი უყვარს?

შუამავალი: უყვარს.

გოგა: ნატეხი შაქარი?

შუამავალი: კიო.

გოგა: კიდევ რამე სჭირდება?

შუამავალი: სალაპარაკოდ გახსნილები დახვდით.



ავტორი: თამარ ბაბუაძე
ფოტო: დავით მესხი



ისტორია 21°C -ზე



სვალ 12-ით.

წინა ლამითი თოვლი მოვიდა. მთაწმინდა რომ გადათეთრდა და ზემო ვერა ნახატს დატმისგავსა, ისე ავივსე თოვლის ენერგეტიკით, ისე, რომ მეგონა, ჩასუნთქევისას, ვეღარ ამოვისუნთქავდი. მეორე დილას ბარნოვის მეოთხე ჩიხამდე ფეხით ვიარე. არ ვიცი, იმ სისავსის ბრალი იყო, თოვლმა რომ განმაცდევინა, თუ რა, მაგრამ ასე მოხდა – კარი გამიღეს და ის, რასაც ანჯასგან და გოგასგან ვითხოვდი, მე თვითონ გავაკეთე – გავისენი.

თვითონ გოგა ამბობს, რომ ყველასთან ვერ იხსნება და თუ რაიმე საინტერესო მიამბო, ეს იმის ბარალია, რომ იმ დღეს, 12 საათზე, გოგას, ანჯას და ჩემს შორის კონტაქტი შედგა — ცხელი ჩაის, ძელი სამზარეულოს, ფანჯრის მიღმა მზეზე წყლად წასული თოვლისა და გემრიელი მურაბის ფონზე.

თუმცა, მე არ მჯერა. კინოპერატორის თვალი სხვაა, მას ყველა ადამიანის დანახვა და ყველასთან იმ კუთხით კონტაქტი შეუძლია, თვითონაც რომ თავი კომფორტულად იგრძნოს. გოგაც ასეა — მას ყველა უსმენს. პირველ რიგში — ანკა. ეს ყველაზე მაგარია.

პო, მაგიდაზე თევზიც ცხოვრობს, ისეთ ქილაში, ძველი მულტფილმებიდან რომ გვახსოვს — გამჭვირვალე, ფართე, დიდი და ზემოთ, ტუჩისკენ გამოყენილი.

„ეიი, თევზი, თევზი, რას შვრები მანდ?“ — გოგა ქილას თითებს უკაკუნებს.

თევზს თევზი ჰქვია. ბიჭია თუ გოგო, არ ვიცით. მაგრამ ერთი დრამატული love story ამ ცხოვრებაში ხომ ყველას აქვს, მათ შორის — თევზისაც. ქილაში მასთან ერთად, თურმე, ადრე მეორე თევზიც ცხოვრობდა. იყვნენ ერთად, ბედნიერად, ქილაში მათთვის ჩაშვებული ნუგბარით, წყლის სიმსუბუქით, ქილის სიმრგვალით ვერ ძლებოდნენ. მერე, ერთ დილას, გოგამ ერთი თევზი ვეღარ იპოვა, მეორე კი

გამნარებული დარბოდა ალმა-დალმა, დაკარგულს ეძებდა. გაირკვა, რომ უბედური თევზი ნიუარაში გაჭედილა და საწყალს, ხერხემალი გადატეხია. თურმე, საოცარი სანახავი იყო, როგორ ევლებოდა თავს თევზი დაშავებულ საყვარელს, როგორ უვლიდა, როგორ ზრუნავდა, როგორ ნერვიულობდა. იმდენი ქნა, ორ დღეს აცოცხლა. მერე დაქვრივდა. თან ალარც სახელი დარჩა და ალარც სქესი. ვინც მისი ვრინაობა იციდა და ეისაც მისი სექსუალური ირიენტაცია ედარდებოდა, ის გვერდით ალარ ჰყავს და რალა აზრი აქვს...

...პოდა, რას შვრები, მანდ, თევზი?

„უგონდა“

ერთი ასეთი შაბლონია, ცხოვრებისეული — ქმნის პროცესი ერთნაირია სახლის შენების, კინოს გადაღების და წერილის წერილისაც: ყველაფერი ჩინჩიზეა აგებული. ჩვენს შემთხვევაში ჩინჩის წერილის სავარაუდო სქემაა, რომელზეც მერე ამბები უნდა დააშენო, ადამიანები დაასახლო.

ანკა: როგორ ვცხოვრობდი ადრე?

გოგა: პო, როგორ ცხოვრობდი?

ანკა: რა ვიცი, ალბ...

გოგა: მე ვიცი. როგორ ცხოვრობდი და უჩემოდ!

მაგრამ არსებობს მეორე ცხოვრებისეული შაბდონიც, რომელიც გვასწავლის: სქემები და გეგმები ხშირად არ ამართლებს ხოლმე, მით უმტკეს, როცა... მით უმტკეს ახლა — ანკასთან და გოგას-თან. თუმცა, მაინც გეტყვით, სქემა ასეთი იყო: ცალკე ყოფილიყო ანკა, იმ ცხოვრებით, რომელიც გოგამდე გაიარა და ცალკე ყოფილყო გოგა, იმ ცხოვრებით, რომელიც ანკამდე იყო. და ბოლოს ყოფილყო საერთო, ანტყო ცხოვრება; ანუ, გმოსსლოდათ რაღაც, მდინარის ირი ნაკადის შეერთების მსგავსი. ეს სქემა პირველსავე მცდელობაზე ჩაიფუშა. იცინეს და ერთმანეთს კითხვა შეუბრუნეს:

ანკა: როგორ ცხოვრობდი ადრე?

გოგა: ჰო, როგორ ცხოვრობდი?

ანკა: რა ვიცი, ალბ...

გოგა: მე ვიცი. როგორ ცხოვრობდი და უჩემოდ!

აი, ასე!

ხო, რა, იყო ცხოვრება, რომელსაც სახელად ერქვა — „უშენოდ“;

ცხოვრება, რომელშიც შედიოდა ცალ-ცალკე ოჯახები და შვი-ლები: ფოტოგრაფები, ანკა ნიუჟარაძეს — სანდრო, კინოპერატორს, გოგა დევდარიანს — მიხო.

მერე კი დაიწყო ამბავი, 21 გრადუსი ცელსიუსის ტემპერატურაზე — ერთი შეხედვით, სრულიად გრილ და უწყინარ ტემპერატურაზე, რომელმაც სინამდვილეში მთელი ცხოვრება შეცვალა — რა თქმა უნდა, სიკეთისკენ.

გოგონა ლოდონისებური მზერით

სანამ „სუფთა დაფას“ და „ზოგი ჭირი მარგებელია“-ს ვნახავდით, ანკა მამის, ზურაბ ნიუჟარაძის ალბომში ვნახე, ზინერის ტექსტით. 1985 წელს გამოსულ ალბომში შესულია 1981 წელს დახატული პორტრეტი. გოგო 12 წლისაა. ცისფერზე კიდევ უფრო ცისფერი კაბა აცვია, ოქროსფერი თმა აქვს, ძალიან დაკვირვებული, სერიოზული მზერა და სახის თხელი ნაკეთები. მერე ამ მზერას მაყურებელი კინოეკრანზე აკვირდება და იხილება. ყველა ხვდება, რომ კინომ სრულიად ახალი და განსხვავებული სახე იპოვა, რაღაც ამოუცნობი, განყენებული. ზოგ კინომსახიობს ღიმილი აქვს ასეთი — დაუვიწყარი, ზოგს — სიცილი, ანკას — მზერა, მზერა, რომელიც არასდროს არ არის მიმართული მაყურებლისკენ; მზერა, რომელიც უფრო ირიბია, იდუმალი და ამიტომ სხვანაირად მიმზიდველი.

„ეს პირტრეტი მამამ თითქმის ზეპირად დახატა. ბურთისთვის ამოვედი სახლში, ფეხბურთს ვეთამაშებოდი ბიჭებს, მეკარედ ვიდექ. ხატვისას მხოლოდ ხუთი წუთით გავუჩერდი და მერე ისევ ეზოში გაგიქცი.

მერე გადალებებიც დაიწყო.

„პირველად რეზო ინანიშვილის მოთხოვნის მიხედვით გადა-ლებულ ფილმზე („მგლის ლეკვები“) დამატეკიცეს. მერე „სუფთა დაფა“ იყო, ეპიზოდური როლი ფილმში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და „ზოგი ჭირი მარგებელია“. გადალებებზე თავს ჩვეულებრივად ვგრძნობდა, რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდი, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ არ მსამოვნებდა ის აუიოტაჟი, ფილმის გამოსვლის შემდეგ რომ ატყდებოდა ხოლმე. არ მსიამოვნებდა, ამდენს რომ ლაპარაკობდნენ ჩემს შესახებ. და ერთხელაც, როცა მივხვდი, რომ უკვე შემეძლო მეთქვა — „ეს მე არ მინდა“, ვთქვი კიდეც, რომ არ მინდოდა; ანუ, გაჩნდა რაღაც შინაგანი პროტესტი, რომელმაც სიმორცხვეც მოიტანა“.


ასე გაემიჯნა ანკა გადასალებ მოედანს. არ მინდა-ს თქმის შემდეგ, მაღლევე, ლონდონში წავიდა, სტუმრად. სწორედ იქ შედგა უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ალმოჩენა — ანკამ ფოტო იპოვა, მის მზერას კი საზრისი მიეცა. „იმდენად ლამაზი იყო იქაურობა, რომ რაღაც უნდა მექნა. ფოტოების გადალება დავიწყე“, — იხსნებს ანკა და ამ მარტივი წინადადებებით კომპლექსურ აზრს ავითარებს. გულისხმობს იმას, რომ წვიმიანმა, მაგრამ არა მელანქოლიურმა ლონდონმა გოგონას თავისი თავი აპოვნინა. აღმოჩნდა, რომ ანკას

სულ სხვა თამაში უნდოდა, სულ სხვა გარდასახვა. თამაში არა გადასალებ მოედანზე, არამედ თამაში გარემოსთან, საკუთარი თვალით აღმოჩენილ რეალობასთან, საკუთარი წარმოსახვაში კადრირებულ სიტუაციებთან, ადამიანებთან, ემოციებთან, ფერებთან.

„ფოტომ, კინოსგან განსხვავებით, მომცა ერთი და მთავარი — გარემოს აღქმა. ჩემთვის ვაკონტრეტებ, რასაც ვხედავ, რასაც ვამჩნევ, რაც მინდა, რომ იყოს. ცხადია, ესეც თამაშია, თან საკმაოდ ბავშვური იმიტომ, რომ თუ არ გაერთე, არაფერი გამოგივა. კამერით ხელში თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. ფოტოს ბოლოს და ბოლოს, სახლში წაიღებ, დაჭრი, არავის ანახებ, ან პირიქით — ანახებ. თანდათან კამერას ისე შევეჩივიე, რომ ლაპარაკიც აღარ მინდოდა. ვდუმდი და მარტო ვიყურებოდი, გონებაში კადრებს ვჭრიდი. სულ მეჩუბებოდნენ“.

„არ მსიამოვნებდა ის აუიოტაჟი, ფილმის გამოსვლის შემდეგ რომ ატყდებოდა ხოლმე. არ მსიამოვნებდა, ამდენს რომ ლაპარაკობდნენ ჩემს შესახებ. და ერთხელაც, როცა მივხვდი, რომ უკვე შემეძლო მეთქვა — „ეს მე არ მინდა“, ვთქვი კიდეც, რომ არ მინდოდა“.





1980 წელი. სინჯახი კინოსტუმის ეზოში.

„თანდათან კამერას ისე შევეჩვიე, რომ ლაპარაკიც აღარ მინდოდა. ვდუმდი და მარტო ვიყურებოდი, გონებაში კადრებს ვჭრიდი. სულ მეჩსუბებოდნენ“.

ანგას მოგვიანებით გადალებული ფოტოებისგან განსხვავებით, ლონდონი მართლაც გართობა იყო. ქალაქის ყოვლად სერიოზული პეიზაჟები — გალერეა „ტეიტი“, ხიდები ტემზაზე, ტრაფალგარის სკვერი, სოპო და ტელეფონის ჯიხურები ძალიან სასაცილო გამოდიოდა. ანგა ხომ თავისი სხეულის ახალ „დანამატთან“ ჯერ კიდევ შეგუების პროცესში იყო — პროფესიონალ „ოლიმპუსთან“, რომელიც მას იქვე, ლონდონში გაცნობილმა რუსმა ფოტოგრაფმა აყიდნია. ახალბედა კოლეგას რამდენიმე დაუწერელი კანონიც მანვე ასწავლა. პირველ რიგში კი ის, რომ გადალების სწავლამდე, ჯერ კამერას უნდა შეეჩვით, უნდა შეიგრძნო, შენი სხეულის ისეთივე ორგანულ ნაწილად უნდა შეიგურო, როგორიც ხელები და თვალებია...

ფოტოფირზე ასე ნელ-ნელა გადადიოდა გადალებაში, ნახატსა და აღქმაში ათასგზის გაცევეთილი ლონდონის პეიზაჟები;

და ასე ნელ-ნელა იძერნებოდა ერთი ყველაზე ლოგიკური ჭეშმარიტება: გოგონსაგან, რომელსაც ასეთი სილრმიდან ამომავალი მზერა აქვს, არ შეიძლება საბოლოოდ ჯულია რობერტსი დადგეს — უდარდელი, ცხენისკბილება ლამაზმანი, მსუბუქი და ეფემერული მშვენებით; დადგეს ვარსკვლავი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ვარსკვლავია და სინამდვილეში ისეთივე მოსაწყენი და ჩვეულებრივია, როგორც უფერული მასა.

მოკლედ, საბოლოო ჯამში, სულ პირიქით გამოვიდა — გოგონას,

რომელსაც კინოეარსკვლავობას უქადდნენ, ისეთი ორბუნებოვანი გამოხედვა აღმოაჩნდა, როგორიც თვითონ ამ გამოხედვის „გამშალაშინებელი“ ლონდონია — თან წვიმიანი და ნისლიანი, ანუ მოსაწყენი, სევდიანი და თან ძალიან მოძრავი, ლამაზი სხეულისა და გახშირებული სუნთქვის მქონე ქალაქი, აზიურისა და ბრიტანულის ნაბავით. ამ გოგონამ ერთი გაბედული „არ მინდა“ თქვა და მერე ამ ორბუნებოვანი ქალაქის წყალობით, საკუთარი თავიც ფოტოგრაფიაში იპოვა და გოგაც.

ცინ და უკან

გოგა დევდარიანი კინოპერატორია. თამარ შავგულიძისა და თორნიკე ბზიავას ფილმებზე მუშაობდა, მონაწილეობდა ალტერნატიული ხელოვნების ფესტივალში, ხელოვნების მატარებლის აქციაში. მაშინ მთელი გზა ყველა ანგასა და გოგას კუპეზე ლაპარაკობდა. კუპე ფოტოლაპორატორიად გადააკეთეს, ესეც ერთად მოიფიქრეს.

თუ ანგა კინოდან ფოტოგრაფიაში გადავიდა, გოგა პირიქით — ფოტოდან კინოში მოვიდა, ოლონდ ისე, რომ საწყის წერტილში დარჩენაც მოახერხა:

„მამაჩემი ფოტოებს აი, ამ აბაზანაში ბეჭდავდა ხოლმე. ბაკუ-

რიანში წავედით. 3-4 წლის ვიყავი, შეიძლება სულაც 4-5-ის. გვიღებდა და მერე ბეჭდავდა. ერთხელ მეც შევედი აბაზანაში. ვხედავ, ოთახი წითელია. მამა დგას, რაღაცას ჩალიჩობს, თან, საერთოდ გაუგებარ ენაზე მელაპარაკება. ვხედავ, ქალალდი დადო — სუფთა, მერე რაღაცაში ჩადო, ამოილო, ვუყურებ და ბაახ! — ფოტო არ გაჩნდა. ეს არის სურათი, რომელიც დღემდე მახსოვს, როგორ გადაიღო, როგორ გაამუდავნა, როგორ დაბეჭდა. დღემდე მაქვს და ყველაზე მაგრად მიყვარს, რა“.

შემდეგი საეტაპო მომენტის დროს, გოგა უკვე სხვა როლში იყო — ის თვითონ იყო მამა და თავის შეიღს, ახალდაბადებულ მიხოს ფოტოებს ულებდა. პარკში იყვნენ, მეგობრებთან, ცოლთან და ბავშვთან ერთად. შემდეგ ფოტოები მაიკოს ბებიამ, ხელოვნებათმცოდნე ლია დოლაბერიძემ ნახა და გოგას ურჩია, იქნებ კინოპერატორისა გეცადათ. „კინოში ლიას წყალიბით მოვხვდი და ახლა, როცა დადგა დრო და რაღაცები მართლა გამომივიდა, ლია შეუძლოდ არის, და ჩემს შესახებ არაფერი იცის. არადა, მაგრად მინდოდა, რომ სცოდნოდა. შეიძლება, გრძნობს კიდეც და მე ვერ ვხვდები... ის ჩემი შვილის დიდი ბებიაა“.

ზისი და ადამიანი

ანკა ისევ იმ „ოლიმპუსით“ იღებს, ლონდონში რომ იყიდა. უკვე ექსპონომეტრიც აღარ აქვს, გუმინით ხვდება, სად რა და როგორ უნდა. სულ კამერით ხელში მას ვერავინ ნახავს, პერიოდულად ჩავარდნები აქვს და იმიტომ. ასეთ დროს ხატავს ხოლმე. „ისე კი, ყველაზე კარგი კადრები თავშია, ის, რაც არ გადაღებულა“. ციფრულ ფოტოკამერას ვერ ეგუება, ფირიანში სწორედ მასალა მოსწონს და ამ დროს საუბარში გოგა ერთვება. ისედაც კარგად გაძლიო ჩუმად; უფრო სწორად, ვერ გაძლო. ერთვება და ისე გვეკითხება, პასუხი უკვე წინასწარ იცის:

„ხომ შეიძლება, რომ ჩაგერთოთ ხოლმე? პარალელურად ვიბაზროთ, არა?“.

და „ვპაზრობთ“ ფოტოგრაფიაზე, რომელსაც თანდათან სიყვარულამდე მივყავართ.

ირკვევა, რომ გოგა ციფრული ფოტოსგან შორს დგას. ირკევა ისიც, რომ მისთვის, ზოგადად, ფოტო უფრო ახლობელია, ვიდრე კინო: „ჩემთვის ჯერ ფოტოა და მერე კინო. ფოტოსთან უფრო განმარტოებული ხარ. როგორც მუნკის „ეკივილში“, ეგრეა, რა, დადექი და იყივლე, რამდენიც გინდა. ფოტოგრაფია ადამიანივითაა. როგორც ადამიანს აქვს სხეულის ნორმალური ტემპერატურა, ფირიც ეგრეა, თავისი ტემპერატურა აქვს — 21 გრადუსი. ეს სულ უნდა გახსოვდეს.“

ფირს კიდევ ერთი რამე აქვს მაგარი — მგრძნობიარობა. და ცხოვრებაში მთავარი ეგ არ არის, მგრძნობიარე რომ ხარ? რაღაც თუ რაღაცას გრძნობს, ესე იგი, ცოცხალ არსებას ჰგავს. ციფრი კი კადრია, პირდაპირ კადრი და მეტი არაფერი.

ფოტოქაღალდი, ნამალი — ესეც მაგარია. მერე იქ ნივთიერებების ცვალებადობა მიმდინარეობს. იმას დაკლებ, კონტრასტი მოემატება, დატოვებ და — დაუანგდება ქიმიკატები.“

„აცეტონი, ნითელ შუქში, ხალათში...“

„ფოტოგრაფიამ ასე იცის — ადამიანებს თვითონ შეგახვედრებს. ჩვენც ერთმანეთი ფოტომ გაგვაცნო“ — ლაპარაკობს ისევ გოგა.

„როგორც ადამიანს აქვს სხეულის

ნორმალური ტემპერატურა, ფირიც ეგრეა,

თავისი ტემპერატურა აქვს - 21 გრადუსი.

ეს სულ უნდა გახსოვდეს.“





2003 წლი. თამისი. ფოტო: რატი გომარძელი

ანკა უსმენს. ხელები გულზე აქვს დაჭდობილი, ნიკაპი – მხარზე ჩამოდებული, გოგას უყურებს და უსმენს ისე, თითქოს უცხო ადა-მიანების ძალიან საინტერესო ისტორიას პირველად უამბობდნენ.

ისტორიას სინამდვილეში პირველად მე ვისმენ. ამბავი მართლაც საინტერესოა — ბოლომდე გულისფანცქალით რომ უსმინო, ამის-თვის სულ არ არის საჭირო, პირნავარდნილი რომანტიკოსი იყო.

ანკაც და გოგაც იქვე, ექსპრომტად არკეევენ, რომ მათი ისტორია თავისუფლად შეიძლებოდა, გაცილებით უფრო დიდი ხნის წინ, ბავ-შვინბაში დაწყებულიყო. თურმე ფილმ „მგლის ლეკვების“ სინჯებზე გოგაც მისულა, მაგრამ როლზე არ დაუმტკიცებათ. ანკას კი როლი მისცეს და პირველად ერთმანეთს ასე აცდნენ. მაგრამ ის, რაც უნდა მომხდარიყო, მაინც მოხდა, თანაც ზუსტად მაშინ, როცა საჭირო იყო — ანკას ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ; და მოხდა იქ, სადაც ლოგიურად უნდა დაწყებულიყო — ფოტოლაპორატორიაში.

მაშინ ექსპერიმენტების ხანა იდგა. გოგა დევდარიანს და მის მე-გობრებს ცდებისკენ მასალის სიმცირეც უბიძებდა. იდეები რომ

„როცა არ ჩანდა, დიდად არ ვფიქრობდი ხოლმე ამაზე. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ დღეს ხალათი თვითონ არ ჩავიცვი და რაღაც სუნი არ ვიგრძენი — ანკას სუნი. მაშინ მივხვდი, რომ როცა აქ არ იყო, ძალიან მაკლდა.“

განეხორციელებინათ, ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ. საჭირო ეფექტის მისაღწევად, სრულიად დაუკერებელ რამებს სჩადიონენ. ერთ-ერთი ასეთი, აუცილებლად განსახორციელებელი იდეა თეონა მამფორიას ეკუთვნოდა. მას სურდა, გიო მგელაძის მიერ ტიბეტიდან ჩამოტანილი ფოტოები ტილოზე გადაეტანა და შემდეგ ტილოსგან კოსტიუმები შეეკერა. მაგრამ ტილო ნემსს ვერ უძლებდა. იდეა ჩაფუშვის პირას იდგა. მაშინ გოგამ ვადაგასული, 70-იან წლებში გამოშვებული ფირების გამოყენება სცადა — ასე მასალა მართლაც ძალიან ემსგავსებოდა უხეშ ქსოვილს. გოგა გასამჟღა-ებებელ და დასაბეჭდ წამალსაც თვითონ ამზადებდა. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მიხვდა, რომ აცეტონი რაღაც ქიმიურ პროცესებს აჩქარებდა:

„რა ჰქვიათ იმათ, ბენზინით რომ კაიფობენ? ტოქსიკომანები? ჰო, აი, ტოქსიკომანებივით ვიყავით, რა. გიო დაანათებდა, დაბეჭდავდა და მანიდებდა. ვიდეებით ამ აცეტონის სუნი და ვჩალიჩოდით. ერთი კვირა ვერაფერს ვხედავდი, კინალამ გადამიყოლა, კინალამ დაეპრმვდი.“

ანკაც ზუსტად იმ პერიოდში ჩამოვიდა. გოგას გიომ უთხრა, გოგოა, ბეჭდვის სწავლა უნდა და ჩვენთან მოვიყვანოთ.

„მონაფეები არ მყავდა, მაშინ მე თვითონ ვიყავი მონაფე და ლამის ახლაც მონაფე ვარ, მაგრამ გიოს მაინც ვუთხარი, კარგი, მოვიყვანოთ, მოგვეხმარება-მეთქე.“

მოვიდა. ვმუშაობდით. მის ტანსაცმელს ვუფრთხილდებოდით და ლაბორატორიაში შემოსულამდე ჩემს ხალათს ვაძლევდი ხოლმე. მერე მიდიოდა, მერე რაღაც პერიოდი არ მოდიოდა — იღებდა, ალბათ. მერე ისევ მოდიოდა. როცა არ ჩანდა, დიდად არ ვფიქრობდი ხოლმე ამაზე. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ დღეს ხალათი თვითონ არ ჩავიცვი და რაღაც სუნი არ ვიგრძენი — ანკას სუნი. მაშინ მივხვდი, რომ როცა აქ არ იყო, ძალიან მაკლდა. მერე უკვე, ზუსტად ვიცოდი — როცა მოდიოდა, მაგრად მიხაროდა. ასე რა,



1998 წელი. თბილის დროით 2055 წელი. ფოტო: შოთა მილონავა



1998 წელი. კათმაცეუ. ფოტო: შოთა მილორავა

ისედაც აცეტონით გაბრუებული, სულ გამაბრუა. ყველაფერი ფოტოლაპორატორიაში დაინტერი, შუქებში — წითელ შუქებში და აცეტონის მძაფრ სუნში“...

ეს ამბის ის ნაწილია, გოგა რომ ჰყვება. ანკას ნაწილს კიდევ რა-მდენიმე შტრიხი ემატება:

„მერე თავისი ნეპალის ფოტოები მაჩვენა და ამბები მიამბო. თავი-დან ვფიქრობდი, რაღაცებს ამეტებს, ასეთი რამ არ ხდება-მეთქი. მაგრამ ერთხელაც დავიძინებ და სიზმარში ყველაფერი ის ვნახე, რაც თვითონ ამინერა და რაც ფოტოებზე მაჩვენა. შთაბეჭდილებიდან ვერაფრით გამოვედი. ასეა დღემდე — გოგა მიამბობს, მერე ვიძინებ და მესიზმრება ხოლმე“...

ანკა და გოგა — ეს ის შემთხვევაა, როცა კონტაქტი ქვეცნობიერშიც გრძელდება; როცა ემოცია იმდენად დიდია, ერთმანეთის გაგებისა და მოსმენის სურვილი — იმდენად ძლიერი, რომ სიზმრების სამყაროს მიღმაც ერთად რჩებიან.

II, რაც ანკას ესიზმრება

ერთი დაძახება, ერთი მონდომება, ერთი ანთება და გოგას წამის მეთედებში შეუძლია ნებისმიერი მძაფრი შთაბეჭდილების აღდგენა, მოგონებებიდან მისი ცოცხალივით გამოხმობა. მერე თვალებანთებული, ძალიან გადამდებად ჰყვება და იმასაც აღწევს, რაზეც თავიდან, ალბათ, ვერც იოცნებებდა: სიზმრებში, ანკას საკუთარ თავზე განაცდევინებს იმას, რაც თვითონ განიცადა და რისა ანკასთან გაზიარებაც ყველაზე მეტად უნდოდა. და აი, რა ესიზმრება ანკას:

ბაღდაპური — აგურის ქალაქი, სადაც მიწაც ეგეთია, აგურის, სახლებიც და ეზოებიც, ყველგან იქროს ჭიშკრებია, აქა-იქ ხე — როგორც სიბრძნის, ფესვების სიმბოლო.

მერე გოგა კატმანდუშია, მაიმუნებისა და პაგოდების, მისტიკის ქალაქში. ფული ცოტა აქვს, სადღაც უღამდება და იქვე რჩება დილამდე, ერთი ბანანის იმედად. დილას კი მაიმუნი მოიპარება, კუდის ქიცნით, ქურდულად, შეთქმულის გამომეტყველებით და გოგას



2003 წელი. მცხეთა. ფოტო: რატი გოგარენი

საუზმედ გათვალისწინებულ ბანანს ჰქარავს — „მომპარა და დამე-
თესა, ტო, დამტოვა ეგრე“.

ისევ კატმანდუ. ქორწილია. ქუჩაში სარებიანი ქალებისა და მა-
მაკაცების ჯგუფი მოდის. დღე მზიანია, ქუჩა ვიწრო და ჭრელი,
გამვლელითაც და ჭუჭყითაც. რამდენიმეს მზითევად ლოგინი მია-
ქვს. ლოგინს ზარები და ჯაჭვები ჰქიდია. მექორწილები ქუჩას
მიუყვებიან, ლოგინი უჭირავთ, მიაუღარუნებენ და თან, რაღაცა
რიტმულად მღერიან. გოგა ფოტოს იღებს.

მერე ნაკარების ოჯახი, ნეპალიდან. უხსოვარი დროიდან დამკვი-
დრებული ტრადიციის თანახმად, ხის მთლელები არიან – ხეში შეზრ-
დილები, თითოეული ჯიშის მცოდნენი. ასე ზრდიან შვილებსაც. გოგა
დგას და ნამდვილ სასწაულს უყურებს: ერთ პატარა ნავარას გამო-
ცდას უწყობენ. თვალს აუკრავენ, ძირს დასვამენ და ხის სხვადასხვა
ნაჭრებს დაუყრიან. ბავშვება ხელის შეხებით, ხის ფაქტურის შეგრძ-
ნებით უნდა გამოიცნოს, რომელ ჯიშთან აქვს საქმე. ზის ასე, თვა-
ლებშეხეული. თავი უან გადაუგდია, ციდინ შთაგონების მისაღებად
და საოცრად აღელებული, ერთგვარი ვნებითაც კი, თითებში ხის
ნაჭერს სრესს. გრძნობ, როგორი დაჭიმული აქვს მთელი სხეული.

გოგა სლაიდებს იღებს. ამ ფერებს შემდეგ კინოში გამოიყე-
ნებს. „კატმანდუში ფანტასტიკური ფერებია, საკაიფო პიგმენტები.
ბუდებს ხომ ათასგვარ ტონში ღებავენ. მერე წყიმა მოდის, ფერებს
წარეცხავს და ქალაქი უკვე ფერებში იჩითება. ქუჩებზე შეფერადე-
ბული წყიმის წყალი ჩამოდის. ყველას ვიღებდი — ვინც ხატავდა,
ვინც ხეში თლიდა, ვინც ღებავდა, მერე ეს ფერები მზეზე ბრჭყვია-
ლებდა. მსხვილი პლანი მქონდა აღებული — მარტო ფერის გამოყე-
ნება მინდოდა და იმიტომ“.

ისევ კატმანდუში. გოგას ჯინსი აცვია, ზევით სარი აქვს შემოხ-
ვეული. გაოგნებულია მისტიკით. ქუჩა ვიწრო და დამრეცია. გოგა
მოდის, რეალობისგან განზე მდგომი, ისე, როგორც უკომპასო ადა-

**ისევ კატმანდუ. ქორწილია. ქუჩაში
სარებიანი ქალებისა და მამაკაცების
ჯგუფი მოდის. დღე მზიანია, ქუჩა – ვიწრო
და ჭრელი, გამვლელითაც და ჭუჭყითაც.
მექორწილები ქუჩას მიუყვებიან, ლოგინი
უჭირავთ, მიაუღარუნებენ და თან, რაღაცა
რიტმულად მღერიან. გოგა ფოტოს იღებს.**

მიანი და უცებ ზევიდან ესმის: „გოგაა, გოგაა“. თავიდან ჰეონია,
რომ ეჩვენება. მერე იყურება და სამს ხედავს: გომ მგელაძეს, თეონა
მამფორიას და ლუკას. ჩამოსულან, ნამდვილად აქ არიან, მაგრამ
მაიც არარეალური სურათია.

გოგა „პადოშას“ და რეზო თაბუკაშვილს მწვერვალების დასა-
ლაშქრად არ წაჲყოლია. „ზღვაც ასე მიყვარს, შორიდან, ყურება
მირჩევნია. მთაც. კავკასიის მთები არ დამილაშქრავს და იქ ხო
არ ავტეხავდი წერაყინებით სიარულს? მაგრამ რა, იქაც წავალ,
მთაზეც ავალ. უფრო სწორად, ავალთ, არა, ანკა? აუ, ეს „თ“, რა
— სულ შენიშვნებში ვარ. ვამბობ, მივდივარ და ანკა მისწორებს:
„მივდივართ“. მე კიდე მგონია, ისე ერთინი ვართ, ისე, რომ „თ“-ები
საჭირო აღარ არის“.

ქვემოთ იხილეთ ორიოდე ამბავი იმის დასტურად, თუ რატომ
აღარ არის საჭირო ურთიერთობაში „თ“.



„შენ ანეა მოგაჯადოვა“

ქართველებთან დაახლოებული უცხოელი „კინოშნიკების“ რიცხვი სულ უფრო იზრდება. შარშან ჩამოსულ ნილ ჯორდანს და ნიკ ნოლტს წარმოშობით ბერძენი კინომძერატორი ფედონ პაპა-მაიკლიც შეუერთდა. ფედონმა გოგას ნამუშევარი ნახა და მერე თან წაიყვანა, ჰოლივუდში. გოგა ამერიკიდან ახალი დაბრუნებულია, მაგრამ იქური პროექტების შესახებ ლაპარაკი არ უნდა. „არ მიყვარს ეს ზედმეტი რაღაცები, რა. ცოტა მიტყდება ხოლმე ამაზე ლაპარაკი. ეს კარიერაა, ისტორიები კიდე ცხოვრებაა და სხვაა. ჯერ ისედაც არ ვარ კინომძერატორი. შეიძლება ჰგონიათ, რომ როცა ბევრ ფილმზე უმუშავიათ, უკვე ოპერატორები არიან. არადა, ასე არ არის. მე მინდა, რომ კინომძერატორი გავხდე და დანარჩენი უკვე ჩემს შრომაზეა დამოკიდებული. ფედონმა თან წამიყვანა იმიტომ, რომ დაინახა, მე მართლა მინდოდა სნავლა.

მაღიზიანებს, როცა ჰოლივუდს აძაგებენ. ის ცეხია, სადაც თავ-დაუზოგავად უნდა იმუშაო. მიდი აბა, და გაძელი იმ ცეხში, თუ მა-გარი ხარ. იქ გრძნობ, რომ შენი შრომა ვიღიაცას სჭირდება. თუ არ ხარ მშრომელი, გარემო შეგვამს, შენისთანა იქ მიღიონია და იმიტომ. მესმის, რომ ჯარმუში ფილმების გადასაღებად ფულს ეძებს, ვიღაცა კი, რომელმაც კინოსკოლა მასთან ერთად დაამთავრა და ჰოლივუდში ჩავიდა, ფილმებს უპრობლემოდ იღებს. რა უნდა ქნა, ის არტიკა, ეს ბიზნესი, მაგრამ მაინც პატივსაცემია იმიტომ, რომ შრომაზეა დაფუძნებული“.

თუმცა, რადგან ჰოლივუდზე ლაპარაკი არ გვინდა, ცოტა ხანში კი ყველაფერი ისედაც თავისით გამოვლინდება — შრომის შედეგს ხომ ვეღარავის დავუმალავთ, სჯობს ისევ „თ“-ებს და ანკას დავუბრუნდეთ.

შემთხვევა №1:

„მემფისში ვართ. მუშაობის შემდეგ, შაბათობით ფართი ეწყობოდა. ვცეკვავდით, ვერთობოდით. შესვლა მოსაწვევებით იყო, ყველას არ უშვებდნენ. უცებ, ვხედავ, ერთი ქალი ჩემსკენ მოდის, ვიღაცა ნაშა მოჰყავს. გამაცნოდა მეუბნება, ამას მიხედეო. ალბათ, ჩავვალა, რომ მე „მოშნი“ ტიპი ვარ, რომ არიქა და კარიერას გავუკეთებ, ცხოვრებას ავუწყობ. ნუ, ვიცეკვეთ, გავიცანი და ამ გოგოს ისე გაუსწორდა, რომ ალარაფერი ალარ აინტერესებს – ალარც კინო, ალარც კარიერა. დამთავრდა სალამო და ვეუბნები, აბა, კარგად იყავი-მეტე. ამან ჩემი მეგობრების გაოცება გამოიწვია, მითხრეს კოდეც, შენ ანკაშ აშკარად მოგაჯადოვაო. ახლა რალას იტყვი, კი-დევ არ ვართ ერთი?“

შემთხვევა №2:

ისევ ამერიკა. გოგა გადაღებზეა. ბამბის პლანტაციებში არიან. ასეთი რამე არასდროს უნახავს: „გამოვშტერდი. შესვენებაზე ლან-ჩენზე არ წავედი და დაიზიყე ამ ყვავილების კრეფა, ბამბებს რომ ისხამს. თან ვფიქრობ, ამაზე უკეთესს აქედან ანკას რას ჩავუტან-მეტე. საერთოდ, რთულდა დავფრინავ ხოლმე, სულ რაღაცები მემართება. მაშინაც, ატლანტიში უნდა გადავფრენილიყავი, „დელ-ტას“ კიდევ აერია რაღაცები და ცინცინატიში არ გამიშვეს? ვზი-ვარ და ვგიფები, თბილისში როდის ჩავალ, თან ეს ბამბა მომაქვს, ზოგს ყვავილები ცვივა და მაგრად მიტყდება, ვნერვიულობ. მერე სტიუარდები ბამბის ტოტებით ხელში მნახა. გამოშტერდა, რად გინდაო. მეტქი, ეს ანკასთვის არის. გაგიუდა. პაკეტი მომცა, ჩამიღ-დო, ანკასთან მოკითხვა დამაპარა. საზღვარზეც ასე გამოვატარე, რა. გზაში ყველა მეკითხებოდა, ვისთვის მიგაქვს, ვისთვის. ანკას-თვის, ანკასთვის, ანკასთვის. აჲა, კიდევ იტყვი, რომ არ დავფრინავ შენთან ერთად?“

„სტიუარდესამ ბამბის ტოტებით ხელში მნახა. გამოშტერდა, რად გინდაო. მეტქი, ეს ანკასთვის არის. გაგიუდა. პაკეტი მომცა, ჩამიღ-დო, ანკასთან მოკითხვა დამაპარა.“

ანკა: მერე ამ ყველაფერს ასე კარგად ჰყვება. მეც ვიძინებ და სიზ-მრებში ვხედავ, ეგრე, რა.

გოგა: და ეგრე ვართ, რა.

მერე ასეთ სურათს ვხედავ: ორივე ხომ, ხშირ შემთხვევაში, ობიექ-ტივით უყურებს ცხოვრებას. პოდა, მეც წარმოვიდგენ, როგორ დგა-ნან ანკა და გოგა ერთმანეთის პირისპირ, კამერებით და ერთმანეთს ფოტოს უღებენ. რას ხედავენ?

გოგა: აუ, ისე მე არ გადამიღია შენი ფოტო.

ანკა: რატომ? მე კი.

გოგა: კიო? როდის, ე?

ანკა: ძალიან სასაცილოდ ვიღებდი. ვითომ რაღაცა სხვას ვულებდი, მაგრამ სინამდვილეში გოგას: ფოტოზე ან მის ჩრდილს მოვახვდებ-დი ხოლმე, ან რამე დეტალს, ვთქვათ ფეხს. მარტო მე ვიცოდი, რომ ეს ფოტო გოგასია. რაღაც დაფარული გამოსახულების მსგავსი იყო. ისე კი, გინდა, წარმოვიდგინო, რომ ახლა ვითომ ვდგავარ და გოგას ფოტოს ვულებ და რას ვხედავ? ანუ, როგორია გოგა? რა ვიცი, ახლა უკვე ისეთია, რომ ვეღარ დავახსიათებ.

გოგა: ისე, როგორც საკუთარ თავს ვერ დაახასიათებ, არა?

ანკა: ხო, ზუსტად.

გოგა: ასეა, რა. ერთად ვცხოვრობთ, თან რაღაც იდეები გვაქვს. იდეა ერთად ვითარდება, შრომაში. ყველას ჩემ-ჩემი პახოდეა გვაქს, მე - ჩემი, ანკას - თავისი და რაღაცნაირად ვავსებთ ერთმანეთს.

„არ შეგვანუხოთ, ლაპორატორია დაპავებულია. ისევ!“

...ვისმენდით ამბავს, რომელიც 21-გრადუსიანი ფირის ზედაპირ-ზე დაიწყო, მერე კი წითელ შეუში, აცეტონის სუნში, ქიმიკატებით დალაქებულ ხალათში, მისტიკურ იგავებსა და სიზმრებში გან-ვითარდა. ვისმენდით ამბავს, რომლის დედააზრიც ასეთია: ექებე კომფორტი. კომფორტში გოგა და ანკა არ გულისხმობენ იმას, რომ მათი სამზარეულოს კუთხის საგარენელის დასაჯდომი ჩავარდნილია, არც იმას, ძეველ ტელევიზორს ერთადერთი ფერი — მწვანე რომ დარჩენია და უფრო „ჩამორადიობულა“. კომფორტი შენი „პახოდ-კით“ სიარული და საყვარელი ადამიანის შენით შევსებაა.

ეგრეა, რა.

მანამდე? მანამდე კი, როგორც გახსოვთ, იყო ცხოვრება, რო-მელაც ერქვა, „უშენოდ“. არც ამ ცხოვრებას ნანობს რომელიმე. სიყვარული რამდენჯერმე მოდის, სინანული რა შეუშია. თან შვი-ლები ჰყავთ - 18 წლის სანდრო და 12 წლის მიხო. „მართლა ძალიან კარგი შეილები გვაქს. იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი არიან“, - ამბობს ანკა, - „ოღონდ, მეტი არ გვინდა, რა. ამით დავამთავროთ,“ — მეუბნება და ისევ ისე სხვანაირად, ირიბად იყურება. მერე ჩვეულ პოზას იღებს: ხელები გულზე, ნიკაპი მხარზე, თვალები — გოგასკენ მიმართული. გოგა რაღაცას ჰყვება, როგორც ყოველთვის, ახლაც გადამდებად. მას ყველა უსმენს, პირველ რიგში, ანკა. ეს კი ყველა-ზე მაგარია...

ციმაკურიძის ექვსში – უნინ და დღეს



ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

1996 წელს მხატვარი ირაკლი სუთიძის ოჯახმა ციმაკურიძის ქუჩაზე სახლი იყიდა. ქუჩევან კორძახია, მხატვრის მეუღლე, აღტაცებული ჰყვებოდა, როგორი შესანიშნავი სახლი შეიძინება: ძველი, რიკულებიანი აივნით, და რომ ეს სახლი მე-19 საუკუნეში ძალიან მაგარ ხალხს აუშენებია.

მითებას სიზუსტე არ ახასიათებს – ან რაში სჭირდება? ფაქტი ისაა, რომ ჩვენი დედაქალაქის ძველ უბანში, ჩუღულერითში, დღემდე დგას სახლი, რომელიც მრავალი, მრავალი წლის წინათ თბილისელთათვის რომანტიკული სახელის მქონე ქალს ეკუთვნოდა, ფელიცია მონასტირსკაიას. ის ლამაზი იყო – ცხადია, უშნო ქალის შესახებ ლეგენდა არავის სმენია. ის იყო ჭკვიანი, კეთილი, არცთუ ისე ბედნიერი, მაგრამ ყველას უყვარდა, და ჩუღულერთის რამდენიმე მკვიდრი დღესაც ამტკიცებს, რომ სწორედ მისი წყალობით დაიბადა. ეს უკანასკნელი ამბავი საკმარის საეჭვოა, თუნდაც იმიტომ, რომ დროში ხდება აცდენა, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი...

აი, სწორედ ამ დანარჩენის შესახებ გიამბობთ.

ცოტა არ იყოს, სევდიანი ამბავი

თავისთავად, ეს სახლი ქალაქში არც ყველაზე ძველია და არც ყველაზე ლამაზი. ის ძველი კუკიის უბანში დგას, პატარა ქუჩაზე, რომელსაც მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში „არქიპოვსკი პერეულოება“ ეძახდნენ და რომელიც იმხანად არსენალისა და კრასნოგორსკის ქუჩებს აკავშირებდა ერთმანეთთან. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მას ციმაკურიძის ქუჩა ჰქვია (მათვის, ვინც არ იცის, – მე, მაგალითად, არ ვიცოდა: ციმაკურიძე ყოფილა საბჭოთა მხატვარი, პეტაშისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული რეალისტური ფერწერის ერთოთი ფუძემდებელი).


ორსართულიანი სახლია, აგურისა. ძნელი სათქმელია, როგორ გამოიყურებოდა ის ოდესლაც – ძველი გეგმა არ შემორჩენილა. ერთი კია, რომ მისი სიამაყე, ყველაზე ძველი დეტალი – ხის აივანი, როგორსაც „თბილისურს“ უწოდები ხოლმე, ახლაც ადგილზეა. ასეთებს გარე ფასადზე მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ აღარ აკეთებდნენ. ასე რომ, ნამდვილად საამაყო დეტალია, სახლის ასაკისა და, შესაბამისად, ბატივცემულობის მანიშნებელი.

ასეთ სახლებს, როგორც წესი, არქიტექტორი არ ჰყავდა ხოლმე. მათ აშენებას არავის არავის უკვეთავდა – შეკვეთილი სახლები მონუმენტური იყო, ძვირიც ღირდა. ჩვენი გმირისთანა სახლები, უბრალოდ, ხელოსნების ნაგები იყო. ისე, არც ეს ხელოსნები იყვნენ ხელნამოსაკრავი, თავიანთი დროშები ჰქონდათ და თავიანთი დერბი, მართალია, მხოლოდ 1865 წლამდე, სანამ ხელოსანთა აჯანყება მოხდებოდა, მაგრამ ჩვენი სახლი, როგორც აივანი გვაუწყებს, 1860-მდე აშენდა. შესაბამისად, მთლად დროშიან-ლერბიანთა მიერ ყოფილა ნამოჭიმული!

ჰყვებიან, რომ ეს სახლი ვინმე აპოლონ მონასტირსკიმ ააშენებინა. ჰყვებიან, ეს კაცი ბაქოს რკინიგზაზე მსახურობდა და ისეთი შეძლებული ყოფილა, რომ კიდევ ორი სახლი ჰქონია თბილისში ნამოჭიმული.

რა ქარმა მოიყვანა ქალაქ თბილისში აპოლონ მონასტირსკი, უცნობია. საერთოდ, ბურუსით მოცული პიროვნება ბრძანდება: ბაქოს სახელმწიფო არქივში მის შესახებ არანაირი საბუთი არ გააჩნიათ. „კავკასიურ კალენდარს“ თუ დავუჯერებთ, ის რკინიგზაზე კი არა, ბაქოს საოლქო სასამართლოში მუშაობდა, მაგრამ რად გინდა – არც სასამართლო არქივებშია ნახსენები. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამბავი ნამდვილად ვიცით: რომ აპოლონ მონასტირსკიმ თბილისში, „არქიპოვსკი პერეულოებში“ სახლი ააშენა და რომ მის ცოლს სახელად ფელიცია ერქვა.

ფელიციას ქალიშვილობის გვარი არ ვიცით. არც ის ვიცით,





„მეანი ქალი ფელიცია მონასტირსკაია იღებს ავადმყოფებს და ორსულებს, ყოველდღიურად, შაბათობით – ხელმოკლებს, უფასოდ. აკეთებს მასაჟს. კუკიის მე-9 უბანი, არქიპოვის შესახვევი, სახლი ნომერი 6“.

გათხოვებამდე რა ბედში იყო. ერთი პატარა, ძველი, გაქუცული ფოტოსურათის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, პუტუნა, ქერათმიანი ქალი იყო, გამჭვირვალე, სევდიანი თვალებით. მაინცდამაინც მდიდრულად ჩატარებული არაა, მაგრამ გაჭირვებითაც ნამდვილად არ უჭირდა – სხვა თუ არაფერი, იმხანად ფოტოსურათის გადაღება დიდი ამბავი იქნებოდა, თან საკმაოდ ძვირადღირებული.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ფელიციამ თბილისის სათავადო საადგილმამული ბანკიდან თავისი დაგირავებული სახლი გამოისყიდა, 3000 ვერცხლის მანეთად. იაფი არ გადაუზდია, თავად განსაჯეთ: იმხანად ძროხა თხოვი მანეთი ლირდა და ერთი მანეთი ცხრა გრამ ვერცხლს უტოლდებოდა!

1904 წელს არქიპოვსკი პერეულოვის ექვს ნომერში უკვე სამშობიარო სახლი იყო გახსნილი, და გაზეთმი «Тифлисский листок», 1905 წლის 4 იანვარს, სამშაბათს, განცხადება გამოქვეყნდა: „მეანი ქალი ფელიცია მონასტირსკაია იღებს ავადმყოფებს და ორსულებს, ყოველდღიურად, შაბათობით – ხელმოკლებს, უფასოდ. აკეთებს მასაჟს. კუკიის მე-9 უბანი, არქიპოვის შესახვევი, სახლი ნომერი 6“.

მაგრამ ფელიციას წარმატებული ექიმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე წლის 20 მარტს, თავისი ანგელოზის დღეს, ფელი-

ციას თოთხმეტი წლის ქალიშვილი, კლავდია გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ტიფი ჰქონდა – იმხანად ქალაქში სწორედ ტიფი მძვინვარებდა. ფელიციამ ეს ამბავი ვერ გადაიტანა და თავი მოიკლა. დედა-შვილი ერთად დაკრძალეს, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის სახლოვეს.

ხომ საშინელი ამბავი გიამბეთ?

პარგი ამპავი

მოდით, ახლა სიხარულით შევხედოთ ამჟამად ციმაკურიძის 6-ს, რომელსაც შემდგომში „სახლს“ უწოდებ – რა ამბავია ამდენი მისამართის დაზუსტება! ამ სახლში ხომ ბევრად ნაკლები ადამიანი დაიჩაგრა, ვიდრე გაბედნიერდა. სხვა თუ არაფერი, რამდენი ადამიანი მოევლინა მიწა! ტყუილად კი არ ამტკიცებენ თავმოყვარე ძველი ჩუღურეთელები, რომელთაც მათუსალას ასაკისა და მსგავსების გამო პასუხი დიდად არ მოეთხოვებათ, ჩემი დაბადებისთვის მთლად ფელიცია მონასტირსკაიამ იზრუნაო!

იმის მერე, რაც სამშობიაროს სტატუსი დაკარგა, ამ სახლში უამრავმა ადამიანმა იცხოვრა – მოგეხსენებათ, ნათელ საბჭოთა წლებში დიდად არავის ახარებდნენ. მე კარგად მახსოვს იქ მცხოვრები

ერთი სამაგალითოდ ავი ქალი, რომელიც ბავშვობას მიმწარებდა: იქვე, სიახლოვეში ვცხოვრობდით და ზამთარში ბავშვები ციმაჟურინიძე ციგით ესრითალებდით ხოლმე, და ის მხეცებილი არ გვახარებდა, თოვლს მდუღარეს ასხამდა, თან თავის სახლთან კი არა, შუა ქუჩაში... ახლა კი სახლი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქეთევან კორძახიასა და ირაკლი სუთიძეს ეკუთვნის. იქ, ცხადია, ბაბუაც ცხოვრიბს, შეილიც, რძალიც და კავკასიური ნაგაზი თუთაც, მაგრამ ჩემთვის ეს მაინც ქეთევანის და ირაკლის სახლია. ირაკლი კი ამბობს, მე რა შუაში ვარ, სახლი ქეთიმ გააკეთაო, და ქეთი კი ამტკიცებს, რომ საერთოდ არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც.

სახლი ძალიან ლამაზია, სწორედ ისეთი, როგორზეც ალბათ ყველა ოცნებობს – თან დიდი და თან მყუდრო, თან წვრილბურჯუაზიული სიხარულისა არაფერი სცხია და თან სამაგალითოდ მოვლილია. ჩემი განსაკუთრებული ტრჭობის საგანი სააბაზანოა, კუთხის ოთახი, რომელშიც ალბათ ვერასოდეს გავიხდი – იმხელაა, რომ თავი ქართული ექსპიბიციონიზმის ნათელი სახე მეგონება.

ციმაჟურიძის 6-ის სტუმარი, პირველ რიგში, თვალების ცეცებას ინწყებს. როცა პატარა ყიყავი, მიხსნიდნენ ხოლმე, რომ ეს უზრდელობაა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ოთახი სწორედ იმიტომა მორთული, რომ სტუმარმა თვალები აცეცოს – უჯრებში ხომ არ ძრება, ბოლოს და ბოლოს! თვალის და გულის გასახარელი სახლის შემოსასვლელშივე უხვადაა: იქაურობა ადრეული შუასაუკუნეების მონასტრის ტალანს ჰეგავს, მაღალი, ვიწრო სარკმელით, ხის კიბით და, რასაკვირველია, ირაკლი სუთიძის ნახატებით. ამ სახლის კედლებს რამდენიმე პეტვორეკიც ამშვენებს: ოდესლაც ქეთევანი სწორედ საბნების კერვით არჩენდა ოჯახს. ის ამაყად ჰყვება, რომ ასეთი სანის შეკერვას მხოლოდ სამ საათს ანდომებს ხოლმე. ისეთი ლაბაზებია, მე ნამდგილდ ვერასოდეს გადავითარებდი – ზოგი კი ახერხებს. ალბათ როგორ გიუდებიან საკუთარ თავზე!

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ოთახში ნახავთ ფარდაგებს, უჩვეულო ქოთნებს და ქილებს და მსგავსებს და მსგავსებს, აქ არა-სოდეს გექნებათ იმის შეგრძება, რომ ოთახში მთავარი ნივთია და არა თქვენ. უცებ განვმარტავ: ერთხელ, ერთ შესანიშნავ ხელოვანთან სტუმრობის დროს, ჩემმა თანამგზავრმა მითხრა, რომ მთელს სივრცეში ყველაზე ულამაზო ქმნილებები, პრინციპში, ჩვენ ვიყავით, და ამან ძალიან მომიშალა ნერვები. პოდა, ციმაჟურიძის 6-ში ასეთი რამ აზრადაც არ მოგივათ, ყველაფერი ადამინისტრისაა, და მე დარწმუნებული ვარ – აბსოლუტურად არაფერმინისტური სულისკეთებით – რომ ეს ქეთის დამსახურებაა, მისი ხელოვნება.

მე (შურით): როგორ მოახერხე ამხელა გვიმრების გაზრდა?

ქეთევანი: დილით რომ ავდგები ხოლმე, აი, ასე ვეხვევი და ვეუბნები: „ჩემი ულამაზესო!“

ასეთები რომ ყოველ დილას მიძახო, შეიძლება ისევ დაგინყოზრდა...

... მრავალი წლის წინათ, როცა გალერეა TMS-ში ირაკლი სუთიძემ თავისი ახალი ნამუშევარი მოიტანა, ქეთევანის რეაქციამ ძალიან გამართო: ის დაუფარავად უკმაყოფილო ათვალიერებდა, ჩემი აზრით, მშვენიერ ქალის პორტრეტს.

მე: რას ერჩი, მშვენიერი ნამუშევარია.

ქეთევანი: არ ვარგა. ამას ძავთმიანი ქალები საერთოდ არ გამოსდის.

კომენტარი: ქეთევან კორძახია ულალი გახლავთ.

ირაკლი სუთიძის შესახებ რამის მოყოლა საკმაოდ რთული საქმეა. ის, უპირველეს ყოვლისა, მხატვარია. შესაბამისად, მისი შემოქმედების შესახებ თხრობა ხელოვნებათმცოდნეთათვის მიმინდვია. ისაც, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს აუცილებელი საქმეა – თუ გაინტერესებთ, ნამუშევრები ნახეთ. მე მასთან ამ თემაზე საუბარი არ გამომდის. მაგალითად:

მე: (აღტაცებული) რა მაგარი ჩიტი დაგიხატავს!

ირაკლი: პო. (გახარებული) დეგენერატია.

აჲა!

ირაკლი სუთიძე მეზღაპრეა. ის ხატავს ულამაზეს ქალებს, ჯა-



„ცხოვრება კოლაჟია. ბუნება კოლაჟია. ეს კუნძულიც ისტორიული შრების კოლაჟია, რომლის მთავარი მასალა ადამიანთა სვე-ბეჭი ყოფილა.

ჩემი კოლაჟების ნახვრეტებიდან შევცერი სამყაროს, დანგრეული შენობების ფანჯრებიდან, სადაც ოდესლაც ადამიანები ცხოვრობდენ.

მე საგამოფენო დარბაზი გავაკეთე, რომელსაც დამთვალიერებელი არასოდეს ეყოლება.“

პუსეინ ჰაგვერდი,
აზერბაიჯანელი მოქანდაკე



დოსნურ ცხოველებს, არარსებულ ქალაქებს, კეთილ, თაიგულებით ხელდამშენებულ დევებს და მათ უშნო, მაგრამ გაპრანჭულ და უაღრესად სიმპათიურ ცოლებს... ირაკლი სუთიძეს უყვარს მოგზაურობა, თევზაობა და ცხენები. ერთ ცხენს მეც ვიცნობ, თბილისში ცხოვრობს და თავისი პატრონის პერსონალურ გამოფენაზეც იყო მობრძანებული. მართალია, დარბაზში შესვლა არ ინება, ქუჩაში წინკიდა ბალახს, მაგრამ მანც იქ იყო, როგორც მხატვრის შემოქმედების განუყოფელი ნაწილი. მეორე ცხენი კი, ლურჯა, არასოდეს მინახავს – ის ხევსურეთში ცხოვრობს. მასთან წასვლისას ირაკლიმ უამრავი საჩუქარი მოამზადა: მორთული აღვირი, უნაგირი...

მე: მერე, შენი აქაური ცხენი არ იეჭვიანებს?

ირაკლი: არა მოონია. მე არაფერს ვეტყვი.

მიდი და ენდე ამის მერე მამაკაცებს...

... თავისთავად, უაღრესად სასიამოვნოა, როცა საამაყო მამა გყავს, სახელგანთქმული ქმარი და კარგი შეილი. მეორე მხრივ (ფემინისტი არცერთ ადგილას არ ვარ, სწორად გამიგეთ), ყურს მჭრის ხოლმე, როცა ამბობენ, რომ ქეთი გურამ კორძახიას ქალიშვილია, ირაკლი სუთიძის ცოლი ან გუგა სუთიძის დედა. ქეთი არის ქეთევან კორძახია და მერე კი – იხ. ზემოთ.

ამ ქალბატონის ხელოვნების და ხელოვანების მიმართ დამოკიდებულება ძალიან მართობს ხოლმე. მაგალითად, მისი კლასიფიკაციის თანახმად, არსებობენ სრულიად განსაკუთრებული ჯიშის შემოქმედები: კონცეფციუალისტები (კონცეპტუალისტებში არ აგერიოთ!) და ძუნძგლები. „ძუნძგლის ფაქტურაა მთავარი“ – განმარტავს ქეთი. „ქუჭყიანი კი არაა, ან გაუზრდელი, ან უპატრონო, ან უნიჭო – არა, ძუნძგლია“. ქეთევანი ძუნძგლებზე არ გიუდება.

ბარბარიზმების ტრფიალი არ გახლავართ, მაგრამ იმას, რისი „დედაც“ ქეთევან კორძახია გახდა, მანც ლენდარტს ვუწოდებ და არა „მინის ხელოვნებას“. უცებ ავხსნი: ლენდ-არტი არის ხელოვნება, რომელიც მთავარ მხატვრულ მასალად თუ ობიექტად რეალურად არსებულ პეიზაჟს იყენებს, ანუ ხელოვანი ცდილობს ხელოვნება მუზეუმებიდან და გალერეებიდან გაიტანოს და ბუნებას დაუბრუნოს. ლენდ-არტი დასაბამიდან არსებობდა, ადამიანთა მოდგმის გაჩენიდან, და მისი დღევანდელი ფორმები უძველესი ხელოვნებისაგან დოდად არ განსხვავდება.

ჩემი გულის გასახარად, ლენდ-არტის ხელოვანები არც წამის შეჩერებას ცდილობენ და არც თავიანთი ქმნილებების უკვდავყოფას. ზოგიერთები ამბობენ, ეს ხელოვნება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანს ბუნებისა შურს – თვითონ მოკვდავია, ბუნება კი მასზე გაცილებით დიდხანს ცოცხლობსო, მაგრამ მე ამ ლოგიკას დიდად ვერ მივხვდი.

ოდესაც, გასული საუკუნის სამოცაინ წლებში, ამერიკისა თუ



ევროპის კონტინენტებზე მრავალი ადამიანი გაუდგა გზას. ისინი მოგზაურობდნენ და გზად ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდნენ, ეფემერულ ქანდაკებებს ქვებისგან, ტალაბისგან, მცენარეებისგან, წყლისგან... შესაძლოა, ზოგიერი ნამუშევარი დღემდე შემორჩია და ვინმე ტყეში გადააწყდება კიდეც. ასე რომ, თუ ოდესმე ვინმეს თავში უჩვეულო აზრი დაებადება და კუნძულ ნარგინისკენ აიღებს გეზს, უცნაურად მოხატულ კედლებსა და ნახევრადდანგრეულ შენობებში ჩამალულ ობიექტებს ნახავს. მაგრამ ალბათ ვერასდროს ვერავინ ვერ მიხვდება, რა განიცადეს, რა იგრძნეს და რა დატოვეს „გადარეულმა“ მხატვრებმა ამ უცნაურ ადგილას. „ჩვენც ძალიან ვეცადეთ“ – ამბობს ქეთი. „მე არა, მხატვრები“.

**ქეთი არის ქეთევან კორძახია და მერე კი
– იხ. ზემოთ.**

ალბათ ხევსურეთშიც ვერ გაუგიათ, რას დარბოდნენ ალმა-დალმა ვიღაც უცნაური კაცები, ან ღამით რა ცეცხლს ანთებდნენ, ან წყალში რა უნდოდათ... მაგრამ ლევან დადიანის მიერ არღუნში გადაყრილი და დინების მიერ წალებული ანთებული სანათურე-





სამწუხაროდ, ყველას არ სჯერა.

„დაიჯერეთ. ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ აქ ვართ. ვცოცხლობთ, ვმუშაობთ და გვიხარია.“

ბის მწვრივი ადრესატს ნამდვილად მიაღწევდა: ჩეჩინეთში ვინმე მანიც დაინახვდა მოციალე ნათურებს, წერილს საქართველოდან – და გაუხარდებოდა. ანატორის აკლდამებთან კი კარგახანს იდგა – იქნებ ახლაც დგას? – ხევსურეთისთვის სრულიად უცხო კაცის მიერ დადგმული ფიალა, რომელიც გასულ წელს, ზაფხულში, ვიღაც უცხო ხალხმა მდინარიდან პეშვით ამოტანილი წყლით ააგსო და რომელშიც ვიღაც წითელთმიანმა ქალმა ყვავილები ჩაყარა. ეს უღალი ქალი ქეთი იყო – ამას თავადაც მიხვდებოდთ.

ეს მხოლოდ კავკასიური ლენდ-არტი არაა: ქეთევან კორძახია კავკასიელ ხელოვანთა პოტენციას ყიდის – სწორედ კავკასიელების და არამარტო ქართველებისა. მისი თქმით, ეს მხატვრები მრავალი ათწლეულის განმავლობაში ისე ქმნიდნენ ხელოვნებას, რომ მყიდველზე არ იყვნენ ორიენტირებული, მათი ხელოვნების მნახველი მსოფლიოს ერთი მეექვსედი თუ შეიძლება ყოფილიყო – ისიც, საუკეთესო შემთხვევაში. მოკლედ, დახურულ სივრცეში იყვნენ, კუნძულზე თუ ციხე-სიმაგრეში – როგორც გენებოთ. „და ვინც იქიდან გამოაღწევს, ჩათვალე, რომ „ზონიდან“ გამოაღწია“ – განმარტავს ქეთევანი. „თუ მაგარი ხარ, გაბედე, შედი და უკან გამოსვლაც მოახერხე, დაუმტკიცე შენს თავს, რომ ნამდვილი შემოქმედი ხარ, რომ ყველაფერს გაუძლებ, და რომ ნებისმიერი ექსტრემალური სიტუაცია კი არ გაშინებს, არამედ ძალითა და ენერგიით გავსებს, რომ ყველგან, ყოველთვის შეგიძლია იპოვო სულ პანაწინა რამ, რაც

შეგაძლებინებს სიცოცხლე გააგრძელო.

პრაქტიკულად ყველაზე მძიმე პირობებში, უმძიმესი დამთრგუნველი აურის პრესის ქვეშაც, მხატვარი მხატვრად რჩება და ქმნის.

ქმნის მითს, ცხოვრების ზღაპარს, რომელსაც ყველას უყვება.

ხშირად მას ყურს უგდებენ, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას არ სჯერა.

დაიჯერეთ. ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ აქ ვართ. ვცოცხლობთ, ვმუშაობთ და გვიხარია“.

ციმაკურიძის ექვსი ჩემთვის ამ თეორიის ნათელი დასტურია: პატარა ციხე-სიმაგრე, პატარა კუნძული. მფლობელებს ის ძალიან უყვართ – ცხადია! და როდესაც ერთხელ ვიღაცას ამ უბნის სრულად რეკონსტრუქციის და, შესაბამისად, ციმაკურიძის 6-ის დანგრევის ავადმყოფური აზრი გაუჩინდა, ირაკლი სუთიძემ მშვიდად მითხრა, თოფით ჩაგსაფრდები და ახლოს არავის მოვუშვებო. მე მესმის მისი.

P.S. და თუკი უფრო დაწვრილებით ისურვებთ ამ ამბების გაგებას, მისამართი მოგეხსენებათ: ციმაკურიძის ექვსი. ოდესაც მონასტირ-სკის მიერ აშენებულ კარგ სახლში დღესაც კარგი ხალხი ცხოვრობს – ჯადოსნური სამყაროების შემქმნელები: ირაკლი სუთიძე და ქეთევან კორძახია. ეს სახლი კი მათი ერთობლივი შემოქმედება გახლავთ.



3, Djungel

ანა ერისთავი - სახადავილი



30 ამავრით თბილისობანას

აკა მორჩილაძე

სერიალი

ილუსტრაცია: სოფიო რეხვიაშვილი

გაგრძელება

თავი მეოთხე – ზახოდას მიერ კალმასობისებურად ნალაპარაკევი და სასჯელი, მოთხოვილი ვიღაცის მიერ

ზახოდას არ მოეწონა „კვაჭი კვაჭანტირაძე“. მხოლოდ მესამედი დაძლია: ასე იყო, თათუნამ პირადად შეამოწმა.

ზახოდამ განაცხადა:

– ყველაფრის მკადრებელი კაცია.. იმენნა ყველაფერზე მიდის... ეგეთს ვინ გაახარებს ზონაზე? არ მჯდარა და იმიტო ბლატაობს...

– ზონა ციხეა, ხო? – ჰეითხა თათუნამ.

– ზონა ზონაა, ციხე ციხეა, – სერიოზულად თქვა ზახოდამ, – რო გაგასამართლებენ, ან ციხეზე დაგტოვებენ, თუ ვიშკა გაქ, მაგალითათ, მარა ეხლა ვიშკა ალარ არი, სამუდამო არი. . . თუ არა, და ზონაში... გადაყახარ. კოლონია ქვია სხვანაირად და იქ მოიხდი. არი, ვინც რჩება აბსლუგაზე, თავის ნებით და ის სულ ციხეზეა. ვინც ციხეზე რჩება, ან ქურდი არის, ან, უბრალოთ, ზოგი რეზბალნიცაზე არის... ანდა თუ იმენნა ციხე აქ მისჯილი, ანდა თუ პერესუდს ელოდება...

– რეზბალნიცა რა არი?

– ციხის სავანტყოფოა... იქ უკეთესათა ხარ, პალატაში ცხოვროფ.

– და ისა...

– რომელი...

– მეორე...

– აბსლუგა? ჰოო, – გააგრძელა ზახოდამ, – აბსლუგა არი, რო ციხის მოვლაში მუშაოფ. აი, წიგნები დაგაქ, სხვა რამე კიდე... ოლონც ციხის ცხოვრებით არა ცხოვროფ. ვინც არი აბსლუგაში, იმასთან შენ რო ხარ ციხეზე, საქმე არა გაქ. მაგალითათ, აბსლუგა ქურდთან ვერ მივა, რო პრობლემა მაქსო...

– ქურდი მთავარია, ხო?

– პალაუენია უქირავს. ის არი ზონის მაყურებელი. თუ ქურდი არ არი, სხვა უყურებს, კაი ბიჭი, ავტორიტეტი. ან მაგარი ქურდი ბიჭი... სიტყვას რო ელოდება.

– სიტყვას ელოდება?

– ხო, რო სიტყვას ეტყვიან, ქურდი ხარო. ეგრე, მხარზე მიადებენ ხელს და ვსიო, ქურდია...

– და მერე?

– მერე იქნება ქურდი... – ხელები გაშალა ზახოდამ.

– და რას გააკეთებს?

– იცხოვრებს ქურდულათ... საქმეს გაარჩევს, საქმეს გააკეთებს. პრობლემას მოაგერებს.

– და როგორ უნდა გახდე ქურდი?

– სიტყვა უნდა გითხრან ქურდებმა, რო ქურდი ხარ და ჩვენი ძმა ხარ...

– და მე მეტყვიან?

– ქალზე არ შეილება, – დაირცხვინა ზახოდამ, – ქალი... ქურდის დედა კაი ქალია...

– და შე?

– მე... მე რა, ისეთი პრისტუპნიკი ვარ. პრისტუპნიკი არა ვარ. მე, პროსტო, თუ ჩავჯექი, კაი ბიჭები დამხვდებიან და ჩვენთან წამოხვალო, მეტყვიან... ხარაშნიაქშიო... მე ვარინანტი არ არი, ისე-თი მუხლით შევიდე...

– აბა, ვის ეტყვიან, ქურდი ხარო?

– ვინც სუფთათ იცხოვრა, თან პრისტუპნიკია, ქურდი ბიჭია და თან სუფთა და აეტორიტეტი აქს. არ უბიზია, – შეყოვნდა ზახოდა, – ბოდიში, თამრიკო, ეგრე ითქმის. არ ჩაუშვია, რა, ქურდულ კანონს არ გადასულა თავისი ცხოვრებით და ძლიერია. მაგარი უნდა იყო, რა... სულით ქურდი... ზოგი არი ქურდი, მარა არი ავტორიტეტი ქურდი... თავისით რო ძაბან მაგარია და იმიტო კი არა, რო რახა-მც ქურდია. აი, ჩემი დის ნათლია რო იყო, შალიკო გასპაროვი. რა ნახა იმან ცხოვრებაში? სამი სროკი მოიხადა, სულ ოცდაჩვიდმეტი

წლილინადი. მეორე სროკის მერე გადაიხადა ქორწილი, ცოლი შეიი-თო და ერთ თვეში ისევ წავიდა, თხუთმეტწლიანზე.

– მერე ცოლი?

– მიდიხან სროკზე, ტოვებ. ძველათ ქურდებს ცოლი არ ყავ-დათ.

– და ეს რო გამოვიდა, დახვდა ცოლი?

– დახვდა, არ დახვდა... ქურდი იყო ისევა, ძლიერი ქურდი... საჭმელს არა სჭამდა. მარტო კარაქს და ცოტასაც ყველს ხოლ-მე. მერე დამბლა დეცა და ბოლო სროკი დამბლიანი წავიდა. ორი გაზრდილი ჰყავდა, ორივე ქურდი გახდა მერე. იმათ დაჲყავდათ ხელით და საქმიზე რო ლაპარაკობდა, იმათ ესმოდათ ამის ლაპა-რაკი, სხვას არა. ისინი ამბობდენ, რო ეს თქვა შალიკო ძიამაო და ესეც თავს დაუქრევდა. რო შეიყვანეს ციხეზე ეგრე, დამბლიანი, თელი ხალხი მაგის სახელს ყვიროდა. ეს ორი რო ყავდა გაზდილები, მეორე დღესვე ორივე შეჲყვენ და იქ უვლიდენ. იმ სროკზე მოკვდა მალევე, ერთ თვეში.

– მდაა, – თქვა თათუნამ, – შენ წიგნი უნდა დაწერო ქურდებ-ზე...

– სად ვიცი მაგდენი წერა, – დაირცხვინა ზახოდამ.

– და ესე იგი, ეს ქურდი ზონაში არი როგორც პრეზიდენტი, არა?

– ქურდი შეილება ოცი იყოს ზონაში... პრეზიდენტი ხო ერთია? მარა ვინც არი ძლიერი, ის არი ძლიერი. აბშიაქსაც, რასაც უნდა, იმას უზაბს...

– აბშიაკი რა არის? – არ დაიღალა თათუნა.

– ყველა პატიმარის საერთო ფულია. ყოველთვეში შეაქ... ვინც თამაშოფს, მოიგეფს, წილი შეაქ მაგალითათ, რა... აბარია ერთ კაცს და... იმ ფულზე ის არი პასუხისმგებელი. სულ თან აქ, ძილშიც, აბანოშიც.

– მთელი ფული?

– აბა, მა. ან ქამარი აქ ეგეთი, სქელი. ან ცელოფნისგანა აქ და საროჩკის ქვეშ უდევს. ყველას შეულია მივიდეს და შეამოწმოს, ხო არ აკლიათ...

– და რათ უნდათ ეგ ფული?

– აბშიაკია, რა. დაჭირდა კაცს, აიღოს იქიდან. ქურდს შეულია აიღოს და სულ წაიღოს...

– იფ, რა კარგია?

– აბა ქურდია და...

– უბრალოს?

– უბრალოს ფული რათ უნდა? თუ უნდა, ოჯახს მიწეროს, შემო-მიგზავნეო...

– და, აბა ყველას ნაგროვებ ფულს წაიღებს და ვერავინ ვერა-ფერს იტყვის?

– რა უნდა თქვას, ქურდია... დასჭირდა საქმიზე.

თათუნა დადუმდა. მგონი მობეზრდა ზახოდას სმენა, მაგრამ რაც აინტერესებდა, ის უნდა გაეგო.

– და ყველა ერთად ზის?

– ერთათ, როგორ?

– აი, ციხეში.

– არა. ერთათ როგორ. ქურდი არაკაცებში ხო არ დაჯდება? ქურდის კამერაში...

– და აი, მევლელები სად ზიან?

– მკვლელს გააჩნია. ვინ მოკლა...

– აი, ვაჟებათ მანიაკია. მოკლა ქალი, მერე კაცი, მერე ქალი და დაიჭირეს... გააუპატიურა.

– ხო, – გაეცინა ზახოდას... – დაავიწყებენ იმ თავის მანიაკობას.

– როგორ?

— ყოველდღე სცემენ. სულ ტაბურეტკებს ურთყამენ ცხვირპირში. თვალს გამოთხრიან, ყურს მოაჭრიან.

— რატომ? — შეშინდა თათუნა, — ხო მიუსაჯეს...

— ციხეს თავისი სასჯელი აქს. რა კაცი შესვედი, იციან. აბა, გაუპატიორება რა არი, ქალის მოკვლა რა არი, ბავშვის მოკვლა რა არი? კაცი, ხო, პრიჩინას გააჩნია, ქალის მოკვლა კიდე რა არი? კაცი ხარ და ქალისა ჰქონდა? — ფილოსოფიურად შენიშვნა ზახოდაშ.

თათუნამ ხსენებულ ამბავზე ალარაფერი ჰქითხა და ჯიქურ მაინც შეუტია:

— ტყუილად არ მოგეწონა კვაჭი კვაჭანტირაძე... რა არ მოგეწონა?

ეს გოგო პედაგოგად იყო დაბადებული. ნუ, პირდაპირ უნივერსიტეტის პრიფესორი ქალი. ზუსტად ისეთი, ამერიკულ ფილმებში როგორმე.

— ეგ კაცი არ მომეწონა და მთელი მაგის ბრიგადაც... სულ... — ზახოდამ კვლავ ენაზე იყბინა, — ნიტო ხალხია ეგენი...

— სწორია. ეგ კაცი არ უნდა მოგეწონოს. ვინ გითხრა, უნდა მოგეწონოს? კარგი, რა მოგეწონა?

— სკოლიდან რო ნამოვიდა. მეც ეგრე ნამოვედი... ორი წელიწადი არ მივლია. ატესტატი მაინც მომცეს და დაეწვავდი იქაურობას, ეგ ატესტატიც რო არ მქონდა...

— შენ დროს ჯარი იყო?

— რუსების ჯარი იყო. ის იყო ჯარი, თუ იყო... რუსულიც არ მესმოდა და ორი პრიზივი დავიმაღლე. საქმე იყო აღდრული. მამაჩერ-მმა ძროხა გაყიდა. გადალმით ნაკვეთი გვერნდა, გაყიდა. ისესხა და გააკეთა, რო ინვალიდი ვარ და ერთი შვილი ვარ, რო ვარჩინო. იმ ფულათ საქმეც დაახურინა...

— ამდენ წვალებას, წასულიყავი, სანამ ჩააწყვეთ, ჩამოსული იქნებოდი...

— პაგონები დემერტყა? პაგონებიანს სადღა მევლო, კაი ბიჭობას ვაწვებოდი და ეგრე არ გამოვა, შვილოსან, პაგონიანი რაღა პრისტუპნიკი ხარ? კი მოიპარავ, მაგრამ კაი ბიჭობაზე თავს როგორდა დასდებ?

თათუნას გაელიმა.

რა ცხოვრება? ზახოდასაც კი რაღაც კანონები ბოჭავს. თან, ბავშვობიდან. ზახოდას გასაჭირო... პრობლემებით, რომ იტყვის ხოლმე. ისეთი რამ არის, დაფიქრებად რომ არ ლირდეს? ახლაც იმალება. სულ იმალება. ჩემი და ზახოდას პრობლემები, თითქმის ერთნაირია. მოგვარდება და მერე ყველაფერი ხელახლა... ხელახლა, ხელახლა... რა ხელახლა ამიტყდა?

თათუნას ოდნავ უკვირდა რომ ზახოდა ამდენხანს შემორჩა მათთან.

თანაც, ის ძელებურად კაბინეტში აღარ იყო შეკეტილი. არც ზურას ამხანაგებს ერიდებოდა და, მითუმეტეს, არც თათუნასას.

გოგოებს წყნეთელის გამოჩენა მეტად ახალისებდა.

ვითომ ეკაიფებოდენ, მაგრამ ისე გამოდიოდა, რომ ზახოდა იქით ეკაიფებოდა და მერე თავმდაბლურად, ერთგვარი სიამაყით, ხალიჩას ჩაშტერებული წაიდუღუნებდა, აი, ეგეთი შემჩარავი ღიმილით:

— ვინა... მე, ზახოდას, ქურდის ტოლა კაცს... ვინა, ჩემი კაი...

გოგოები კი, კისკისებდნენ.

ზახოდა ტელეფონთანაც მიდიოდა და ქუჩაშიც გადიოდა. დილით გავიდოდა და საათონახევარში ბრუნდებოდა.

— ჰა, რა ამბავია? — ჰქითხავდა თათუნა, თუ სახლში იყო.

— ჩაბანდებულია თბილისი...

სალამოსაც ერთი ორი საათით დაიკარგებოდა და დაბრუნებული იყივს იმეორებდა:

— მკვდარია. მიორ-ტვილია... პონონტია...

მოკლედ, ჯერჯერობით მათთან ცხოვრობდა.

თათუნა არ ეკითხებოდა ზურას, აქ როდემდე უნდა იყოსო. ზახოდა იმალებოდა. მორჩა და გათავდა. ან ეგბ არც იმალებოდა. თათუნა რალას გაარკვევდა მის ამბავს. ზურა ძელებურად დაქროდა თავის საქმებზე და აღარც ისე ადრე მოდიოდა, როგორც ზახოდას

მათთან ყოფნის პირველ ორ კვირას. ტელევიზორიც კი გამოიტანა კაბინეტიდან საწოლ თახაში. ეგ იყო, რომ შუადღისას, მოულოდნებულად მოვარდებოდა ხოლმე. ეს მოვარდებიც აღარ ჩანდა მოულოდნელი. თათუნასაც აღარ თხოვდა, აქ წამოდი, იქ წამოდიო.

საერთოდ, წყანრად იყო. თავს იკავებდა. ღმერთმა იცის. ბოლო კვირას აღარ აფეთქებულა.

ის მანაკიც არ ჩანდა. უფრო სწორად, მისი ხმა არ ისმოდა.

სამი დღის წინ, ზურამ დიდი შინდისფერი ტელეფონი მოიტანა. ულამაზო წივთი.

— კუხნაში აღარ აიღო, — უთხრა ცოლს, — აი, ეს აიდე. აი, აქ ნომერი დაინერება და ის ნაბიჭვარი თუ იქნება, დაიმახსოვრება...

და კიდევ, ერთი რამე უკვირდა თათუნას. თუკი სადმე წაიღიოდა, შინ დაბრუნებულს, ზახოდა არასოდეს ხედებოდა სახლში. თუმცა, მალევე მოდიოდა. თათუნა ამას იმას მიაწერდა, რომ ზახოდას სახლის გასაღები არ ჰქონდა, მაგრამ... ეჱ, რა იყო ამდენი საფიქრალი?

იმ შუადღით თათუნამ წიგნების დალაგება წამოიწყო: უფრო სწორად, ქვედა თაროებზე უნესრიგოდ შეყრილი წიგნების მტკრისგან წმენდა და წესიერდ შელაგება გადაწყვიტა. სწორედ ამ დალაგების დროს, იატაკზე არცთუ ლამაზად გაფორმებული, თხელყდიანი „მშვიდობით, იარაღ“ გადმოვარდა.

თათუნამ წიგნი განზე გადადო და დალაგებას რომ მორჩა, მიუბრუნდა.

ოდესლაც, მგონი სკოლის დამთავრების წელიწადს წაიკითხა ეს წიგნი და რალაცნაირად, გულსგარეთ. უფრო იმიტომ კითხულობდა, რომ ჰემინგუეის დაწერილი იყო, თორემ ასეთი რომანები არ უყვარდა. ეს იყო ჰემინგუეის პირველი წიგნი, რომელიც წაიკითხა. მერელა მისნედა მოთხოვობებს და გაუკვირდა, მამამ ჯერ „მშვიდობით, იარაღ“ რატომ მომცა და მერე მოთხოვობებიო. მოთხოვობები ხომ ბევრად უკეთესი, თითქმის საუკეთესოც ჩანდა.

ახლა კი მიწოლილიყო სასტუმრო ოთახი, დივანზე და ზერელედ ფურცლავდა. მშვენივრად ახსოვდა: რომანი ერთ უბედურ სიყვარულზე იყო. სრულიად გამოუვალი, უპერსპექტივო ამბავი ამერიკელი ლეიტენანტისა და ინგლისელი მოწყალების დის შესახებ, რომლებიც ჰოსპიტალში შეხვდნენ ერთმანეთს. წინ კი არაფერი. ქეთრინ ბარკლი. ჰო, ქეთრინ ბარკლი. ასე ერქვა ქალს... მგონი, ულალი თმა ჰქონდა.

მამამ რომ ეს წიგნი მისცა, თითქოს ურჩია, უკვე ქალი ხარ, სიყვარული აი, ასეთიც შეიძლება იყოს, ყველაფრთხისთვის მზად იყავიო. საერთოდ, მამა უცნაური და რბილი კაცი იყო. პირდაპირ არასოდეს იტყვიდა რამეს. უარსაც კი ვერასოდეს ამბობდა პირდაპირ. მისი მტკაცე უარი ასე ულერდა: „მდაა, მე მგონია, რომ არ გამოვა.“


თათუნამ წიგნის ბოლო გვერდს ჩახედა. იცოდა, რომ ყველაზე მაგარი ამ წიგნში ბოლო გვერდი იყო, რომელიც ჰემინგუეიმ თითქმის ორმოცდათვეერ დაწერა. მას ფინალის წერა ყველაზე მეტად ეხერებულიდა. ასე იყო. ქეთრინი მშობიარობას გადაცვა, ბავშვიც მკვდარი და ინგლისელი მოწყალების დის შესახებ, რომელიც ერთიგრძელებას და გამოიყენება შეხვდნენ ერთმანეთს. წინ კი არაფერი. ქეთრინ ბარკლი. ჰო, ქეთრინ ბარკლი. ასე ერქვა ქალს... მგონი, ულალი თმა ჰქონდა.

თათუნამ წიგნის ბოლო გვერდს ჩახედა. იცოდა, რომ ყველაზე მაგარი ამ წიგნში ბოლო გვერდი იყო, რომელიც ჰემინგუეიმ თითქმის ორმოცდათვეერ დაწერა. მას ფინალის წერა ყველაზე მეტად ეხერებულიდა. ასე იყო. ქეთრინი მშობიარობას გადაცვა, ბავშვიც მკვდარი და ინგლისელი და მეტავს ლეიტენანტს ექიმი ეუბნება. რა სისულელეა? უნდა წაიკითხო ბოლო წინადადება. საშინელება. სიკვდილი. ცხოვრება. ჯანდაბა. გამოვედიოდ და სასტუმროსაც წავედოდა. ამ კაცს გაეგებოდა და დასასრულის ამბავი. თათუნამ კი დასასრულებელი იყო. იცის, რომ აი, ამ კაცს გაეგებოდა. თვითონაც ისე დასასრულა საკუთარი ცხოვრება, რომ დღემდე სალაპარაკოა. ანდა „ფიქსტას“ დასასრული, ტაქსიდან რომ გადმოდიან მადრიდში და რომ ეუბნება, ჩვენ მშვენიერი წყვილი ვიქენბოდით.

თათუნა შეკრთა, რადგან მიხვდა, რომ წიგნს შემთხვევით არ ფურცლავდა. ახლა ის ველარაფრთ წაიკითხავდა ამ რომანს. ველარაფრით. თვალის ჩაკვრა კი უნდოდა. მიხვდა, რომ უფრო ზურაზე ფიქრობდა, ვიდრე ლეიტენანტ ჰენრიზე. ტყუილად არ გადმოვარდა ეს წიგნი. თათუნას მისტიკა არ უყვარდა.

და სწორედ ამ დროს, ამ საათასა და ამ წუთს, სრულიად შემზარავად გაისმა ტელეფონის ხმა.

თათუნამ უნდოდ შეხედა ნომრების ამომცნობის. მერე ტელეფონ-



თან მიჩოჩდა და ყურმილი აიღო.

— ქალბატონო თამარ!

თათუნამ ტელეფონს დახედა. ასე იყო. იქ ექვსი ციფრი კიაფობდა.

— ქალბატონო თამარ, ვერ მიცანით?

— კი, — უთხრა თათუნამ ადრინდელთან შედარებით თამამად, — მანიაკი არა ხართ? ციხეში რომ მოხვდებით, სულ ტაბურეტკებს გირტყამენ ცხვირ-პირში და ერთ თვალს მაინც გამოგთხრიან...

თვითონაც გაუკვირდა, ასე რომ უთხრა, მაგრამ მანიაკი არ შეეპუა.

— მე ციხეში რა მინდა? ციხეში იდიოტები ხვდებიან. მე ისე ვაკე-თებ საქმეს, რომ ვერავინ მომწვდება. ვერავინ...

— რა გინდა? — თავზე ხელი აიღო თათუნამ. ტელეფონზე მოცი-მციმე ციფრებს უყურებდა.

— თქვენ იარაღი ხომ არ შეიძინეთ, ქალბატონო თამარ? რაღაც გათამამებული ჩანხართ. თუმცა, ქმრის სროლისა და ყაჩალობის უნარიდან გამომდინარე, ეს არავის გაუკვირდება. შეძენაც არ და-

გჭირდებოდათ, — მანიაკმა კვლავ ჩაიცინა. — Ⴢა, მესვრით? გააღეთ თქვენი სახლის კარი, იქ ვდგავარ...

თათუნას ენა ჩაუვარდა.

ეს რომ მობილურების დრო ყოფილიყო, კიდევ უფრო შეეძინდებოდა, მაგრამ ეს არ იყო მობილურების დრო. ამ ჯადოლაქლაქას საოცრებისა ხსნებულ ქალაქში მაშინ ბევრს არაფერი გაეგებოდა.

— ააააა.... შეგეშინდათ, ქალბატონო თამარ? რა თქმა უნდა, არ ვდგავარ თქვენი სახლის კართან, თქვენს მეოთხე სართულზე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გააღებთ კარს და იქ დაგხვდებით... ეს ერთი. მეორე კიდევ ის, რომ დღეს ისე ვრეკავ, თქვენს დასაზვერად. მომდევნო კვირას მორიგ ოპერაციას ვევგმავ. გრანდიოზული აფატვრა! შინაურულად გატყობინებთ, როგორც მიჯნურს. ახლოა ჩვენი შეხვედრის ნამი!

— ჩვენ ვერ შევხვდებით... ვერასდროს, — წაილულლულა თათუნამ.

— ქალბატონო თამარ, — ძალით გადაიხარხა მანიაკმა, — ჩვენ



შეგვიძლია ახლავე შეეხვდეთ. მაგრამ მე ჯერ იმდენი საგმირო საქმე არ ჩამიდენია, რომ ეს გავბედო...

„დაწერილს კითხულობს, მსახიობივით“ – კიდევ ერთხელ გაიფიქრა თათუნამ.

– ეს, ასე ვთქვათ, შესავლისთვის, ქალბატონო თამარ, – ჩახველა მანიაკმა, – ახლა ეს მითხარით, „ელიზაბეტ კრის პროცესი“ თუ მოიძიეთ? ეს სულაშემძვრელი წიგნი. შეასრულეთ ჩემი დავალება?

– არა...

– თქვენ გვინიათ, ეს იოლად ჩაიგლის, ქალბატონო თამარ? – მანიაკს ხმა გაუმკაცრდა, ზუსტად ისე, როგორც მასწავლებლებს უმკაცრდებოდათ მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლებში ოდესალაც. – გვინიათ, მე დაგვალებთ, თქვენ არ შეასრულებთ და მორჩა? თქვენ დაისჯებით, და ყოველი სასჯელი წინაზე მკაცრი იქნება... ახლა მისმინეთ... ხვალ დილით სადარბაზოში ჩახვალო და

საგაზეთო ყუთს გახსნით. თქვენს საგაზეთო ყუთს... იქ კონვერტს ნახავთ, კონვერტში თქვენი სასჯელია... ჩემს მიერ აფატრული მეძავის ყური... შემოვინახე! და კიდევ ბევრი რამ მაქვს შემონახული! ჩახვალო! დილით! თერთმეტის ნახევრიდან თერთმეტამდე და თქვენს სასჯელს აიღებთ.

საგაზეთო ყუთი... ალბათ, წლებია არავის უხმარია. არავის და არასდროს, წლები კი არა. ექვსი თვე იქნებოდა, თათუნა და ზურა აქ ცხოვრობდნენ. თბილისში ალარვინ მოიხმარდა სადარბაზოებში საბჭოთა დროიდან დარჩენილ საგაზეთო ყუთებს. გაზეთებს არავინ იწერდა. ჰქონდათ საერთოდ ყუთი? ან თუ ჰქონდათ, გასაღები არსებობდა?

– რატომ დადუმდით, ქალბატონო თამარ?

– გაზეთების ყუთი... არ მაქვს, – თათუნა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ დაუწყო ახსნა მანიაკს.



— გაქვთ, როგორ არა გაქვთ, ქალბატონი თამარ. ნომერი ორმოცდათოთხმეტი. თქვენი ბინა ხომ ორმოცდათოთხმეტია? ყოველ შემთხვევაში, კარს ასე აწერია. და ყუთიც, თუმცა გაუბედურებული, მაგრამ მაინც არის... ასე რომ, ეგეთები არ გაგივათ.

— გასაღები არ მაქეს...

— ჰმ, გაზეთების ყუთს რა გაღება უნდა, — ხველებ-ხველებით ჩაიხითხითა მანიაქმა, — თავს ნუ ისაწყლებთ. ამას უფრო დიდი სასჯელი მოჰყვება... პირდაპირ, არ ვიცი, რატომ გეტრფით ასე... თქვენი წრის ადამიანები ყოველთვის მძულდა... რაც კი რამ საზიზლრობაა თბილისმი...

და უცებ, თათუნამ ვეღარ მოითმინა:

— აქ ადარ დარეკოთ... მე თქვენი ტელეფონის ნომერი ვიცი!.. მერე დუმილი იყო.

მერე კი... მანიაკი თითქოს არ შეშინებულა:

— ეგ არაფერს ცვლის... არც ისეთი სულელი ვარ, რომ ამ ნომრით რამეს მიაღწიოთ... თქვენ დაისჯებით, მეცარად... ჩაუჯექით იმ კვირის კრიმინალურ ქრონიკას. მე არ დაგზარდებით, შეგატყობინებთ... მანამდე კი კონვერტი გელით...

თათუნას გააურჟოლა.

მოჭრილი ყური, კონვერტი... რა იდიოტობაა. საზიზლრობაა...

რა უნდა ქნას? ზურას უნდა უთხრას, მეტი არაფერი. მაგრამ მაშინ ნომერიც უნდა უთხრას. ნომერი? კი, ახსოვს ნომერი. მაგრამ ზურას რომ ნომერს ეტყვის...

თათუნამ ვეღარ გაიგო, ზურას უფრო ეშინოდა, თუ მანიაკის. უცნაურია?

მერე ზახოდა შინ დარჩა, ზურა და თათუნა კი კოკას ცოლის, მარიკას დაბადების დღეზე წავიდნენ.

— აქა ვარ, სტოროვათ, — გამოაცილა ზახოდამ.

რაღაცნაირი დღე იყო. საშინლად დაინყო და მძიმედ მთავრდებოდა, ძლიერსძლიერი ბოთ.

თათუნას მანიაკის დაბრუნების შესახებ არაფერი უთქვამს ზურასთვის. კარგა ხანს ვერ დაიძინა და მერე თავისი პატარა, ლურჯ-ქუდანი ლამის ნათურა აათო.

რა თქმა უნდა, ნერვიულობდა. ერთი კი იფიქრა, საერთოდ არ შევხედავ იმ გაზეთების ყუთსო, მაგრამ როცა ნარმოლებინა, რომ იქ წლობით უნდა დებულიყო საბრალო რუსი მეძავის ყური და სადარბაზოში ყოველი გავლა-გამოვლისას ეს უნდა გახსენებოდა, კინალამ გული აერია. სხვა გზა კი კიდევ უფრო საშინელი იყო: როგორ უნდა მოეკიდა ხელი კონვერტისთვის, რომელშიც ერთი თვის წინათ მოკლული ადამიანის ყური იდო? საერთოდ, არსებობდა ეს ისტორია? ესეც ვერ გაერკევია თათუნას. ისიც კი გაიფიქრა, კონვერტს პირდაპირ ბენგერში ჩავაგდებო. თუმცა, იმისაც არ სკურიდა, რომ ყუთში რაიმე დაუხვდებოდა. მაშინ რატომ გადაწყვიტა სადარბაზოში ჩასვლა?

აქ მიღებულია — გასაჭირს სმით ებრძეიან. ასე გაიფიქრა თათუნამ, რომელმაც იცოდა, რომ ვერაფრით დაიძინებდა.

ერთი ვისკი ხომ არ დამერტყა? ამის გაფიქრებისთანავე გაელიმა. რა სისულელეა? ჯერესერთი, საზიზლრობაა, მეორეც, ძილის წამალი ჯობია. რამე, დამაშვიდებელი.

თუმცა, თათუნას კიდევ ჰქონდა ერთი წამალი. წამალი სიმხევი-სა და ჭირსა შიგან გამაგრებისა, რომელსაც სასთუმალთან, უჯრაში ინახავდა. ეს იყო ერთი პატარა წიგნი.

თათუნა გადაშლიდა და წაიკითხავდა ხოლმე ბოლო ორ წინადადებას: „— და რა უნდა ვჭამოთ ამ ორმოცდახუთ დღეს?

და პოლკოვნიკმა მიუგო ისე ამაყად, როგორც არასდროს:

— ნებიო.

აი, ამას წაიკითხავდა თამარ მეგრელიშვილი და მშვიდებოდა.

სხვისთვის უცნაური იქნებოდა.

და ახლაც, თათუნა უჯრას გადასწვდა და წიგნი ამოიღო. ამ წიგნს „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ ერქვა.

თათუნა უყურებდა წიგნის ბოლო ფურცელს და მის იმედად იყო.

ხო, ასეა: უარესი და უარესი იქნება. უარესსა და უარესში უნდა იცხოვორო. აუცილებელი არ არის, რომ გარშემო აღარ ისვრიან. კარგი მაინც არაფერი მოხდება. ჩევენი ტოლია... ის, ვინც რეკავს. ჩევენი ტოლია. მაგრამ საიდან მოაქვს ასეთი წინადადებები? ნამდვილად, დაწერილს კითხულობს. სიტყვა უწყდება ხოლმე, და მერე ტონსაც იცვლის. როგორ შეყვოვნდება ხოლმე... ზურა რას იზამს?

ზურას ეძინა. განიერი მხრები ჰქონდა. ზამთარ-ზაფხულ ასე და-ეგდებოდა ხოლმე, ტრუსების ამარა.

ყოველთვის თათუნაზე ადრე ეძინებოდა, რალაცნაირად, სწრაფად და უცნაურად. სწორედ იმ დროს, ფილმებში რომ ერთად მწოლარე ქალი და კაცი ლაპარაკს იწყებენ. თუმცა, ფილმები ხომ სისულელეა?

სხვებს როგორ აეწყოთ ეს საქმე, თათუნამ არ იცოდა. ალბათ, ყველას თავისებურად. რა დროს ამაზე ფიქრი იყო?

„ნებიო“ — ამ სიტყვას უყურებდა და ამაზე ფიქრში ჩაეძინა.



თავი მეხუთე, ემილი და კიდევ რამდენიმე ამბავი

ამის მოთხოვას სხვას არავის დაგანებებ, ვინაიდან მე ვიცი, როგორ მოვყვე.

კი ელამ იცის.

თათუნა ზურას ხმამ გააღვიძა.

უფრო სწორად რომ ვთქვა, ზურა და ერთი უღალთმანვერიანი, ამ უღალ თმასა და წვერში სითეთრეშეპარული, ღიპიანი კაცი მღე-როდნენ.

ზურას საყვარელი მუსიკის ხმა სამზარეულოდან საწოლამდე აღწევდა.

როგ მუსიკაში, თუ პოპ მუსიკაში თათუნა სუსტი იყო, მაგრამ მიხვდა, რომ ის ჭალარა, ბებერი ბიჭი გალობდა, სიმღერისას ნერვიულად რომ გაიქნეს ხოლმე ხელს და ძალიან ჩვეულებრივად რომ აცვია. ეს მომღერალი ერთხელ ზურამ დაანახა ტელევიზორში და ზუხრა, აი, კაცი ეს არისო.

ჯო კოკერზეა ლაპარაკი, ოლონდაც თათუნა არ იმახსოვრებდა მომღერლების სახელებს. თათუნას მაღერი და სმეტანა (კომპოზიტორი და არა რძის ნაწარმი) მოსწონდა.

ზურა და ეს კაცი ერთად მღეროდნენ სამზარეულოში.

ზახოდა სკამზე გადამჯდარიყო და საზურგეზე ჩამოყრდნობილი ჭამდა კარაქს და პურს. ასეთი ჯდომა იციდა ჩვენმა ზახოდამ გა-შინაურების ჟამს.

– კუკლუშ, ძილქუში?

– დღეები არის რაღაცნაირი, – თქვა ზახოდამ და ბრაზით გახედა

იმ მოწყობილობას, საიდანაც მისტერ კოკერი კვლავაც მღეროდა. – სულ მეც მეძინება, ზამთარი მოდის...

– რა დროს ზამთარია? – გაიკერიგა ზურამ, – ზამთრის გეშინია, თათუნ? ჩამობნელდება, ქუჩაში მანიაკები ივლიან... სულ მანიაკები...

– ჰოოოო, გიჯუბი... — დაურთო ზახოდამ. – მაინც მოვა ზამთარი... კაი ფეჩითან რო ზიხარ...

– უ! – შეპკივლა უცებ თათუნამ. – რომელი საათია?!

– თორმეტის ათი წუთია... რა იყო? – წარბი შეკრა ზურამ.

– არაფერი, – აღმოხდა თათუნსა. – რამდენი მძინებია...

– გეძინოს, თამრიკო... ძილი არა სჯობია ამ ცხოვრების ყურებას? – ცოლ-ქმარი დაამშვიდა ზახოდამ.

ბრძენი კაცი იყო. თქვენმა კიკილამ ადრიდანვე იცოდა ეს ამბავი, მაგრამ თათუნამ ხმო არ იცოდა?

– ადე, ადე... დავაი, წავედით, – წამოაგდო ზურამ წყნეთელი. – მაგვიანდება... შენც ხო უნდა დაგტოვო... მიდიხარ სადმე, კუკლუშ?

თათუნას ათიდან ცხრა შემთხვევაში ერთი პასუხი ჰქონდა:

– რა ვიცი... დედაჩემთან...

ზახოდა უკვე ზღურბლზე იდგა, როცა ზურა უცებ შემოტრიალდა და თათუნას ძალიან ნელა და ფრთხილად თავზე გადაუსვა ხელი.

– ცუდად ხო არა ხარ, კუკლუშ?.. არ მომწონხარ. გუშინაც, იქ მაგარი მოწყენილი იყავი...

– დაბადების დღეებზე ვიღლები...
 – ეს ვინ შემხვდა კაცოუ! – ნაუგლებურა ზურამ. – ეგეთი რბილი,
 ეგეთი თბილი, ეგეთი მოწყენილი... წავედი, ხო? ჭკვიანად იყავი.
 და შუბლზე აკოცა. სწრაფად, ქარივით.
 თათუნა სამზარეულოში გამობრუნდა.
 ერთხანს ისე იჯდა, რომ ყავაც ვერ დალია.
 დაიგვიანა?
 იმ მანიკამა ხო დრო დაუთქვა.
 მერე რა?
 ქალები ყოველთვის აგვიანებენ.
 რა სისულელეა...
 რატომ აგვიანებენ?
 აგვიანებენო...
 თათუნამ უკრა გამოსწია და სუფრის ჩვეულებრივი დანა
 ამოილო.
 ამით გავალებ.
 ღმერთო, რა ნომერია ჩვენი გაზეთების ყუთი?
 ჩვენი ბინა რა ნომერია?
 ღმერთო, რა ნომერია ჩვენი ბინა?
 ორმოცდაორი.
 არა, ორმოცდათორმეტი.
 ხო, ორმოცდათორმეტი.
 თათუნამ გასაღები აიღო და სადარბაზოში გავიდა.
 სასაცილო იყო, დანით და გასაღებით ხელში.
 კიბეზე ნელა ჩადიოდა, ნარმოუდგენლად ფრთხილად. ეგონა,
 რომ ყოველ სართულზე ვიღაც ელოდა.
 რამდენ ხანს უნდა იარო მეოთხედან პირველ სართულამდე?
 ძმანო, თბილისურ-დიასახლისურად ეცვა: ცისფერი კიმონო, ზედ
 ამოქარგული საკურას რტოებით, შლოპანცები და მეტი არც არა-
 ფერი.

ჩამოშლილი წაბლისფერი თმა, ვარდისფერი კანჭები და ეს ბლა-
 გვი დანა ხელში.

სახლში ამობრუნებული ფიქრობდა, რას ვგავდიო. იმ ბიჭს რომ
 სულ ერთი ბეწო იუმორის გრძნობა ჰქონოდა, ან რა ვიცი, ოდნავ
 თაგშეუკავებელი ყოფილიყო, პირში შემომცინებდაო.

იუმორის გრძნობა როგორ არ ექნებოდა: ერთი ცოცხალი და
 საზრიანი ვინდე ჩანდა. კიკილას არ ესწავლება. გაეძრობან ხოლმე
 ასეთი ვინები, სრულიად მოულოდნელად და სრულიად საჭირო
 ვითარებაში.

მანამდე კი ისე იყო, რომ, როცა კი თათუნამ კიბე ჩაათავა, იხი-
 ლა:

ვიღაცას საოჯახო ოჩოფეხი გაუშლია, ზედ ამძვრალა და შუა
 სადარბაზოში კაბელებში ჩხირკედელაობს.

უუუუუშ...

თათუნას ყოველთვის ეშინოდა ამ საზარლად ჩამოშლილი ვაბე-
 ლების. ეს ვიღაც კი ამძვრალა და ხელებს ატრიალებს საშიშ ადგი-
 ლებში.

ხელოსანს არ ჰგავდა.

პიჟამო ეცვა და ჩაკეცილი ესპადრილები.

ჩვენებური სადარბაზო. დიახ. კაცმა მოიცალა. იწესრიგებს ელე-
 ქტროგაყვანილობას.

„მეზობელი იქნება“ – სწორედ ასე გაიფიქრებდა თათუნა, –
 „სირცხვილია, არცერთ მეზობელს არ ვიცნობ. ისე, მანიაკი თუ მი-
 თვალთვალებს, ვერ შემომბედავს...“

და დიასახლისმა სამოქალაქო ომის დროიდან გაუქმებული საგა-
 ზეთო ყუთების პირქუშ რიგს დაუწყო თვალიერება...

რას იპიოდა?

ნომერი აღარცერთს ეტყობოდა და გვარი.

– ბოდიში, – უქნიდან ხრინნიანი ხმა მოესმა – ბოდიში... რას
 ექებთ?...

გაგრძელება შემდეგ ნომერში ■

წიგნი, უურნალი, ბროშურა, მოსაწვევი, ბლაკატი



...15 წუთში იქნება მზარ

დეგაპრინტი
 თბილისი, ვირსალაძის 8
 ტელ.: 99 50 07, 99 88 43
 ფაქსი: 99 56 81
 ელ-ფოსტა: degaprint@caucasus.net





Espress yourself

გამოავლინე შენი თავი

შენი

ნიჭი

საუკეთესო

მხრიდან.

შენ და ლავაცა

სრულყოფილი ბინომი.

შესთავაზე შენს თავს

საუკეთესო ყავა-ესპრესო.

ლავაცა წარმოგიდგენთ

საუკუნოვან გამოცდილებას,

საუკეთესო ყავის შენარევების

დაუვინწყარ არომატს.

აღმოაჩინე შენთვის

ლავაცას

სამყარო.

LAVAZZA
ITALY'S FAVOURITE COFFEE



Web

Did you mean: **SERGI GVARJALADZE**

Yes!

1. ბავშვობა, პირველი საჩუქარი. [სერგი გვარჯალაძე](#) / გავლენები...
2. სერუანტი. [სერგი გვარჯალაძე](#) / აღმოსავლური კულტურა ჰაშიშებით...
3. ნაციონალური მოძრაობა. [სერგი გვარჯალაძე](#) / შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან
4. ჯგუფი „სახლი“. [სერგი გვარჯალაძე](#) / „როკი სმოკი და...“
5. „ეს მეორე არხია“. [სერგი გვარჯალაძე](#) / პრეზერვატივი...
6. ნიქ ქეივი პირდაპირ ეთერში. [სერგი გვარჯალაძე](#) / „შოუბიზ–დაიჯესტი“ რევოლუცია...
7. უხარისხო დემოები ბიტლების დედაქალაქში. ლივერპული. [სერგი გვარჯალაძე](#) / ჯგუფი იშლება...
8. გერმანია. ენის კურსები. ცოლი. [სერგი გვარჯალაძე](#) / თბილისში ომია...
9. უურნალისტი. [სერგი გვარჯალაძე](#) / უნივერსიტეტი. დიპლომი...
10. „არის კონტაქტი?“ [სერგი გვარჯალაძე](#) / არის კონტაქტი! <http://www.komuna.ge>
11. მასმედია. [სერგი გვარჯალაძე](#) / „ADJARA MUSICHALL“...
12. ისევ ხალხის სამსახურში. [სერგი გვარჯალაძე](#) / დასაქმებული საზოგადოება. <http://www.vakansia.ge>
13. მალე ორმოცი წლის გახდება. [სერგი გვარჯალაძე](#) / ტელეეთერიდან მიდის...
14. სიურპრიზი. [სერგი გვარჯალაძე](#) / სულ მინდოდა მეთქვა...



Did you mean: [sergi gvarjaladze](#)



[1990 წელი, სტუდიური სესიები](#) [New Discipline-ta.](#)

1. ბავშვობა, პირველი საჩუქარი. სერგი გვარჯალაძე / გავლენები

ყველაფრის ლაიტმოტივი მაინც მუსიკა იყო, რამაც იდეოლოგია, საყრდენი ჩამოაყალიბა, რაზეც 13-14 წლის ბიჭის ოცნებები, თავგადასავლები და მომავალი უნდა აგებულიყო. ამის შემდეგ რადიკალური ცვლილება არ მომხდარა, ის უკვე ზრდასრული ადამიანი იყო. ყველაფერი ოჯახიდან დაწყო, დედა მუსიკის მასნავლებელი გახლდათ, 60-იანი წლების წარმომადგენელი და, შესაბამისად, აქედან იღებდა სათავეს ლიბერალური მუსიკით გატაცება, რაც საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, „ბიტლზის“ სახით შემოვიდა. დედის, მეგობრების წყალობით, მის სახლში ხშირი იყო უცხოეთიდან ჩამოგანილი ჩანაწერები. მაშინ ამას „გიპტი პლასტინკებს“ ეძახდნენ. მერე იყო პირველი საჩუქარი: ჰკითხეს, რა გინდა? მან თქვა და ბაბინებიანი მაგნიტოფონი უყიდეს. ყველაზე დიდი გავლენა უნია მაჭვარიანის გადაცემა „ეს ესტრადა“ მოახდინა, რომელსაც სერგი რეგულარულად იწერდა. ეს ბაბინები დღემდე შემორჩია. უნიას გადაცემის წყალობით უზარმაზარ ინფორმაციას იღებდა; მუსიკას ვიზუალური მასალაც ახლდა და ამიტომ ეს გადაცემა მისთვის ერთგვარ სარკმელად იქცა, საიდანაც სხვა კულტურულის დანახვა შესაძლებელი ხდებოდა.

... ეს ის დრო იყო, როცა ახალი ტალა, ახალი რომანტიზმი შემოვიდა, – ბრაიან ფერი, თავისი ძალიან დახვეწილი რომანტიკული ვიდეო კლიპებით. ერთ-ერთი იყო მისი „ეველონი“, ათი წლის მანძილზე რომ აქტიურად ტრიალებდა. ეს იყო დახვეწილი, ფრაკში გამოწყობილი, მაკიაჟიანი მამაკაცი, ცივი გამომეტყველებით. ხშირად უწინდებოდა სურვილი, რომ მას დამსგავსებოდა.

... როდესაც ინფორმაციის მიიღების საშუალება არ გაქვს, ალტერნატიულ წყაროებს ექვება. ეს წყარო ისევ და ისევ რადიო იყო. თბილისში რისი საშუალება იყო? არაბულებრივანი რადიო „მონტე-კარლო“, რომელიც ბერიუთიდან მოდიოდა. იქ, კვირაში ერთხელ ეთერი ჰიტპარადებს ეთმობოდა; „რადიო თავისუფლება“, რომელზეც ერთი გადაცემა იყო თანამედროვე მუსიკაზე და, უურნალი „როვესნიკი“, რომელიც მას გამოწერილი ჰქონდა და სულმოუთქმელად ელოდა. სკოლიდან დაბრუნებული, ფოსტის კუთისკენ გარბოდა. ეს იყო არტიომ ტროიცკის სტატიები, რომელიც მიუხედავად ცენზურისა, მაინც ახერხებდა უახლესი ინფორმაციის მოწოდებას. გავა დრო და, სერგი თავის გურუს შეხვდება და დაუმეგობრდება.

2. სერგანტი. სერგი გვარჯალაძე / აღმოსავლური კულტურა ჰაშიშებით

მერე იყო ჯარი (1986-88 წლები), მისთვის უცხო სამყარო. როცა მიცეკვიჩის კომისარიატი დაიწვა, უამრავი საბუთი განადგურდა და, შესაბამისად, არც სერგი გვარჯალაძე გახსენდია ვინმეს. იმდროინდელ შეყვარებულთან უაზრო შელაპარაკების გამო, სერგი პროტესტის ნიშანად, არმიის რიგებში საჯეთარი ნებით ჩაეწერა. ვაკეში სითბოსა და სიყვარულში გამოზრდილი ახალგაზრდა, აზერბაიჯანულ ნაწილში გაგზავნეს, სადაც რადიოსადგურის ხელმძღვანელი გახდა. ეს იყო მოძრავი რადიოსადგური, რომელსაც ეკიპაჟის სამი-ოთხი წევრი ჰყავდა. ამით საშუალება გაჩნდა, აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონებში გადაადგილებულიყვნენ. დააყენებდნენ ხოლმე ამ სადგურს და სასწაულმოქმედი ანტენების წყალობით, ყველაფრის „დაჭერა“ შეეძლოთ: ბაქოდან ზოგჯერ თბილისის ტაქსის მძღოლების საუპარს ისმენდნენ, მუსიკა ულევი და საოცრება – ირანის საზღვრიდან დაჭერილი „მტრული“ რადიოსადგურები.

„არაჩეულებრივი გამოცდილება იყო. აქ უპირატესობა ვაჟაპობას ენიჭებოდა, ოლონდ არა ქუჩურს. ასეთ დროს ბევრ რაღაცასთან გინევს ბრძოლა და თან, ყალიბდები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. დაიწყო კოლექტივთან ურთიერთობის სწავლა.“ ის სერგანტი იყო და ამ სამხედრო ერთეულის ენ. „სტარშინა“. გამოცდილებასთან ერთად, შესაძლებლობა მიეცა, რომ უზარმაზარი ქვეყანა ენახა, რომელიც ერთიმეორისაგან რადიკალურად განსხვავებული კუთხეებით იყო მდიდარი.

სერუანტი სერგი გვარჯალაძე შეუა აზიაში მიავლინეს: ყაზახეთიდან ჯარისკაცები უნდა ჩამოეყვანა. მარტო გაუშვეს და „პაიოკი“ მისცეს, ქართველმა ბიჭებმა სერიოზული თანხა – 200 მანეთი შეუგროვეს. დავალება ასეთი იყო: როგორც გინდა, ისე ჩადი. მთავარია, ამა და ამ რიცვში იქ იყო.

გზა: თურქმენეთი, უზბეკეთი, თავისი სამარყანდებით და ბუხარებით. სერგიმ მგზავრობისას გაიცნო პროფესიონალი კლოუნი – ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მოძრავ ცირკში მუშაობდა. საუცხოო კოსტიუმების გარემოცვაში, სერუანტმა ორი-სამი დღე დაბჟყო და შესაბამისად, მთელი აღმოსავლური კულტურა აღმოჩნდინა, თავისი ჰაშიშებით. ეს იმდენად ძლიერი გამოცდილება იყო, რომ ვერაძროს იფიქრებდა, თუ საბჭოთაში მსგავსი შთაბეჭდილების მიღებას შეძლებდა.

სხვადასხვა ეროვნების ხალხის გაცნობამ, გარკვეული სტერეოტიპებიც დაუწერია: თურმე უზბეკი სულაც არ არის „ჩუქჩა“ და არც აზერბაიჯანელია განუვითარებელი.



3. ნაციონალური მოძრაობა. სერგი გვარჯალაძე / შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან

ჯარიდან დაბრუნებულს, განსხვავებული ქვეყანა ხვდება. ნაციონალური მოძრაობა აქტიურ-დება. ეს შესაძლებელი ყოფილა! გარდაქმაში მონაწილეობა სერგიმ ალტერნატიული გზით მიიღო.

გაჩნდა გაერთიანებების ჩამოყალიბების მცდელობა. მან თავი მოუყარა ქიშო გლუნჩაძეს, ლადო ბურდულს, ჯგუფ „ჯუკბოქსი“, დადა დადანს და მის ჯგუფს „ტაქსი“ და თავისი გეგმები გააცნო. იმ პერიოდში, სრულიად შემთხვევით, ბარათაშვილის ხიდზე მდებარე კლუბში, მოღუნებულმა კომკავშირლებმა რატომდაც გადაწყვიტეს, რომ იქ დისკოთეკაც უნდა იყოს და თემატური საძამოებიც უნდა გაიმართოს. სერგი კლუბის DJ. გახდა, თუმცა DJ.-ს იმსანად სულ სხვა განმარტება ჰქონდა.

და სწორედ კლუბის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დაისვა საკითხი: საქართველოში არსებობენ როკ-ჯგუფები, ტარდება ფესტივალებიც (1980 წელს პირველი როკ-ფესტივალი ჩატარდა და საჭოთა კავშირში როგოს პლატფორმად თბილისც მოიაზრებოდა), მოღვაწენებენ სერიოზული მუსიკოსები; მათ შორის, ვალერი კაჩაროვის ჯგუფი, რომელმაც იმ პერიოდში „გასვლა“ და ინგლისში აღიარების მოპოვება მოახერხა (ერთ-ერთი საუკეთესო „ბიტლზ ქავერ“ ჯგუფი). ეს ყველაფერი არსებობს და რა ვქნათ?

გადაწყდა: როკ-ასოციაციის შექმნა. თავიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ გაერთიანებით საკუთარ ინდივიდუალობას დაკარგავდნენ. ყოველ შემთხვევაში, ურთიერთობა შედგა, მუსიკოსები მონაცვლეობით სხვადასხვა ჯგუფებში უკრავდნენ. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან ტელევიზიონი მათ არავინ ეძახდა, ყურადღების მიქცევა კი ჰაერივით საჭირო იყო.

... ერთ დღესაც, ქიშო გლუნჩაძემ თავისი დანგრეული მოტოციკლეტით სერგის გაუარა და უთხრა: ახლა ზვიად გამსახურდიასთან მივდივართ, ქართულ როკზე უნდა დაველაპარაკოთო. გამონაბოლექვისაგან სულ მთლად გაშავებულებმა და უცნაურად შემოსილებმა, რასაკვირველია, ყურადღება მიიპყრეს.

... საღამო იყო, როცა კოლეურ კოშებს მიადგნენ. გამსახურდია გულითადად შეხვდა მათ წინადაღებას და იმწუთასევ კულტურის მინისტრს დაუკავშირდნენ, რათა ახალბედა როკერებისთვის დახმარების ხელი გაეწვდინათ. რეალურად, ახალგაზრდებს ჩამოყალიბებული კონცეფცია არც ჰქონიათ, მათ მოთხოვნა ადულებული სისხლით იყო ნაკარნახევი: ვიღაც ამ აღიაროს, რომ ასეთი ჯგუფები არსებობს.


4. ჯგუფი „სახლი“. სერგი გვარჯალაძე/ „როკი სმოკი და...“

დარეჯან გულიაშვილს რადიოგადაცემა, სახელწოდებით „როკი ნაშუალამევს“ მიჰყავდა, სადაც „აუტსაიდერებს“ იწვევდა და სათქმელის გამოთქმის საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდისთვის სერგი ჯგუფ „სახლში“ მოღვაწეობდა. დარეჯან გულიაშვილთან მიპატიუებულმა, ახალი იდეები გამოიტვა, რასაც ორწლიანი რადიოეთერი მოჰყვა. ამ გადაცემას დაემატა „როკი სმოკი და...“. ეს იყო ცოცხალი გადაცემა და ალბათ „კომუნიკატორის“ ერთ-ერთი საწყისი ვერსია. მსმენელს საშუალება ჰქონდა, რომ პირდაპირ ეთერში დაერევა. ეს სერიოზული გარდატეხა იყო. ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა: თურმე ქუთასიშიც რაღაც ხდებოდა. გამოჩნდა რობი კუხიანიძე.

მალე ქუთასი როკ-მუსიკოსების ასპარეზად იქცა. იქ მუსიკოსები ერთად ჩადიოდნენ. მათ თეატრის შენობას უთმობდნენ. ჯგუფი „ტაქსი“ კონცერტს ყველგან მართავდა, სადაც კი ამის საშუალება ჩინდებოდა.



მიუნსტერი, 1996 წელი. სახლის სტუდია.



1992 წელი, მუ-2 არხის სტუდია.



მიუნისტერი. ჯგუფ „SOMEBODY“-ის ფოტო სესიები.

5. „ეს მეორე არხია“. სერგი გვარჯალაძე / პრეზერვატივი

და უეცრად, გაჩნდა იდეა, რომ პირველ არხზე დაიწყოს გადაცემა, სადაც თავიდან ბოლო-მდე ვიდეო კლიპები გავა. მაშინ ეს წარმოუდგენელი იყო. და აქაც სერგი გვარჯალაძე ჩნდება. გარკვეული დროის შემდეგ, ყველაფერი ეწყობა და გადაცემა, სახელწოდებით „ძაბო“ (ძალიან პოპულარული), ეთერში! ერთ-ერთი რედაქტორის ძმა გერმანიაში ცხოვრობდა, რომელიც MTV-ს ჩანაწერებს გზავნიდა.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად, ტელეეკანალზე „Depeche mode“ ჩნდება, ერთი-მეორეს ენაცვლება ცხელ-ცხელი ინფორმაცია. რეიტინგი ისედაც მაღალია, რადგან მხოლოდ ორი არხი არსებობს.

„ეს მეორე არხია, მე ვარ სერგი გვარჯალაძე“. CNN-ზე მოსმენილი ფრაზა გაიმეორეს, გადააკეთეს და ეს ერთგვარი საეგზიტო ბარათი გახდა არხისთვის, რომელსაც მართალია მეორე ერქვა, თუმცა ახალგაზრდების ცნობიერებაში ის დღემდე პირველობის ასოციაციას უკავშირდება. ახალგაზრდულ არხად გადაკეთებულ სისტემებზე იფიციონზი არ არსებობდა. ეთერში სერგი გვარჯალაძე იჯდა, რომლის ლეგენდარული ფრაზა პაროლი იყო; პაროლი – საოპერატოროსთვის, რაც იმას ნიშავდა, რომ ახალი კლიპი უნდა გაეშვათ.

მერე იყო რევოლუცია – პირდაპირ ეთერში პრეზერვატივი გამოჩნდა. ეს ისე, უბრალოდ მოხდა. წამყვანს რაც ჯიბეში ედო, ამოილო და სხვებსაც აჩვენა. და უეცრად, საზოგადოება დაფიქტირდა: თურმე ამაზე საუბარი შეიძლება.

6. ნიქ ქეივი პირდაპირ ეთერში. სერგი გვარჯალაძე / „შოუბიზ-დაიჯესტი“. რევოლუცია.

ცნობიერება იცვლებოდა. ერთ აღტაცებას მეორე მოსდევდა. დუღდა ახალგაზრდული ენერგია და აი ისიც, „შოუბიზ-დაიჯესტის“ ეპოქა. სერგი გვარჯალაძე, გოგიტა მეცხოვრიშვილი, დათო ლეგუავა, გიორგი ჩაგუნავა და კიდევ უამრავი სხვა, ანუ ყველა, ვისაც „გაუკვალავში“ ყოფნის ეგზოტიკა ხიბლავდა.

ეს ის პერიოდია, ირაკლი ჩარკვიანი კიოლნიდან რომ დაბრუნდა და ყველა დროის საუკეთესო ალბომი ჩამოიტანა – „Svan Songs“; ეს ის პერიოდია, როცა კოტე ყუბანეიშვილის რეაქტიული პოეზიის მთელი სერია ინერება. მოდის დასავლური სიახლეებისა და ნიქ ქეივის მუსიკის ხანა.

„შოუბიზ-დაიჯესტის“ რეაქტიული მოძრაობის რეპორტის როლი დაეკისრა. მართალია, ცოცხალი ჩანაწერები არ იყო სათანადო ხარისხის, მაგრამ იყო ახალი ენერგია და მუჟტი.

დადა დადინინის აგარაკეზე, არაგვის პირას საცხოვრებლად გადასული „ანდერგრაუნდი“, ახალ-ახალ „წალმებს“ ამზადებდა და აფეთქებაც დროული იყო.

7. უხარისხო დემოები ბიტლების ქალაქში. ლივერპული. სერგი გვარჯალაძე/ ჯგუფი იშლება

მოსკოვში მოხდა პუტჩი. გარკვეული ხნის შემდეგ, გორკის პარკში დიდი კონცერტი უნდა გამართულიყო. მონაწილეობის მიღება ქართველებსაც შესთავაზეს. სერგი გვარჯალაძე, ჯგუფ „გრენეტიურ“ კოდითან“ ერთად, 40 ათასი მაყურებლის წინაშე აღმოჩნდა. მათ ნომერს, რომელშიც რეჩიტატიული ჩანართიც იყო, დიდი ამბავი მოჰყვა. ქართველები ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ჯგუფი იმხანად საუკეთესო რადიოსადგურ „ევროპა პლიუსში“ მიიწვიეს და მთელი რიგი დაპირებები ალუთქვეს. მაგრამ ისინი მოსკოვით არ მოხიბლულან და პეტერბურგს გაემგზავრნენ.

თბილისში, უკვე ომის წინაპირობა იყო. სამშობლოში დაბრუნებული ჯგუფი ისეთ განწყობაზე იყო, რომ ვერაფერი შეაჩერებდა. მათ წასასვლელად გზა უნდა ეპოგათ. მაგრამ როგორ?

ჯგუფ „ბლიცის“ წევრები ლივერპულის საპატიო მოქალაქეები გახდნენ. ეს უნიკალური შემთხვევა იყო და ლამის მაკარტინისაც კი შეხვდენენ. „ბიტლის საუკეთესო ვერსია მსოფლიოში“, – ასე უწოდებდნენ მათ. ბიჭიკო სასიმოვი (დასარტყამი ინსტრუმენტები) მაშინ „ბლიციდან“ წამოსული იყო, მაგრამ საპატიო მოქალაქის სტატუსა ატარებდა. ის სერგის ჯგუფში გადავიდა. მისი ფუნქცია, რა თქმა უნდა, დასარტყამ ინსტრუმენტზე შესრულება იყო, მაგრამ, ამგვდრიოულად, ის ახალგაზრდებს საქართველოდან გასვლაში უნდა დახმარებოდა. ბიჭიკომ ინგლისში თავის მეგობრებს მისწერა, რომ ახალი ჯგუფი ჰყავს და სურს, რომ მათთან ერთად ეწვიოს ინგლისს. თანხმობის მიღების შემდეგ, ხმისჩამწერ სტუდია „მელოდიაში“ სასწრაფოდ ჩაინერა დემო. ჩანაწერი ცუდი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჩანდა. ახლა ფულის პრობლემა გაჩნდა! სრულიად მოულოდნელად, ერთ-ერთ ლატარიას რეკლამის დამზადება დასჭირდა და შეკვეთა სწორედ სერგის და მის მეგობარს მისცეს. რეკლამა დამზადდა, მაგრამ დანაპირები პონორარი იგვიანებდა. გარკვეული დროის შემდეგ, ვითარების

გასარკვევად მისულ ბიჭებს უჩვეულო სანახაობა დასვდათ: ლატარიის ჯგუფი ლაგდება და გარბის. მუსიკოსები დგანან და კუთხილ ჰონორარს ითხოვენ. გასაქცევად გამზადებულმა ფირმამ იფიქრა შარს არ გადაგყარონ, არ შევფერხდეთო, და მოულოდნელად ფულით სავსე ხურჯინი გამოიტანეს: არ ვიცით რამდენია, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ბევრად მეტია, რაც უნდა მოგვეცაო და მანეთიანების და სამმანეთიანების შეკვრა გამოატანეს. გაირკვა, რომ ექვსი კაცის ბილეთს თავისუფლად შეიძენენ, და თითოს 500-500 ფუნტიც შეხვდება!

მართალია, ლივერპული კარგია – ბოლოსდაბოლოს, „პიტლზის“ ქალაქია, მაგრამ ძალიან მალე მათ აღარც ფული ჰქონდათ და აღარც რეალური შანსი.

მერე, ისევ მოულოდნელად, უცნაური ნარკოტიკების მოყვარული ექსცენტრული მენეჯერი გაჩნდა. ნელ-ნელა საქმე აწყო, კონცერტების პერსპექტივაც გამოჩნდა. ისინი რადიოში მიიწვიეს, სადაც ხელმძღვანელობას ის კლაპი უჩვენეს, რომელიც ოდესლაც მეორე არხზე იყო გადაღებული. კლიპის ხარისხი ძალიან ცუდი იყო, მაგრამ იქ ამაში რაღაც სიახლე დაინახეს.

მენეჯერმა დამიტრიმ ქართველებს ჯგუფი „Echo & the Bunny Men“ გააცნო. მათი შეთავაზებით, სერგის ჯგუფი პორტის მახლობლად, მიტოვებულ შენობაში დასახლდა და დემოს ჩაწერის საშუალებაც გაჩნდა. ფაქტობრივად, ბაკუნა ნოზაძესთან ერთად, ერთ ღამეში ჩაიწერა ახალი სიმღერები, მათ შორის „Es un amor“-იც. მერე იყო მანჩესტერი. ზოგჯერ საჭმელი შემოაკლებოდათ ხოლმე. ალეკო გეგეშიძე ქუჩაში უკრავდა და ექვსი კაცი ამით ცხოვრობდა. ხუთ ფუნტად ოცი კილო კარტოფილი მოდიოდა. მრავალფეროვნებისთვის კი, დილით მრგვალად იჭრებოდა, საღამოს სამუჟოთხედ ფორმას აძლევდნენ.

მოკლედ, ყველაფერი მოგვარდა. ამ პერიოდში სერგიმ მომავალი მეუღლე, იუტა გაიცნო. როგორც კი საქმე აწყო და ფული გაჩნდა, ყველამ თავისი მოთხოვნები წამოავენა. ამ შემთხვევაში, საუკეთესო გადაწყეტილება მიიღეს: ჯგუფი მშვიდობიანად დაიშალა.



1997 წელი. ვენეცია.

8. გერმანია. ენის კურსები. ცოლი. სერგი გვარჯალაძე / თბილისში ომია.

ზოგი ევროპაში გაიფანტა, სხვები ამერიკაში გაემგზავრნენ. სერგი ცოტა ხნით თბილისში დაბრუნდა, მაგრამ მალევე გერმანიაში, ცოლთან წავიდა.

ყველაზე რთული ენის სწავლა იყო. მან ხომ ერთი სიტყვაც კი არ იცოდა. ამ საქმეში მას იუტა და ენის კურსები ეხმარებოდნენ. მაგრამ მუსიკა?

სრულიად შემთხვევით, გაზეთში ინფორმაცია აღმოაჩინეს, რომ რომელილაც ჯგუფი ვოკალისტს ეძებდა. პირველივე ზარისთანავე, შეხვედრა დაუთქვეს. სერგი მივიდა და „Es un amor“ მოასმენინა. ჰყითხეს, შენი გაკეთებულია? უპასუხა, რომ თანაავტორია. სერგი გვარჯალაძის ბედი იმთავითვე გადაწყდა.

მიტოვებული ქარხნის შენობა, თავისი სარეპეტიციოებით და ელექტრონული მუსიკა. აქ ყველა ჯურის ადამიანი იყრიდა თავს: აფრიკელები, პანკები, ნიგერიული ეთნოჯგუფები და კოლექტურად იქმნებოდა პროდუქცია. მის თვალწინ სულ სხვა კულტურა გადაიშალა, ისევე როგორც ერთ დროს აღმოსავლეთში, მოძრავი ცირკის მსახიობების გარემოცვაში. აქ ნარკოტიკებიც ახალი და უჩვეულო იყო – მაგალითად ექსტაზი. გაჭიმული ეკრანები და ათასგარი გამოსახულება. ასე იწყება. იქ ვიღაც გეგოთხება, რისი კეთება შეგიძლია, ცდილობენ რაღაც მოგიძებნონ, თან ენა როცა არ იცი, ხელს გინყბობენ. ეს ის პერიოდია, როცა სერგი ინტერნეტით დაინტერესდა და ინტერნეტ-გვერდებს აკეთებდა. მაშინ ეს უახლესი მოვლენა იყო, ინტერნეტი ყველამ არ იცოდა. როდესაც ესპანურ და ფრანგულ რესტორანს ვებ გვერდი გაუკეთა და თან პატარა ანიმაციაც მიაყოლა, გაგიუდნენ. ეს ხომ 1997 წელია, ინტერნეტი ცოტამ თუ იცის.

ამით დაიწყო. მუშაობოდა ყველგან: ქარხანაშიც და კაფეშიც. იქ ყველა შრომობს და ყველანირი შრომა ფასდება. საღამოს განტვირთვაც შეგიძლია, მუსიკას აკეთებ. ბავშვებს ერთმანეთს უტოვებენ, ძალიან ადამიანური სიტუაციაა. პარალელურად, თბილისიდან საშინელი ამბები მოდის. სხვებისგან განსხვავებით, სერგი გვარჯალაძეს ემიგრაცია არ გაჭირვებია ერთი მარტივი მიზეზის გამო: ის ნებისმიერ ადამიანთან კონტაქტისთვის მზად იყო! და კიდევ, იყო მუსიკა, ცხოვრების ლაიტმორტივი. ხალხთან ურთიერთობა ისევ ბავშვობაში მოსმენილი დისკების წყალობით ხდებოდა. უკვირდათ, სერგი ხომ იმ ქვეყნიდან იყო, სადაც ინფორმაციის მოპოვება რისკს უკავშირდებოდა.



1997 წელი. უნივერსიტეტი. მიუნისტერი.

9. ურნალისტი. სერგი გვარჯალაძე / უნივერსიტეტი. დიპლომი

მერე კამერა ჩაუვარდა ხელში. გადაიღო კლიპი, ნახეს და თხოვნით ტელე-რადიო სადაც მიიღოანეს, სადაც სერგის მეგობარს დამოუკიდებელ მუსიკაზე გადაცემა მიჰყავდა. მას თანამშრომლობა სთხოვეს. სერგიმ უარი თქვა, რადგან იმ დროს ენის კურსებს აქტიურად

2000 წელი. გავიპტო.



ესწრებოდა და გერმანულს სათანადოდ ვერ ფლობდა. ისინი კი აქცენტში ხედავდნენ ხიბლს და საბოლოოდ, სერგის თანხმობაც მიიღეს. იქ მუშაობა წებისმიერ სუპერვარსკვლავთან შეხვედრის გარანტია იყო. ხმის ჩამწერი სტუდიებისთვის ეს გადაცემა „ანდერგრაუნდის“ პირდაპირი სამიზნე გახლდათ.

MTV-ს ერთ-ერთ დაჯილდოვებაზე ჯარვის კოკერმა (ჯგუფი „Pulp“) პირდაპირ ეთერში თქვა: ვერ ხვდებით, რომ მაიც ჯექსონი ბელოფილია. ამაზე ერთი ამბავი ატყყდა, ჯარიმები და მითემა-მოთქმა. ეს ჯგუფი ინტერვიუს აღარ იძლეოდა. სერგიმ მაინც მოსინჯა და ჯგუფს ინტერვიუ სთხოვა. მას ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გოგონა შეხვდა, რომელიც კლავიშებიან ინსტრუმენტზე უკავდა. საუბარი უინტერესოდ წარიმართა. უეცრად კარი გაიღო და შემოვიდა ჯარვის კოკერი, რომელმაც გოგონას რაღაც ჰკითხა. სერგის შანსის გაშვება არ უნდოდა და დიალოგის დასაწყებად ფეხბურთის თემა მოიშველია. წინა დღეს, ინგლისის გუნდმა გერმანიასთან თამაში წააგო. ჯგუფ „Pulp“-ის სოლისტიც, შესაბამისად, ცუდ გუნებაზე იყო.

– რატომ ხართ ცუდ ხასიათზე? – რამენაირად ხომ უნდა დალაპარაკებოდა.

– შენ ხომ ხარ კარგ ხასიათზე? – კითხვა შეუბრუნა კოკერმა, – მოგვიგეთ!

ორი-სამი კვირის წინ, გერმანიასთან საქართველომაც წააგო და აქედან გამომდინარე, სერგიმაც გულისტკივილი გამოთქვა. სოლისტს, რომელსაც გერმანელის ნაცვლად, ქართველი შერჩა, საქართველოს შესახებ ენციკლოპედიური ინფორმაცია თუ ჰქონდა. საბოლოოდ კი ჩაიწერა ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც სერგი გვარჯალაძემ ძალიან ძვირად გაყიდა.

უერნალისტური ცხოვრებით გატაცებულმა უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ საორგანიზაციო საქმე აინტერესებს. ჯგუფი ძალიან საინტერესო იყო. მასში ერთიანდებოდნენ არაბები, ალჟირელები... რამდენიმე ხანში, ერთი ალჟირელი ბიჭი თავისი რეპორტაჟების გამო მოკლეს.

10. „არის კონტაქტი?“ სერგი გვარჯალაძე / არის კონტაქტი! www.komuna.ge

სადიპლომოს წერის დროს, სერგის გადაადგილება უწევდა ხოლმე და ერთ დღესაც, სრულიად მოულოდნელად, ამსტერდამის აეროპორტში ზაზა შენგელის (ტელევიზიის ხელმძღვანელი) შეხვდა, რომელმაც იდეების განხორციელებაში დახმარება აღუთქვა.

დიპლომის თემა იყო ყოველდღიური თოქ-ჰოუ. სერგიმ ლექტორს შესთავაზა, რომ დიპლომი ფურცელზე კი არა, ვიზუალური ფორმით მოემზადებინა.

ეს „კომუნიკატორი“ იყო – დასავლეთისთვის წარმოუდგენლად დაბალ ფასებში დამზადებული დეკორაცია და უმაღლესი რეიტინგი.

აქაც გაჩნდა ფრაზა, ლეგენდარული – „არის კონტაქტი“. ეს გააზრებული პროექტი იყო. სერგი კვლავინდებულად აღმოჩნდა იქ, სადაც ყოფნა დროული და საჭირო იყო. საზოგადოება ტაბუირებულ თემებზე აღაპარაკდა. ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდნენ, როცა მეორე გადაცემაშივე გოგონა საკუთარი ძმის შეყვარების შესახებ საუბრობდა. ხალხს საუბრის სურვილი ჰქონდა და სწორედ „კომუნიკატორს“ გამოუცხადეს ნდობა. ამ გადაცემამ



2001 წელი. კომუნიკატორის სტუდია.



2001 წელი. კომუნიკატორის სტუდია.

ყველაზე კარგად იმუშავა პირველ არხზე. რუსთავი 2-ზე ეს გადაცემა ხანძოკლე აღმოჩნდა.

ერთ-ერთ გაზიერში „კომუნიკატორის“ დახურვის შესახებ სტატია დაიბეჭდა. ფაქტობრივად, ამ ერთშა სტატიამ რეიტინგის არარსებობის შესახებ მთელი ტალღა ააგორა. სერგი გვარჯალაძემ იგრძნო, რომ ქვეყანაში კიდევ ერთი ახალი ეპოქა იწყება: როცა მასმედია ძალაუფლებას იგდებს ხელში, მას იმის პოტენცია აქვს, რომ გაგანადგუროს.

11. მასმედია. სერგი გვარჯალაძე / „ADJARA MUSIC HALL“

ადამიანი გამოცდილებას ახალი პროექტების შემთხვევაში იყენებს ხოლმე. მთელს კავკასიაში ყველაზე საუკეთესო ტექნიკით უზრუნველყოფილი კლუბი გაჩნდა და სერგიც იქვე იყო, ახალი მედიუმის შესაქმნელად და საზოგადოებასთან საურთიერთოდ.

12. ისევ ხალხის სამსახურში. სერგი გვარჯალაძე/დასაქმებული საზოგადოება. www.vakansia.ge

დროის ადექვატური ადამიანი, რომელიც გამუდმიებით ახლის მოლოდინშია, მზად არის ნებისმიერი ცვლილებისთვის. მოწოდებით საზოგადოებრივი ტელევიზიის მსახურს გადაცემა „ვაკანსიით“, რომელიც საზოგადოებრივ არხზე კვირაში სამჯერ გადის, ამჯერად ხალხის დასაქმება აქვს გადაწყვეტილი: „დამთავრდა კომუნიზმის ხანა, შენ არც სახელმწიფო გა-განაწილებს სამსახურში და ვერც მამის მეგობარი გიშველის. ერთადერთი გამოსავალი ამ დაპნეულობაში ის არის, რომ ორიენტირები და სტიმული არ დაკარგო. უნდა მოიგონო ახალი პროფესია, გაითვალისწინო, თუ რა გეზი აქვს აღებული ქვეყანას და შენც ამის შესაბამისად უნდა იმოქმედო. ბოლო ორ თვეში შესანქშნავად შევისავლე ჩვენი ერის ხასიათი. ჩვენთან ყველანაირი ადამიანი მოდის. ჩვენ გვიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი, გვიჭირს კონკრეტიკა. ამასაც ვსწავლოთ.“

ის სულაც არ თვლის, რომ საერო საქმეს აკეთებს: ასეთი ფიქრი – მარაზმია, ამბობს. ახლანდელ გადაცემაში მისი, როგორც წამყვანის ფუნქციები, მინიმუმამდეა დაყვანილი.



13. მალე ორმოცი წლის გახდება. სერგი გვარჯალაძე / ტელეეთერიდან მიღის.

გნებავთ გულის გადაშლა დაარქვით, გნებავთ „ლირიული ინტერმეცია“, მაგრამ სერგი გვარჯალაძე თვლის, რომ ნელ-ნელა უნდა წავიდეს ეთერიდან:

„სამ წელიწადში 40 წლის ვიქენები. 40 წლის ადამიანი შეიძლება იყოს საინფორმაციო გადაცემის, ან შეუადლის თოქ-შოუს წამყვანი და ბანალურ თემებზე დინჯად უნდა ისაუბროს. ახლა უკვე ის მაინტერესებს, თუ რა ხდება კადრს მიღმა.“

კომუნა. 2000 წელი.



2001 წელი. კომუნიკატორის სტუდია.

სიახლე არის ის, რაც ხალხს იმწუთას სჭირდება, ახლის კეთება რისკიც არის და ყოველ-დღიური უსიამოვნებების წყაროც. ბოლოს და ბოლოს, ყველანაირი ადამიანი არსებობს. ზოგიერთი გირევას და გულის გასატეს რაღაცას გეუბნება, მაგრამ ექიმივით ეჩვევი ყველაფერს, სხვანაირად არც შეიძლება.

საქართველოში ყველა სფეროში იმდენი რამეა გასაკეთებელი, რომ სიახლე არ იღევა. ეს შეიძლება სხვა ქვეყნებშია ძველი და რუტინული, თორებმ აქაურობა ჯერ უამრავი სიახლის მოლოდინშია. ცოტა ხნის წინ, არც არავის ეგონა, წიგნების მაღაზიები და ლიტერატურული კაფეები თუ გაამართლებდა. შეიძლება ისნი ამჯერად წაგებაზე მუშაობენ, მაგრამ ჩნდება ახალი მოთხოვნები, ახალი პროფესიები, რაც გარემოს რეალურად ცვლის. უსიამოვნებები ყოველდღიურად გეხვდება, მაგრამ ამას დრო და მყარად დგომა სჭირდება.

ტელევიზიით ჩვენ სულ მტრებზე ვსაუბრობთ. ჩემი ოცნებაა, რომ ალარასოდეს ვახსენოთ სიტყვა „მტერი“...

14. სიურპრიზი. სერგი გვარჯალაძე / სულ მინდოდა მეთქვა.

ბევრი ვიფიქრე, ნეტავი, როგორი უნდა იყოს ბოლოსიტყვაობა?!

ის, რაც ამწუთას აზრად მომდის, ვიცი, შეიძლება ბანალურიც ალმოჩნდეს. ვერც ისეთ ვებ გვერდს ვიხსენებ, გამოსავალი რომ ვიპოვო... ანდა იყოს:



2002 წელი. რუსთავი 2

<http://www.mydarlingsergi.hot>

[Search within results](#) | [Language Tools](#) | [Search Tips](#) | [Dissatisfied?](#) [Help us improve](#)

[Google Home](#) - [Advertising Programs](#) - [Business Solutions](#) - [About Google](#)

©2005 Google

PANTENE



ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



სერტიფიცირებულია



ამინო + Pro-V კომპლექსი



ადამიანი-საუკუნე

ლენი რიფენშტალი

ჭორებსა თუ დავუჯერებთ, ლენი რიფენ-შტალი ადოლფ ჰიტლერის საყვარელი ბრძანდებოდა. ნუ ვენდობით ჭორებს! მითუმეტეს, რომ ლენის ჯანსაღი მამაკაცები, სპორტსმენები და მფრინავები მოსწონდა და საერთოდ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბევრად უფრო საინტერესოა თავად ეს ქალი, რომლის შესახებაც მეოცე საუკუნეში იმდენი ილაპარაკეს, იმდენი იდავეს, რომ, მგონი, ასე საერთოდ არავის და არაფრის შესახებ არ უდავიათ.

ცხადია, ლენი რიფენშტალის ცხოვრების ამბავი არც ჰოლივუდს დარჩენია უყურადღებოდ. ჯოდი ფოსტერს რიფენშტალის მემუარების კინოვერსიის გადაღებაც უნდოდა, მაგრამ ვერ გადაიღო: ლენი რიფენშტალი ცოცხალი იყო, ას წელს მიტანებულიც სავსებით საღად აზროვნებდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში მრავალ უსიამოვნო სასამართლო პროცესზე დასწრების შემდეგ, აღარ დათანხმდა იმაზე, რომ პირმშვენიერ ჯოდის მისთვის ცხოვრების დარჩენილი წლები ათასგვარი ბინძური ჭორითა თუ ბრალდებით ჩაემწარებინა: “ამას ხომ მეც სიამოვნებით გადავიღებდი. ჯოდი ფოსტერსაც ძალიან ვაფასებ. მაგრამ როცა საქმე ადვოკატების მიერ შედგენილ ხელშეკრულებებზე მიდგა, აღმოვაჩინე, რომ სიცრუის შემთხვევებში ვერც ვერაფერს გავაწყობდი და ვერც ვერაფერს ავიცილებდი თავიდან. ამის დაშვება კი ნამდვილად არ შემეძლო”.

მე რატომ გამიხარდა ეს ამბავი, არ ვიცი. თუმცა, ვიცი: იმიტომ, რომ ლენი ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს ადამიანად მიმაჩნია – მისი პოლიტიკური მრწაშია, თქვენ ნარმოიდგინეთ, შემოქმედებაც კი ნაკლებად მადარდებს – თავად ლენით ვარ აღტაცებული. ჩემთვის ის ძველგერმანული ეპოსის გმირივითაა – წმინდა ადამიანური თვალ-საზრისით არც გმირები იქცევიან ხოლმე უზადოდ, მაგრამ მაინც გმირები არიან, და საერთოდ, მტერმა იცხოვროს გმირის გარეშე, და ჩემი გმირები თავად ჯოდი ფოსტერის ხელნამოსაკრავადაც არ მიმაჩნია.

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი



1902 წლის 22 აგვისტოს, ბერლინში, ერთი მდიდარი კომერსანტის ოჯახში დაიბადა ჰელენე ბერტა რიფენშტალი, დიდად პატივმოყვარე, ძლიერი ნებისყოფის და საოცნებო გარეგნობის მქონე გოგონა. როგორც კი ოდნავ წამოიზარდა, მაშინვე ბრძოლა დაიწყო: მშობლებს არაფრით არ უნდოდათ, რომ მათი მშვენიერი ასული მოცეკვავე გამხდარიყო, ასულს კი უნდოდა და ერთგან წავიკითხე, ბერლინის ზოოპარკში მოცეკვავე ოთხი წლის ლენის ირგვლივ უზარმზარი ბრბო იკრიბებოდა ხოლმე და გოგონას მხოლოდ პოლიციის ჩარევის შემდეგ თუ აოკებდნენო. კლასიკური ბალეტზე სიარული ძალიან გვიან, 19 წლისამ დაიწყო. ჩვეულებრივ, ბავშვებს ამ როგორ ხელოვნებას ექვს წლამდე აზიარებდნენ, მაგრამ ლენი მაინც ყველაზე კარგად ცეკვავდა.

სულ მალე მოცეკვავე ლენი რიფენშტალმა არამარტო ბერლინის, არამედ სხვა ევროპული დედაქალაქების სცენები დაბყრო – მართალია, ცოტა ხნით, რადგან პრალაში გამოსვლის დროს მუხლი დაიზიანა და მოცეკვავის კარიერა დასრულდა – როგორც მომავალში გაირკვევა, ძალანაც კარგი.

გულმოკლულმა ლენიმ გადაწყვიტა, კინოში წასულიყო და „ბედისწერის მთისთვის“ გადა-ეყოლებინა გული. იქიდან გამოსულს უკვე მზად ჰქონდა ახალი გეგმა: გადაწყვიტა, კინო-მსახიობი გამხდარიყო და მთების შესახებ ფილმში მიეღო მონაწილეობა. ამისთვის სამი თვე საავადმყოფოში გაატარა, მუხლი მოირჩინა და მერე „წმინდა მთაში“ ისე ითამაშა და ისე იცეკვა, რომ.

ამას მერე გიამბობთ. მანამდე კი წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სპორტული და, ამავდროულად, უაღრესად სექსუალური აღნაგობა აქვს. ის კლდეებზე შესანიშნავად ცოცავს, ისეთი ხრამების თავზე ჰქონდა, რომ მაყურებელს სული ეკვრის.

„ზილბერბლიკი“ – მას თვალი ოდნავ გაურბის. იმხანად ეს რომანტიკულად მიაჩნდათ. ის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საარაკოდ ცეკვავს. ლენი რიფენშტალი – საოცნებო არიელი ქალი... მაგრამ ლენი ამას არ დასჯერდა და 1932 წელს უკვე რეჟისორის ამპლიუში გამოეცხადა მაყურებელს: „ცისფერი ნათელი“.

„ცისფერი ნათელი“ რომანტიკული ზღაპარია. მასში ლენი რიფენშტალი უცნაური გოგოს როლს თამაშობს, რომელიც ბოროტი ადამიანების გამო უფსკრულში ვარდება. „ეს ფილმი

ჰელენე ბერტა რიფენშტალი, დიდად პატივმოყვარე, ძლიერი ნებისყოფის და საოცნებო გარეგნობის მქონე გოგონა.






ჩემთვის წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, „ – ამბობდა ხოლმე ქალბატონი რიფენშტალი, მაგრამ, ზემოთ აღნიშნული ჭორებისა არ იყოს, ამის დაჯერებაც არ ღირს: ის არსადაც არ ჩაჩებილა, საამისოდ მეტისმეტად მაგარი ქალი იყო.

ის კი, რასაც თავად ლენი რიფენშტალი ესოდენ ტრაგიულად აფასებს, 1932 წლის თებერვალში დაიწყო. იმ დღეს მან ფიურერის გამოსვლა მოისმინა. „როცა ჰიტლერი ალაპარაკდა, ლამის აპოკალიფსური ხილვა დამტკიცია... თითქოს მინა გაიხსნა და იქიდან ამოვარდნილმა წყლის ჭავლამა ზეცას მიაღწია და დედამინა შეძრა“. მაშინ ადოლფ ჰიტლერით არამარტო ლენი, არამედ მთელი გერმანელი ერთ იყო აღტაცებული, ხოლო ისინი, ვინც აღტაცებული არ იყვნენ, ან ემიგრაციაში ამოყოფდნენ ხოლმე თავს, ან სხვაგან, ნაკლებად სასამოვნო ადგილებში. მათ შორის იყვნენ ლენის მეგობრები – მარლენ დიტრიხი და ერის მარია რემარკი. ამ უკანასკნელის წიგნებს თვალებანთებული ჭაბუკები ცეცხლში ყრიდნენ... მაგრამ ეს სხვა თემაა, კვლავ ლენის დავუბრუნდეთ, რომელიც შემდგომში ვერც კი ხვდებოდა, რატომ უნდა წასულიყო თავისი სამშიბლონდან: „რა შუაში ვარ? არც ანტისემიტი ვყოფილვარ და არც ნაცისტური პარტიის წევრი. მე ატომური ბომბები არ ჩამომიყრია და არც არავინ დამისმენია. გამაგებინეთ, რა დავაშავე?“ მსოფლიო კი თვლის, რომ ლენი რიფენშტალის დანაშაული არასწორი არჩევანი იყო: მან ჰილივუდს ჰიტლერი ამჯობინა. მაგრამ, მეორე მხრივ, მხოლოდ ამ არჩევანის წყალობით ჰყავს მეოცე საუკუნეს ერთადერთი და განუმეორებელი, დიადი და შემზარავი ლენი რიფენშტალი.

ფიურერს უთქვამს, „წმინდა მთაში“ მოცეკვავე ლენი რიფენშტალზე მშვენიერი არათერი მინახავსო.

ეს ისე, ლირიკული გადახვევა იყო. განვაგრძოთ: ლენი რიფენშტალი გერმანიაში დარჩა და მისამართზე – „ყავისფერი სახლი, მიუნხენი“ წერილი გაგზავნა: „პატივცემულო ბატონო ჰიტლერ! თქვენ და აუდიტორიის ენთუზიაზმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ. მე თქვენი პირადად გაცნობა მსურს“. ადოლფ ჰიტლერი ლენი რიფენშტალის თაყვანისმცემელი გახლდათ. თუმცა, ფიურერის





გულში რა ტრიალებდა, ცხადია, არ ვიცი და თავსაც ვერაფერზე დავდებ. ის კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ფიურერს უთქვამს, „წმინდა მთაში“ მოცეკვავე ლენი რიფენშტალზე მშვენიერი არაფერი მინახავსო, და ამის გამო ის უცნობ ქალთან შეხვედრაზე დათანხმდა. იმ დღეს, ზღვის ნაპირას რომანტიკული გასეირნების დროს, ამ ორი ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საუბარი შედგა.

შემდგომ ლენი ამგარად ხსნიდა მის მიმართ ფიურერის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას: „ჰიტლერმა აღარ მომასვენა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მაინცდამაინც მე უნდა გადამელო პარტიის ყრილობა. ძალიან მოსწონდა, რომ მე, იმხანად 31 წლის ქალმა, თავად შევძელი საკუთარი ფილმის დაფინანსება ისე, რომ არც საკუთარი ფირმა მქონია და არც მამაკაცების საზოგადოება დამხმარებია – ეს ძალიან სიამოვნებდა. მეორე მხრივ, რთული არჩევანი გააკეთა, რადგან გბელისს, რომელიც კანოგანყოფილებას მართავდა, არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა ამის ჩემთვის მონძობა – ასეთი ფილმი ხომ პარტიულ კინემატოგრაფისტებს უნდა გადაეღოთ. მაგრამ ჰიტლერმა ამომიჩენა. როგორც ჩანს, მანამდე იგრძნო თუ ამოიცნო ჩემი ნიჭი, სანამ ამას მე თავად მივხვდებოდი. მე კი მართლაც არ მქონდა საკუთარი თავის იმედი“.

ფიურერი: „როცა ჩვენ ძალაუფლების სათავეში მოვალთ, თქვენ ჩემთვის ფილმებს გადაიღებთ“.

ლენი: „შეკვეთით ფილმების გადაღება არ მეხერხება. გარდა ამისა, თქვენ რასობრივი შეუწყარებლობა გახასიათებთ“.

ფიურერი: „კარგი იქნებოდა, ჩემს გარშემომყოფებს ასევე გულწრფელად გაეცათ ხოლმე ჩემთვის პასუხი“.

მიუხედავად ამ პრინციპულობისა – ამის დანამდვილებით თქმა ძალიან რთული საქმეა, – ლენი რიფენშტალმა უკვე რაიხსკანცლერ ადოლფ ჰიტლერს ნიურნბერგში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობის შესახებ ფილმის გადაღებაზე თანხმობა განუცხადა.

უნდა ითქვას, რომ ადოლფ ჰიტლერი ხელოვნებაში კარგად ერკვეოდა.

ფილმის სახელწოდება, „წების ტრიუმფი“, ასევე თავად ჰიტლერმა მოიგონა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თანავტორი ჰყავდა, ლენი მრავალი წლის შემდეგ იხსენებდა: „იმას ვიღებდი, რასაც ვხედავდი. ჩემი ფილმი დოკუმენტია“. ლენისთვის ეს ნაწარმოებები დამოკიდებელი ხელოვნება იყო. უბრალოდ, ნაციონალ-სოციალისტების დროს, თავისი გეგმების განხორციელების საუკეთესო საშუალება მიეცა – ეს იყო და ეს. ის საკუთარ თავს სილამაზის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სხეულის სილამაზის მსახურად თვლიდა. ამბობდა,




ლენი: „მე SS-სა და SA-ს
ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ“.

ფიურერი: „მით უკეთესი. მაშასადამე,
ფილმს ხელოვანი გადაიღებს“.

რომ „ხელოვნებისთვის მარტვილია“, და მხოლოდ ადამიანის სხეულის სილამაზეს ასახავდა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იყო ეს ადამიანი: სპორტსმენი, სამხედრო თუ აფრიკელი მომთაბარე. ლენ რიფენშტალს ყველაზე ლამაზ ქმნილებად ადამიანი მიაჩნდა, და ვინ იცის, იქნებ თვითონ მას მართლაც სჯეროდა ის, რაშიც შემდგომ მთელი მსოფლიოს დარწმუნებას ცდილობდა: „სასაცილოა – რა მაქვს სანაბეჭელი! არავის სჯერა, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ არ ვიცოდი. ვიძახე, მაგრამ ვინ დამიჯერა, მაშინვე თქვეს: ტყუილი! იტყუება! არ ვიცოდი და რა ვქნა?“

„ნების ტრიუმფში“ კი ყველაფერია კონცენტრირებული, რასაც შემდგომში „ფაშიზმის ესთეტიკა“ უნდოდეს: ნიურნბერგის დიდებული ხედები, მხარდამხარ მომავალთა რიგები, რომლებიც ძველ რომაელთა მსვლელობას ჩამოიჰყავს, ჩირადდნები, სამხედრო მარშები, დამეულ ცაზე – დროშების სილუეტები, გულისამაჩუყებელი ბავშვები, სახეზე ნათელგადაფენილი ჯარისკაცები და შეძახილები: „ხალხი, რაიხი, ფიურერი!“

„ნების ტრიუმფი“ რომ ფართო საზოგადოებას ნარუდინონ, ის ალბათ კვლავ მრავალი უბედურების წყაროდ იქცევა და ყველა ეროვნებისა და რასის ნარმომადგენელი თავგადაპარსული ნაძირალების საკულტო ფილმი გახდება. თავად ლენის ამ ფილმის გამო ბოდიში არასოდეს მოუხდია – თავისი ნაშრომით ძალიან ამაყობდა და არც 1945 წლის შემდეგ დაუმალავს, რომ ჰიტლერით აღტაცებული იყო. დიახ, ფილმის გადაღება ძალიანაც უნდოდა, თორემ თამამად შეეძლო უარის თქმა – საბჭოთა კოლეგებისგან განსხვავებით, მას არც ციხეში ჩააგდებდნენ და არც არსად გადასახლებდნენ. ისე, თავიდან კი დიდხანს იფასებდა თავს: ესპანეთში ფილმი მაქვს დასამთავრებელიო, პარტიის ყრილობა ჩემი თემა არაა და საერთოდ, გებელსს არ ვუყვარვარო. ეს უკანასკნელი არგუმენტი ჰიტლერს ირონიულ ღიმილს ჰგვრიდა.



გებელსს, გაცხარებულ ანტიფემინისტს, მართლაც არ ეხატებოდა გულზე ლენი რიფენშტალი, ერთადერთი გერმანელი რეჟისორი ქალი, რომელსაც ყველა სიკეთესთან – ძირითადად, თავის სქესთან ერთად, არცთუ ტკბილი ხსიათი ჰქონდა, ამაყი იყო და თავნება. გებელსი ყველანაირად ცდილობდა მისთვის ცხოვრების გაფუჭებას და საქმეში ხელის შეშლას, მაგრამ ჰიტლერი ლენის პრობლემებს ყოველოვით პირადად აგვარებდა და მაშინაც კი არაფერი უთქვამს, როცა ლენიმ ბრძანა, მე ჩემს ხალხთან ერთად ვიმუშავებ და გებელსის გუნდთან საერთო არაფერი მექნებათ. ხოლო როცა „ნების ტრიუმფი“ ჰიტლერის აღტაცება და იმსახურა (რა ვენა, უდავოდ შედევრია) და პრემიერის დღეს, 1935 წლის 1 მაისს მან ლენი რიფენშტალს უზარმაზარი ყვავილების თაიგული მიართვა, გებელსს გულს შემოყარა. მაგრამ რაღაც დარჩენოდა – ლენის საუკეთესო ფილმისთვის ჯილდო გადასცა. ამგვარად, „ნების ტრიუმფი“ თავად ლენის ტრიუმფიც გახდა – მართალია, დროებით.

1939 წლის სექტემბერში რიფენშტალი, სამხედრო კორესპონდენცის სტატუსით, პოლონეთში გაემგზავრა. გერმანული ჯარი უკვე შეჭრილი იყო ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და თავდაპირველად ენთუზიაზმით აღსაგვე კორესპონდენცი რიფენშტალი სოფელ კონსერში ერთ-ერთი პირველი და უსასტიკესი სამხედრო დანაშაულის უშუალო მოწმე გახდა. ლენი შოკში იყო – ომი ნაკლებად ესთეტურ გამოდგა. მოგვანებით ის წერდა: „ავადმყოფი თუ უშნო ადამიანების, ან მახინჯი მოვლენების გადაღება სულ არ მიტაცებს, რადგან ძალიან პოზიტიური განწყობის მქონე ადამიანი ვარ და სიცოცხლის სიყვარულს ვადიდებ“. ამ ლოგიკით, ლენი რიფენშტალმა ომს თავი აარიდა და საკუთარი ფილმის, „დაბლობის“ გადაღება დაიწყო. ეს მელოდრამაა, სადაც თავნება გრაფი საბრალო გლეხებს ძალიან ჩაგრავს, ხოლო მისი საყვარელი, ყოფილი ქუჩის მოცეკვავე მართა (მის როლს თავად ლენი ასრულებს) ხალხს ამოუდგება მხარში. ლამაზი ფილმია. უბრალოდ, როცა ესპანური ცეკვებისთვის მასობრივი სცენების გადაღება გახდა საჭირო, ლენი რიფენშტალმა საკონცენტრაციო ბანაკიდან ბოშები გამოიწერა.

გებელსს, მართლაც არ ეხატებოდა გულზე ლენი რიფენშტალი, ერთადერთი გერმანელი რეჟისორი ქალი, რომელსაც არცთუ ტკბილი ხსიათი ჰქონდა, ამაყი იყო და თავნება. გებელის შეშლას, მაგრამ ჰიტლერი ლენის ცხოვრების გაფუჭებას და საქმეში ხელის შეშლას, მაგრამ ჰიტლერი ლენის ცხოვრების გულზე ლენი რიფენშტალი, ერთადერთი გერმანელი რეჟისორი ქალი, რომელსაც არცთუ ტკბილი ხსიათი ჰქონდა, ამაყი იყო და თავნება.





ჰიტლერის საყვარელი,
გებელსის დაქალი და
ნაცისტური რეჟიმის
მომხრე! ლენის ვერ
იტანდნენ.

ცხადია, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, ლენი რიფენშტალი დააპატიმრეს და ყველაფერი გაასხენეს, მათ შორის „ნების ტრიუმფიც“, გენიალური „ოლიმპიაც“ და ზემოთ ნახსენები ბოშების ამბავიც – აკი ბანაკების შესახებ არაფერი მსმენია! ჰიტლერის საყვარელი, გებელსის დაქალი და ნაცისტური რეჟიმის მომხრე! ლენის ვერ იტანდნენ. მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ის თავად არ იყო პირსისხლიანი მხეცი. უბრალოდ, ნაცისტებს თანაუგრძნობდა. მას შეეშვნენ – და დაივიწყეს.

მართალია, მერე კვლავ გაიხსენეს, 1973 წელს, როცა მან თავისი ფოტოალბომი გამოაქვეყნა, „უკანასკნელი ნუბიელება“. მათაც კი, ვისაც ლენი რიფენშტალი სულით და ხორცით სტულდათ, მოუწიათ იმის აღიარება, რომ ის დიდი ფოტოგრაფია. სიუზან ზონტაგმა კი კბილი გაჰკრა, აქაოდა, „რიფენშტალი თავისი წარსულის ხელახლა გადაწერას ცდილობს, ვითომ უბრალოდ სილამაზის შემფასებელია და არა უზნეო პროპაგანდისტიო“, მაგრამ ამით ქალბატონ რიფენშტალს არაფერი დაკლებია.

საერთოდ, იშვიათად თუ მსმენია ასეთი სიცოცხლისუნარიანი ქალის შესახებ, ცნობით ხომ საერთოდ არავის ვიცნობ. რა აღარ დაემართა, ხან დაპატიმრეს, ხან მინასთან გაასწორეს, ხან აეტოვა არიაში თუ ავაკატასტროფაში მოხვდა, ფეხები დაიმტვრია, ხერხემალი დაიზიანა – მერე რა?! ცოტა ხანს იწვა ხოლმე და მერე კვლავ განაგრძობდა თავის გზას. 72 წლისამ სულაც აკვალანგისტის ლიცენზია მიიღო და წყალქვეშ გადაღებული მისი ნამუშევრები, ფოტოალბომი „მარჯნის ბაღები“ რომ ნახოთ.... რა გითხრათ, საოცარია. 80 წლის ფრაუ რიფენშტალმა გადაწყვიტა, რომ მემუარების წერის დროა, და ხუთი წლის განმავლობაში წერდა. 900-ზე მეტ გვერდზე გვიამბო თავისი ბობიქარი ცხოვრების დაუჯერებელი ამბები. წიგნი, ცხადია, ბესტისელერი გახდა.



პირველად ფრაუ რიფენშტალი 42 წლისა გათხოვდა. მანამდე ის ოთხი წელი ითვლებოდა პეტერ იაკობის, სამთო მსროლელთა კაპიტნის საცოლედ. აუტანელი კაცი გახლდათ ეს პეტერ იაკობი: სულ ვიღაც ქალებს დასდევდა და მერე, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როცა ლენი დააპატიმრეს და ქონება ჩამოართვეს, ცოლს გაეყარა კიდეც.

პეტერ იაკობმა იკითხოს, თორემ ლენის ბევრი არაფერი დაუკარგავს. ის 67 წლისა ბრძანდებოდა, როცა ოპერატორ ჰორსტ კეტნერს შეხვდა, თავისზე ორმოცი წლით უმცროსს, რომელიც ლენის არასოდეს მოსცილებია და სიკვდილამდე მასთან ერთად იყო.

ლენი თავის საყვარელ ბავარიაში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა – მისი ერთგული ჰორსტ კეტნერის თქმით, ძილში გაუჩერდა გული. ლენი რიფენშტალის გარდაცვალების შემდეგ, მრავალი სტატია წავიკითხე, მათ შორის მრავალი დაუკერებლად საძაგლიც: „გარდაიცვალა ლენი რიფენშტალი – როგორც იქნა“, „კუდიანის ტკბილი აღსასრული“ და მსგავსები. ყველანაირ წაგავს მეც კი ვერ ვიმასოვრებ. როგორც ჩანს, ზოგიერთებს ძალიან შეშურდათ, რომ ლენი რიფენშტალმა 101 წელი იცოცხლა და მშვიდად გარდაიცვალა.

არადა, სულ მეგონა, რომ მისი ბრალმდებლები, პრაქტიკულად, აღარ არიან – სხვა თუ არაფერი, დაიხოცნენ, რომ ლენი ცოცხალი ლეგენდაა, რომლისთვისაც რაიმე პრეტენზის წაყენება სასაცილოც კია. „პასუხისმგებლობის პრობლემა მხატვრისათვის, რომელიც დანაშაულებრივი რეჟიმის სამსახურში ჩადგა და პროპაგანდის იარაღი გახდა“ – როგორი ბრიყვული ტექსტია ლენი რიფენშტალთან მიმართებაში, რომელიც თავისი ნების დემონსტრირებას არც მეტი, არც წაკლები, ერთი საუკუნის განმავლობაში ახდენდა.

ტრიუმფალური ნება. ქველი ცოდვები არაფერ შუაშია.

„გულით და სულით მოცეკვავე ვიყავი. მსახიობობას რაც შეეხება, სურვილები ვერ შევისრულე. ფოტოგრაფი მხოლოდ იმიტომ გავხდი, რომ ომის შემდეგ ბოიკოტი გამომიცხადეს და ფილმებს ვეღარ ვიღებდი“.

ლენი რიფენშტალი



როგორ გვიყვარდა ერთმანეთი!

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

ლაზო ფოჩხუა, გამუჟა ბერიძეა და ანა კორძაია - სამადაშვილი. წერილი 2002 წელი. ფოტო: ლევან ხარხულიძე

ორ დიდ მამულიშვილთან, მამუკა ბერიძეასა და ლადო ფოჩხუასთან მჭიდრო ურთიერთობის უამს დავრნმუნდი, რომ ერთნაირი გემოვნება, ერთნაირი მსოფლიშედველობა და ერთნაირი იდეები სულაც არაა მეგობრობის აუცილებელი პირობა. ჩვენ ძალიან განსხვავებული ადამიანები ვიყავით და მაინც გვიყვარდა ერთმანეთი. ალბათ ახლაც გვიყვარს, უბრალოდ, ერთად აღარ ვართ – ლადო სხვა კონტინენტზე ცხოვრობს, სულ სხვა ქვეყანაში. მართალია, ზოგჯერ ჩამოდის კიდეც, ზოგჯერ რეკაცის, მაგრამ ის, რაც ამ სურათზეა ასახული – წყნეთი, ბავშვების მიერ მოხატული კედელი და სამი

ადამიანი, რომელსაც ერთმანეთთან, წესით, არაფერი უნდა აკავშირებდეს – აღარ მეორდება.

კაცმა რომ თქვას, ეს არც კაცობრიობისთვისაა დიდი დანაკლისი და არც რომელიმე ჩვენთაგანს აუბედურებს – ღვთის წყალობით, ყველანი მაინც ჩინებულად ვგრძნობთ თავს. უბრალოდ, დიდი ბებია ტერზიასეულ ქუდების კოლოფში ეს ფოტოსურათი აღმოვაჩინე და ბევრი რამ გამახსენდა – ასაკმა სანტიმენტები იცის! და გადავწყვიტე, თქვენთვისაც მეამბო ამბავი იმისა, თუ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი.

„ეს არის ქვეყანა, დიდ ოჯახურ კავშირებად დაჯგუფებული ხალხისთვის შექმნილი, და ოჯახები, მოხეტიალე მსახიობების მსგავსად, ნარმოდებებს ყოველდღე მართავენ. ყველა როლი დანაწილებულია და თავისი როლი ყველამ ჩინებულად იცის – იდეალური თეატრია ყველა რეჟისორისთვის“.

ლადო ფოჩხუას წიგნიდან „მე – გენიოსი“

წიგნაკში, რომელსაც გარეკანზე უაღრესად ნეკვებისმომშლელი წარწერა აქვს – „უკანასკნელი კაცი“, რომელშიც რომანტიკული არასოდეს არაფერი ჩამინერია – ჩემთვის რომ გეკითხათ, ვინიშნავდი, როდის რა უნდა მექნა და მერე სულ მავინძებოდა შიგ ჩახედვა და, შესაბამისად, იმ საქმეების გაკეთებაც; პოდა, – ეს რაღაცა – რა ჰქვაა ამას, არც კი ვიცი – ჩემმა მეგობარმა ლადო ფოჩხუამ გასული წლის აპრილში ჩანერა, დაუკითხავად – ტუტუცა! გარდასულ დროთა მაღალი საზოგადოების ქალები მომაგონდნენ – მათ ალბომებში არ წერდნენ ხოლმე შემოქმედებაზე თავდადებული მამაკაცები თავიანთ გამონათქვამებს? ხან ძალიან ბრიყვულებს, ხან – ნაკლებად. მომაგონდნენ ეს ქალები და გამეცინა – რა შუაში ვარ?!

იმ საღამოს, როცა ლადოს ამ „უკანასკნელი კაცის“ წიგნაკზე ხელი მიუწვდებოდა, მეგობართან, კაკადუსთან, სარდაფში ვისხედით, უფრო სწორად, იატაკზე ვიყავით წამოგორებული, მამუკა ბერიკას ველიდით და ის არ მოვიდა. ნაკლებად სალონური ვითარება ძნელი წარმოსადგენია: იმხანად ჩემთან მცხოვრები პატარა, ლამაზი და აქტიური ერევნელი გოგო გლობალიზაციის საფრთხეზე და მის დამლუპველ გავლენაზე ლაპარაკობდა გაცხარებით – აქვარად ჩვენ გვეგლისხმობდა. ნეტა, რატომ? ზემოთ მოტანილი სტრიქონების ავტორი ლადო ამბობდა, რომ კაკადუ ცუდი მხატვარია, ანა – ცუდი მწერალი, მამუკა – ცუდი მუსიკისი და თავად ის კი, ლადო ფოჩხუა, ავტორი წიგნისა, „მე – გენიოსი“, ტოტალურად უვარგისი არსებაა. კაკადუმ თქვა, რომ პატარა ერევნელი გოგო ცხარობდა, ლადო გაჯავრდა, მისი ამჟამად მეუღლე, იმხანად კი მეგობარი ელიზაბეტი ლადოს უხსნიდა, რომ მამუკა არ მოდის, ანა მეორე მსოფლიო ომს დაეტაკა, ერევნელი გოგო ცხარობს, კაკადუ მისი დამშრმინებლის როლზე უარს ამბობს – და ამიტომ სახლში წასვლის დროა; და როდის ჩაძრა ლადო ჩემს ჩანთაში, როდის ამოილი იქიდან ჩემი უშველებელი და ფუჭი წიგნაკი და როდის ჩანერა შიგ თავისი, ანუ გენიოსის აზრი იმ ქვეყნის შესახებ, რომლიდნაც მეორე დღეს მიერგმზავრებოდი – ეს წამდვილად არ მახსოვეს.

ვინ იფიქრებდა, რომ სულ მალე ლადო ფოჩხუა მის მიერ აღწერილი ქვეყნიდან შორს, შორს გაემგზავრებოდა – მართალია, თავად მას სჯერა, რომ ცოტა ხნით, მაგრამ რა ვიცი ეშმაკებისა და ისეთი კაცებისა, რომელთაც შეუძლიათ თავიანთ დაუწერელ წიგნს „მე – გენიოსი“ უნდონ?

... თუმცა მასწავლეს, რომ ზამთარსაც თავისი ხიბლი აქვს და სხვა და სხვა, რატომლაც, სულ არ მიხარია ხოლმე, როცა ცივა, ბნელა, ასი რაღაცა უნდა მეცვას და ტერმინატორივით უნდა დავაბიჯებდე ჩემსავით აბუზულ ხალხთან ერთად, წელიწადის ამ დროისთვის სრულიად უსიმპათიო ქალაქის ქუჩებში. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ, თუ ბრძენებს დაუკუნერებთ, ამქვეყნად ენერგია სამართლინადა განაწილებული და რამდენიც გწყინს, იმდენივე გიხარია. მაგალითად, წერილი:

„ანა კორძაია! სალამი! გილოცავ ახალ წელს! მალე ლადოს გამოგიზავნი. ახლა ზის და ზვიგენივით იღიმება.“

ჩვენ კარგად ვართ. ერთადერთი საშინელება ისაა, რომ ლადოს ამერიკული ფეხბურთი შეუყვარდა. მაგრამ არა უშავს. საქართველოში სამი კვირა იქნება და გაუვლის. თბილისში 11 იანვარს ჩამოვა. გკო-



ლადო ფოჩხუა. ფოტო: ლევან ხერეულიძე

გოგოებო და ბიჭებო! როგორ მშეურს “თქვენი, რომ მიცნობთ!”

ლადო ფოჩხუა

ნით შენი ლიზა და ლადო.

P.S. მისმინე! მე ძალიან ცუდად ვარ, რომ ვერ ჩამოვალ. რამდენი სიხარული იქნება საქართველოში, მე კი ვიჯდები და სტატისტიკას ვისწავლი და ვიგრძნობ, რომ სიხარული შორსაა.

ე.

ეჲ, ჩემი ე! – ერთი დიდი ქართველი პოეტი იტყოდა ასე...

ჩემი მეგობრებისა არ იყოს, მეც დარწმუნებული ვარ, რომ მარადიული ვარ, ნეტარი და ცოდნით აღსავსე, საკუთარი თავი მგზნებარე სიყვარულით მიყვარს და წესით, არასოდეს უნდა მიხაროდეს იმ მამაკაცის დანახვა, რომელმაც ვდესლაც ვუდი ალენის უკანონდშობილი შვილი მიწოდა და ქუთაისის სკვერში ჩამომჯდარმა სიხარულით მომახსენა: „გესმის? ჭრიჭინა! კინალამ არ მოგვადუნა ამ ქალაქმა? ახლა კი ვიცი: ჩემი ნევროზი არსად წასულა. ნახე, რა საძაგლად ჭრიჭინებს?“

გოგოებო და ბიჭებო! როგორ მშეურს თქვენი, რომ მიცნობთ!

ლადო ფოჩხუა

ხელოვნებათმცოდნე არ გახლავართ და ამიტომ ლადო ფოჩხუა როგორც მხატვარი წაკლებად მაინტერესებს. მისი ერთი ნამეშევარი სახლში მიკიდია: „იონას რუკა“, არარსებული სამყარო, კუთხეში – თევზი. „ეს რუკა იონასთვის დავხატე,“ – ამიხსნა ლადომ,



ელიზაბეთ იგანი და ლადო ფორჩუნა - უკვე ამარიკაში. 2004 წელი.

„ნუ ღელავთ, ძვირფასებო. ჩემთვის თქვენ ყველანი ღმერთები ხართ“.

მამუკა ბერიკა

„რომ გზა არ აეპნეს და ზუსტად იცოდეს, თევზი სად ჩაყლაპავს“. ლადო მარნუნებს, რომ ოდესმე ეს ნამუშევარი სადმე, ვთქვათ, ნიუ იორკის გუგენჰეიმში ეკიდება და ჩემთვის საამაყუ წარწერაც ექნება: „ანა კორძაია-სამადაშვილის კოლექციიდან“.

არარსებული ქვეყნების რუკები, არარსებული ცხროველები, ბარბაროსთა მოლლდინში გარინდული მეომრები, ჯარის წინ მიმავალი, აშკარად განჩირული მედოლები – ყველაფერი ეს ძალიან მომზონს, მაგრამ ალარ ვიცი, რამდენად ობიექტური ვარ, და ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, ლადო ფოჩხუას შემოქმედების შესახებ საუბრისგან თავს შევიკავებ.

ისევე, როგორც იმის მოყოლისგან, თუ რა ბედში იყო სოხუმელი ლადო ფოჩხუა აფხაზეთის ომის დროს. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ სოხუმიდან უცხო ქალაქში, თბილისში ჩამოსული ის მრავალი თვის განმავლობაში ფეხით დადობდა წყნეთიდან სამხატვრო აკადემიამდე, კოკა-კოლას გადატრილი ქილებიდან სვამდა ჩაის და მაინც ყველაფერი უხაროდა – მე რომ მკითხოთ, სულელივით. ლადოს ძირითადი ლირსება სწორედ ესაა: უხარისა, მაგრამ რა – კაცმა არ იცის.

„ერთგან წავიკითხე, მგონი, დავლატოვთან, რომ სწორედ მაშინ, როცა გგონია, რომ ფსკერზე ხარ დაშვებული, ქვემოდან ვიღაცა

დაგიკაუნებს,“ გვიხსნიდა ლადო მამუკა ბერიკას და მე წყნეთში, ირმის ნახტომზე. მამუკა ლადოს არწმუნებდა, რომ ბედნიერი ხალხი ვართ: შეგვიძლია საათობით ვისხდეთ ხევის პირას და ვიმსჯელოთ, რამ გადაგვიფრინა, ქორმა თუ ძერამ; შეგვიძლია, ის მუსიკა ვისმინოთ, რომელიც მოგვენის, არასასურველი სტუმრების დროულად გასასტუმრებლად „პარციფალი“ ჩავრთოთ ბოლო ხმაზე და სწორედ ის ვიკითხოთ, რაც გაგიხარდება.

ლადო ყველაფერს კითხულობს იმის გარდა, რასაც ბერიკა კი-თხულობს. ლადოს აღმოსავლური მისტიციზმი სულ არ იზიდავს და ბედნიერი სახით ჰყვება ხოლმე, როგორ ასრულებს მამუკა ბერიკა ოშოს ერთ-ერთ მედიტაციას: „წარმოიდგინე, მოდის ბერიკა ნარინჯისფერ სამოსში, ჩადარი მხარზე აქვს გადაგდებული. უცებ ჩერდება და საკუთარ თავს ეკითხება: ბერიკა, აქ ხარ? და ამაყადვე პასუხობს: ჰო.“ მამუკა ბერიკას ზოდიაქოს ნიშანი ლომი გახლავთ, ამის მისახვედრად ასტროლოგობა სულ არაა აუცილებელი, ფაქტი სახეზეა, და ლადოც ერთობა.

სამაგიროდ, მაშინ, როცა ლადო აღელვებით იწყებს საუბარს პისტორიულინის უპირატესობებზე, ხელოვნურ კბილებზე, შეღებილ თმასა და ვაგრაზე, მამუკა მშვიდად აბოლებს თავის ჩიბუს და მერე ჰყვება, რომ თურმე გარდაცვალების წინ ჯონათან სვიფტს უთქვამს: „როდის?“ როდის მოგივიდა ეს ამბავი, ლადო?

მამუკა ბერიკამ, ქალაქ თბილისში ჩემს მსგავსად დაუდგენელი აღმსარებლობის მქონე ერთადერთმა ადამიანმა, ყოველგვარი თეოლოგიური კამათის დასრულების საუკეთესო საშუალება მასწავლა – უკვდავი ფრაზა: „ნუ ღელავთ, ძვირფასებო. ჩემთვის თქვენ ყველანი ღმერთები ხართ“. სინამდვილეში, ლადო სულაც არ ღელავს – უბრალოდ, ერთობა.

„სად იშვევ ეს მონსტრი, ანა კორძაია? ის შემზარავია. მახინჯი. რომ მიყურებდა, ვიფიქრე, საფერფლის ჩარტყმას მაინც მოვასწრებ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწრებდი, ნამდვილად ვერ მოვასწრებდი და მორჩია, აღარ იქნებოდა ამქვეყნად ლადონ ფორჩუა!“

„მე მაგას შენს თავს არ დავაჩაგვრინებ, საყვარელო.“

„არა, არც მე ვარ ჯაბანი, მე ნერვული მეგრული ბავშვი ვარ, მე მოული იმი გამოვიარე, მაგრამ შენთან სტუმრად რომ მოვიდეს და იქ დავხვდე, მომკლავს და ფიტულად მაქცევს, და ვიდგები რთახის კუ-თხეში, შუშის თვალებით, სამარადეამოდ გაოცებული, და ეს ყველა-ფერი სულ შენი ბრალი იქნება, სულ შენი ბრალი იქნება ყველაფერი!“

უნდა ვალიარო, რომ ლადოს ირგვლივ მოტრიალე ქალებზე არც მე ამომდილიდა დიდად მზე და მთვარე, სანამ ერთ სალამის, ზან-დუკელის ქუჩაზე, კლუბ 22-ში, ლადომ ერთი გოგო არ გამაცნო და არ მითხრა, რომ ეს ელიზაბეტია, შტატ ცინცინატის ყველაზე სიმპათიური მკვიდრი.

ელიზაბეტ!

ეს სამოთხისა და ჯოჯოხეთის ნიგნია!

ლადო.

ჩვენ ვარაზისხევში ვიდექით და ამაოდ ველოდით სამარშრუტო ტაქსს, გვციოდა და ძალიან ცოტა რამ გვიხაროდა, და ლადომ ლო-ცვა დაიწყო. ბევრნაირი ლოცვა მსმენია, მაგრამ ასეთი – არასოდეს: „რა მოგივიდა! რით ვერ გამომიგზავნე ერთი სიყვარული! რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ერთი დიდი და ნამდვილი სიყვარული!“

როგორც ჩანს, ლოცვაც არ მეხერხება, რადგან მიუხედავად იმი-სა, რომ ხან მოკრძალებით ვაკაკუნე, ხან ფეხი ვურტყი და ხან თავი – აპა... ლადოს კი გამოუგზავნეს ის, რისაც დიდად აღარ მჯეროდა: ნამდვილი დიდი სიყვარული, ელიზაბეტ იგენი.

ელიზაბეტ იგენი ძალიან მაღალი, ძალიან ახალგაზრდა, ძალიან კათოლიკური წარმოშობის ამერიკელი ქალია. დედა იტალიელი ჰყა-ვს, მამა – ირლანდიელი, თავად ლიზას არც კათოლიკიზმი ადარ-დებს დიდად და არც ირლანდიური პატრიოტიზმი. მეტსაც მოგახ-სენებთ: ერთხელ ჯეომს ჯორისხე ისეთი რაღაცა თქვა! თან როგორ!

ისევე, როგორც ყველა ძალიან ახალგაზრდა ადამიანი, ლიზა მაქ-სიმალისტი ბრძანდება და კატეგორიულად აყალიბებს ხოლმე თავის მოთხოვნებს. მაგალითად: „ლადო, თუ ვინმეს დაარტყამ, ვეღარა-სოდეს მნახავ!“ მართალია, ლადო არასოდეს არავის ურტყამს და სამაგალითოდ არააგრძესიული ადამიანია, მაგრამ ფრაზა ფრიად შთაბეჭდავად იყო ნათქვამი. ლიზას არანაკლები შთაგონებით შეეძლო ეთქვა: „ნეტავი ჩვენი ლოგინი პური იყოს! ახალგამოცხვა-რი, თეთრი, თბილი, ფუმფულა...“

თავიდან ლიზას ეგონა, რომ ლადოს არ მოსწოდა, და პირველი შეხვედრის დროს, „არ იდარდოში“, ფიქრობდა: „გამაცილებს? მაკუ-ცებს?“ ბედი არ გინდა – მაინცდამანც უმშვიდეს „არ იდარდოში“ გადაუწყვეტია ვიღაც კაცს, რომ ლადოს მასთან ერთად უნდა დაე-ლია სადღეგრძელოები – საბრალო ლიზა! ძალიან შეშინებია. ცუდი არაუერი მომხდარი, დალიეს და მორჩია.

„მერე, გაგაცილა?“ – ვკითხე მე.

„კი,“ – ამაყად მიპასუხა ლიზამ.

„გაკოცა?“

„ყავა გინდა თუ ჩაი?“

ჩაი გამჯობინე.

ჩემთვის მარადიულ ამოცანად რჩება, რა ესმოდა ხოლმე ლიზას იმ დაუდგენელი და გრძელი საუბრებიდან, რომელიც მე ძალიან მიყვარდა, მაგრამ გარშემომყოფთა უმრავლესობას აშეარად ნერ-ვებს უშლიდე: ლადოს ნახევრად ქართული, ნახევრად რუსული და ცოტა ინგლისური მონოლოგები, თემაზე – პასტმოდერნი და მეგ-რული მენტალიტეტი, ჩემი დეპრესიული მოგონებები და მამუკას არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც ემოციებით გადმოცემული შთაბეჭდილებები შივაიტა ტაძრების შესახებ. ფაქტი ისაა, რომ

ლიზა უაღრესად კომფორტულად გრძნობდა თავს: ხის სკამზე უგრ-ძელეს ფეხებს მოირთხამდა ხოლმე და ერთობ მოულოდნელ კომენ-ტარებსაც ურთავდა, მაგალითად: „იცი, რომელი საშელია ყველაზე საშინელი? ბეკი. რებეკა. ოოო! ბეკის აცვია საშინლად, ლაპარაკობს საშინლად, ის კოშმარია, ბეკი დეგნერატია!“

ჩვენ ვერასოდეს აუცხსენით ლიზას, რატომ გვიყვარდა როკ ენ როლი. ლიზა როკს საერთოდ აღარ უსმენს. ლიზა ამერიკელია.

ერთხელ აღშფოთებულმა ლიზამ მიამბო, რომ სადღაც, რაღაც კაფეში – რომელში, ვერ დავადგინე; რომ ვკითხე, საშინლად დაი-ჯლანა – ვიღაც თბილისელი გოგოები ლადოს, დიახ, მის ლადოს გაეპრანდები! თავხედები! როგორ? ძალიან კარგად მიბაძა, ლმურთო მაპატიე, ეგრეა და რა ვქნა... მერე, ლიზა?

„მე დავიწყე ადგომა,“ – მიამბო ლიზამ და ადგომა დაიწყო. ის დგებოდა ნელა, კონცენტრირებულად, ნანილ-ნაწილ, ძალიან მრა-ვლისმეტყველი სახით. ის გოგოები, ცხადია, წახდნენ. მე ვიამაყე, რომ ასეთი ლიზა გვყავს.

ზოგჯერ, მოწმენდილ ცაზე, ლიზა იგენი შემზარავ ამბავს მოყვებო-და ხოლმე, რომელიც ასეთსავე შემზარავ ადგილას შეემთხვა თურმე – სადღაც, რუსეთის ყრუ ქალაქში, საერთო საცხოვრებელში. ჩემი დედა! იქ რაღა გინდოდა, გოგო? ისე, წესით, აქ რაღა უნდოდა...“

„მოსწავლე შემომიწინდა,“ – ჩიოდა ლიზა. – „მომეცი კაშნე, მომე-ცი კაშნე... რატომ უნდა მიმეცა? ზოგი რა საზიზლარია!“

„მე რა ვქნა ახლა?“ – აღელდა ლადო.

„ლადო, თუ ვინმეს დაარტყამ, ვეღარასოდეს მნახავ!“

ვაპ! გაიგე, ქალო, ეს კაცი არ ირტყმევინება!

ერთხელ აღშფოთებულმა ლიზამ მიამბო,

რომ ვიღაც თბილისელი გოგოები ლადოს,

დიახ, მის ლადოს გაეპრანდები! თავხედები!





ელიზაბეტ!

მე არ მიჭირს, მე კარგად ვარ. ამნუთას
გადარჩენაზე კი არა, შენთან შეხვედრაზე
ვფიქრობ. იცი, ბალახიც კვერს მიკრავს
და მაინტერესებს, რამ დააწერინა უოლტ
უიტმენს „ბალახის ფოთლები“.



... ბაქოს ყურეში, კუნძულ ნარგინზე, გასულ საუკუნეში - ალბათ უფრო ადრეც - მავანთა და მავანთათვის არასასურველ ელემენტებს ასახლებდნენ. ვისაც ძალიან უმართლებდა, გზად ზღვაში ხტებოდა და იოლად კვდებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, იქ რამდენიმე ათასმა უცხოელმა ტყვემ დაასრულა სიცოცხლე, - უბრალოდ, მათი არსებობა დაავიწყდათ და წყალი და საჭმელი აღარავინ მიუტანა - ისინი ნაპირიდან გასცეკროდნენ ბაქოს, დინების გამო გადაცურვას ვერ ახერხებდნენ და ასე: კოშმარული ამბების აღწერა უფრო ძლიერი ნერვების მქონე ხალხისთვის მიმინდვია... მერე, წითელი არმის შემოსვლის შემდეგ, ნარგინზე მრავალი პატრიოტი გახიზნეს და დახვრიტეს, ერთ ხანს კუნძულზე სამხედრო ბაზა არსებობდა, რომელიც მალევე გაუქმდა, ჯარისკაცებითვისაც კი მეტისმეტი იყო - მოკლედ, ნარგინს ბევრი ვერაფერი ბიოგრაფია აქვს.

რა შეუაშია ნარგინი? უცებ ავხსნი: თუკი ვინმეს ოდესმე არაჯან-საღი აზრი მოუვა თავში და ამ ცუდ მხარეში ჩავა, იქ წერილებს წაიკითხავს - სასიყვარულოს:

ელიზაბეტ!

მე ვხედავ შუქურას, შენობებს... სადღაც, შორს, ბაქოს. მე და შენ პაჟიში. გახსოვს? შენი ანგინა, ჩემი შიში შენს გამო, ღამის ჩაი და ფილმი „მდივანი ქალი“.

ლ.ფ.

წერილები ყველგან, სადაც კი რამის დაწერა შეიძლება: ნახევრადდანგრეული შენობების კედლებზე - სალებავით, დაუანგულ რკინაზე - ცარცით, ქვებზე - ამოფხაჭნილი:

ლიზა! მე მინდა დავწერო - Requiem aeternam dona eis domine - აქ ბევრი ტანჯული სულია.

ლადო.

კუნძულის იმ მხარეს, რომელსაც პირობითად „მშვიდობიანი“ შეიძლება ვუწოდოთ, სანაპირო თეთრი მბზინავი ნიუარებითა მოფენილი, ზეთისხილის ხეები ხარობს, ცისფერი ცაა და ლურჯი ზღვა ლივლივებს - უცებ შეიძლება იფიქრო, რომ ეგეოსის ზღვის რომელიმე პატარა კუნძულზე მოხვდი. ვერც წარმოიდგენ, რომ კუნძულის საპირისპირო მხარეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

იქ კუნძული უზარმაზარ სასაფლაოს ჰგავს, დანგრეული შენობებით, დაუანგებული, ნახევრადბაძირული გემებითა და გვირაბებით, გადახრიოკებული მიწითა და მახინჯი ნაცრისფერი გველებით.

ელიზაბეტ!

კწერ რალაცას, რასაც ზღვა კითხულობს, პოეზიას ზღვისთვის.

წერილს გწერ, იმის იმედად, რომ წაიკითხავ!

ციფლიზაცია გვიხმობს!

ლ.ფ.

კავკასიური ლენდ-არტის პირველი პროექტის განსახორციელებლად ნარგინზე გარიყული ლადო ფოჩხუა წერილებს სწერდა მალევის, პუსენს - და ელიზაბეტ იგენს:

მინდა პლატონს გავესაუბრო გეომეტრიასა და სახელმწიფოს მოწყობაზე. აქ გველებია და ხვლივები.

სადაა ჩემი მიწა, შენ სად ხარ?

ლ.ფ.

ლიზა ამერიკაში იყო, დედასთან და მამასთან. მას ეს წერილები არ წაუკითხავს, მაგრამ ზუსტად იცოდა, როგორი სიყვარული იცის ლადო ფოჩხუამ.

... ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდით – ერთმანეთთან სტუმრად დავდიოდით, ათასგვარ სისულელეს ვწერდით, დიდ გეგმებს ვაწყობდით. კინოშიც კი შევდიოდით ხოლმე, და ფილმები იმდენად არ მახალისებდა, რამდენადაც ლიზას და ლადოს კომენტარები.

„მეოცნებენი“ ვნახეთ. როგორ გავერთე!

გმირმა გაიხადა. ლადო: „ეს ქალი პოსტმოდერნის ხანისთვის მეტისმეტად ბუნებრივად გამოიყურება“.

სექსი ქალწულთან. ლიზა: „რა ამბავია ამდენი სისხლი, რა არი, მინის ნამსხვრევებით დაამუშავა?“

და ბოლოს, პარიზის ქუჩებში მოფრიალე წითელი დროშების და-ნახვაზე – სამ ხმაში: „სარატოვისებენ! კარტოფილის სათხრელად!“

ლადო და მე „გედის ტბიდან“, „წიწკვი გედების ცეკვის“ შესრულებას ვლამობდით, ლიზა მღეროდა, „რამ ტამ ტამ...“. ჩვენ „სუპერსტარს“ გავძახოდით და ლიზა გვისნიდა, რომ მას, მუსიკის ლიზას უნდა დაგუჯეროთ: ვებერი დეგენერატია. ჩვენ ვერ ვუხსნიდით ლიზას, თუ რატომ გვიყვარდა ასე ძალიან „სუპერსტარი“, რადგან ლიზა ამერიკელია.

კარგი იყო. კაცმა რომ თქვას, ცუდი არც მერე მომზდარა რამე, პირიქით: ლიზამ სტიპენდია მიიღო და გადაწყდა, რომ ის და ლადო დაქორწინდებოდნენ და ამერიკაში გადავიდოდნენ საცხოვრებლად – დროებით, იფიცებოდა ლადო.

ქორწინების ეპოპეა იყო დაუსრულებელი, ნერვების გამფუჭებელი და აბსურდული. ლადო ღელავდა, რომ ლიზა გაგიუდებოდა და გადაიყვარებდა. ლიზა ღელავდა, რომ ლადო გაგიუდებოდა და ქორწინებას გადაიფიქრებდა. მე ვერასოდეს ნარმოვიდენდი, რომ

ამდენი პრობლემა საერთოდ არსებობდა: რაღაც დაუდგენელი საბუთები, საოცარი ინსტანციები. ისე, მე მართლა გავგიუდებოდი და ყველაფერს გადავიფიქრებდი და არასოდეს არავინ მეყვარებოდა.

ქორწილი ძალიან სასაცილო იყო: მაღალი ლადო, უგრძელესი ლიზა და მე. კიდევ კარგი, ლადოს მეჯვარე მამუკა ბერიკა არ იყო, თორემ მთლად მოკლავდა არასრულფასოვნების კომპლექსი...

...ახლა ლიზა და ლადო ენ არბორნში ცხოვრიბენ. საუნივერსიტეტო ქალაქი, სადღელამისო ბიბლიოთეკა, სწორედ ის კონცერტები, რომლებზეც ლადო ოცნებობდა – იმდენად გაკადნიერდა, რომ რავი შანკარის კონცერტზე ბილეთები იყიდა და წასვლა დაავიწყდა! რა კარგია!

„ნუ გეშინია, ანა კორძაია! მე ვიცი, როგორი სიბერე გვექნება! იქნება ბორცვი, საღმე, ნორმალურ შტატში, ბორცვის ერთ მხარეს შენი სახლი იდგება – მე გიყიდო, ბორცვის მეორე მხარეს მამუკა ბერიკას კუყიდი სახლს. საღამობით ბორცვზე შეხვდებით ხოლმე ერთმანეთს და ბერიკა ისევ ზღაპრებს მოგიყვება.“

„შენ სად იქნები?“

„რა ვიცი, სადმე. მაგრამ არ დაგივინყებთ და ყოველთვის შეგეძლებათ იმის თქმა, რომ მე, გენიოსი, თქვენი მეგობარი ვარ. ხომ გინდა ამერიკაში?“

„რა ვიცი, არ მიფიქრია.“

„გინდა, გინდა.“

„მამუკას უნდა?“

„მაგას რა, მაგისთვის ყველგან ამერიკაა.“



სტუმრად გამუკა გერიკასთან. პორცევამზე შორის – 2002 წელი. ფოტო: ლევან ხაჩეულიძე

მანქეტენელ გოგოებს



დაუკავშირდით, განა გასაოცარი არაა: არსებობს ადამიანთა უფლებები და ქალთა უფლებები, ადამიანთა მინისტრი და ქალთა მინისტრი და, ყველა სიკეთესთან ერთად – ქალთა დღე. საშინელებაა, ღმერთმანი. თან ძალიან გამიფუჭეს ცხოვრება ქალთა უფლებებისთვის მებრძოლმა ქალებმა – ისეთი რამეები დამევალა, რაც სულ არაა ჩემი საქმე. თან, ამას ჩემი უშუალო საქმეც ემატება და ვარ ასე, გამწარებული.

ამის გამო, ცხადია, ძალიან მაჯავრებდა ქალთა საერთაშორისო ფლის, 8 მარტის არსებობა, ძალიან მაჯავრებდა ის თითო-ოროლა მამრი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჩემთვის ამ დღეს ყოჩივარდების თაიგული უნდა ეწუქებინა – სხვა დროს ხომ ყვავილს საფლავზე თუ მოგიტანს ვინმე. მოკლედ, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის დღე არანაირად არ ახარებდა ჩემს აპილიტიკურ გულს.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნავიკითხე, რომ ეს დღე კლარა ცეტკინისა და რიზა ლუქსემბურგის ანთებული ფანტაზის ნაყოფი არ ყოფილა – ნეტა აქამდე ეთქვა ვინმეს! და გადავწყვიტე, თქვენთვისაც მეამბო, რა მოხდა 1857 წლის 8 მარტს.

ამ დღეს ნიუ იორქში მანიფესტაციაზე სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშა ქალები შეიკრიბნენ. ისინი ითხოვდნენ ათსაათიან სამუშაო დღეს, ნათელ და მშრალ სამუშაო დარბაზებს და ისეთსავე ხელფასს, როგორსაც მამაკაცებს აძლევდნენ. საქმე ისაა, რომ მანამდე მამაკაცებმა ძალიან გაიბრძოლეს და ათსაათიან სამუშაო დღეს მიაღწიეს, ქალები კი კვლავ 16 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და მაინც კაპიკებს იღებდნენ.

16 საათი! სულ ქალები! უარესი რაღა უნდა გჭირდეს! მაგრამ, ცხადია, ამ ქალებს არავინ არაფერი არ აღირსა, და მათ კვლავ უწინდებურად განაგრძეს ცხოვრება, თუ ამ უბედურებას საერთოდ შეიძლება ცხოვრება ეწოდოს.

გამოხდა ხანი, და 1908 წლის კვლავ 8 მარტს, კვლავ ნიუ იორქში, მანქეტენზე, ქსოვილების ფაბრიკის 129 მუშა ქალმა ხმა აიმაღლა. როგორც ჩანს, ძალიან გამწარდნენ, რაც სულაც არაა გასაკვირი.

იმისთვის, რომ ამ ქალებს სხვებიც არ აჰყოლოდნენ და საერთოდ, მათი წიგნივი დღოულად ჩაეხშოთ, ფაბრიკის მფლობელებმა ისინი შენობაში ჩაკეტეს. და როცა იმ ღამეს ფაბრიკაში ხანდარი გაჩნდა, ქალებმა იქიდან გამოსვლა ვეღარ მოახერხეს, და 129 გოგო დაიწერა.

მოდით, დავიგინწყოთ “ქალთა პროლეტარიატის დაბადების დღე”, საარჩევნო უფლებები და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა – კარგი, რა! – და ის გოგოები გავიხსენოთ. ისინი ხომ კარგი გოგოები იყვნენ, სულ არ აპირებდნენ დაუსრულებლად ჩხუბს და მამაკაცების ჩაგვრას. ისინი მამაკაცების წინააღმდეგ კი არა, მა-მაკაცებისთვის იბრძოდნენ. მათ მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ადამიანები ყოფილიყვნენ და, სხვა თუ არაფერი, სიყვარულის დრო ჰქონოდათ – აბა, სცადეთ, 16 საათი იმუშავეთ და ვნახავთ, რისი თავი გექნებათ!



სიყვარულით

ანა კორძაია-სამადაშვილი

ნოველა

სოფი, ზღვა, სიყვარული

დავით ქართველიშვილი

2005





ეს არ არის დეტექტიური ისტორია, ეს სასიყვარულო თავგადასაცალია, რომელიც პოლიციაში დაბარებით იწყება – ბატონმა ალექსანდრემ სიგარეტს მოუკიდა; მაშინ ჯერ კიდევ ნებადართული იყო სიგარეტის მოწევა დუბლინის ბარებში, – გაინტერესებთ?

მე თავი დავუქნიე: – დიახ, მაინტერესებს.

ერთ-ერთ ხალხმრავალ დუბლინურ ბარში ვისხედით, ირლანდიურ ვისკის ვსვამდით, სიგარეტს ვეწეოდით. გარეთ ზამთარი იდგა, ყინავდა.

და სანამ ამბავში წინ წავიწევდეთ, გეტყვით ვინ არის ბატონი ალექსანდრე და, უპირველესად, ვინ ვარ მე. მე ვარ თაზო ზაზაძე, 1995 წელს დუბლინის უნივერსიტეტში ირლანდიურ ლიტერატურას ვსწავლობდი, ხოლო ბატონი ალექსანდრე ჩემი მფარველი და კეთილისმყოფელი იყო დუბლინში და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ბატონი ალექსანდრე ჩემი ერთადერთი მეგობარი იყო ამ ერთ დროს ჩემს საოცნებო ქალაქში, რომელში ცხოვრებაც რეალურად მიჭირდა: უცხო ხალხი, უცხო ზენე და ათასი სხვა წვრილმანი.

ბატონი ალექსანდრე მენშევიკური ემიგრაციის ერთ-ერთი არცთუ ისე სახელგანთქმული წევრის, მიხეილ აბესაძის შეიღილი იყო. ის პარიზში დაიბადა, თექვსმეტი წლისამ მსოფლიო ხეტიალი დაიწყო (საქართველოში არ ყოფილა მიზეზთა და მიზეზთა გამო) და ათწლიანი ხეტიალის შემდეგ, დუბლინში დასახლდა, აქვე დაოჯახდა და ორი შვილის მამა გახდა. ბატონი ალექსანდრე ერთ-ერთ ბუკინისტურ საწყობში, გავიცანი. იქ მე “ვეფხისტყაოსნის” ინგლისური ვერსია შევიძინე, ხოლო ბატონმა ალექსანდრემ, რომელიც ჩემს გვერდით იდგა და წიგნებს ათვალიერებდა, ინგლისურად მკითხა:

– რაში გჭირდებათ ეს წიგნი?

მე ავუხსენი, რომ ამ წიგნის ავტორი ჩემი ყველაზე დიდი თანამემამულეა, რომელიც დიდ საქართველოს მოესწრო, მაგრამ ცხოვრება მაინც მონასტერში აღასრულა, ხოლო მე – პატარა და ცეცხლმოკიდებლ საქართველოს გამოვექცე და მას პატივს იმით მივაგებ, რომ მისი პოემის ინგლისურენოვან ვერსიას ვყიდულობ. აქ ბატონმა ალექსანდრემ მხარზე ხელი დამადო და ქართულად მითხრა: ბოდიში, მე გატეხილი ქართულით ვლაპარაკობ, პატივი დამდეთ და შინ წამობრძანდით ჩემთან. ასე გავიცანით ერთმანეთი. ჩვენ ერთმანეთს რეგულარულად ვხვდებოდით, ვსვამდით ზომიერად და ვსაუბრობდით აქეთურ-იქეთურზე. მიუხედავად ჩემი ათასგზის თხოვნისა, ბატონი



ალექსანდრე ყოველთვის თქვენობით მომიართავდა, თუმც ჩემზე ოცდაათი წლით უფროსი იყო, ხოლო მე, თავისთავად, თქვენობით მივმართავდი ბატონ ალექსანდრეს, რადგან ვერც მიტინგებმა და ვერც ომებმა ზრდილობა ვერ დამავიწყა.

იმ დღეს ჩვენ “ვეფხისტყაოსანზე” ვსაუბრობდით. მე ამ პოემაში წამყვან იდეად მეგობრობა მიმაჩნდა, ბატონ ალექსანდრეს კი ქალის სიყვარული. კარგია: ირლანდიური ვისკის და სიგარეტის თანხლებით უფროს მეგობართან “ვეფხისტყაოსანზე” საუბარი, მაგრამ თვალებს ვერ დაიჭერ, თვალებს ვერ გააქვავებ: მე დავინახე ბარის კუთხეში მჯდომი გოგონა, რომელიც აშკარად ჩემსავით სტუდენტი იყო, მანაც დამინახა და ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. ბატონმა ალექსანდრემ ჩემი ყურადღების მისაქცევად ჩაახველა და თევა:


— მე მოგიყვებით ამბავს, ეს არ არის დეტექტიური ისტორია, ეს სასიყვარულო თავგადასავალია, რომელიც პოლიციაში დაბარებით იწყება — ბატონმა ალექსანდრემ სიგარეტს მოუკიდა; მაშინ ჯერ კიდევ ნებადართული იყო სიგარეტის მოწევა დუბლინის ბარებში — გაინტერესებთ?

მე თავი დავუქნიე — დიახ, მაინტერესებს.

ბატონმა ალექსანდრემ თქვა: მე მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, მსოფლიო ხეტიალი ორი წლის დაწყებული მქონდა და იმხანად ვალენ-სიაში ვცხოვრობდი. ვტკებებოდი ამ ქალაქის სილამაზით და ჩემი პიროვნული თავისუფლებით. იმდროინდელი ესპანეთი, მოგეხსენებათ, ფრანკოს დიქტატურის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ თვრამეტი წლის არაესპანელისთვის (შეიძლება ესპანელისთვისაც) პოლიტიკას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

მე იაფთასიან სასტუმროში ვცხოვრობდი. ჩემი საცხოვრებელი ოთახი პატარა იყო და ერთი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯარიდან ზღვა ჩანდა. ზღვა ხან მშვიდი იყო, ხან მღელვარე. მე ზღვის ხმაურის თანხლებით ვიძინებდი, ზღვის ხმაური მაღვიძებდა. ზღვის ღამეული ხმაური არ ჰგავს დილის ზღვის ხმაურს, ისევე, როგორც ღამე არ ჰგავს დღეს.

განმარტოებულად ვცხოვრობდი. დღეებს პორტში ვატარებდი. პორტის მუშებს უცქერდი, მესმოდა მათი მუშური, არაპანიანი მეტყველება და ეს საუკეთესო გაკვეთილი იყო ესპანურ ენაში. ასევე, უზარმაზარ გემებს ვუცქერდი და გემით ხანგრძლივ მოგზაურობაზე ვოცნებობდი. არ დაგავიწყდეთ, რომ მე მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი



და არაფერი ამ ასაკისთვის დამახასიათებელი არ იყო ჩემთვის უცხო, მათ შორის, ოცნება ხანგრძლივ მოგზაურობაზე გემით.

ყველაფერი დილით დაიწყო. მოხდა ისე, რომ ზღვის ხმაურის ნაცვლად, კარზე კაცუნმა გამალვიძა. ავდექი და კართან თვალების ფშვნეტით მივედი და გამოვალე. კარის ზღურბლს იქით სასტუმროს პატრონი იდგა – შავგვრემანი, გამხდარი ქალი. ის ტიროდა, ხელში ქალალდი ეჭირა და ეს ქალალდი მე გადმომცა :

- რა არის ეს? – ვკითხე.
- სენიორ, პოლიციაში გიბარებენ, – თქვა სასტუმროს მეპატრონე ქალმა და თვალებზე გაისვა ხელი.

მე მესიამოვნა ასეთი მომართვა – სენიორ, მაგრამ დამიჯერეთ, სიამოგნება არ არის შიშჩე ძლიერი გრძნობა.

- ჩემგან რა უნდა პოლიციას?
- გუშინ ლამით სასტუმროს ერთ-ერთმა კლიენტმა თავი მოიკლა და პოლიციას თქვენთან გასაუბრება სურს.

მე უკვე გითხარით, რომ განმარტოებულად ვცხოვრობდი და აქედან გამომდინარე, სასტუმროს სხვა კლიენტებს არ ვიცნობდი.

- სად არის პოლიცია? – ვკითხე.
- ქვევით, სასტუმროს შემოსასვლელში გელოდებიან.
- ჩავიცმევ და ჩამოვალ, – ვთქვი.
- გადავცემ, სენიორ, – თქვა სასტუმროს პატრონმა. თავი გადააქნებადმოაქნია და გაოცებულმა განაგრძო: – წარმოგიდგენიათ, ის მილიონერი იყო და ჩემს სასტუმროში ცხოვრობდა! სასწაულია! უფრო სწორად, უცნაურია. რა უნდოდა ჩემს სასტუმროში? რატომ ცხოვრობდა აქ? – არ ვიცი, ვთქვი და კარი მივხურე.

ერთხანს საწოლზე ვიჯექი და ზღვის ხმას ვისმენდი, მერე წამოვდევი და ნელ-ნელა დავიწყე ჩაცმა.

გულწრფელად გეტყვით, მე დღემდე არ მიყვარს უცნაურ სიტუაციებში მოხვედრა, თუმც ვიცი, რომ ცხოვრება თავად არის უცნაური სიტუაცია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ მიყვარს ცხოვრება, პირიქით, მე ცხოვრება ძალიან, ძალიან მიყვარს. ყველაფერს სიტყვებით ვერ გადმოცემ, მით უმეტეს, ყველაფერს სიტყვებით ვერ გადმოსცემს ჩემისთანა ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ ეხერხება ზეპირად ფილოსოფოსობა.

სასტუმროს შესასვლელში ორნი დამხვდნენ; დაბალი და მაღალი. ორივე შავგვრემანი იყო, ორივეს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ალბათ იცით, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები ყველაზე საშიში პოლიციელები არიან. დაბალს ფეტრის ქუდი ეხურა, მაღალი უქუდოდ იყო. ორივემ საბუთები მაჩვენა და მე ასე გავიგე, რომ მაღალს მანუელი ერქვა, დაბალს – გარსია. ჩვენ მაგიდას მივუსხედით და დაკითხვა დაიწყო. შეკითხვებს, ძირითადად, მანუელი მისამდა, ხანდახან საქმეში გარსია ერთვებოდა. მანუელი კეთილი, ალალი პოლიციელის როლში იყო, ხოლო გარსია – ჭკვიანისა და აგრესიულის. მე ყველა შეკითხვაზე პატიოსან და ვრცელ პასუხს ვიძლეოდი. კარგია, როცა დამნაშავე არ ხარ და არც არაფერი იცი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სულელს ჰგავს. თუმცა, ჩემი აზრით, სჯობს სულელს ჰგავდე, ვიდრე დამნაშავე იყო.

მანუელი და გარსია წავიდნენ. წასელამდე დამიბარეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კვლავ შემეხმიანებოდნენ.

მე თავი დავუქნიე: ნებისმიერ დროს მზად ვარ დაგეხმაროთ.

ისინი წავიდნენ. სასტუმროს შემოსასვლელში მე და სასტუმროს მე-პატრონე დავრჩით, დაბნეულები ვუყურებდით ერთმანეთს.

მე ვთქვი:

– ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე, – უცებ გავჩუმდი, რადგან დროულად მივხვდი, რომ სასტუმროს პატრონს წარმოდგენა არ ჰქონდა შექსპირის შემოქმედებაზე, ასეთი რამ ადამიანს სახეზე ეტყობა, – თქვენის ნებართვით, მე ნომერში დავბრუნდები, – ვთქვი და კიბეს ავუყევი. კიბე ძველი იყო და ჭრაჭუნა.

ნომერში დავბრუნდი, სანოლზე მივეგდე და იმაზე ფიქრი დავიწყე, თუ რამ შეიძლება მილიონერს უბიძგოს იაფფასიან სასტუმროში დაბინავებისკენ და თვითმეცვლელობისკენ, რომელმიც პოლიციას ეჭვი ეპარება და ვიღაც მკვლელს ეძებს. ასეთ ფიქრებში ჩამეძინა. მშობლიური სახლი მესიზმრა, მესიზმრნენ მშობლები. კარგი იყო მშობლიურ სახლში, მშობლებთან ერთად, მაგრამ სიზმარი იყო მშობლიური სახლი. სიზმარი იყო მშობლები.

კვლავ კარზე კაკუნმა გამაღვიძა. გაღვიძებულმა გავიფიქრე, რომ ამ სასტუმროში ჩემი განმარტოებულად ცხოვრება დაირღვა და გადავწყვიტე, რომ ხვალვე დავტოვებდი მას.

კარის გალებით იწყება სასიყვარულო თავგადასავალი. თქვენ შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, სიყვარული მხოლოდ ერთი ნახვით არსებობს.

მე სწრაფად ვთქვი: – თან გეთანხმებით, თან არ გეთანხმებით.

ბატონ ალექსანდრეს გაელიმა და გალიმებულმა განაგრძო ამბავი: ვერ გეტყვით, როგორი იყო ის. როგორი სახე ჰქონდა, როგორი თმა, როგორი მზერა. საერთოდ, სიყვარული არ არის სახე, თმა, მზერა. სიყვარული სახით, თმით, მზერით გამოწვეული გრძნობაა. მე გეტყვით, რა ვიგრძენი: გული გამიდიდდა და ენა დამიბუუდა. არა, სიტყვებით შეუძლებელია გრძნობების გადმოცემა; მით უმეტეს, ჩემი გადაპრანჯული სიტყვებით. მე ხომ ქართული ენა წიგნებით შევისწავლე; ძირითადად, ლექსებით.

მე სისულელე ვთქვი: – არა, როგორ გეკადრებათ.

ბატონ ალექსანდრეს გაელიმა. მიხვდა, მე ძალიან ზრდილობიანად მინდოდა მეთქვა, რომ ის მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად.

ბატონმა ალექსანდრემ ამბავი განაგრძო: ის ჩემზე პატარა იყო, მან თქვა: – გამარჯობა, შეიძლება შემოვიდე?!

– მობრძანდით.

ის შემოვიდა, მიმოიხედა. მე მივხვდი, რომ სკამს ეძებდა. ვუთხარი:

– სკამს ტყუილად ეძებთ, შეგიძლიათ სანოლზე დაბრძანდეთ.

ის სანოლზე დაჯდა, მე მივუახლოვდი, ხელი გავუწოდე და ჩემი სახელი ვუთხარი. მან ხელი არ ჩამომართვა.

– მე სოფი მქვია. თქვენი ფანჯრიდან ზღვა ჩანს, ეს ძალიან კარგია, მე მიყვარს ზღვა.

მინდოდა მეთქვა, რომ მე ის მიყვარდა, მაგრამ ვერ გავბედე. ჩვენ, ადამიანები ყველაფერს ადვილად ვბედავთ, სიყვარულის გარდა, თუნდაც ასეთ სიტუაციებს:

– სოფი, ჩემს ოთახში რას აკეთებთ? – ვკითხე.
– ვიმალები.



მე სოფის გვერდზე მივუჯექი და ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. ზღვის ხმაური მესმოდა. მე სოფის ვკითხე:

– მოგწონთ ზღვის ხმაური?
– მე თქვენი გულის ხმაური მომწონს, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს ჩემზე ძალიან მოქმედებს; არ გეგონოთ, რომ მე თქვენდამი რაღაც დიდი გრძნობები მაქვს. – სოფი წამოდგა. – გინდათ ვიცეკვოთ? მე წამოვდექი.

– მუსიკა რომ არ...

სოფიმ შემაწყვეტინა:

– მე ვიმღერებ.

და სოფი ამღერდა. სოფი მღეროდა ჩემთვის გაუგებარ ენაზე. სოფი მღეროდა ძალიან სევდიან სიმღერას და ჩვენ ვცეკვავდით, ვცეკვავდით სევდიანად და თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს. ჩვენ, ადამიანები ერთმანეთს თვალებში ძალიან პატარები ვჩანვართ, ამიტომაც დიდხანს ვერ ვუყურებთ ერთმანეთს თვალებში ჩვენ, ადამიანებს ჩვენივე სიპატარავე გვაშინებს და არა ერთმანეთის თვალები. მე თვალები დავხარე. მე სოფის ფეხებს მოძრაობაში ვხედავდი. ლამაზი ფეხები ჰქონდა სოფის. მე კვლავ თვალებში შევხედე სოფის.

სოფიმ თქვა:

– აღარ გვინდა ცეკვა – და ვიგრძენი, ხელიდან როგორ გამომეცალა სოფი, როგორ დადუმდა სოფი.
– კარგად მღერით. – ვუთხარი.


სოფიმ სევდიანად გაიღიმა.

– იცით, მე წესით არ უნდა ვმღეროდე. იცით, გვერდზე ოთახში მამაჩემი ასვენია, მეშინია მკვდრების და შიგ ვერ შევდივარ. მამას ახლა ტანსაცმელს აცმევენ და ჩვენ – ჩემი ძმები, მე და მსახურები სახლში მამასთან ერთად წავალთ.

– ვიზიარებ, – ვთქვი. მინდოდა, მოვხვეოდი სოფის. ადამიანურად, სუფთად. მიკვირდა, რომ ჩემი დამოკიდებულება ამ გოგონასადმი ჩვეულებრივი ვნებისგან ადამიანურ, სუფთა თანაგრძნობად გადაიქცა და ეს ერთ წუთში მოხდა.

საბრალო სოფი.

– თქვენ ქრისტიანი ხართ? – სოფიმ მკითხა.



- დიახ.
- ესე იგი, თქვენ არასდროს, არასდროს მოიკლავთ თავს, მამამ კი მოიკლა.
- არ ვიცი. - ვთქვი.
- რა არ იცით? - სოფიმ მკითხა.
- თავს მოვიკლავ თუ არა.

სოფი წამოდგა, ფანჯარასთან დადგა და მითხრა:

- არასდროს მოიკლათ თავი.

მე ვხედავდი: სოფის, ზღვას, განვიცდიდი სიყვარულს, ადამიანურ, სუფთა სიყვარულს. სოფი, ზღვა, სიყვარული... თავში ეს სამი სიტყვა მიტრიალებდა და ვფიქრობდი, რომ არასდროს, არასდროს არ მოვიკლავ თავს და აი, ამდენი წლის შემდეგ, მე თქვენთან ერთად ვზიარ, სოფის, ზღვის, სიყვარულის წყალობით.

ბატონმა ალექსანდრემ სიგარეტი ჩააქრო და თქვა: ახლა შინ წავიდეთ, ჩემთან.

ჩვენ წამოვდექით. ბატონმა ალექსანდრემ გამაფრთხილა:
- ჩემს მეუღლესთან სოფიზე არც ერთი სიტყვა, ჩემი მეუღლე უკვე ასაკშია და ამიტომაც ყველაფერზე ეჭვიანობს, მათ შორის ჩემს წარსულზეც...

მე ვთქვი: - რა თქმა უნდა, არც ერთი სიტყვა სოფიზე თქვენი მეუღლლის თანდასწრებით...

და ჩვენ ბარიდან გამოვედით.

ზამთარი იდგა, ყინავდა.

ფოტომოთხობა

დათო ტურაშვილი



სხვა თაობა

ერთხელ სკოლიდან ანა-მარიამი მოვიდა (შვიდი წლის) და მეკითხება, – მართალია თუ არა, რომ კისმოსში, სანამ ადამიანებს გააგზავნიდნენ, ჯერ ძალები გაუშვესო. მართალია-მეთქი და ჩვენი სკოლისდროინდელი გაკვეთილი გამახსენდა, მასნავლებელმა რომ გულმოდგინედ აგვისხნა, თუ როგორ ჩასვეს კოსმოსურ ხომალდში ორი ძალლი („პულკა“ და „სტრელკა“) და ცაში გაუშვეს, იური გაგრინის გაფრენამდე ერთი წლით ადრე. ჩემი მიყვენ ჭურით რომ გადაეწყვიტე შვილს ამომწურავ პასუხი გაეცი-მეთქი, ანა-მარიამია ჭამა შეწყვიტა და კიდევ ერთი შეკითხვით მომმართა, – ადამიანებამდე ცაში ჯერ ძალები რატომ გაუშვესო. ესეც სწორედ ისე განვუმარტე, როგორც გვასწავლიდნენ და როგორც მახსოვდა: რადგან უცნობ სამყაროში ადამიანის გაგზავნა საემაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული (ადამიანის სიცოცხლის თვალსაზრისით), კოსმოსში ჯერ ძალლები გაუშვეს, შემდეგ კი – ადამიანები. ავუხსენი მარტივად და გასაგებად, როგორც ჩვეულებრივი ამბავი და უცებ (მართლა მოულოდნელად), ანა-მარიამს ჯერ თვალები აუცრემლდა, – ძალლები მოსაკლავად როგორ გაიმეტესო, და მერე ისე ატირდა, რომ საღამომდე ვერ დავაწყნორეთ. როცა ჩვენც დაგმშვიდიდით და იმაზე დაგფიქრდი, თუ რა უნდა ყოფილიყო შვიდი წლის ანა-მარიამის ასე აღელვების მიზეზი, გამახსენდა, რომ ჩვენს საბჭოთა ბავშვობაში (არა მხოლოდ მე), საერთოდ არ არსებობდა ბავშვი, ვინც იმ ძალლების გამო იტირებდა, რადგან იმ კოსმოსურ ექსპერიმენტს ალვიქამდით, როგორც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ მოვლენას და ძალლების კოსმოსში გაშვება სისასტიკედ სულაც არ გვეჩერებოდა.

როგორც ჩანს, საქართველოში, მართლა ახალი, სხვა თაობა გაჩნდა....

სოსიო

მიშა ახვლედიანი არის მადრიდის „რეალის“ (ალბათ) ერთადერთი ქართველი სოსიო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სანტიაგო ბერნა-ბეუს სტადიონზე მადრიდელები „ბარსელონას“ მასპინძლობენ (და რასაკირველია ბოლეთის ყოდვა შეუძლებელია), მას ყველაზე მეტი შანსი აქვს (როგორც სოსიოს ანუ კლუბის წევრს), რომ რაღაც მაინც მოახერხოს. უკეთესი რა უნდა მოხერხებინა და მიშამ „რეალისა“ და „ბარსელონას“ თამაშზე, სანატრელი ბილეთები (დარჩენილ სამ დღეში) მოიპოვა და მატჩზე დასასწრებად, ორი საათით ადრე, საქართველოს დროშით მივედით. უფრო სანატრელი რა უნდა იყოს ფეხბურთის მოყვარულისთვის, ვიდრე იმ თამაშზე დასწრება, რომელზეც ბაგშობიდან ოცნებობ. ორი საათით ადრე კი იმიტომ მივედით, რომ ათასობით მადრიდელთან ერთად გვენახა, როგორ მიჰყავთ ფეხბურთელები სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონზე – ავტობუსს წინ მოუძღვებიან ცხენებზე ამხედრებული პოლიციელები და ქუჩებში გამოფენილი მადრიდელები სტადიონისკენ მიმავალ საყვარელ გუნდს ისე აცილებენ, როგორც ბრძოლის ველზე გაგზავნილ შუასაუკუნეების რჩეულ რაინდებს. დროშებით აჭრელებულ მადრიდის ქუჩებსა და ადამიანთა სახეებზე ძალიან ადვილია იმის ამოკითხვა, რომ „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება არა მხოლოდ სპორტული შერკვებაა, არამედ გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ფეხბურთი და ამ ორ გუნდს შორის მატჩი ესპანეთის ცხოვრებაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ის-

ტორიული დღე. მეტიც, ეს არის კიდეც ესპანეთის ისტორია მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში პირველად გააგორეს ბურთი და ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ პირველად კატალუნიის დროშები სწორედ „რეალთან“ მატჩის დროს ააფრიალეს საკუთარ დროშებს მონატრებულმა ბარსელონელებმა. პრიმერადივიზიონის მატჩების გრაფიკს, რასაკირველია, ასეთი სიზუსტით ვერავინ დაგეგმავდა და ეს უბრალო დამთხვევა იყო – დიქტატორ ფრანკუს სიკვდილის მეორე დღეს დანიშნული იყო თამაში ბარსელონაში, „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალს“ შორის. მატჩის წინა დამეს კი, კატალუნიის არ იყო ოჯახი, სადაც კატალუნიის დროშას არ კერავდნენ, რომელიც ფრანკუს სიცოცხლეში, უბრალოდ, იყრდნალებოდა. კატალუნიურ ენაზე საუბარიც იკრძალებოდა, მადრიდის „რეალის“ რეალური პატრონი კი, ათეული წლების მანძილზე, თვითონ ფრანკუ იყო. ამიტომაც, ადვილი წარმოსადგენია, რა მონდომებით შეკერავდნენ კატალუნიურ ოჯახებში კატალუნიის დროშებს სწორედ იმ დამეს, როცა დიქტატორი ფრანკო გარდაიცვალა და მეორე დღეს, ეს დროშები „ბარსელონას“ ფეხბურთელებისათვის „რეალის“ წინააღმდეგ საბრძოლველად როგორი სტიმული იქნებოდა. ის მატჩი მაშინ კატალუნიელებმა მოიგეს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი „ბარსელონა“ საკმაოდ სუსტი იყო და მადრიდელებს კი ამ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ასი ათასი დროშის წინააღმდეგ ბრძოლა, მართლაც, ძნელი აღმოჩნდა. ბერნაბეუს





სტადიონზეც ვნახეთ ასი ათასი დროშა ერთად, მაგრამ არა კატალუნიის, არამედ “რეალის”. სანტიაგოზე მისულ ნებისმიერ გულშემატყიფარს, სკამზე თავისი გუნდის თეთრი დროშა და უურნალი ხვდება, სადაც აქ, ამ თამაშზე მისულ ადამიანს, საყვარელი კლუბის შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის წაკითხვა შეუძლია. ყველაზე მეტად (თამაშის გარდა), სტადიონი მაინტერესუბდა და შემიძლია დაბეჭითებით ვთქვა, რომ სანტიაგო ბერნაბეუ არ არის სტადიონი, მიუხედავად იმისა, რომ გარედან მართლა სტადიონს ჰგავს, მაგრამ როცა დაჯდები და ცაში აზიდულ ტრიბუნებს ახედავ, მიხვდები, რომ ბაჟშებობიდან დღემდე, სულ ტყუილად ამაყიბდი “დინამო” სტადიონით და სტადიონი სწორედ “დინამო”, ბერნაბეუ კი – ნამდვილი ზღაპარია. ასეთი ლამაზი არაფერი მინახავს და მართლა პირდალებული ვუყურებდი ამ საოცრებას, როცა მატჩის დაწყებამდე შვიდი წუთით ადრე, ძალიან ასაკოვანი და ძალიან სოლიდური კაცი მომიახლოვდა და ძალიან ზრდილობიანად მითხრა, თქვენ ადგილი შეგეძალათ და თქვენი სკამი მოძებნეთო. ეჭვი, რასაკვირველია, მაშინვე გამიჩნდა, რომ ჩემს სკამზე არ ვიჯექი, მაგრამ იმ დარბასისელ მაღრიდელ კაცს მაინც (ასევე ზრდილობიანად) შევაპარე, იქნებ თქვენ შეგეძალათ ადგილი-მეთქი, რაზეც მან ისე გულიანად გაიცინა, თითქმის მთელმა ტრიბუნამ ჩვენსკენ მოიხედა – მე როგორ შემუშლებოდა, სამოცდაათი წელია ზუსტად აქ ვზიგარო. დანარჩენებთან ერთად გამეცინა და ჩემი სკამი მოვძებნე, საიდანაც (სხვათა შორის), ისევე მშვენივრად ჩანდა მოედნი, როგორც (ალ-

ბათ) ნებისმიერი ადგილიდან, თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, ტრიბუნების ცქერასა და არქიტექტურულ სასწაულს უფრო დავხარბდი, ვიდრე რობერტო კარლისის უგზოუკელოდ დალუნულ ფეხებს, რომელიც სწორედ ჩვენს ფრთაზე, ჩვენი ტრიბუნის წინ, ჩვენგან ძალიან ახლოს თამაშობდა. რონალდო (ტრავმის გამო) საერთოდ არ თამაშობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, რონალდინიმ აიკლო “რეალის” დაცვა და ისეთი მონდომებული იყო, რომ ყველაფერს თვითონ აკეთებდა, კუთხურებისა და ჰაუტების ჩანთოდების ჩათვლით. ჩვენს ტრიბუნასთანაც (ძალიან ახლოს), ამ მუდამ ლიმილიან ფეხბურთელს, მოედნიდან გადმოგარდნილი ბურთის ასაღებად გამოქვევაც ვერავინ მოასწრო და ისე ახლო მანძილიდან დავაკვირდი რონალდინის სახესა და ქვედა ყბას, რომ შეუძლებელი იყო, ივა კუზანოვი არ გამხსენებოდა. სწორედ რონალდინის წყალობით, ის თამაში “ბარსელონამ” მოიგო, ანგარიშით – ორით ერთი და მეორე გამარჯვების გოლით გახარებულმა გულშემატკივარმა, ვიღაც ალბათ კატალუნიელმა (ნინო მანფრედივით), თავი ველარ შეიკავა და ისეთი ყიუნა დასუაბ ჩვენს უკან, რომ მთელი სანტიაგო ბერნაბეუ სტუმრის თავხედობამ გულწრფელად აღმტოთა. თუმცა ”რეალის“ გულშემატკივრებს, ამ კატალუნიელი ფანის წინააღმდეგ, რადიკალური (ძალადობრივი) ფორმებისათვის არ მიუმართავთ – მიმართეს პოლიციას სწორედ იმ მიზნით, რომ მსხვერპლი არ ყოფილიყო და პოლიციამ ის კატალუნიელი გულშემატკივარი ციმ-ციმ გაიყვანა. ერთადერთი, რაც მან მოასწრო, საკმაოდ უხერხულ კონტექსტში

“რეალის” ხსენება იყო, რაც იმაში გამოხატებოდა, რომ როცა იგი ყვიროდა: “აი, თქვენი რეალი”, თვალებითა და ხელებით საკუთარ სასქესა ორგანზე მიუთითებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ “ბარსელონას” გულშემატკივარი მზად იყო, სანტიაგო ბერნაბეუზე “რეალის” გულშემატკივართა ხელით მომკვდარიყო. საბედნიეროდ, ყველაფერი მშეიძობიანად დამთავრდა, მეორე ტაიმში მადრიდის “რეალი” ფეხბურთელთა დედების გახმირებულ ხსენებას თუ არ ჩავთვლით და განსაკუთრებით კი მატჩის მინურულს, როცა “რეალის” ათასობით ქომაგისათვის ნათელი გახდა, რომ მათი საყვარელი გუნდი, მათვის ყველაზე მოძრულ მეტოქესთან მარცხდებოდა. თამაშის ბოლოს გახმირებულ გინებებში ჩემთვის (მანამდე) უცნობი იმდენ სიტყვა ისმოდა, რომელთა არჩანერა არ შემეძლო და მეორე დღეს, ლექციაზე, ჩემი ლექსიკის ლექტორს ვუსაყვედურე კიდეც, ამ სიტყვებს რატომ მიმალავდით-მეთქი. არადა, ამ ულამაზეს ესპანურ ენას, მგონი, უზდება კიდეც ზოგჯერ აღშფოთებული, ხელებგაშლილი ესპანელის უწმანური გადახვევები (განსაკუთრებით მაშინ), როცა იგი “რეალის” მეგავარსკვლავებში გადახდილ მილიონებს მისტირის, რომელიც ესპანეთის კიდეც უფრო განვითარებას უნდა მოხმარებოდა. “რეალის” არცთუ ნარმატებული ასპარეზობა კი (შინ და გარეთ), სწორედ ჩემი თეორიის დადასტურებაა იმასთან დაკავშირებით, რომ ფული მაინც არ არის ყველაზე მთავარი და გადამზყეცებით. სიტყვა “Pasarela”-ც, მადრიდის “რეალზე” საუბრისას (ესპანეთში) სულ უფრო ხშირად ისმის, რადგან ეს სიტყვა “პოდიუმს” ნიშნავს და მადრიდელებს კი სურთ, რომ “რეალის” თამაშისას ახსენდებოდეთ ძეველი “დუენდე” – სიტყვა, რომელიც ჩვენებურ ჯიგარსა ჰგავს, ხოლო მათი ღრმა რწმენით, ფეხბურთის თამაშსა და გამარჯვებას ჯიგარი სჭირდება. ზუსტად ასე მითხრა ბერნაბეუდნ გამოსვლისას “რეალი” გულშემატკივარმა, რომელსაც ჭირისუფლის სახე ჰქონდა, გულზე გაშლილი ხელი ედო და ალბათ დისტეფანოს თუ ეძებდა ამ ნალვლიან, დაფუმებულ ხალხში. მე მიშა ახვლედიანს ვეძებდი, ვინც ასეთი ძირფასი საჩუქარი გამიყეთა და როცა ერთმანეთი დაცარიელებული სანგრიაგოს წინ, დათქმულ ადგილას აღმოვაჩინეთ, ფეხით გავუყევით მადრიდის ქუჩებს. ყოველ ერთ წუთში ერთხელ გვხვდებოდნენ ბერნაბეუსკენ მიმავალი მადრიდის ნაგვის მანქანები, რომლებსაც დიდი, ფერადი ასოებით, ცნობილი სლოგანი ენერათ: “Madrid limpia es capital!”, რაც სიტყვების თამაშია და იმას ნიშნავს რომ მადრიდი ესპანეთის დედაქალაქია მხოლოდ მაშინ, როცა ის სუფთაა...

კერუაკის გზა

როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი ძალიან უბრალოდ დაიწყო. ერთ დღეს, ჯეპ კერუაკმა გადაწყვიტა, თავისი ქვეყანა აღმოჩინა და ამერიკის გაერთიანებული (და არა შეერთებული) შტატები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, მანქანით გაიარა. მერე უკან დაბრუნდა, მერე ისევ დასავლეთისკენ წავიდა, მერე ისევ აღმოსავლეთისკენ და ბოლოს დაწერა წიგნი, რომელმაც ის ქვეყანა, რომლის აღმოჩინაც კერუაკს სურდა, რადიკალურად შეცვალა. მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ რამდენიმე წლის დამთავრებული იყო და ომისგან დანგრეული მსოფლიო, ამასობაში აყვავებული ამერიკის ბედს, დაუფარავად შენატრიოდა. ჯეპ კერუაკმა კი სწორედ ძლინერში ჩაძირული ისეთი ამერიკა აღმოჩინა, რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ დაინახავ, როცა შენი ქვეყანა ძალიან გიყვარს. ეს წიგნიც საოცარი სიყვარულით დაწერილი თავგადასავალია იმ ადამიანისა და იმ თაობის, ვისაც დათმობა არ სურს, რადგან სამყაროს ისე არაფერი აბოროტებს, როგორც კეთილშებილთა კომპრომისები. კერუაკი კი იყო პირველი პიპი, ვანც უარი თქვა შეგუებაზე. მერე კიდევ ბევრი სხვა წიგნებიც დაწერა იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა იყოს ადგინანი ისეთი, როგორიც არის, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც „გზაზე“; უფრო სწორად, „გზაზე“ (“On the road”) – წიგნი, რომელსაც ამერიკაში, ევროპასა და მთელს მსოფლიოში პიპების მოძრაობა მოჰყვა. გზაზე, რომელიც პირველად ჯეპ კერუაკმა გაიარა, მერე სხვა ლიდერებიც გამოჩნდნენ და რიჩარდ ბროტიგენს, ჯიმი პენდრიქესას თუ ალენ გინზბერგს მილიონებიც აპყვნენ, მაგრამ პირველი და მთავარი მაინც კერუაკი იყო. ჯეპ კერუაკზე პიპულარულები იყვნენ ბობ დილანი და ჯენის ჯობლინი, უილიამ ბაროუზი და მიკ ჯაგერი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც კერუაკი იყო, როგორც გზამკვლევი, როგორც პირველი მწერალი და ადამიანი, ვისაც არ შეეშინდა. მას არ შეეშინდა დინების სანინააღმდეგოდ ცურვის, რაც იოლი როდია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადიდებულ მდინარეს ყველაფერი მოაქვს, რაც გზად ხვდება...

ჯეპ კერუაკი საქართველოში არასოდეს ყოფილა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როცა მას საქართველში ჩამოსვლა შესთავაზეს, მაშინ (გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში), საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო და კერუაკმა ამერიკელი მწერლების დელეგაციასთან ერთად საბჭოთა კავშირში სტუმრობაზე უარი თქვა. მან ჩათვალი, რომ ესეც კომპრომისი იქნებოდა მისთვის. საკუთარი პრინცპების ღალატი კი მას არ შემეძლო. ამიტომ საქართველოში მაშინ მხოლოდ ბობ დილანი და ალენ გინზბერგი ჩამოვიდნენ – პიპების უფრო სახელოვანი ლიდერები, ვიდრე თვითონ კერუაკი, მაგრამ რა გასაკვირი იქნებოდა, რომ საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირში, ბობ დილანისა და ალენ გინზბერგის შესახებ არაფერი სცოდნოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ნობელის პრემიაზე ისინი უკვე ნარდგენილები იყვნენ და მათი სახელებიც მთელმა მსოფლიომ ძალიან კარგად იცოდა. იყო ზაფხული, აგვისტოს დასაწყისი, როცა თბილისი (მაშინ) მთლიანად ცარიელდებოდა ხოლმე და უფროსი თაობის ქართველ მწერალთაგან (იმ დღეს რომ მაჩაბელზე, სოლოლაკში დახვდნენ ამერიკელ მწერლებს), აბა ვინ ამოიცნოდა სახელოვან პიპებს. ვერც ამოიცნეს და მხოლოდ ერთ მათგანს (უფროსი თაობის ქართველ მწერალთაგან) სახლში (საღამოს, ტელევიზორის წინ), ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა წამოსცდა – ვიღაც ამერიკელი მწერლები მოიყვანეს ჩვენთან, მაჩაბელზე, დაცვის თანხლებით და მწერალს დაცვა რაში სჭირდებო. ამ ფრაზამ იმდენად დააინტერესა იმ ქართველი მწერლების მოიყვანეს მაჩაბელზეს, სატუმრების სახელები რომ გაიგეს, იმ ღამესვე დაურეკვეს ყველა მეგობარსა და ნაცნობს, ვინც თბილისში ან ახლო-მახლო აგარაკებზე ეგულებოდათ და მეორე დღისთვის, მწერალთა კავშირში დაიბარეს. ამბავი, რომელიც ძმებმა ჭილაშვილებმა გაავრ-



ცელეს, მართლაც დაუჯერებლად ქლერდა, მაგრამ მეორე დღეს, ცოცხალი ბობ დილანის სანახავად, სოლოლაკში მაინც შეიკრიბა რამდენიმე ადამიანი. მათ, ცოცხალ ლეგნდას, ისიც უთხრეს, რომ მიუხედავად საბჭოური რეალობისა, მისი თავვანისმცემლები ამ ქალაქშიც ცხოვრობდნენ და ამის საილუსტრაციოდ ძმებმა ჭილაშვილებმა მისი სიმღერების დაუყოვნებლივ შესრულებაც შესთავაზეს, რაზეც ბობ დილანმა თავაზიანი უარი განაცხადა. მაგრამ, ალბათ, მაინც ესიამოვნა ქართველ ახალგაზრდებს შორის თავისი ფან-კლუბის აღმოჩენა და მადლიერების ნიშნად, ძმებ ჭილაშვილებს საკუთარი წიგნი აჩუქა.

ბობ დილანის ეს წიგნი ("Tarantula"), მისივე ავტოგრაფით, მოგვინებით სიამაშვილების ოჯახში ინახებოდა, საკმაოდ საიმედოდ – როგორც ნივთმტეცება იმის დასტურად, რომ სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა – ბობ დილანი, 1985 წლის აგვისტოში ნამდვილად სტუმრობდა თბილისს. იმ დღეს კი, როცა თბილისელი (მაშინდელი) ჰიპები ბობ დილანს მწერალთა კავშირის მისადგომებთან შეხვდნენ, ალენ გინზბერგი იქ არ ბრძანდებოდა, რადგან სწორედ იმ დღეს, იგი სერგო ფარაჯანოვთან ერთად გაიპარა და ქართული ლვინით ალფროვანდა კიდეც. ერთი დღის შემდეგ, ეს ალფროვანება საჯაროდაც გამოიხატა იმავე მწერალთა კავშირში, მაგრამ იქვე საყვედლურიც გამოიქვა საბჭოთა საქართველოში დემოკრატიის არასაკმარისი ხარისხის გამო. ალენ გინზბერგის ამ განცხადებას ქართველი მწერლების შეშფოთება მოჰყვა და ამერიკელ პოეტს სთხოვეს, განემარტა, თუ (კონკრეტულად) რას უნიუნებდა საბჭოთა დემოკრატიას. გინზბერგმა თქვა, რომ გუშინ საბამის მთელი თბილისი ფეხით მოვიარეთ და არც ერთ ქუჩაზე არცერთი ბოზი ("prostitute") არ შეგვხვედრია – ამ ქვეყანაში თუ დემოკრატიაა, ბოზები რატომ არა გყავთო. როცა ქართველ მწერლებს ამერიკელის სიტყვები უთარგმნეს, ცხონებული ირაკლი აბაშიძე ფეხზე წამოდგა, დანარჩენი ქართველი მწერლებისკენ ხელი გამშვირა და ამერიკელი სტუმრებისთვის თავისი იუმორითა და ჩახლებილი ხმით, საპასუხოდ განმარტა – აქ ვისაც ხედავთ, ჩემო ბატონო, ძირითადად ბოზები არიანო...

შინ, ამერიკაში დაბრუნებულ ბობ დილანსა და ალენ გინზბერგთან, ჯეკ კერუაქმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს უახლოესი მეგობრები იყვნენ. კერუაქმა ისინი კონფორმიზმი დაადანაშაულა. მეტიც, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთ ინტერვიუში



ჯეკ კერუაქი

ისიც კი თქვა, რომ ალენ გინზბერგი კრემლის (მოსკოვის) აგენტი იყო და კონკრეტულად და პარადად კერუაქს კურირებდა. მამინ ჯეკ კერუაკი უკვე გალოთებული იყო და ყველასაგან მიტოვებული, მარტოდმარტო კვდებოდა თავის ფიცრულში, რომელიც (სხვა ლიდერებისგან განსხვავებით), ქონებასა და სიმდიდრეზე არასოდეს გაუცვლია. ის ბოლომდე იმ გზის ერთგული დარჩა, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე დაადგა

და იმ ჰიპებისთვის არასდროს უდალატია, რომლებიც თმებში ჩაწნული ყვავილებით, კერუაქის გზაზე, ხმაურით მიღიოდნენ, მაგრამ მოგვიანებით (ამჯერად უხმაუროდ), სწორედ ისეთები ხდებოდნენ, როგორ მამებსაც თვითონ უპირისპირდებოდნენ. ჯეკ კერუაკი კი იმ რწმენით მოკვდა, რომ მხოლოდ ახალგაზრდობაში ჰიპობა არაფერს ნიშნავს – მთელი სიცოცხლე, ბოლომდე ჰიპი უნდა იყო...

სპეც-პროექტი ბერლინი





სპეც-პროექტის საოცენრია ავიაკომპანია „კა ელ ემი“

აღმოსავლეთ ბერლინში, ცენტრისგან კარგა მოშორებით, არის ერთი გაჩერება, „ბაუმშულენვეგ“. მატარებლიდან (არც კი ვიცი, „ელექტრიკას“ ქართულად რა ჰქვია) ბაქანზე გადმოსული მოპირდაპირე სახლის მეოთხე სართულს ავხედავდი ხოლმე, იმ ფანჯარას, რომელთანაც ერთადერთი უყვავილო საყვავილე ეკიდა – ღმერთია მონმე, მრავალგზის ვეცადე რამის გახარება, მაგრამ არასოდეს გამომიყოდა, რაღაც, ბერლინურ მცენარეებს არ ვესიმპათიურებოდი... პოდა, შევცექეროდი ამ ფანჯარას, და იქ შუქი ენთო ხოლმე, და იქვე, ბაქანზე მიხაროდა – სახლში მოვედი. ცოტაცა: მხოლოდ ვიწრო, იატაკის საპრიალებელი სითხის ქიმიური სუნით გაულენთილი კიბე უნდა ამევლო, ნის კარში გრძელი, ბრიყვული გასალები გადამეტრიალებინა და შემოსასვლელშივე, ფეხსაცმლის ნაჩქარევად გახდისას დამეძახა: „საღამო მშვიდობისა, კარგებო!“

ორად-ორი რამ მაჯავრებდა: ის, რომ თუ ბანაობდი, ჭურჭელს ვერავნ გარეცხავდა – რაღაც ბრიყვული სისტემა იყო, სამზარეულოში თუ წყალს მოუშვებდი, აპაზანაში მყოფი ან იმდულრებოდა, ან ითოშებოდა; და კიდევ: ამ ოროთახიან, მაღალჭერიან, ბარელიეფებით მორთულ და ათასგვარი საგანძურით გამოტენილ ბინას ნახშირის ღუმელი ათბობდა, და მე ძალიან, სულლიად პათოლოგიური დაზარებით მეზარებოდა ათს სართულზე ნახშირის ბრიყეტების თრევა. ამიტომ საძირებელში, რბილად რომ ვთქვათ, ცოდა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ადამიანს გრილ ოთახში უნდა ეძინოს.

იმ ბინაში ძალიან, დაუჯერებლად ბედნიერი ვიყავი და ახლა მიხარია კიდეც, რომ ბაუმშულენვეგში არაფერი მესაქმება, ნასვლა ალარ მომინევს და გული არ დამწყდება, რომ ვიღაცა სხვამ იქ ყვავილები გაახარა და იმ ძველ, ნამდვილ ბერლინურ ბინაში ვიღაცა სხვა ხარობს.

ვერ ვიტყვი, რომ ბერლინში მხოლოდ ამ ბინაში ვიყავი ბედნიერი. უბრალოდ, ის სულ სხვა იყო – ჩემი პირველი ბინა ბერლინში. ისე, თავხედა ვარ. ის ბინა მე არ მეკუთვნოდა, მისი მფლობელები იყვნენ ბატონი დოქტორი თომას ნოლი და მისი მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი მეპთილდ მინორი.

ძვირფასი თომა! დილას კარზე ისეთი ბრახუნი ამიტება, გულს შემომეყარა, და როცა ალრიალებას ვაპირებდი, რა დაგემართა-მეთქი, ყავის ქილა მომაჩერია: „აი, ნახე, ყავის სუნმა გაგაღვიძის!“

ოქროსა თომა. „გოგო,“ მითხრა მან, „სანამ ამ ქალაქში ვინმესთან საქმეს დაიჭერ, ჯერ მე გამაცანი, თორემ შეიძლება გოიმს გადაეყარო“. მე მივუგე, რომ ამ საქმეს რამენაირად თავადაც გავარკვევდი. მან მომიგო, რომ არა, რომ მე თბილისელი ვარ, ეს კი ბერლინია, სხვა ქალაქი, და აქაური გომები სულ სხვა ჯიშის გოიმები არიან. უნდა ითქვას, რომ გამიმართლა: ცოტა ხნის შემდეგ თომამ სიხარულით მომახსენა, ბერლინელმა დაგირეაო. „შენ რა იცი, რომ ბერლინელია?“ – ვკითხე მე. „ბერლინურად ლაპარაკობს,“ – ამიხსნა თომამ.

ძალიან მიყვარს ბერლინელები და მათი სრულიად უბოროტო, მძალე იუმორი, მაგალითად: „რას ჩამომდგარხარ ვედროსავით?“ ისევე, როგორც მათი სასანაულად ბრიყვული და, როგორც წესი, უთარგმნელი ანეკდოტები. ასეთებს არაჩვეულებრივი მოქანდაკე, ჰანს შაბის ჰელენება ხოლმე კანტსტრასეზე, თავის მშვენიერ სახლში, სადაც, თომას სახლისა არ იყოს, არ მეშინა, რომ თეთრ სუფრას წაგახდენ ან ფაიფურის მარკიზას გავკრავ მხარს:

„შობა ღამეს კარზე კაკუნი გაისმა, ერთხელ, როჯერ, სამჯერ. შეწუხდა მარიამი, იოსებს უთხრა, მიდი ერთი, გახედე, ვინ მოვიდა, რა, არაფერი წაუკითხავთო? გააღო იოსება კარი და ხუთი მარტორქა დახვდა. „ჩვენ სამი მოგვი ვართ,“ – ბრძანეს მარტორქებმა, „საჩუქრების წასაღებად ვართ მოსული“. ძვირფასი, ძვირფასო ჰანს!

ჩვენ აღმოსავლეთ ბერლინში ვცხოვრობდით, ჰანსი – დასავლეთში. თუმცა თომა მუდამ ამბობდა, რომ აღმოსავლეთ ბერლინის გადასავლეთიანება ძალიან აღიზიანებს, მე უაღრესად კმაყოფილი გახლდით, რომ სულ ახალგაზრდა, 15-ოდე წლის ქალაქში ვცხოვრობდი, და რაც მთავარია, ის ჩემს თვალშინ არამარტო შენდებოდა, არამედ იქმნებოდა კიდეც. „არა შენს თვალშინ, არამედ შენი თან-



ბერლინი. ანგელოზები

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

ფოტო: დავით მესხი





დასწრებით და მონაწილეობით, “ – ამიხსნა ქართულ ლიტერატურაში უკვე საუკეთესოდ აღწერილი რესტორნის მფლობელმა. ბერლინში ჩასული, პირველივე საღამოს გავრბივარ ხოლმე მასთან და მერე ზემოხსენბული ბატონი შაიბის აღშფოთებული ხმის მოსმენა მიწევს: „ადამიანო, აქამდე სად ხარ? სატაცური არ გინდა? დროზე მოდი, დროზე!“

ვისაც კი ბერლინში ცოტა ხანს მაინც უცხოვრია, აუცილებლად ეცინება, როცა ქართული სტუმართმოყვარეობისა და გულღიაობის განუმეორებლობის შესახებ იწყებენ საუბარს. ქალბატონებო და ბატონებო! დამიჯერეთ, რომ ის თეორიები, რომ ბერლინელები არაჯანსაღად პუნქტუალურები, წუნურაქები და კუშტები არიან, მტრებმა გამოიგონეს, თუმცა ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ბერლინელებს ვინმე ერჩიოდეს – სხვა თუ არაფერი, ბერლინელი ერთობ მულტიკულტურული და კულტურული არსებაა, ძალიან უნდა გადაცდეს ჭკუიდან, რომ რამე საძალობა წამოსცდეს. მე, რა თქმა უნდა, მოვახერხე და ჩემი ყოფილი უფროსის საგმირო საქმეების აღწერისას ყველაზე უწყინარ და თან მაღალგანვითარებულ კაცს დავაცდენინე, ჩემი ერის საუკეთესო შვილები ასეთებს დახაუში უკრავდნენ ხოლმეო თავს, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისი იყო.

საერთოდ, ბერლინელები ეროვნებას და მსგავსებს ნაკლებად დაგიდევენ. ვერ ვიტყვი, რომ ამერიკელებსა და რუსებზე გიჟდებიან, მაგრამ ეს ისე, ისტორიული მესაურების ამბავია. „ამერიკელებს რათას ერჩი?“ – ვკითხე მეგობარს, რომელიც ქირქილებდა, ესა და ეს კაცი სულ გამოამერიკელდა, დილ-დილობით ტრეპტოვის პარკში დაჯოგინგობს და ალბათ თავის შვილს ჯესიკას დაარქმევსო. „მოიცა,“ – გამიჯავრდა, „შენ რა გვინია, ბერლინი რუსებმა და რუსებმა გაყვეს?“ რა მეთქმოდა, მართალი იყო.

ვიცი, რომ სადღაც, ბერლინის გარეუბნებში, საზიზღარი თავგადაბარსული არსებები დარბიან და უცხოელების მიმართ მტრულად არიან განწყობილი. მე შავი ვარ, შავი თმა მაქვს და საერთოდ, ჭეშმარიტი არიელისა არაფერი მცხია, მაგრამ არასოდეს არავინ არ შემხებია. ჩემი მეგობარი ბერლინელების დიდი ნაწილიც დაუდგენელი სისხლის მატა-

თეორიები, რომ ბერლინელები არაჯანსაღად პუნქტუალურები, წუნურაქები და კუშტები არიან, მტრებმა გამოიგონეს, თუმცა ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ბერლინელებს ვინმე ერჩიოდეს.





რებელია: ცოტა მონლოლი, ნახევრად არაბი, დედით თურქი, სრულიად პოლონელი, – მაგრამ ყველა ჩინებულად გრძნობს თავს.

მართალია, ერთხელ, აღმოსავლეთ ბერლინის გულში, პრეცლაუერ ბერგზე, ერთობ უჩვეულო სანახაობის მოწმე გავხდი. მეგობართან ერთად ფანჯრიდან ვიყავი გადაყუდებული და ვუხსნიდი, რომ მე სიყვარულის აღლუმი ძალიანაც მაინტერესებს, რადგან არასოდეს მინახავს, და თუმცა ტექნო არ მიყვარს, ქუჩაში მაინც სიამოვნებით ვიხტუნავებ. ჩემი მეგობარი სულ სხვა აზრისა იყო. ის თვლიდა, რომ სიყვარულის აღლუმი ტურისტული მასხარაობა და ქალაქის დანაგვიანების გარდა, არაფრისმომგანი ამბავია, და ის ძალიან წუხს, რომ მეც ეს დონე აღმოვჩნდი. ასე ტკბილად ვკინკლაობდით, როცა ქვემოთ, ღია რესტორანში, გნიასი ატყდა.

ორმა ბრგე, სათანადო ვარცხნილობის მქონე და მძიმებათინკებიან-მა მამრმა გადაწყვიტა, რომ თურქი მიმტანი აუცილებლად უნდა გაელახათ, და ერთი ჰკერეს კიდეც. მაგრამ სანამ ჩემი მეგობარი აყვირებას მოასწრებდა, ბათინკებიანებს ბერლინელები დაქსივნებ.

ეს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ჩხუბი იყო, რაც კი ოდესმე მენახა. ქალები კიოდნენ, ბავშვები ტიროდნენ, ძალები ღავლავებდნენ. ბათინკებიანებს სცემდენენ უმოწყალოდ, კათხებით, სკამებით, ფეხებით. ეს იყო დიდი გერმანელი ხალხის დიდი ბრძოლა ბათინკებიანთა მიერ შებლალული ლირსების დასაბრუნებლად, და სანამ პოლიცია მოირბენდა, ყველაფერი დამთავრებული იყო.

ძალიან კი ვისამოვნე. ჩემიც ვიფურთხეთ და ვიგინეთ. ვგიუდები სამართლიან ჩხუბებზე.

...

ბერლინი არის არა „სადღაც“, არამედ „ვილაცასთან“. საძაგელი წინა-დადებაა, სავსებით გეთანხმებით, მაგრამ არ ვიცი, სხვაგვარად როგორ ავხსანა. ამ ქალაქში არ არის არც ერთი ადგილი, არც ერთი შენობა, რომლის შესახებაც ვიტყოდი, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაო. ქალაქია,

ჩემი მეგობარი ბერლინელების დიდი ნაწილიც დაუდგენელი სისხლის მატარებელია: ცოტა მონლოლი, ნახევრად არაბი, დედით თურქი, სრულიად პოლონელი, – მაგრამ ყველა ჩინებულად გრძნობს თავს.

**ამ ქალაქში არ არის არც ერთი
ადგილი, არც ერთი შენობა,
რომელის შესახებაც ვიტყოდი, ეს რა
ნახა ჩემმა თვალებმაო.**

რა. მხოლოდ მაშინ, როცა წვიმს – უნდა ითქვას, რომ ხშირად წვიმს, – აღმოსავლეთი ნაწილის ქუჩებისა და ნაცრისფერი სახლების შემცურე კარგად ვხედავ ხოლმე, როგორ დაიძრა პანკოვის მხრიდან საბჭოთა ტანკები. მოგონების ტაძარი, რომელიც დაბომბების შემდეგ დანგრეული დატოვეს, ვითომდა ომის საშინელების არდასავიწყებლად, იმის ნახევარ ემოციასაც არ აღძრავს.

სხვა მხრივ კი ერთი უვრობული ქალაქია, რა, კათედრალიან-მუზეუ-მებიან-ხიდებიანი. არც შპრეეა დიდად შთამბეჭდავი მდინარე, საერთოდ, არაფერს ჰგავს, ვერც ახალშენებულ უბნებს ვადიდებ დიდად – თუ ასეთი არქიტექტურა გიყვართ, ბერლინში არაფერი გესაქმებათ, ნიუ იორკი და მისი ჯანი! მაგრამ ბერლინს სხვა სული აქვს, სულ სხვა რიტმი, რომელსაც მხოლოდ მაშინ იგრძნობთ, თუ ვაღაცასთან ერთად ხართ, კერძოდ – ამის შესახებ დასაწყისშივე მოგახსენეთ – არაგომბ ბერლინელთან ერთად, რომელიც, სულ მარტივად, თავისი არსებობით მიგახვედრებთ, როგორ ქალაქში იმყოფებით.

ბერლინში მუდამ შეყვარებული ვარ ხოლმე, როგორც წესი, უმიზნოდ და უაზროდ. ობიექტები იყვნენ დიდ-დიდი ინტელექტუალებიც და ტყავისჟილეტიანი ბარმენებიც, და ყველა ძალიან ადექვატურად რეაგირებდა ჩემს ქართულ-ხალხურ პრანქვაზე: მპატიურებდნენ ოჯახურ სადილებზე და ერთ კათა „ბიტბურგერზე“, და როცა საჭიროდ თვლიდნენ, საჯაროდ იწყებდნენ ხოლმე ჩემი დიდების გალობას.

„ო, როგორი ქალი გვეწვია“, – გასძახოდა ბოლო ხმაზე რესტორნის მფლობელი. „დღეს განსაკუთრებით მშვენიერი ხარ, ჩემო მშვენიერო!“ არანაირად არ ვიყავი „განსაკუთრებით მშვენიერი“, უბრალოდ, მამაკაცი მახლდა და ხომ უნდა სცოდნოდა იმ ბრიყვს, როგორ გოგოსთან ჰქონდა საქმე!

„რა მოხდა, ყმანვილო?“ – ვკითხე ბარმენს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ ჩემს თანხსლებ ბეჭედგაპრიალებულ და უაღრესად ამპარტა-





ვან ბურჟუას მოახსენა, გადახდილია, ანა აქ არაფერს იხდისო. „გადა-ეხადა, რა დაგენანა?“ ბარმენმა ამიხსნა, რომ ის კაცი არის ნაძირალა და უკანასკნელი, რომ ის მე არასათანადო პატივისცემით მიყურებდა და ამიტომ არაფერი მჭირდა მისი დასაპატიუებელი – „წავიდეს და თავის კახპებს გადაუხადოს, დამპალმა“.

ზაფხულში, როცა ჭკუათმყოფელი ხალხი ზღვის პირას კოტრიალობს ან მთაში დაიარება, და ბერლინურ, განსაკუთრებით საძაგელ სიცხეს საკუთარი ნებით არავინ უძლებს, მე ტბებზე დავდიოდი და მერე მთელი წელი ვერ ვიშორებდი მოყვითალო, არცთუ მაინცდამაინც ლამაზ რუჯს. ეს ცალკე სამყაროა – ბერლინის ტბები.

ცალკე სამყარო კაფეები, სადაც მატარებლის, ანუ იმ ქართულად „უსახელო „ელექტრიჩის“ ჩამოდგომამდე ინფარქტის საწინდარ ყავას ვსვამდით; ცალკე სამყარო არიან კროიცბერგელი ბიჭები და მათი ბრი-ყვული კითხვა: „ვეძებ რაღაცას, ხომ ვერ მიშველი?“; ცალკე სამყაროა თომას მიერ ბარში დაკრული ჯაზი, თახელესის ჯამბაზები, კუნძულებზე გამართული წვეულებები, ალექსანდერპლაცზე შემოყრილი იტალიელი მუშის მიერ ნამღერი ნეაპოლიტანური სიმღერა – რომელი ერთი ჩამოვთვალო...“

ხედავთ, როგორი სენტიმენტალური ვარ? მაგრამ ასეა, და რა ვქნა? და, ბერლინიდან მომავალი, ყოველ ჯერზე ვპირდები ხოლმე 17 ივნისის ქუჩის თავზე აღმართულ ანგელოზს: „მე დავბრუნდები!“

არ ვიცი, უხარის თუ არა. ჯერჯერობით კი პირობა არ გამიტეხავს. ჩემი ნებით ამას არც ვიზამ.

ძვირფასო, მე აუცილებლად დავბრუნდები.

ბერლინში მუდამ შეყვარებული ვარ ხოლმე, როგორც წესი, უმიზნოდ და უაზროდ.



„ბლუბი – სწრაფი და იოლი გეგა უფასო ბილეთის მისაღებად“.



ბლუბი – შე ახალი პროტოკოლი,
ერთგული პროცენტებისათვის.

ბლუ კრედიტების დაგროვება ხდება KLM-ისა და მისი პარტნიორი აფიაკომპანიების საქართველოში გამოწერილ ყველა ბილეთზე. დაგროვილი კრედიტები შესაძლებლობას მოგეემთ ისარგებლოთ უფასო ბილეთით.

სამი ნაბიჯი უფასო ბილეთისკენ:

1. დაარეგისტრირეთ თქვენი კომპანია www.klm.ge-ზე
2. ყოველ დაჯავშნისას გამოიყენეთ თქვენი ბლუბის მონაცემები
3. იფრინეთ უფასოდ, როცა საკმარის ბლუ კრედიტს დააგროვებთ

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ბლუბის მომსახურეობის ცენტრში 10:00-დან 18:00-მდე ტელ.: +995 32 921611, ან გააგზავნეთ ელექტრონული წერილი შემდეგ მისამართზე: bluebiz.ge@klm.com.ge



ბერლინი და ბერლინალე

ავტორი: ლაშა ბაქრაძე
ფოტო: დავით მესხი

გერლინი

ბერლინი ის ქალაქი არაა, რომელიც ერთი შეხედვით მოგეწონება. ბერლინს არ ეთქმის ლამაზი იმ გაგებით, როგორადაც პარიზი თუ რომი, თუნდაც ბარსელონა ან ამსტერდამი ითვლება. მაგრამ ვინც ამ ქალაქს იცნობს, ძნელია მის განსაკუთრებულ, პირქუშ ხილს გაექცეს. როდესაც ამ ქალაქის რეზი ფერები პირველად ვნახე, მიგხვდი, რომ პროლეტარიატის გათავისუფლების იდეა სწორედ აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო. სანამ საბაზრო მეურნეობა ქალაქს პასტელის ფერებში შედებავდა, ჩემთვის ბერლინი ახლობელი და მშობლიური იყო. ბერლინში ჩასული, თავს შინ ვგრძნობდი და გულისცემა მიჩეარდებოდა, როცა ეს-პანი (ქალაქის შიდა „ელექტროჩა“) მუზეუმების კუნძულზე, პერგამონისა და ბოდეს მუზეუმებს შორის გაძვრებოდა.

აქ ბერლინი რამაც განსაკუთრებული. ქალაქის შუაგულში უზარმაზარი პარკია; უფრო სწორად, ტყე. ამ ქალაქს ერთი ცენტრი არ აქვს და ეს მხოლოდ ბერლინის გამორჩეული პოლიტიკური ისტორიის ბრალი არაა. (ქალაქის გაყოფის გამო კი, აქ ყველაფერი ორი ჰქონდათ: იპერა, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, სამუზეუმო ცენტრები, უნივერსიტეტი) დასავლეთ ნაწილის ცენტრი კურფიურსტენდამი და ბრაიტშაიდის მოედანია, სადაც ომის გასახსენებლად, დანგრეული ეკლესია დგას. აღმოსავლეთის ცენტრი ალექსანდრპლატცი და უნტერ დენ ლინდენია, რომელიც ბრანდენბურგის კარიბჭესთან მთავრდება. ბოლო 70 წლის განმავლობაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მესამე დიდ ცენტრს – პოტსდამის მოედანს აშენებენ. ომამდე ის ბერლინის ერთ-ერთი გული იყო.



გერლინი

მოსახლეობა: 3 400 000 (13,3% უცხოელი)

ფართობი: 892 კვ.კმ

სიგრძე (დასავლეთ-აღმოსავლეთი): 45 კმ.

ყველაზე მაღალი მთა: მიუგელბერგი — 115 მ

ყველაზე მაღალი შენობა: სატელევიზიო ანდა — 368 მ

ქალაქის ბიუჯეტი: 22 მილიარდი ევრო

ოჯახის საშუალო თვილური შემოსავალი: 1 475 ევრო

უმუშევრობა: 18,2%

რეგისტრირებული ავტომანქანები: 1.440.200

ძაღლების რაოდენობა: 110.799

ქალაქის სტუმრები: 5 მლნ. (11,5 მილიონი ლამის გათევა)

თეატრალური წარმოდგენა: 9 ათასი

კინოთეატრი: 303

მუზეუმი: 128

უმაღლესი სასწავლებელი: 18 (140.177 სტუდენტი)

www.berlin.de



Berlinale Palast

BERLINALE AM POTSDAMER PLATZ



პოლიტიკური მოედანი

ომშა ბერლინის უდიდესი ნაწილი მიწასთან გაასწორა. ომის შემდეგ, ბერლინი გამარჯვებულებმა ორად გაიყვეს. მერე „ჩვენმა“ ბანაკმა კედელიც კი ააშენა. კედელი ქალაქის შუაში გადიოდა – რაიხსტაგსა და ბრანდენბურგის კარიბჭეს შორის და ოდესლაც სიცოცხლით სავსე პოტსდამის მოედანს შუაზე ჰყოფდა. ამიტომ ვერც დასავლეთმა და ვერც, მით უმეტეს, აღმოსავლეთმა კედლის დანგრევამდე აქ ვერაფერი ვერ ააშენა.

გდრ-ში გამოცემულ ქალაქის გეგმაზე მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი იყო დატანილი. ქალაქის დასავლეთი ნაწილის ადგილას დიდი თეთრი ლაქა – სრული სიცარიელე იყო. აღმოსავლეთის ქუჩები ამ სიცარიელეში მთავრდებოდა, მოედნებს ნახევარნის ფორმა ჰქონდათ.

დასავლეთ ბერლინი მტრულ გარემოცვაში მოქცეული კუნძული იყო. დასავლეთ ბერლინელები კუნძულზე ცხოვრობდნენ, რომელიც გარე ხმელეთისგან კედლით იყო შემოზღუდული. როგორც მეგობრებისგან მსმენია, მათ უცნაური გრძნობა უფლებოდა: ამ ნახევარქალაქში საითენაც არ უნდა ნასულიყავი, მაშინვე ლობეს, გადაულახავ საზღვარს, მაღალსა და გრძელ, თეთრ, ხშირად კი, მოხატულ კედელს აწყდებოდი. კედლის დანგრევის შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ ისინი გათავისუფლდნენ, ვინც თავისუფალი სამყაროს ნაწილი იყვნენ, მაგრამ ამ კედელშემოვლებულ კუნძულზე ცხოვრობდნენ.

მართალია, კედელი 1989 წელს „გაირღვა“, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა. მერე კედელში ხვრელები გაჩინდა. იქ, სადაც ნაციზმის დროს გიორინგის საპარტ დალების სამინისტრო, ხოლო კომუნისტების დროს „სამინისტროების სახლი“ იყო, კედელში გავდიოდი და ყოფილ პოტსდამის მოედანზე ამოყვითლები ხოლმე თავს. მოედნისა მას აღარაფერი ეტყობოდა. მის ადგილს მინდვრის ბალახებით მოფენილი დიდი მინდორი იყო. იქვე იდგა ჯიხური, რომელშიც ღია ბარათებს და კოკა-კოლას ყიდდნენ, ორი ძველი შენობა თუ შენობის ნარჩენები და ბოლოს, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, სადაც ყოველდღე დავდიოდი იმ წიგნების ნასაკითხად, ჩევენს მხარეზე რომ არ იშოვებოდა.

90-იან წლებში ის მსოფლიოს ყველაზე დიდი სამშენებლო მოედნი იყო, რომელიც ნებისმიერი არქიტექტორისთვის გამოწვევად იქცა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს დიდი ქალაქის ახალი ცენტრი აეშენებინა.

დღეს აქაურობა შთამბეჭდავია, თუმცა მასში ახალი საუკუნის ახალი არქიტექტურის ტენდენციები მაინც არ იგრძნობა.

პილიტიკური მოედანი

მსოფლიოში ორასზე მეტი კინოფესტივალია. მათ შორის სამი, უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალებად ითვლება — ვენეციის, კანის და ბერლინის. ვენეციის კინოფესტივალი უძველესია და 1932 წლიდან თანამედროვე ხელოვნების უდიდესი ფესტივალის — ვენეციის ბიენალეს ჩარჩოებში ტარდება (აგვისტოს ბოლოს - სექტემბრის დასაწყისში). კანის ფესტივალი 1946 წელს დაარსდა (ტარდება მაისში).

ამ კინოფესტივალების ჯილდოები (ვენეციის ოქროს ლომი, კანის ოქროს პალმა და ბერლინის ოქროს დათვი) მსოფლიოს მაღალმხატვრულ კინოხელოვნებამი იმავე როლს თამაშობს, რასაც ამერიკული ოსკარი — მასობრივი მაყურებლის (მეინსტრიმ) კინოსთვის.

ბოლო დროს, ასევე ა-კლასის ფესტივალებად კინომრეწველთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIAPF) მიერ აღიარებული იქნენ — მოსკოვის (დაარსდა 1935 წ.), კარლოვი ვარის (1946), ლოკარნოს (1947), სან სებასტიანის (ბასკურად: დონისტიას; 1953), ქარის (1976), ტოკიოს (1985), მარ დელ პლატას (არგენტინა; 1985), შანხაის (1993) სრულმეტრაჟიანი ფილმების საკინეურსო კინოფესტივალები.

კინოფესტივალების ყველაზე დიდი საძიებელი, ლინქებით: www.filmfestivals.com ფესტივალების კატეგორიები: www.fiapf.org

ფილმებისა და რეჟისორების ყველაზე დიდი მონაცემთა ბაზა: www.imdb.com



პერლინალე

იქ, სადაც წინათ მინდორი იყო, სახელმწიფო ბიბლიოთეკის-კენ ზურგშექცევით მიუზიკლების დიდი შენობა დგას, რომელიც ფესტივალის დროს ბერლინალეს სასახლედ იქცევა ხოლმე. 2000 წლიდან, მოედანი, თავისი მულტიპლექს-კანოთეატრებით, ფესტივალის ცენტრია. მანამდე, ათწლეულების განმავლობაში, ფესტივალის მთავარი მასპინძელი, დასავლეთ ბერლინის ცენტრში მდებარე ცოოს კინოსასახლე იყო. უურნალისტები კი, კინოფილმებს ძირითადად რაისსტაგის მახლობლად, მსოფლიოს კულტურათა სახლში ვუყურებდით. ახლა იქ ბერლინის ტალანტთა კამპუსი ტარდება. 14 წელია, რაც ბერლინალეზე უურნალისტად ვარ აკრედიტებული. ამ ხნის განმავლობაში, ფესტივალი გაიზარდა, არამეგობრული და არაკომუნიკაბელური შეიქნა. წინათ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანების გაცნობა შეიძლებოდა. უურნალისტები და კინოს მოყვარულები მსოფლიოს კულტურათა სახლში ხმირად იკრიბებოდნენ, კინოსეანსებს შორის ყავას სვამდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ახლა ცივ, უსახურ პოტსდამის მოედანზე ერთი კინოდან მეორეში გადარბიან და ერთმანეთისთვის დრო აღარ რჩებათ. საღამოობით, უფრო სწორად ღამით, დიდი წვეულებები იმართებოდა, სადაც დაუპატიჟებელ სტუმრებსაც შედარებით ადვილად უშვებდნენ. ამგვარი წვეულები ახლაც იმართება, მაგრამ შეშვებაზე უკვე სასტიკი კონტროლია. მოწყენილი და მოსაწყენი კინოსაზოგადოება ერთმანეთს სულ იმაზე ელაპარაკება, ვინ სად და როგორ იშოვა ფული კინოს გადასაღებად. მუსიკალური ფონის მიუხედავად, იშვიათად ცეკვაფენ. უმრავლესობას საქმიანი და სერიოზული, ზომიერად დაღლილი სახე აქვს. შიგადაშივ, შეიძლება საერთაშორისო ან ადგილობრივ ვარსკვლავსაც მოჰკრათ თვალი. წელს, როგორც აღფრთოვანებით წერდა მედია, უიურის ულამაზეს წევრს – ჩინური ნარმოშობის ამერიკელ ბაი ლინს მკერდიც კი გამოსჩენია. მედიის სიხარული ზღვარს გასცდა.

ოთხი წლის წინ, ერთ-ერთ ასეთ „ფართიზე“ ნორჩი მსახიობი იულია იენჩი გამაცნეს. ძალიან მორცხვი გოგონა იყო. წელს ჯერ ფილმში, ხოლო შემდეგ უკვე სცენაზე ასული ვიხილე – მას ქალის როლის (სოფი შოლი) საუკეთესო შესრულებისთვის ოქროს დათვი გადასცეს. სასიამოებრივა, რომ მიუხედავად წარმატებისა, ისევ უბრალო და მორცხვია.



პერლინალე — პერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი

BERLINALE — INTERNATIONALE FILMFESTSPIELE BERLIN

ბერლინის კინოფესტივალი 1951 წლის 6 ივნისს, კინოდარბაზზე ტიტანიაში, ალ-ფრედ პეჩკირის ფულით, „რეჟისას“ ჩევენებით გაისხნა. მთავარი როლის შემსრულებელი – ჯოან ფონტეინი ფესტივალის სუპერვარსკვლავი იყო. მსოფლიო ომიდან ექვსი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ სრულად დანგრეული ქალაქი ბერლინი საერთაშორისო აღიარებისთვის და ხელოვნების დიდი მეტროპოლიის სახელის აღსადგენად იპროდა (ისეთის, როგორიც ის ოციან წლებში იყო). დღეს ბერლინალე არამარტო ქალაქის ყველაზე დიდი, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების კულტურული ღონისძიებაა. 150 ათასზე მეტი გაყიდული ბილეთით კი ის მსოფლიოში ყველაზე დიდი კინოფესტივალია.

www.berlinale.de



კადრი ფილმიდან: *Man to Man*




კადრი ფილმიდან: *Man to Man*



კადრი ფილმიდან: *U-Carmen eKhayelitsha*



კადრი ფილმიდან: *U-Carmen eKhayelitsha*



GLAMOUR – პრესვიტერიანი

კანისა და ვენეციის ფესტივალებისგან განსხვავებით, ბერლინალეს ნამდვილი (ანუ ჰოლივუდელი) ვარსკვლავები არასდროს წყალობ-ლენი. 2002 წელს, როდესაც ბერლინალეს შეფი დიტერ კოზლი-კი გახდა, შეეცადა (გარკვეულნილად, წარმატებითაც), ბერლინის ფესტივალისთვის მეტი ბრჭყვიალება მიენიჭებინა.

მაგრამ ბოლო ორი წელია, რაც ოსკარების გადაცემის ცერე-მონიალი ერთი თვით ადრე – თებერვლის ბოლოს ტარდება და „ჩანცობებით“ დაკავებულ ჰოლივუდელებს ბერლინისთვის აღარ სცხელათ. ბოლო წლებში, ჰოლივუდი ცდილობს, თავისი ფილმები მთელს მსოფლიოში ერთდღოულად გაუშვას სტარტზე. ამერიკე-ლები ბერლინალეს აღარ ელოდებიან.

გერმანიის კინოთეატრებში უკვე გადის ფილმი ავიატორი, რომელშიც მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო ასრულებს და რომლის ფესტივალზე ჩვენების დიდი სურვილიც ჰქონიათ. ვერც რეი ჩარლზის ცხოვრებაზე გადაღებული ფილმი რეი მოიზიდა ბერლინალე.

ლეონარდო დი კაპრიო ბერლინს იანვარში ესტუმრა. ფესტივა-ლის გახსნამდე ცოტა ხნით ადრე, ქალაქი დასტინ ჰომერამაც მოი-ნახულა. ფესტივალის კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ოსკარების გამო, მომდევნო ფესტივალი შეიძლება თებერვალში ალარ შედგეს. ბერლინალე თავისი ისტორიის პირველ წლებში ხომ ზაფხულში ტარდებოდა და ბერლინური ამინდის გათვალისწინებით, ფესტივა-ლის ჩატარების თარიღის გადატანა მისასალმებელიც კი იქნება.

წლევანდელ ფესტივალზეც უფრო არაამერიკელი ვარსკვლავები ჭარბობდნენ: კატრინ დენევი და უერარ დეპარდიე ან, მაგალითად, ფენიელ დეი-ლიუსი, რომელმაც კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ფესტივალის ერთგულებისთვის პრიზი – „ოქროს კამერა“ მიიღო. დენის სიმარი, ამერიკელი მწერალი და ერთ დროს მერლინ მონრის ქმარი, არტურ მილერი, სწორედ ფეს-ტივალის დაწყებისას გარდაიცვალა, მაგრამ მსახიობიც და მისი ცოლი – რეჯეკა მაინც ჩამოვიდნენ ფესტივალზე.

ახლანდელი ფესტივალი (ნაწილობრივ, იძულებითაც) ისევე, როგორც წინა ხელმძღვანელობის დროს, აქცენტს უფრო ევრო-ჰუ-ლი და არა ამერიკულ ფილმებზე აკეთებს. წლევანდელი ფეს-ტივალის საკონკურსო ფილმების უმრავლესობა ევროპული იყო. პირველ რიგში, ფრანგული (5 ფილმი) და გერმანული (3) ფილმები ჭარბობდნენ.

აურიკა

წლევანდელმა ფესტივალმა განსაკუთრებული ინტერესი აფრიკუ-ლი ან აფრიკის თემაზე შექმნილი ფილმების მიმართ გამოხატა.

ფესტივალი რეჟი ვარნიეს მიერ აფრიკულ თემაზე გადაღებუ-ლი ფილმით *Man to man* გაიხსნა. ბრიტანელი ჯოზეფ ფაინსი და ქრისტინ სკოტ თომასი ანთროპოლოგებს ასახიერებენ, რომელ-თაც 1870 წელს აფრიკაში პიგმეების ტომი აღმოაჩინეს. ანთრო-პოლოგები ორ მათგანს იტაცებენ, როგორც ცოცხალ საბუთს იმი-სას, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოშვა, და დიდ ბრიტანეთში ჩაჰყავთ. მაგრამ მეცნიერები გვიან მიხვდებიან, რომ პიგმეებიც ადამიანები არიან.

სამწუხაროდ, ფილმი, რომლის სცენარის თანაავტორი განაში დაბადებული ბესტსელერების ავტორი უილიამ ბოიდია, მოსაწყე-ნია. განსაკუთრებით ეს ჯოზეფ ფაინსის მიერ განსახიერებულ როლს ეხება. ფილმს, სწორედ რომ, ამერიკული „ექსენ“ აკლია.

კონკურსში სამხრეთ აფრიკული ფილმი ხაელიჩელი კარმენი აჩვენეს. ბიზეს ოპერის მოქმედება თანამედროვე სამხრეთ აფრი-კის ერთ-ერთ თაუნშიაში – ხაელიჩაშია გადატანილი. კარმენის როლს იქაური შესანიშნავი მომღერალი ბაჟულინ მალიფანე ასრუ-ლებს. მთელი ფილმი ხსასა ენაზეა და ადგილობრივი მუსიკითა გაჯერებული. ოპერის რეჟისორის, მარკ დორნფორდ-მეის ფილმმა დამსახურებულად, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ბერლი-

ნის მთავარი პრიზი – „ოქროს დათვი“ აიღო.

ფესტივალზე წარმოდგენილი ორი ფილმი რუანდაში მომხდარ გენოციდს ეხებოდა, რომლის დროსაც, მსოფლიო საზოგადოების თვალწინი, პუტულებმა მილიონამდე ტუტსი ამოხოცეს, რასაც არა-ვინ გამოხმაურებია.

ტერი ჯორჯის სასტუმრო რუანდა, იაფფასიანი ჰეფი ენდით, და რაულ ბერიას ზოგჯერ აპრილში, სინამდვილეში მომხდარი საშინელი სისატიკის მიუხედავად, ვერავის შეძრავს.

ბევრად უფრო საინტერესო იყო ალი სამადი აპადისა და ოლივერ შოლცის დოკუმენტური ფილმი დაკარგული ბავშვები, რომელიც უგანდაში მცხოვრებ ყოფილ ბავშვ-ჯარისკაცებზე მოგვითხრობს, რომლებსაც სამოქალაქო ომის დროს, ადამიანების მოკვლა უხდებოდათ.

ბერლინალე ყოველთვის პოლიტიზებული იყო და პოლიტიკური თემების სიუხვე წელსაც იგრძნობოდა.

პოლიტიკა

ჩვენ რუანდასა და უგანდაზე ბევრი არაფერი ვიცით და შეიძლება ამიტომაც, მოთმინებით ვიღებთ ამ თემაზე შექმნილ ფილმებს, მაგრამ როდესაც ჩეჩენეთის ომის თემაზე სრულად უნიჭოდ გადაღებულ, პოლიტიკურად მიუღებელ ფილმს უყურებ, სიბრაზე გიპყრობს, რომ ასეთი ფილმების გადასაღებად ფული არ ენანებათ და მერე ფესტივალებიც ეპატიურებიან მათ. თამარა ტრამპესა და იოპან ფაინდიტის დოკუმენტური ფილმი თეთრი ყვავები აღმაშფოთებელი იყო თავის სიყვალით და სიძეცით. ჩვენ, როგორც ჩანს, თანაგრძნობა უნდა გამოვიჩინოთ რუსი ჯარისკაცისა და მედდის მიმართ, რომელთა ბედი, თურმე, ჩეჩენეთში ყოფნისას, უკუღმა დატრიალებულა. მედდას, რომელიც ფულის გამო ჩეჩენეთში წავიდა, ეკითხებიან, თუ როგორ შეცვალა ის ჩეჩენეთმა. მისი პასუხი კასეთია: იქ წონაში მოიმატა!

მოსკოვს დაბრუნებული ნაჯარისკაცალი ცხრა წლის გოგონას გააუპატიურებს. წამყვანი, ყალბი ხმით, მის საცოლეს ეკითხება, დაელოდება თუ არა ამ ბიჭს, სანამ ციხიდან გამოვა. საპყრობილის სცენა ამაზრზენია. „საცოდავი“ ბიჭი! – თურმე მისი უბედურება ჩეჩენების ბრალი ყოფილა.

ამ ფილმის ფონზე, შვეიცარიელი ერიკ ბერგკრაუტის ფილმი კოკა: მტრედი ჩეჩენეთიდან კარგი და ადამიანურია. ჩეჩენეთში „კოკას“ – მტრედ ზეინაპ გამაევას ეძახიან. ის და მისი თანამოაზრე ქალები, ჩეჩენეთში რუსული ტერორის შესახებ დოკუმენტებს სიცოცხლის ფასად აგროვებენ.

სტატისტიკა

გასული წლის მონაცემები ცხადშეყოფს ფესტივალის მასშტაბებს – 365 ფილმი 1087 ჩვენებაზე, კინოჩვენებებს ჯამში 392 ათასი სტუმარი დაესწრო, 106 ქვეყნიდან 16 146 აკრედიტებული სტუმარი (მათ შორის 3.695 უკრანისტი, აქედან 1 797 უცხოლი 82 ქვეყნიდან). ბერლინალეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განყოფილები ევროპის კინობაზარზე, რომელიც მხოლოდ სპეციალისტით ვინორ წრისთვისა განკუთვნილი, 412 ფილმი იყო გასაყიდად წარმოდგენილი. წელს მესამედ ტარება ბერლინალეს ტალანტთა კამპუსი, რომელშიც გასულ წელს 84 ქვეყნიდან 520 ახალგაზრდამ მიღები მონაწილეობა და რომელთა მგზავრობისა და ბერლინში ცხოვრების ხარჯების ნაწილი ბერლინალემ იყიდა. ასეთივე მნიშვნელოვანი სიახლეა ბერლინალეს კო-პროდუქციის ბაზარი, სადაც 300-მდე მონაწილე კინოს თანადაფინანსების გზებისა და წყაროების პოვნას ცდილობს.



კალი ფოტოებისას: Hotel Rwanda



კალი ფოტოებისას: Lost Children



კალი ფოტოებისას: Sometimes In April



BIOPIC-ები

საკონკურსო ფილმებს შორის წარმოადგინეს ორი ევროპული ბიოგრაფიული ფილმი, რომელთაც ამერიკელები კინოჟარგონზე biopic-ს უწოდებენ: რობერ გედიგიანის გადალებული ფრანგული ფილმი მარსის ველებზე მოსეირნე (რომელიც კიბოთი დაავადებული პრეზიდენტის, ფრანსუა მიტრანის ცხოვრების ბოლო პერიოდზე მოგვითხრობს) და მარკ როტემუნდის გერმანული ფილმი სოფი შოლი - უკანასკნელი დღეები. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს ფილმი მიუნხენელი სტუდენტის, სოფი შოლის (იულია იენჩი) ცხოვრების ბოლო დღეებს ეხება. სოფი შოლი 1943 წელს ანტინაცისტური პროკლამაციების გავრცელებისთვის დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს.

ფილმში, რომელშიც გერმანული წინააღმდეგობის ახალგაზრდა გმირის სახე თითქოს დოკუმენტური სიზუსტითაა აღდგენილი, გამოტოვებულია ის ფაქტი, თუ როგორ დაასმინა სოფიმ მეგობრები არალეგალური ორგანიზაცია თეთრი ვარდიდან. საერთოდ, საბჭოთა გამოცდილებიდან გამომდინარე, ნაცისტების „სიმხეცე“ ამ ფილმში სასაცილოდ მოგეჩვენებათ. ფილმი თავისი პრიმიტიულობით, ყალბი პერიოკით და კიდევ უფრო პერიოკული უგემოვნო მუსიკით, საბჭოთა ფილმს მოგაგონებთ. მიუხედავად ამისა, ჟიურიმ ფილმის რეჟისორს „ოქროს დათვე“ გადასცა.

გედიგიანის ფილმი, მიტერანის მოღვაწეობის გარდა, ზოგადად, სიკვდილის თემასაც ეხება. საფრანგეთის სოციალისტი პრეზიდენტი მიტერანი, რომელიც საფრანგეთს ყველაზე დიდხანს (ნაპოლეონ III-ის შემდეგ) მართავდა (1981-1995 წწ.), ახალგაზრდა უურნალისტს განვლილ ცხოვრებასა და სიკვდილზე ესაუბრება. 79 წლის მიშელ ბუკე, რომელიც კლიდ შაბროლის ფილმებიდანაა ცნობილი, საფრანგეთის დიდი პრეზიდენტის უკანასკნელ ბრძოლას დიდი დამაჯერებლობით განასახიერებს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ შარტრის ტაძრის მეფეთა საძვალიდან გამოსულ პრეზიდენტს, როცა ამბობს: „მე უკანასკნელი დიდი პრეზიდენტი ვარ. ევროპის კავშირის გამო, გლობალიზაციის გამო, აღარაფერი იქნება ისე, როგორც ეს წინათ იყო. მხოლოდ ფინანსისტები და ბუღალტრებილა იარსებებენ“.

არც (სომხური წარმომავლობის) რეჟისორისთვის და არც შესანიშნავი მსახიობისთვის ჟიურიმ არაფერი გამოიტა. აღმას, ამერიკელთა მოსაზრება გაითვალისწინეს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბიოგრაფიული ფილმი გმირის სიკვდილისწინა დღეებს არ უნდა ეხებოდეს.

ფესტივალი დაიხურა ფილმით კინზი, რომელიც განთქმულ ამერიკელ სექსოლოგზე მოგვითხრობს. 1948 წელს მან გამოაქვეყნა „ერზიზის რეპორტაჟის“ სახელით ცნობილი გამოკვლევა, რომელიც მამაკაცების სექსუალურ ქცევას ეხებოდა. ამ გამოკვლევამ დასავლეთის სექსუალურ რევოლუციას დაუდო საფუძველი.

პიოპიკები ამერიკელების ახალი დიდი გატაცებაა. პოლივუდიდან ამ ჟანრის ფილმების დიდი ტალღა მოდის.

პერლინეს სოფისტურა

ბერლინალეზე წარმოდგენილ ყოველგვარი ჟანრის, ხანგრძლივობისა და ფორმატის ფილმს სხვადახვა სექციებში უჩვენებენ. კონკურსში წარმოდგენილია ყველაზე თვალსაჩინო ფილმები; პანორამაში – დამოუკიდებელი ფილმები და არტკეუზი; ახალგაზრდა კინოს საერთაშორისო ფორუმზე – შორეული, ან ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფილმები და ექსპერიმენტული კინო; საბავშვო ფილმებს საბავშვო კინოს ფესტივალი მასპინძლობს, ხოლო გერმანული კინოს სიახლეებს – გერმანული კინოს პერსპექტივები. რეტროსპექტივასა და ომაჟს (ერთი დიდი კინოპიროვნებისადმი მიძღვნილ პროგრამას) „პერლინის კინოს მუზეუმი – გერმანიის კინემათეკა“ ადგენს.

ბერლინალეს სრულდად ახალი პროექტია ფედერაციის კულტურის ფონდთან ერთად, 2004 წლის ზაფხულში შექმნილი მსოფლიო კინოს ფონდი (World Cinema Fund), რომელიც გამოიცემული ქცევებისა და რეპიონების კინოპროექტების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ეს უკანასკნელი ჩვენთვის საინტერესოა, ღონისძიება სანამ ბლოკებასტერების (ას დავით აღმაშენებელი) გადაღებას დავიწყებდეთ.

ბერლინში წარმოდგენილი იყო ფილმი ზღვის პირას, რომელიც ამერიკელი პოპის ლეგენდის, ბობი დარინის ცხოვრებას შეეხება. ბობი დარინი 50-60-იანი წლების სუპერვარსკვლავია. თურმე ქევინ სპეისის დედა მისი ფანი ყოფილა. დედამ ქევინს გული შეუწუხა, დარინზე ფილმი გადაიღო და შვილმაც დედას სურვილი შეუსრულა, რასაც სრულიად კატასტროფული შედეგი მოჰყვა (ეკონომიკური თვალსაზრისითაც).

სპეისი, რომელმაც თავისი ჩამოსვლით ფესტივალს პატივი დასდო, ამ ფილმის სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი და პროდიუსერია.

ფესტივალს ჯორჯ მაიკლიც ესტუმრა, რომელმაც ავტობიოგრაფიული დოკუმენტური ფილმი განსხვავებული ისტორია წარმოადგინა. ფილმი უაღრესად გულხდილია. მაიკლი გვარჩმუნებს, რომ ის უანრი, რომელშიც თვითონ მოღვაწეობდა („მაღალი პოპ-მუსიკა“), აღარ არსებობს და პროფილის გამოცვლას აპირებს. თუმცა, სიმღერას თავს არ ანებებს და არც მსახიობობა სურს. მაიკლმა მორცხვად ისიც აღნიშნა, რომ „მე მამრობითი სქესის კაილი მინოუგი ვიყავიო“.

სექსი

ბერლინის ფესტივალი (განსაკუთრებით კი მისი განყოფილება პანორამა, რომელიც პომოსექსუალური და ლესბოსური ფილმებით გამოირჩევა), ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს სექსის. კინზის მთავარი თემაც სექსია.

პორნოგრაფიასა და პორნოვარსკვლავებზე წელს რამდენიმე საინტერესო ფილმი აჩვენეს. მათ შორისაა რენდი ბარბატოსა და ფენტონ ბელის ფილმი ღრმა ხანაში, რომელიც თავს დროზე (1972 წელს) პორნოგრაფიის სკანდალურად გახმაურებული კლასიკოსის, პარი რეიმსის ცხოვრების შესახებ გვიამბობს. პარი რეიმსმა ხუთი წელი პატიმრობაში გაატარა, ხოლო მისი ფილმი 23 ქვეყანაში აირდალა. ნიქსონის დროს შემოღებული ანგიპორნოგრაფიული კანონები დღემდე ძალაშია და დღევანდელ პურიტანულ ამერიკაში შეიძლება უფრო გაამქაცრონ კიდევ. არანაკლებ საინტერესო იყო ფილმი პირველ პომოსექსუალ პორნოვარსკვლავზე – პიტერ ბერლინზე.

ეს ყველაფერი საინტერესო იმიტომაცაა, რომ დღეს ინდუსტრიად ქცეული პორნოგრაფიული კინო, შეუდარებლად უფრო ნაკლები დანახარჯებით, პოლივუდზე უფრო შემოსავლიანია.

კონკურსში წარმოდგენილი იყო ცაი მინ ლიანის ტაივანური ფილმიც გზისპირა ღრუბელი, რომელიც პორნომსახიობზე მოგვითხრობს. ეს ფილმი, რომელიც „ვერცხლის დათვით“ დააკილდოვეს, პორნოგრაფიის ზღვარზეა და ყოველგვარი კიჩის ფარგლებს სცილდება.



შიურის თავჯდომარე

ნლევნგდელი შუურის პრეზიდენტია პოლივუდელი გრიმანელი რეჟისორი როლანდ ემერიხი, რომელმაც ნიუ იორკი ჯერ დაანგრია (კონდალი) და მერე გაყინა (დღე ხვალის შემდეგ). მიუწენის კინოსა და ტელევიზიის უმაღლესი სკოლაში გადაღებული სადიპლომო ფილმით წიეს კიდობნის პრიციპი, რომელიც 1984 წელს ბერლინალეს კონკურსში აჩვენეს, ემერიხმა საყოველთო ყურადღება დინამიზურა. 1992 წლის შემდეგ, მიუწმენტურ ფილმების ოსტატმა ამერიკაში გადაიღო უნივერსალური ჯარისაცი, დამოუკიდებლობის დღე, პატრიოტი.



კალი ფილმიდან: Kinsey




კალი ფილმიდან: Kinsey



კალი ფილმიდან: George Michael - A Different Story



კალი ფილმიდან: Beyond The Sea



კარგი ფილმები

წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებულად კარგი ახალი ფილმებით არ გამოირჩეოდა. ეს მხოლოდ ჩემი აზრი როდია, ადგილობრივი მედიაც ასე ფიქრობს. სხვადასხვა რეტროსპექტივაში ნაჩვენები ძველი ფილმები ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, მაგალითად: სტენლი კუპრიკის, სამხრეთ კორეელი რეჟისორის – იმ კვონტ ტემას ან უძველეს და უმნიშვნელოვანეს იაპონურ კინოსტუდია „შიხიკუში“ 110 წლის წინათ გადაღებული ფილმები. ტრადიციისამებრ, ბერლინალებზე მაყურებელს ახლად რესტავრირებული კინოკლასიკაც წარუდგინეს. წელს ეიზენშტეინის „პოტიო-მკინი“ აჩვენეს, ოდესის კიბის აღდგენილი სცენით და დასაწყისში ტროკის ტექსტით.

ახალ ფილმებს შორის სამი რეჟისორის – ემანო ოლმის, აბას კიაროსტამის და კენ ლოურის ერთობლივ ნამუშევარს, ბილეთებს გამოვარჩევდი, რომელიც თავიდან ბოლომდე, ავსტრიიდან იტალიაში მიმავალ მატარებელშია გადაღებული. სამი ეპიზოდიდან ყველაზე შთამბეჭდავი შუა იყო. აქ ხანშიშესული ქალი (სილვანა დე სანტი-სი) ახალგაზრდა მოსამსახურეს თუ საყვარელს არაადამიანურად ექცევა. ბოლოს კი, როცა ახალგაზრდა კაცი გაექცევა, მაინც თანაგრძნობას იწვევს.

მოკლემეტრაჟის ფილმებს შორის (ყოველ შემთხვევაში, რომელიც მე ვნახე) გამოირჩეოდა გიორგი ოვაშვილის ფილმი ზღვის დონიდან, რომელმაც ბერლინალებზე დაწესებული წიუ იორკას კინოკადემიის პრიზიც აიღო.

იყო სხვა, მეტ-ნაკლებად აღნიშვნის ღირსი ფილმებიც, მაგალითად, ქრისტიან პეტცოლდის გერმანული ფილმი მოჩვენებები, ან პირველი ისრაელურ-პალესტინური კოპროდუქცია, პანი აბუ-ასადის Paradise now – სამოთხე ახლავე, სადაც ორი პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტის ამბავია აღწერილი.

შიურის ხევრიპი

ინგებორგა დაცუნაიტე, ლიტველი მსახიობი (მიხალკოვის ოსკარისანი ფილმი მზით გათანგულები; შვიდი წელი ტიბეტში, შეუძლებელი მისია)

ბაი ლინგ, ამერიკაში მცხოვრიელი ჩინელი მსახიობი ქალი, რომელიც ჟურნალმა ფიფლმა მსოფლიოს ულამაზეს 50 ადამიანთა შორის დასახელა (წითელი კუთხე, ველური ველური დასავლეთი, ანა და მეფე)

ფრანკა პოტენტე, გრიმანული მსახიობი ქალი. ტომ ტიკვერის ფილმის ლოლა მირბას (და არა გაექცი, ლოლა, გაექცი) ნებლივი, ის ჩემნიც პოპულარული გახდა. მერე მეთ დეიმონთან ერთად ითამაბა ბორნის ვინაობაში. ფილმში ჩე ფრანკას როვენ სტრუნ სოდერსერგმაც შესთავაზა.

ვოუტერ ბარენდრეხტ, ცნობილი ნიდერლანდელი პროდიუსერი (მისი ბოლო პროდუქცია, გრინუეის ტრილერი ტულს ლაპერის ჩემოდნები, ალბათ, მალე ჩვენშიც ცნობილი გახდება).

იტალიელი ნინო ჩერუტი საყველთაოდ ცნობილი მოდის დიზაინერია. მისი ტან-საცმელი კნოში არაერთი მსახიობს აცვია, ანთა ეპერგით დაწესებული (ტებილი ცხოვრება) – ტომ კრუზით დამთავრებული (ფართოდ დახუჭული თვალები). რობერტ ოლტმანის პრეტ-ა-პორტეს კოსტიუმებზეც მან იზრუნა.

ანდრე კურკავი, უკრაინული სცენარისტი, ოპერატორი და მწერალი. მისი რომანი პიენიე ყინულზე, რომელიც პოსტსაბჭოთა საზოგადოებაზე მოგვითხრობს, 22 წაზეა ნათარგმნი. ის 20-ზე მეტი სცენარის ავტორია.



კადრი ფილმიდან: **Tickets**



კადრი ფილმიდან: **Tickets**



კადრი ფილმიდან: **Ghosts**



კადრი ფილმიდან: **Ghosts**



კადრი ფილმიდან: **Paradise Now**



კადრი ფილმიდან: **Paradise Now**

ისევ პერლინი

ფესტივალი დამთავრდა. ბერლინში მსგავსი სიცივე, კარგა ხანია, არ ყოფილა. ყინავს. თითქოს ყველაფერია ამ ქალაქში – მუზეუმები, გალერეები, თეატრ-ოპერები, კინოთეატრები, კლიბები, გოგოები, მაგრამ მაინც აღარ მითბობს გულს.





ფოტო: ლაშა გარაშვი

რომორ მიყვარდა ეს ქ...ქალაპი!

რასაკვირველია, ისევ მოვა გაზაფხული, დათბება. მერე ცხელი ზაფხულიც მოვა. ქალაქელები ბერლინის პარკებში გავლენ, ან ქალაქ-გარეთ, ტყეებში. ზოგიერთი კი, ბერლინისა და ბერლინის გარშემო ტბებში შიშვლები ჩახტებან. მე კი გული აღარ მიწევს აქეთ. და ამიტომ, როცა ისევ ბერლინურად დაცხება, გოგოები სხვებს აუწევენ კაბის კალთებს.



თამაში ექვის ყანაში

სპეც-პროექტი

ავტორი: მალხაზ ხარბედია
ილუსტრაცია: მამუკა ტყეშელაშვილი
ფოტო: როიტერი



სპირიტიზმის სეანსი

პირველად ვისკით საესე ბოთლი ძალიან პატარამ ვნახე, ერთმა ფოთელმა ნათესავმა გამოუგზავნა მამაჩემს. ეს ნათესავი შორეული ნაოსნობის გემზე მუშაობდა და ვინ იცის, რომელ პორტში დაითრია ეს მაგიურად მიმზიდველი, მანათობელი სასმელი. გასინჯვით გაცილებით გვიან გავსინჯვე, ჩეკების მაღაზიაში ნაყიდი რომელიმე – „პანდრიდ ფაილერს“ თუ „უაიტ პორსი“, ზუსტად არ მახსოვს. მოგვიანებით იყო ქართულ ბაზარზე შემოყრილი იაფფასიანი ჩრდილოაფრიკული და პოლონური სანამლავი (რომელსაც, რატომლაც, ვისკი ერქვა), უცხოეთიდან ჩამოსული, ვისკით ხელდამშვენებული მეგობრები, მოხდენილი ბოთლები, ცხრა ძმაზე გაყოფილი ბოლო წვეთები... მაშინ ვისკის სმას, ხუმრობით სპირიტიზმის სეანსს ვეძახდით. ღვინო თუ ტრადიციულად სისხლს ნიშნავდა, ვისკის - სულთან ვაიგვებდით.

ფოტო: როიტერი

ბერები სახულ ქვაბებან

მასხველს, ათი წლის წინათ, მე და ჩემს მეგობრებს ფშავში ერთი ძალიან უცნაური არაყი გვერდა წალებული. სახელწოდება ჩვეულებრივი ჰქონდა, ტრადიციული "Столичная"-ს მარკისა იყო, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ იარლიყზე გარკვევით იკითხებოდა: „საქართველოს საპატრიარქო“ და ბოთლზე ქერუბიმიც ეხატა. თავიდან გაგვიკირდა, მაგრამ მალე გაგვახსნდა, რომ პირველი არყის სახდელი მანქანების გამოგონება სწორედ ბერებს მიეწერებოდა და მსოფლიოში პირველი ცნობილი სახდელებიც მონასტრებში იყო.

ეს ყველაფერი გაგონილი გვერდა და ვისკის წარმოშობაზეც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენისა ვიყავით. არც ის ვიცოდით, რომ ვისკის სპეციალისტები ამ ღვთაებრივი ელექტრის ისტორიას მონასტრებიდან იწყებდნენ.

კელტი ბერები თურმე უმარტივესი სახდელი აპარატებით ხდიდნენ სითხეს. ვისკის, ძირითადად, სამკურნალოდ იყენებდნენ და ლათინურენოვანი მონასტრების *Aqua vitae*-სთვის (ბერები) სპირტს „სიცოცხლის წყალს“ უწოდებდნენ) კელტურად *uisge beatha* დაურქმევიათ, ანუ იმდროინდელი ქართულით რომ მოვთარგმნოთ, „წყალი (ცხოველი“. შემდეგ ამ *uisge*-ს კაი შორი გზა გაუვლია (*uisce-fuisce-uiskie*), ვიდრე Whisky-დ იქცეოდა, თუმცა დღემდე მაინც დარჩა ორგვარი მართლწერა ამ სასმელისა, Whisky და Whiskey.

როცა ბოთლზე Whisky-ს მოკრავთ თვალს, ე.შ. შოტლანდიურ ვისკიზე, ანუ სკოტეზა საუბარი, Whiskey-ს კი ირლანდიელები წერენ (სხვათა შორის, ისეთი თავზეხელალებული ირლანდიელი, როგორიც ჯოისი იყო, თავის „ულისეში“ ვისკის შოტლანდიურ მართლწერას იყენებდა).

საერთოდაც, ნამდვილი ვისკი მხოლოდ შოტლანდიურია ან ირლანდიური და ეს ორი უძველესი სახეობა ისევე განსხვავდება ამერიკული ბურბონისგან ან კანადური და იაპონური ვისკებისგან, როგორც ვთქვათ, ჰომეროსის „ოდისეა“ – იმავე

საერთოდაც, ნამდვილი ვისკი მხოლოდ შოტლანდიურია ან ირლანდიური და ეს სახეობა ისევე განსხვავდება ამერიკული ბურბონისგან ან კანადური და იაპონური ვისკებისგან, როგორც ვთქვათ, ჰომეროსის "ოდისეა" ჯოისის "ულისესგან".

ჯოისის „ულისესგან“. თუმცა, მოდით, ისევ შოტლანდიელებსა და ირლანდიელებს დაუბრუნდეთ, რადგან ხალხს დღემდე ვერ გაურკვევია, რომელი ერი უნდა ჩაითვალოს „წყალი ცხოველის“ სამშობლოდ და ამის გამო დღესაც ბევრს დავობენ ხოლმე.

ირლანდიელები ჯიუტად ამტკიცებენ, ვისკის გამოხდა V საუკუნეში წმინდა პატრიკმა გვასწავლაო, თუმცა კი ავინწყდებათ, რომ თავად წმინდანი (ასევე ლეგენდის მიხედვით) გერმანიკული ტომებისგან დაუფლებია გამოხდის ხელოვნებას. ამის შესსერბას, რა თქმა უნდა, ირლანდიელებს ვერავინ შებედავს, მითუმეტეს, რომ მათ მიერ მოძულებულ ინგლისელებს ამ ქვეყნის შვილები პრუსიელ ლორებსა და პანოვერელებს, ძეხვიჭამია ნაბიჭვრებს ეძახდნენ. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ გეორგ I-დან (1660-1727) მოყოლებული, კარგა ხნის მანძილზე, ინგლისს ჰანოვერელთა დინასტია მართავდა. ირლანდიელები ჰანოვერელ პრინც ალბერტსა და დედოფალ

ვიქტორიასაც დასცინოდნენ, რომელთა ქორწინების შემდეგაც, ბრიტანეთის სამეფო სახლის გვარი, არსებითად, გერმანული გახდა.


მაგრამ ამის მიუხედავად, ირლანდიელები მანც ფლობენ ორ მთავარ არგუმენტს, რომლებიც ვისკის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ემყარება: 1. ევროპაში ყველაზე ძველი სახდელი ქარხანა ირლანდიური Old Bushmills-ია, რომელიც 1608 წელს აუშენებიათ (სოფელ ბაშმილში იმის კვალიც არსებობს, რომ ვისკის აქ 1494 წელსაც ანარმოებდნენ), და 2. ვისკის სახდელი აპარატი (ანუ ისეთი, რომელსაც დღესაც იყენებენ მთელს მსოფლიოში) სრულყოფილებამდე ირლანდიელმა ენეას კოფიმ მიიყვანა. მის გამოგონებას 1830 წელს Coffey Still ეწოდა და ამ აპარატმა რობერტ სტეინის (რათემა უნდა, შოტლანდიელის) აპარატი გააუმჯობესა.

ახლა შოტლანდიელებიც ვნახოთ. ისინი, ძირითადად, ისტორიული წყაროების სიმრავლით იწონებენ თავს და იმასაც აღნიშნავენ, რომ XVI საუკუნეში ვისკის ფართო გავრცელება მათ სახელს უკავშირდება. ამ საუკუნეში უკვე მთელი შოტლანდია ურახუნებდა ვისკის და საქმე იქამდე მისულა, რომ 1579 წელს შოტლანდიის პარლამენტს სპეციალური განკარგულება გამოუცია, რომელიც თავადებისა და დიდგვაროვნების გარდა, ყველას უკრძალავდა ვისკის გამოხდას. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ ბერიოდს ეკუთვნის ვისკის ყველაზე აღფრთოვანებული შეფასება:

„ზომიერად თუე მოვიხმართ, ვისკი სიბერეს არ მოგაკარებს და სიცოცხლეს გაგვიხანგრძლივებს. იგი კარგია საჭმლის მოსანელებლად და კატარის დასაძლევად, განდევნის მელანქოლიასა და გულს დაგიამებთ, გონებას გაგიხალისებთ და მხეობასაც შეგმატებთ. შეველის წყალმანესა და სულის ხუთას, თავბრუსხვევასა და ენაბრგვილობას, კიილების ღრეულისა და ჩახლეჩილ ხმას, მუცლის ბუყბუყს, გულის ფრიალსა და ხელების კანკალს. დამშრალ ვენებს ვისკი

სისხლით აღავსებს, კუილს შეაკავებს, გამხმარ მყესებს მოქნილს გახდის, ძვლებს კი ააცეკვებს. ერთი სიტყვით, ღვთაებრივი სითხეა, თუე ნიადაგ მოვიხმართ მას.“

1603 წლიდან შოტლანდია ინგლისის ნაწილი გახდა და ამჯერად უკვე ვისკის წარმოებაზე მონოპოლია ჩარლზ I-მა შემოიღო. 1642 წლისთვის გამოხდის უფლება გლაზგოსა და ედინბურგის მხოლოდ რვა ქარხანას ჰქონდა. ამ დროს გამოჩენენ პირველი ნამდვილი ბუტლეგერებიც, ოლონდ, თავიათი ამერიკელი თანამომებისაგან განსხვავდით, მათ პირიქით, გაუმჯობესეს სასმელის ხარისხი. შოტლანდიაში საუკეთესო ვისკის მწარმოებლებად დღესაც ამ იატაკევეშა მევისკეთა მემკვიდრეები ითვლებიან.



შოთ კონერი. ფოტო: რობირი

"ზომიერად თუკი მოვიხმართ, ვისკი სიბერეს არ მოგვაკარებს და სიცოცხლეს გაგვიხანგრძლივებს. იგი კარგია საჭმლის მოსაწყებლად და კატეარის დასაძლევად, განჯევნის მეღანქოლიასა და გულს დაგიამებთ, გონებას გაგიხალისებთ და მზნეობასაც შეგმატებთ. შველის ჟყალმანკუსა და სულის ბუფვას, თავბრუს ბუფვასა და ენაბრგვილობას, კბილების ღრმენასა და ჩაბრენის ბრილის, მუცლის ბუყბუყს, გულის ფრიალსა და ბელების კანკალს. დამშრალ ვენებს ვისკი სისტლით აღავსებს, კუილს შეაკავებს, გამხმარ მყესებს მოქანილს გახდის, ძვლებს კი ააცეკვებს. ერთი სიტყვით, ღვთაებრივი სითხეა, თუკი წიაღაგ მოვიხმართ მას."

XVI საუკუნის შოტლანდიელი მემატიანე

SCOTCH - ანგელოზების თავიანთ ჭილს იზტოვენ

შოტლანდიაში ვისკის წარმოების ძირითადი რაიონებია: ჰაილენდის, სკესისაიდა და ორკენის კუნძულები ცენტრალურ და ჩრდილოეთ შოტლანდიაში, ასევე ლოულენდის სამხრეთში, ქემფბელთაუნის ნახევარკუნძული და კუნძული აილეი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. სკონის ძირითადად ქერისგან ამზადებენ და არსებობს სასმელის სამი ძირითადი ნაირსახეობა: Single Malt, Pure Malt და Blend.

მოდით თანმიმდევრულად მივყვეთ.

SINGLE MALT ერთალიან ვისკის ნიშნავს, იგი ნამდვილი არის ტოკვატია, ვისკების მეფე. მის გამოსახდელად მხოლოდ ქერს იყენებენ, ერთი წლის მოსავალს, რომელსაც კარგად არჩევენ, ასუფთავებენ და აშრობენ. შემდეგ ასველებენ და 10 დღის მანძილზე აღვივებენ. ამასობაში ქერის სახამებელი შაქრად იქცევა, რომელიც დუღილისთვისაა აუცილებელი და მალე ტორფზე გამრობა-შებოლვის დროც დგება. ასე მიიღება ალარ, მთავარი კომპონენტი ვისკისთვის.

გასუფთავებულ და დაფქვილ ალაოს (Grist) თბილ წყალს ასხამენ და ამ ტებილ წვენს (Wort) საფუარს ამატებენ. დუღილი ორი დღე-დამე გრძელდება და მიღებულ 5-8 %-იან ლუდს (Wash) ორჯერ ხდიან. პირველი აბარატიდან (Wash Still) გამოხდილ სითხეს Low Wine-ს უწოდებენ და მას 25-30 %-იანი სიმაგრე აქვს, უკვე მეორე აპარატიდან (Spirits Still) კი 65-70 %-იანი ვისკი მოწვეთავს. მეორე გამოხდის დროს „თავსა“ და „ბოლოს“ აცლიან სასმელს (ჩვენებური ჭაჭის ენაზე, „წინწანაქარსა“ და „კუდს“, „გულს“ კი, ანუ ძირითად ნაწილს წყაროს წყალს უმატებენ, რათა ვისკის სიმაგრე 50 %-მდე დაიკლოს. ვისკის ძველ კასრებში ინახავენ, სადაც ადრე ბურბონი (ამერიკული ვისკი) ესხა. ყველაზე ელიტურ Single Malt-ს კი მხოლოდ ხერების კასრებში აძველებენ.

დაძველების პროცესშივე ხდება ალკოლის აორთქლება, რასაც „ანგელოსთა წილი“ ჰქვეა და ვისკი 40 %-ზე დგება. კანონების მიხედვით ვისკი უნდა დაძველდეს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, ოპტიმალური დრო კი 10-20 წელია, თუმცა 30-50 წლიანი დაძველების ვისკიც არსებობს და როგორც ამბობენ, მისი გემო დამლევს კუბოს კარამდე მიჰყვება.

დაძველების პროცესშივე წერტილი
ალკოლის აორთქლება, რასაც
„ანგელოსთა ჭილი“ ჰქვია და
ვისკი 40 %-ზე დგება. კანონების
მიხედვით, ვისკი უნდა დაძველდეს
არანაკლებ სამი წლის განმავლობაში,
ოპტიმალური დრო კი 10-20 წელია,
თუმცა 30-50 წლიანი დაძველების
ვისკიც არსებობს და როგორც
ამბობენ, მისი გემო დამლევს კუბოს
კარამდე მიჰყვება.

PURE MALT ითარგმნება, როგორც სუფთაალაობანი ვისკი და სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ქარხანაში გამოხდილი Single Malt-ების ნარევს ნარმოადგენს. მისი ძირითადი არსი კუველაზე მძაფრი სინგლების შედარებით რბილი ვისკით (ასევე Single Malt-ებით) განელებაში მდგომარეობს. ამ ვისკის Vatted Malt-საც უწოდებენ.

BLEND ესაა შერეული, ანუ კუპაჟირებული ვისკი. ვისკის „სპეცები“ ხმირად ამბობენ ხოლმე, „გამოხდა – მუცნიერებაა, კუპაჟირება კი ხელოვნება“-ო. ჰოდა, ამ ხელოვნებას საფუძველი, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მხოლოდ XIX საუკუნეში ჩაეყარა (არადა, დღეს, მთელს მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდებობით, სწორედ ბლენდები იყიდება). ენდრიუ იუშერი პირველი იყო, ვინც 1860 წელს ალაოსა და ხორბლის ვისკები ერთმანეთს შეურია და ამით ბლენდის სახელოვან ისტორიასაც დაუდო სათავე. ისე, მე რომ მკითხოთ, თუ ნამდგილ ვისკიზეა საუბარი, სინგლი ან ფიუა მოლტი უნდა დალიო, თორებ ბლენდი „ახოტნიჩისთან“ ერთადაც შეიძლება დაარტყა (სანრუპავი მოლტებისგან განსხვავებით).

ბლენდი 20-40 სხვადასხვა Single Malt-ის შერევით მზადდება, თუმცა 60 %-ზე მეტი აქედან სხვადასხვა ხორბლეულისგან ან სიმინდისგან, ყველანაირი გაფუუბისა და ტორფზე შებოლვის გარეშე დამზადებული ვისკია. მაგალითად, თუკი ქერის ვისკის შედარებით „მშრალ“ გემო აქებს, სიმინდისა ძალიან რბილი ბუკეტით გამოირჩევა, ჭვავისა კი მწარეა, მათმა ერთიანობამ კი შესაძლოა დიდი სიამოვნება მოგვანიჭოს – კუპაჟორის ოსტატობას გააჩნია. ერთს დავტენ, კუპაჟის გასაუმჯობესებლად, ნარევი 6-8 თვე მუხის კასრებში უნდა დადგეს. ამ პერიოდს „ქორნილს“ უწოდებენ და მის შედეგად ძვირფასი, მაღალხარისხიანი ბლენდი დგება.

გახსოვდეთ, თუკი ბლენდის ბოთლზე ვისკის ასაკია მითითებული (ჩვენებურ მინიმარკეტებში ვისკის ნურც გადმოაღებინებთ თაროდან, აზრი არ აქვს), ეს ნიშნავს, რომ კუპაჟში არეული ყველაზე ახალგაზრდა ვისკიც ამდენივე წლისაა. თუკი ნარევში ჭველი Single Malt-ების წილი მეტია, მაშინ ბოთლზე Deluxe ან Premium უნდა ეწეროს.

IRISH WHISKEY – ნაღვი მზოლოდ სამწარავი

მართალია ირლანდიელები პირველობას ვისკის გამოხდაში ძალიან ჩემებენ, მაგრამ ამ საქმიანობამ მათთან საბოლოო სახე მაინც XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო. პირველი მსხვილი სახდელები ჯონ ჯეიმინმა (ვი, რომ წარმოშობით მოტლანდიელმა) და ჯონ პაულმა დააფუძნეს. აირიშ ვისკი ძალზე განსხვავდება სკონისგან, პირველ რიგში კი დავვენილობითა და ნაზა გემოთი, რადგან ისინი, შოტლანდიელებისგან განსხვავებით, ტორფზე არ აშრობენ ალაოს.

Single Malt-ის, Pure Malt-ისა და Blend-ის გარდა, არსებობს რამდენიმე სხვა სახეობის ვისკიც: Pot Still - ტრადიციული ირლანდიური ვისკი ალაოსა და ჩვეულებრივი ქერისგან, ასევე შვრიისა და ჭვავის მინარევებით და Grain - სიმინდისა და ქერის ვისკი ცოტაოდენი ალაოთი. საერთოდ კი ირლანდიაში სამი ძირითადი სახდელი ქარხანა: Midleton, Bushmills და Cooley.

ისინი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხავავებული ტექნილოგიებით ხდიან ვისკის. „მიღლტონში“ მსოფლიოში ყველაზე რთული დისტილაცია ხდება. სამი Pot Still (ჩვეულებრივი, კლასიკური სახდელი ქვაბები) შეერთებულია Coffey Still-თან. „პაშმილსში“ Wash-ს სამჯერ ხდიან ჩვეულებრივ Pot Still-ში, „ქულიში“ კი ორჯერ, ისევე როგორც შოტლანდიაში. ამიტომაც ბევრი ირლანდიელი „ქულის“ მიერ ნარმოებულ ვისკის უვარგისს უწოდებს და პრინციპულად არ სვამს მას.

არგაგვივრდეთ, ლამის ათასგვერდიან „ულისეში“, სადაც ძალიან ბევრსა სვამენ სხვადასხვანაირ ვისკის, მხოლოდ ორი ირლანდიული ვისკია მოხსენებული, ერთი „ბაშმილსი“, მეორე კი „ჯეიმისონი“ – ჯეი. ჯეი. ეს.-ად დაშიორული.



ფოტო: რობერტი

სტარ დანარჩენი - ნახშირიან ვილტრში

ამერიკული ვისკი შოტლანდიელი და ირლანდიელი ემიგრანტების წყალობით გაჩნდა. ამერიკულებიც, ირლანდიელების კვალად, ბოთლზე Whiskey-ს აწერენ, თუმცა ალაოს ნაცვლად, ისინი მოხარულ მარცვლეულს იყენებენ. დასაძველებლად სასმელს გაკვამლულ კასრებში ასხამენ, რის გამოც ვისკი მოტკბო გემოსა და ოქროს ფერს იღებს.

ამერიკული ვისკი რამდენიმე სახეობისაა:

Straight Whiskey, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა:

1. Bourbon (მასში 50 %-ზე მეტი სიმინდის სპირტია) პირველად კენტუკის შტატის ბურბონის პროვინციაში დამზადდა და სახელიც აქტარ დაერქვა (სხვათა შორის, თავის დროზე ამ შტატმიერ შეიქმნა დალზე უცნაური ვისკი, სახელწოდებით „Mark Twain“).

2. Rye Whiskey - მასში 50 % ჭვავის სპირტია (შესაძლოა, ჯერომ სელინჯერის პერსონაჟების საყვარელი სასმელი იყო).

3. Corn Whiskey - თითქმის მთლიანად სიმინდისგან მზადდება (ასეთ ვისკის ბევრსა სვამერ ფოლკნერის რომანების გაუთლელი, პროვინციელი გმირები).

4. Wheat Whiskey ხორბლისა და სხვა მარცვლეულისგან მზადდება.

Blended Whiskey-ში 20 % სთრეიტისა უნდა იყოს, დანარჩენი კი ნებისმიერი სხვა ვისკი, ან სულაც, სუფთა სპირტი.

Light Whiskey ძალიან მაღალ ტემპერატურაზე იხდება და ღია ფერით გამოიჩინა.

Sour Mash Whiskey-ში ე.ნ. „შედედების“ მეთოდს იყენებენ. აქ ნარ-

ჩენებს ხორბლის ტკბილ წვენს უმატებენ, ჯერ კიდევ აუდუღარს. ამიტომაც ვისკის გემო მუდამ ერთი და იგივე რჩება. როგორც ამბობენ, ამერიკული ვისკის უდიდეს ნაწილს სწორედ ამ მეთოდით ამზადებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტზე შესაძლოა სულ სხვა რამ ეწეროს.

Sweet Mash Whiskey-ს შემთხვევაში დუღილს ახალი საფუარით ინვევენ.

Tennessee Whiskey ალბათ ყველაზე უცნაური ვისკია მსოფლიოში, მას ნეკერჩელის ნახშირით სავსე სამეტრიან ფილტრში ატარებენ წვეთ-წვეთ. გამოხდის ასეთი წესი მხოლოდ ტენესის შტატში გამოყენება.

Bottled-in-Bond Whiskey-ს სახელმწიფო საცავებში შენახულ 4-8 წლიან ვისკის უწოდებენ.

კანადური ვისკის პოპულარობა, ძირითადად, ამერიკულმა მშრალმა კანონმა მოუტანა. ყველაზე დიდ წარმატებას კი Seagram-მა და Hiram Walker-მა მიაღწია.

არსებობს იაპონური, ავსტრალიური, ახალზელანდიური, არგენტინული, ტაილანდური და ინდური ვისკებიც (მათგან ჯერ არც ერთი გამისინჯავს), მაგრამ, როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი, ნორმან მეილერი შენიშვნას თავის ერთ-ერთ რომანში, ჯუნგლებში გამოხდილი ვისკი, შესაძლოა, შხამიანიც კი იყოსო. როგორც ჩანს, ჩვენშიც, ძირითადად, სწორედ ასეთ ჯუნგლებსა და ჯუნგლისპირა რაიონებში გამოხდილი ვისკი შემოაქვთ.

ხუთი "S"-ის ჭესი

ვისკის არომატის განსაზღვრა და ალწერა ძალზე რთული ამოცანაა, თუმცა აქაც არსებობს გარკვეული ნორმები. ეს სირთულე, პირველ რიგში, არომატების სიმრავლესთანაა დაკავშირებული – თუკი ვისკის ოთხი ძირითადი გემო და სამი ძირითადი ფერი არსებობს, სურნელთან დაკავშირებით, ეს რაოდენობა ოცდათორმეტამდე იზრდება.

პირველ რიგში, ალბათ, ყველაზე კლასიური, **ტორფის** სურნელი უნდა გამოვყოთ. ასეთი ვისკებით აიღეთ კუნძულია განთქმული. საერთოდაც, შოტლანდიური კუნძულების ვისკის ძირითადი მახასიათებელი კვამლისა და ტორფის სურნელია, რომელიც კვამლისა თუ ფისის არომატიდან – იოდისა და ზლვის სურნელამდე ვარირებს. ხავსის, ჭაობებისა და ნაბშირის არომატთან ერთად, თქვენ წარმოიდგინეთ, გამოყვანილი თევზის ან ხამსას ტონებიც კი შეიძლება ამოვიცნოთ. ყველაზე კარგი ვისკი კუნძულებიდან, რაც კი ოდესმე გამისაზღვავს, „ბოუმორია“ – „მორისონ ბოუმორის“ ნაწარმი, 12 წლიანი დაძველებით. თუმცა არსებობს 17, 25 და 35 წლიანი დაძველების ბოუმორიც, ასევე ძალზე ძვირფასია Bowmore Legend და Bowmore Vintage.

მეორე რიგში, **ხის** ტონები უნდა აღვნიშნოთ, რომელსაც ვისკი, ძირითადად, დაძველების გამო იძენს, ხის კასრების წყალობით. ძევლი კასრები ვისკის ვანილის არომატს ანიჭებს, ახალი კასრები კი ფორთობლის კანის, მუსკატისა და, შესაძლოა, წინაკის სურნელსაც.

თუმცა კი ყველაზე ხშირი მაინც **მარცვლეულის** სურნელია. ძირითადად, ესაა მოხარშული სიმინდის, გამომშრალი ხორბლის, თივის, ლუდის არომატი. უცნაურია, მაგრამ „სპეცები“ ნაკვერჩხალში შემწვარი კარტოფილის, ხორცის ბულიონისა და ღორის ძეხვის ტონებსაც ამავე კატეგორიაში ათავსებენ.


არსებობს **მცენარეული, ნამცხვარ-ტკბილეულია და ხილის** არომატებიც. ზოგიერთი ვისკი, შესაძლოა, მართლაც გასაოცარი, არატიპური არომატით გამოიჩინოდეს. მაგალითად, Glenturret-ს ციტრუსების ნაზი სურნელი ახასიათებს, ბევრი ვისკია (ძირითადად სპეისაიდის რაიონიდან) ვაშლის, ატმის, მსხლისა და გარგარის სურნელით.

რათა სრულყოფილად ვიგრძნოთ ასეთი დახვეწილი და რთული არომატები, პირველ რიგში (კარგ ვისკისთან ერთად), აუცილებელია რამდენიმე ხესის ცოდნა. მიღებულია, რომ ვისკის ე.წ. ტუმბლერით – სქელმირიანი, განიერი სწორკუთხა ჭიქებით სვამენ. თუმცა როცა საქმე სინგლ მოლტებზე მიღება, უმჯობესია ვისკი კონიაკის მუცელგაბერილი და ვინწროყელიანი ჭიქებით გავსინჯოთ. ხელში შევათბოთ ჭიქა (სითბო არომატული ნივთიერებების გამოყოფას უწყობს ხელს) და დავტებეთ ბუკეტით, ფერით და გემოთი. თუკი ჭიქას ნაზად შევანჯლრევთ, ჭიქის კედლებზე ნარმოიქმნება ე.წ. „საცეცები“ (როგორც ჩანს სწორედ ამ საცეცებმა ჩაითრია ბევრი სახელმოვანი ვისკის მოყვარული), რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს ვისკის სიმკვრივე და ზეთიანობა. თუკი საცეცები მაღლე ქრება - ვისკი მსუბუქია და პირიქით, ჭიქის კედლებზე დიდანას შერჩენილი წვეთები მკვრივი და ზეთიანი ვისკის ნიშანია.

შოტლანდიელებს დეგუსტაციის ხუთი ოქროს წესი აქვთ, რომელსაც ე.წ. ხუთი „S“-ის წესს ეძახიან: Sight, Smell, Swish, Swallow, Splash, ანუ გახედვა, დაყნოსვა, დაგემოვნება, გადაყლაპვა, წყლის ჩანვეთება. დაგემოვნებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ენის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა გემოს აღიქვამს. ენის წვერი - სიტკბოს, ენის გვერდები - სიმღავეს, მუა ნაწილი - სიმჟავეს, უკანა კი სიმწარეს. კარგია, თუკი ვისკის ერთ წვერ წყალსაც დავამატებთ. ეს ერთი წვერით სპირტის სურნელს აქარვებს და ვისკის არომატებსა და გემოს უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს.

ვისკის მაცივარში შენახვა ისევე არ შეიძლება, როგორც კარგ ვისკიში ყინულის გარევა. ასეთ შემთხვევებზე „სპეცები“ ამბობენ, ვისკი შეიძლება გარდება. ასევე არაა რეკომენდებული ვისკისთან, ვთქვათ „სადიას“ ბარკლები, სალამის ძეხვი, ნიკორას სოსისი, ხავიანი „სელიოდეკა“, საცივი, ბაჟე, მწვადი, ქაბაბი და ხინკალი. გუდის ყველზე, დამბალ ხაჭოზე და გებულიაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასეთ პურმარილს ჩვენებური კაბური ღვინო, ანდა, სულაც, ჭაჭის არაყი უფრო მოუხდება. ვისკი კი ძვირი სიამოვნებაა და მის ყოველ წვეთს გაფრთხილება სჭირდება. ახლაც გული მწყდება, რამდენი კარგი ვისკის ყლუპი გამიფუჭებია ლუდის ჩაყოლებითა თუ სხვადასხვანაირი „ზაკუსკეულით“.

ვისკის მაცივარში შენახვა ისევე არ შეიძლება, როგორც კარგ ვისკიში ყინულის გარევა. ასეთ შემთხვევებზე „სპეცები“ ამბობენ, ვისკი შოკეტი ვარებები. ასევე არაა რეკომენდებული ვისკისთან, ვთქვათ „სადიას“ ბარკლები, სალამის ძეხვი, ნიკორას სოსისი, ხავიანი „სელიოდეკა“, საცივი, ბაჟე, მწვადი, ქაბაბი და ხინკალი. გუდის ყველზე, დამბალ ხაჭოზე და გებულიაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ასეთ პურმარილს ჩვენებური კაბური ღვინო, ანდა, სულაც, ჭაჭის არაყი უფრო მოუხდება. ვისკი კი ძვირი სიამოვნებაა და მის ყოველ წვეთს გაფრთხილება სჭირდება. ახლაც გული მწყდება, რამდენი კარგი ვისკის ყლუპი გამიფუჭებია ლუდის ჩაყოლებითა თუ სხვადასხვანაირი „ზაკუსკეულით“.




შაშის თამაში ვისკის ბოტლერი

ცალკე თემაა ვისკი და მსოფლიო ლიტერატურა. სახელოვანი მწერლების რომანებსა და მოთხოვნებში ვისკის სვამენ, ნერგებს იწყნარებენ, გულ-მუცელს ითბობენ, სახეზე იპკურებენ, ჭრილობაზე ისხამენ. ვისკის სმაში ბევრს დრო გაჰყავს, ანდა სულაც, ყინულების წერიალით ტკბებიან. ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები ინგლისურენოვან ლიტერატურაში გვხვდება, XVIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, თუმცა ფრანგებსა და იაპონელებსაც ხშირად უყვართ ხოლმე ვისკით თავმოწონება. ვისკის სვამენ ინგლისურ გოთურ რომანებში, ჩარლზ მეტიურინის „მოხეტიალე მელმოტში“ და სხვაგანაც, თუმცა ყველაზე ნიშნეული XX საუკუნის ლიტერატურული ლოთები არიან, ერნესტ ჰემინგუეის გმირებით დაწყებული – დაგლას კოუპლენდით დამთავრებული.

მოდით XIX-ე საუკუნიდან დავიწყოთ, ვთქვათ, დიკენსით. მასთან ვისკის წყალთან გაზავებულს სვამენ. პიკვიკის კლუბის ჩა-

ერთი ასაკოვანი შოტლანდიელი აზალგაზრდა ირლანდიელს ურჩიევს, "კარგი იქნებოდა თქვენი ირლანდიური სისხლი, ცოტაოდენი შოტლანდიური ვისკით გაგვეზავებინათ."



ჩარლზ ბუკოვსკის ლოთი გმირები,
ძირითადად, შოტლანდიურ ვისკის
ანიჭებენ უპირატესობას ბურბონთან
შედარებით. ისინი ხან ლიმონის
ჯვენით აზავებენ სასმელს, ხან ჯყლით,
ხანაც თვრებიან და ჯვიმას უსმენენ.
უყვართ ე.ჭ. "მისაბმელით" სმა, ლურით
და სხვა ალკოჰოლური სასმელებით.
აიღებენ ერთ 750 გრამიანს, ლურის
მთელ ბატარეას და ბიფტექსის
შეჯვამდე ნახევარი ბოთლის ჩარტყმას
ასჭრებენ.

ნაწერებში ერთ-ერთ ვისკით მთვრალს მოჩვენებაც კი გამოეცხადება, არტურ კონან დოლთან კი ძალიან მახვილგონივრული შენიშვნა გვხვდება. იქ ერთი ასაკოვანი შოტლანდიელი ახალგაზრდა ირლანდიელს ურჩება, „არგი იქნებოდა თქვენი ირლანდიური სისხლი, ცოტაოდენი შოტლანდიური ვისკით გაგვეზავებინაო.“ ჯოზეფ კონრადის ზღვის მგლები ვისკის კი არა, თხევად ცეცხლსა სვამენ, ხოლო იყლინ ვოსთან ვისკის ხან თბილი წყლით აზავებენ, ხანაც იმბირის ელით. ეს იმბირის „ჩვენებურად ამ მცენარეს „კოჭა“ ჰქვია) ელით შეზავებული ვისკი, როგორც ჩანს, XX საუკუნის 20-30-იან წლებში იყო მოდაში, რადგან მას ბევრი სხვა მწერალიც ახსენებს, მაგლითად, ჯონ დოს პასლის. მის რომანში „42-ე პარალელი“ ამ სითხეს ძალიან დიდი რაოდენობით სვამენ, ყველაფერს ვისკის სუნი უდის, „1919“-ში კი ზოგიერთი ჩიკაგოელი ლუდის კათხებიდანაც კი ყლურწავს მას.

შერვუდ ანდერსონთან ბავშვები მოცხარის ნაყენთან შერეულ ვისკის სვამენ, ზოგიერთი უფროსი კი ქალაქებრეთ მიემზავრება, რათა ვისკისთან განმარტოებაში არავინ შეუშალოს ხელი.

იყლინ ვოს ერთი პერსონაჟი ამბობს, „თუეგი მეგობრის მოსანახულებლად ჰოსპიტალში მიდიხართ და ჯიბეში ვისკი არ გიდევთ, ჯობია საერთოდ არ მიხვიდეთ მასთან“. ჰოდა ამიტომაც, სტუმრად იქნება თუ მეგობრის მოსანახულებლად, ყველგან ვისკი დააქვთ ხოლმე. პატიუთაც პერსონაჟები, ძირითადად, ვისკიზე პატიუებენ ერთმანეთს. ერთი გოგონა, ხოლ ბელოუს რომანიდან, სწორედ ვისკის ამჯობინებს მარიხუანას. ასე იტყვის, „არანაირი ბალახი,



თემობა ჰარუკა მურაკამის, რომ ისაკონელობის მიუხედავად, ამარიკულ აროზაზე განვითარებული

მხოლოდ ვისკი უნდა ვწრუპო". ბლომად ვისკი ისმება ენტონი ბერჯესის „მექანიკურ ფორთოხალშიც“, ოლონდ აქ ვისკის რძითაც აზავებენ ხოლმე. ბერჯესთანვე გვხვდება ვისკის ერთი ძალზე საინტერესო, თუმცა კი გამოგონილი, ლიტრატურული ნარმიშობის სახეობა "Old Mortality". საქმე ისაა, რომ ეს სახელი ვალტერ სკოტის ერთ პერსონაჟს, მოხუც მესაფლავეს ჰქვია, ამავე სახელწოდების რომანიდან.

ჯონ აპდაიკის „ისტოუკელ ალქაჯებში“ ერთ-ერთი „ალქაჯი“ მხოლოდ იმიტომ სვამს ვისკის, რომ მისმა მწვანე თვალებმა ოქროს ნაპერნკლებით გაანათოს, უილიამ ფოლენერთან კი ქალის თვალის ფერს არანაირი კავშირი არა აქეს ვისკისთან. აქ ამ ქალთა ჯანი უფრო სჭირდებათ იმიტომ, რომ ყველაზე ხშირად სწორედ მათ უწევთ ხოლმე ვისკის გამოსახდელად საჭირო წყლის ზიდვა.

ჩარლზ ბუკოვსკის ლოთი გმირები, ძირითადად, შოტლანდიურ ვისკის ანიჭებენ უპირატესობას – ბურბონთან შედარებით. ისინი ხან ლიმონის წვენით აზავებენ სასმელს, ხან წყლით, ხანაც თვრებიან და წვიმას უსმენენ. უყვართ ე.ნ. „მისაბმელით“ სმა, ლუდით და სხვა ალკოჰოლური სასმელებით. აილებენ ერთ 750 გრამიანს, ლუდის მთელ ბატარეას და ბიფშტექსის შენვამდე ნახევარი ბოთლის ჩარტყმას ასწრებენ.

ნარმან მეილერი ერთგან წერს, თუკი ვისკის სმით მოკვდები, შენი სული ქერის ყანაში მოხვდებაო, ტრუმენ კაპოტესთან კი მოხუცი გამყიდველი ჯოჯოხეთით ემუქრება ყველას, ვინც კი კარგ ვისკის ნამცხვრისთვის გაიმეტებს. კენ კიზისთან ცუდ ვისკის მტრედის

ფსელს უწოდებენ (ერთი წემი მეგობარი ცუდ არაყზე ამბობს, ძალლის რძეაო), სხვებს კიდევ, გული წყდებათ, რომ ვისკის ჩაი „ერლ გრეიი“ ჩააყოლეს და პირის გემო გაიფუჭეს.

თანამედროვე მწერლებიდან, ვისკის ყველაზე მეტს ჰარუკა მურაკამის გმირები წრუპავენ. ამ კაცს ეტყობა, რომ იაპონელობის მიუხედავად, ამერიკულ პროზაზე, რამონდ კარვერისა და სხვათა მოთხოვნებზეა გაზრდილი, თუმცა კი ყველაზე საინტერესო სცენა ლიტერატურიდან, რომელიც ვისკის შეეხება, გრემ გრინის რომანში გვხვდება, სახელწოდებით, „ჩვენი კაცი ჰავანაში“. აქ ვისკის პატარა ბოთლებით განცყობილ შაშს თამაშობენ; ერთ მხარეს სუფთა სკოჩებია ჩამწრიერებული, მეორე მხარეს კი ბლენდები, ყოველი აყვანილი ქვა (ანუ ბოთლი) დალევას გულისხმობს. შესაბამისად, „დამკა“ ორი ბოთლია. ასე რომ, რაც უფრო მომგებიანი პოზიცია გაქვს, მით მეტი შანსია, რომ გაიტრიტო.

უსასრულოდ შეიძლება ვისკით მთვრალ პერსონაჟებზე წერა, რადგან ამის შესახებ წლების მანძილზე მართლაც დიდძალი მასალა დამიგროვდა და ალბათ, კიდევ ბევრჯერ გადავეკრები ვისკით თვალებანთებულ გმირებს. ამიტომ ამ გაუთავებელ ჩამინათვალს აქ შევწყვეტ და წერილს ერთი რჩევით დაგასრულებს: შეურეველ ვისკის ისეთივე სიამოვნება შეუძლია მოგვანიჭოს, როგორც წყალუკრავ, ნამდვილ ლიტერატურას, მიუხედავათ იმისა, არის თუ არა მასში ნახსენები „სიცოცხლის წყალი“. მთავარია იმდენი დავლიოთ, რომ ნაბახუსევზე ვისკის ეტიკეტის წაკითხვა მაინც მოვახერხოთ.

ისუნთქოთ

ცვირით



ახალი საფეხი
აჩახი მათოლით

უპაძრო

გააკეთე ტიუნბით მეტი!